საქართველო [...]ძდია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

www.tbiliselebi.ge

№2 (681) 13–19 იანვარი ფასი 1,50 ლარი



გვ. 15

რა ისწავლა ნიკა ლაზარიაშვილმა სტეფანე მღებრიშვილისგან და როგორ დაინახა მან ცხოვრება სხვა თვალით სტეფანეს დახმარებით

გვ. 74

როგორია ორი ბესო ზანგურის ცხოვრება ერთ ოჯახში და ვინ ზრუნავს მათ კომფორტსა და საუკეთესო განწყობაზე

გვ. 22

რის დამალვა არ შეუძლია ქრისტი ყიფშიძეს და რაში უშლის მას ხელს საკუთარი სტატუსი და ადგილი საზოგადოებაში



გვ. 23

რისი ეშინია სალომე გოგიაშვილს და რის გამო ეტირება მას მუდმივად



გვ. 70

რატომ დარჩა ფსიქიატრიულ კლინიკაში ლელა ნინუა რამდენიმე დღე



იქნება თუ არა სოჭის ოლიმპიადისა და პარაოლიმპიადის ელჩი დიანა ღურწკაია მეჩირაღდნე

გვ. 75



გვ. 13

რატომ მისდიოდათ გული ანა ხანჩალიანის გამარჯვებამდე სომხური „ახალი ხმის“ ჟიურის წევრებს და ვინ აჩუქა მას შოკოლადის მიკროფონი

# გილოცავთ ნათლისღებას!


რა ცდუნებას
გაუძლო
ეკა გიგაურმა
ამსტერდამში და
როგორ გახდა ის
აღმასრულებელი
დირექტორი
დასაქმების
პორტალის
წყალობით
გვ. 12


გვ. 68
როგორ გადაჰყავდათ
თუშ მეცხვარეებს 2 წლის
ეთერ თათარაიძე კავკასიონზე
და რამ გააოცა ის თბილისში


ვის გაჰყვა
ცოლად
შერიგებისა
და სამოქალაქო
თანასწორობის
მინისტრის
მოადგილე ქეთი
ციხელაშვილი
და რისი
„მსხვერპლი"
გახდა მისი
ქორწინება
რამდენჯერმე
გვ. 14


HAIRLINE
INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE
გადანერგილია ჰეარლაინში
230 00 30
ქავთარაძის ქუჩა 16
www.hairline.ge





# სარჩევი


როგორ აკონტროლებენ საქართველოს მოქალაქეების ცხოვრებას ადგილობრივი და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები ........ 6

რატომ ჩაანაცვლა ფიზიკური ძალადობა ფსიქოლოგიურმა ძალადობამ და როგორ იწვევს ისტერიული და ტრავმული თაობების გამრავლებას ოჯახური ძალადობა ...... 8

რამდენი მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოტე კუბლაშვილის მეუღლეს ........ 9

რატომ უსწრებს აზერბაიჯანი ინვესტიციების რაოდენობით საქართველოს 8-ჯერ და ვინ უკეტავს გზას თურქმენულ საწვავს ქართულ ბაზარზე ........ 10

რა ცდუნებას გაუძლო ეკა გიგაურმა ამსტერდამში და როგორ გახდა ის აღმასრულებელი დირექტორი დასაქმების პორტალის წყალობით .... 12

რატომ მისდიოდათ გული ანა ხანჩალიანის გამარჯვებამდე სომხური „ახალი ხმის“ ჟიურის წევრებს და ვინ აჩუქა მას შოკოლადის მიკროფონი .. 13

ადვოკატი გირჩევთ ........ 16

რისგან არის დაზღვეული ქალი, რომელიც სიყვარულით კი არა, ანგარიშით თხოვდება ........ 20

სუმსკის მხარეში მცხოვრები შვილი მამას საქართველოში ეძებს ........ 21

რის დამალვა არ შეუძლია კრისტი ყიფშიძეს და რაში უშლის მას ხელს საკუთარი სტატუსი და ადგილი საზოგადოებაში ........ 22

რისი ეშინია სალომე გოგიაშვილს და რის გამო ეტირება მას მუდმივად ..... 23

რატომ უნდა დაარქვას ქრისტიანმა შვილს სახელი დაბადებიდან მერვე დღეს და რა არის ნათლობისთვის აუცილებელი ........ 24

მოძღვარი გვირჩევს ........ 25

რომელი საბჭოელი დიქტატორის როლის შესრულებაზე ოცნებობს ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი ლეონარდო დიკაპრიო ........ 27

5 ფაქტი ნორვეგიის მეფის, ჰარალდ მეხუთის ცხოვრებიდან ........ 27

როგორ ერთობიან მილიარდერები ..... 27

ექიმის რჩევები ........ 29

ვის შეხვდა მერაბ ნინიძე პარიზში საიდუმლოდ და ბავშვობის რა ოცნება ვერ აიხდინა მან ........ 30

რისი გათვალისწინებაა საჭირო ახალი წლის დღეებში, რომ ოჯახში ბედნიერება და სიმშვიდე დაიბედოთ ........ 32

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 34

ვის დაუკვეთა და სად უნდა აღემართა სტალინს დავით აღმაშენებლის ძეგლი ..... 35

შეკითხვა ასტროლოგს ........ 36

რა განსაზღვრავს ადამიანის ბედისწერას და რა კავშირშია ფიქრი სამყაროს კანონებთან ........ 36

რატომ ჩაანაცვლეს ტრიო „სიმში“ ზაზა ვეფხვაძე „ცისფერი ტრიოს“ წევრით ........ 47

ვინ და როგორ გაიტაცა თბილისის ცენტრში მდებარე საიუველირო მაღაზიიდან 890 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა ......... 48

რა არ აპატია სიმამრს ბიზნესპარტნიორმა სიძემ და როგორ დააყაჩაღა ის ახალი წლის ღამეს .... 49

ვეტერინარის რჩევები ........ 50

ფლორის სამყაროში ........ 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს .... 51

გულის კარნახით ........ 57

ქურდული ცხოვრება ........ 64

რატომ დარჩა ფსიქიატრიულ კლინიკაში ლელა ნინუა რამდენიმე დღე ........ 70

რა იყო ბაღვაშებისა და ბაგრატიონების დაპირისპირების საბაბი და რამდენი თაობის განმავლობაში გაგრძელდა ეს ............ 72

როგორია ორი ბესო ზანგურის ცხოვრება ერთ ოჯახში და ვინ ზრუნავს მათ კომფორტსა და საუკეთესო განწყობაზე ........ 74

ავტომანქანა „ჟიგულისა“ და ლუდ „ჟიგულევსკაიას“ ამბავი ........ 78

# მოშუშულის გავლენა

## „ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები“

შესაძლოა, იმიტომ, რომ **ამ ჩვენი პარლამენტის ქუთაისური შენობა,** ძირითადად, **მოშუშულია,** ან, იმ გავლენით, **„ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები“,** ჩვენებურ **პარლამენტარებს ქურდული სამყაროს შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა მოეგუმანათ.** სახელდობრ, მისი, ასე ვთქვათ, **გაჰუმანურება.**

კერძოდ, ითქვა, რომ **ქურდული ცხოვრების პატივისმცემლები მხოლოდ ამ პატივისცემის გამო არ უნდა გაისკვანჩონ.** მეორე მხრივ, მართლაცდა, **არადემოკრატიულია აზრის გამო თავისუფლების აღკვეთა,** თუმცა, **თუ გავითვალისწინებთ, რომ დანარჩენი კაცობრიობა ლამის მარსზე დადის ფეხით,** ჩვენგან ნაწილი კი **ქურდულ ტრადიციებს ეტრფის,** რთული სათქმელია, **დემოკრატიის მანიშნებელია ზემოხსენებული კანონის გადახედვა თუ – გონებაჩამორჩენილობისთვის მწვანის ანთების.**

თუმცა, **სანამ ჩვენ** (ჩვენი რჩეულებიანად) **ვბჭობდით, პრემიერ-მინისტრმა** ამ ახალ, **ცხენის წელიწადში, მთავრობის პირველად შეყრილ სხდომაზე დაგვიცაცხანა** (პრინციპით, მულო, შენ გეუბნები და, რძალო, შენ გაიგონეო), პათოსით, **რის ქურდები, რა ტრადიციებიო.** კერძოდ, ბ-ნმა **ღარიბაშვილმა, თავდაპირველად, რიტორიკულად იკითხა:** „ვინ ასწია ის თემა ქურდების კანონის გადახედვაზე?!“ **შემდეგ კი, დაბეჭდა: „ჩვენი პოზიციაა, რომ ეს კანონი არ გადაიხედება.** ამაზე თუ შეგეკითხებიან, გააკეთეთ კონკრეტული კომენტარი, რომ რაღაც თემა ასწიეს უაზროდ (აღარ უნდა, ლაი-ლაიო).“

თუ გავითვალისწინებთ, რომ **პრემიერ-მინისტრმა სამწყსოს მიუთითა: ჯერ კარგად გაიაზრეთ და ამის შემდეგ გააკეთეთ კანონპროექტების ინიცირებაო** (ანუ, საქმეს მიხედეთო), უნდა ვივარაუდოთ, რომ **ჩვენებური კანონმდებლები, მთავრობიანად, გაიხსენებენ დაწყებით კლასებში ნასწავლს:** ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი (თუმცა, საყველპუროდ ასეც შეიძლება, ითქვას: **მომინდომეს ბელმონდო**).

# ხე და ნებართვაგაშლილები

## „ვაიმე, დედა, გავთავდი!“

მართალია, **ეს ჩვენი დედაქალაქი მსოფლიოს ერთ-ერთი დაბინძურებული ადგილია** ატმოსფერული ჰაერის თვალსაზრისით და, შესაძლოა, **მალე გინესის რეკორდების წიგნშიც მოვხვდეთ, რაკი,** როგორც ჩანს, **ჟანგბადი, სულაც არ გვჭირდება სასიცოცხლოდ,** მაგრამ, ამის მიუხედავადაც, **ხეები ხეებზე იჩეხება, პარკები კი პარკებზე ნადგურდება.**





**მოსახლეობა აპროტესტებს, თუმცა, ვაკის პარკში ხეები მაინც იჩეხება,** ხოლო, რაკი **მშენებლობის ნებართვებს დედაქალაქის მერია გასცემს, კომენტარი თბილისის ვიცე-მერმა** ქ-ნმა სევდია **უგრეხელიძემაც შეგვაწია** (როგორც წესი, **ახალმშენებლობები შემკვეთ-მომხმარებლებს შუაგულ პარკებში ურჩევნიათ, რომ ფილტვები ჩაენშინდოთ** – გემოვნებას ვერ დაუწუნებ!). კერძოდ, შენიშნა, რომ **გაჩეხვით სამუშაოებს კერძო კომპანია საკუთარ ტერიტორიაზე ახორციელებს და მათ ამის უფლება აქვთ.**

ბუნებრივია, **თავადაც მივხვდებოდით, რომ ტერიტორია, რომელზეც მშენებლობაა, კერძო საკუთრება იქნებოდა,** ალბათ, ამიტომაც, ქ-ნმა **სევდიამ განმარტება კიდევ უფრო გააფართოვა** და გაგვანათლა, რომ **„შემოვიდა განცხადება ცხრა ხის მოჭრის შესახებ და აღნიშნულზე ნებართვა გაიცა** (ჩეხეთ და ჩეხეთ, რამდენიც თქვენს სულსა და გულს გაუხარდებაო!).“

ჩვენ არ ვიცით, **რით აპირებენ სუნთქვას ამ ჩვენი მერიის ნებართვახელგაშლილი მესვეურნი** (იქნებ, აირწინაღებიც აქვთ წინდაწინ მომარაგებული?!), თუმცა, **არცთუ უსაფუძვლოა ეჭვი, კერძო კომპანიას სურამის ციხის ლეგენდის გაცოცხლების ნებართვა რომ მოეთხოვა, იმასაც დაუკმაყოფილებდნენ** – მოტივით – **„კერძო კომპანია საკუთარ ტერიტორიაზე ახორციელებს“?! –**

# შეიბნეს ადვოკატ-პროკურორი

## ანუ, „ძრწოდე, კავკაზო, ერმოლოვი მოდის!“

**თუკი ადრე პროკურორი თითქმის სისხლისმსმელ იმპერიალისტ ერმოლოვის ასოციაციას იწვევდა** (როგორც მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „ძრწოდე, კავკაზო, ერმოლოვი მოდის!“), **ახლა ისეც მოხდა, რომ ხელიც დაარტყეს.**



ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, **გასულ კვირას თვით პროკურატურის შენობაში პროკურორი და ადვოკატი ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ.** მთავარმა **პროკურატურამ შებმის დროც ზუსტად მოგვახსენა** (15 საათი და 30 წუთი) და **მოტივიც** (პროკურორ ლ. ბ.-სა და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრ ადვოკატ რ. ს.-ს შორის ადრე არსებული პირადი უთანხმოება). ზედაც, **დაამატა, რომ „აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო.“**

ბუნებრივია, **სახელმწიფო ბრალმდებლისა და დამცველის ვეფხი-მოყმესავით შებმა ვერ არის მოსაწონი საქციელი** და, ამდენად, **სავსებით გასაგებია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის გაცხარება** (სამწუხაროდ, აი, **ის კი არ ვიცით, რომელმა რომელს სძლია,** თუმცა, თავად ფაქტის შეფასებისას ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს), მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **ადრე პროკურორის შემხუხებელი,** როგორც წესი, **კუკიაზე ხვდებოდა,** მომხდარი **მთლად ურიგოდაც არ უნდა ახასიათებდეს ამ ჩვენს ძალოვან სტრუქტურას!**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ქღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „მკვდრებაკიდებული“ „მკვდრები“

## გაჭირვებულზე გაჭირვებული არ დაილევაო

**თუმცა თავი გაგვჭირვებია** (უმუშევრობისა და უფულობის გამო, თორემ, გული ისე გულობს, განა მხოლოდ ქადას მივირთმევთ ორთავ ხელით, დემოკრატიულზე დემოკრატიულ არჩევნებსაც ვატარებთ), **რომ ზოგთათვის ეს ჩვენი ქვეყანა ნამდვილი სამოთხეა** (პრინციპით: **გაჭირვებულზე გაჭირებული არ დაილევაო**).



იმის გათვალისწინებითაც, რომ **ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ დაგვიტოვა ღია საზღვრის მოდელი** (და, **ვისაც არ ეზარება, ყველას შეუძლია, შემოეხეტოს**), მხოლოდ **ჩვენებურმა სასაზღვრო სამსახურმა თუ იცის, ვინ მიდი-მოდის**, აი, შემომსვლელთა რეალური მიზნების შესახებ კი დაზუსტებით არაფერია ცნობილი.

ერთი სიტყვით, **ამ ღია საზღვრისა, ან, იქნებ, სულაც, სხვა მიზეზით, იგბუს მეფე რიჩარდ არიზის ყურადღების ობიექტიც გავხდით**. მონარქი ჩვენს დედაქალაქში გასულ კვირას **იმ ინციდენტს გამოეხმაურა, როდესაც ნიგერიის მოქალაქეს ფიზიკურად გაუსწორდნენ და გაძარცვეს**.

მართალია, **დაზარალებული რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი**, **შსს-მ კი საქმეც აღძრა**, მაგრამ, **მეფე მაინც შეშფოთებულია** (რაც სავსებით ბუნებრივია). მისი თქმით, „ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩვენზე თავდასხმები გახშირდა, **საქართველოში ბევრი ნიგერიელი ცხოვრობს** და მივმართავ ხელისუფლებას, რომ ყურადღება მოგვაქციოს!“

მეორე მხრივ, ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოდან ნიგერიაში გადარიცხული ფული ჩინეთის ტრანსფერებს ხუთჯერ აჭარბებს **(ან ნიგერიელები უფრო სარფიან სამსახურს შოულობენ ჩვენთან, ან ჩინელებისთვის რაოდენობით გადაუსწრიათ**). 2013 წლის **იანვარ- ნოემბერში საქართველოდან ნიგერიაში 4 მილიონ 850 ათასი დოლარი გადაუგზავნიათ** (ანუ, როგორც ჩანს, ვაქცევთ ყურადღებას, როგორც შეგვიძლია).

ხოლო, თუ ეროვნულ ბანკს ვერწმუნებით, **აფრიკულ სახელმწიფოებში ფულადი ტრანსფერები ყოველწლიურად იზრდება და იზრდება**. სახელდობრ, **თუკი 2010 წელს მისი მოცულობა, სულ რაღაც, 76 ათას დოლარს შეადგენდა**, როგორც ზემოთ აღვნიშნე, **2013 წლის 10 თვეში მარტო ნიგერიაში 5 მილიონ დოლარამდე გადაურიცხავთ. სულ** კი ამ ჩვენი **ბედკრული სამშობლოდან** იმავე პერიოდში **უცხოეთში 140 მილიონ დოლარამდე გაუგზავნიათ.**

ცხადია, **ვერ გეტყვით დაზუსტებით, სახელდობრ, რამდენი აფრიკელი, ჩინელი თუ ინდოელი შრომობს და ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში**, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ჩვენებურ აფხაზებთან და ოსებთან ვერ მოგვიგვარებია თანაცხოვრება**, იქნებ, აღმოსავლელ მიგრანტებზე **თუ მოვითელეთ**, ადრე თუ გვიან, **ჩვენებურებსაც შევეთვისოთ?!**

# „ნაციონალური“ უკმაყოფილება

## „ყაჩაღების“ უსტაბაში

**პროკურორ-ადვოკატის შებმაც რომ არ ყოფილიყო**, ეს ჩვენი **მთავარი პროკურატურა ისედაც არ უჩივის ცნობისმოყვარე თვალთა სიმცირეს: იმთავითვე,** ანუ, 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან, **მომჩივანთა მხრიდან, რომლებიც სამართლიანობის აღდგენას ელიან და მათ შემვიწროვებელთა დასჯას ითხოვენ**, მეორე მხრივ, **იმის გამო, რომ ის კვლავაც მთავარი პროკურორის გარეშეა**.

მართალია, **საზოგადოება სხვადასხვა კანდიდატზე ბჭობს**, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, **ერთ-ერთ კანდიდატად თანამდებობიდან გადამდგარი მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე განიხილება**, თუმცა **„ნაციონალური“ ოპოზიცია** (თავს რომ ერთადერთად მიიჩნევს) **კვლავაც უკმაყოფილოა**.



ამჯერად ბ-ნი **წიკლაურის ბაგეებმა გვამცნო „ნაციონალური“ შეფასება**, რომ **მთავარ პროკურორად მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის დანიშვნა ნიშნავს**, რომ **ვითარებას კვლავაც გადამდგარი მთავარი პროკურორი გააკონტროლებს**.

ამის პარალელურად, მაგალითად, ბ-ნი **ქიაბერაშვილი განგაშის ზარებს არისხებს**, რომ **„პროკურატურა ყაჩაღთა თავყრილობაა“.** ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ეს ის პროკურორები არიან, რომლებიც** ბ-ნი **ქიაბერაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაფრთიანდნენ სისტემაში**, უნდა ვივარაუდოთ, რომ **თავად „ყაჩაღთა“ უსტაბაში გამოდის** (უფასო რჩევის სახით: ჩვეულებისამებრ, **ოპონენტს ისეთი არგუმენტით უნდა დაუპირისპირდე, რომელიც შენვე არ შემოგიტრიალდება**).

ხოლო, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ, **უდიდესი ალბათობით, „ნაციონალურ“ ოპოზიციას მთავარი პროკურორობის არც ერთი კანდიდატი არ მოეწონება**, იქნებ, არ მომცდარიყო და **პირდაპირ მისთვის სასურველთა სია წარმოედგინა,** თანაც, **განა მხოლოდ მთავარი პროკურორის, ყველა სამთავრობო პოსტისთვის?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# „ჭკვიანი“ შუქნიშნები?!

## კაეშნის გარეშე

მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩვენს დედაქალაქში **გზებიც გაფართოვდა და ავტობანებიც დაემატა** – ისეთი წმიდათაწმინდა **მოტივებით, როგორებიც საცობების განტვირთვა და თავისუფლად გადაადგილება გახლავთ, საცობებმაც მოიმატა და გადაადგილებაც გაჭირდა**, განსაკუთრებით, **გაფართოებულ გზებზე, ავტობანების მიმდებარე ტერიტორიებსა და ახალ-ახალ გადასასვლელებზე** (ან კი რატომ არ გაჭირდებოდა, თუკი ადგილობრივი სპეციალისტებისთვის აზრიც კი არ უკითხავთ?!).



თუმცა, **მძღოლთათვის ფრიად სასარგებლო ნოვაციებიც დაინერგა** და, მათ შორის, **თაიმერიანი შუქნიშნები**, რის მეშვეობითაც, მაგალითად, **„წითელზე“ ისე მშვიდად შეისწორებდი პომადას**, რომ „მწვანის“ **მომლოდინე მამაკაცი მძღოლების მოწონებასაც კი დაისახურებდი** არათუ აღაშფოთებდი.

თუმცა ამ ბოლო დროს **თაიმერიანი შუქნიშნების დემონტაჟი დაიწყო** (ურიგო არ იქნებოდა, დაგვეთვალა, რა დაუჯდა თბილისის ბიუჯეტს მათი შესყიდვა-დამონტაჟება), **მათ ნაცვლად კი ახლები გამოჩნდა – რომლებზეც „ყვითელი“ გამქრალია** (ვითომ, რაკი კაეშნის სიმბოლოა?!).

როგორც **თბილისის ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა გაგვანათლა, „ყვითლის“ არარსებობა მოძრაობას გააუმჯობესებს** (ნეტავ, ეგ როგორ?!); უფრო მეტიც, როგორც გვითხრეს, **ახალი შუქნიშნები თავად გადაწყვეტენ, როდის „მწვანე“ აანთონ, როდის კი – „წითელი“** (დაითვლიან მანქანების რაოდენობასო). თუ გავითვალისწინებთ, **რა ისტორიულ საცობებს იწვევს მოწვეულთა მიერ დაპროექტებული გზაჯვარედინ-ავტობანები**, ადვილი წარმოსადგენია, **როგორ „გაგვაბედნიერებენ“ „ჭკვიანი“ შუქნიშნები.**



იმის გათვალისწინებით, რომ **ამ ჩვენს გზებზე ისეთი რეფორმები ტარდება, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ სიუჟეტი გეგონება**, ჩნდება ეჭვი – **ამ ჩვენი თბილისის მერიაში გზების აყრასაც ხომ აპირებენ?!**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**უკვე აშკარაა, რომ მათ, ვინც საქართველოს მოქალაქეებს უკანონოდ გვისმენდა და გვითვალთვალებდა, ბუზსაც არავინ აუფრენს, რაც, ნებსით თუ უნებლიეთ, იმის ფიქრის საფუძველს გვაძლევს, რომ კვლავაც შესაძლოა, გავხდეთ თვალთვალის და, აქედან გამომდინარე, შანტაჟის ობიექტი. ასეა თუ ისე, ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, თუმცა უცნობია, რას და როგორ იცავს ან იცავდა. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოქალაქეების მობილური ტელეფონის ნომრები თითქმის ყველა მსურველისთვისაა ხელმისაწვდომი. რა დონეზეა დაცული საქართველოს მოქალაქეების პირადი მონაცემები როგორც ადგილობრივი, ისე უცხო სპეცსამსახურების ცნობისმოყვარე თვალისგან, თემას არასამთავრობო ორგანიზაცია სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის დამფუძნებელსა და თავმჯდომარესთან, ბესო ალადაშვილთან ერთად განვიხილავთ.**

# როგორ აკონტროლებენ საქართველოს მოქალაქეების ცხოვრებას ადგილობრივი და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები



**დღეს შსს რეალურად არის მხოლოდ კრიმინალთან ბრძოლის ადგილი და მგონია, რომ არც ახსოვთ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის არსებობა, არადა, აუცილებელია არა მხოლოდ მოწინააღმდეგეების, არამედ, თუნდაც, ჩვენი მეგობრების განეიტრალება**

**– პერსონალური მონაცემების თემა ყოველთვის იყო აქტუალური, თუმცა სარეკლამო „ესემესების“ მომძლავრებამ ჩვენს მობილურ ტელეფონებზე კიდევ უფრო აქტუალური გახადა საკითხი, რა დონეზეა ხელმისაწვდომი მოქალაქეთა პერსონალური მონაცემები?**

– ორიოდე წელია, რაც შეიქმნა პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახური. ძნელია იმის თქმა, რა სქემით მუშაობს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ 2016 წლიდან შეიძლება, ამოქმედდეს სარეკლამო შემოთავაზებების დამსჯელი მექანიზმი. თუმცა, პირადად მე, კრიმინალსა და კანონის დარღვევას ამ აგრესიულ მარკეტინგში ვერ ვხედავ. ყველას უნდა რეკლამის გაკეთება, მაგრამ აქ არის ერთი საკითხი: რამდენად კანონიერია ჩვენ შესახებ ინფორმაციის გაცემა. მაგალითად, ჩვენს მომსახურე ბანკში არის ჩვენი კოორდინატები.

**– გასაგებია, რომ ბანკს სჭირდება, რადგან მისგან ინფორმაციას ვიღებთ ჩვენს შესახებვე.**

– დიახ, მეც ხშირად მომდის მობილურ ტელეფონზე „ესემესები“, მაგრამ ისინი, ძირითადად, შეიცავს ინფორმაციას. მე ამ საკითხს ცოტა ფილოსოფიურად ვუყურებ.

**– მეც, მაგრამ საინტერესოა, საიდან აქვთ მათ ჩვენი მობილური ტელეფონის ნომრები და, თუ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია, რა შეუშლის ხელს ჩვენ შესახებ სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას?**

– ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. ძალიან ბევრი პროცესი გახდა ელექტრონული, რაც, ბუნებრივია, უნიფიცირებას უკეთებს ინფორმაციას, ანუ ინფორმაცია ხელმისაწვდომია, რადგან თითქმის ყველაფერი ტელეფონის ან კომპიუტერის საშუალებით ხორციელდება. ამ ორი გზის გაშიფვრა კი არ არის რთული. უბრალოდ ზღვარი უნდა გავავლოთ კანონიერებასა და უკანონობას შორის. აქ არის კიდევ ერთი პრობლემა, რაც ჩვენთან მიჩუმათებულია: ჩვენ თუ შეგვიძლია იმის დადგენა, ვინ აგროვებს ჩვენ შესახებ ინფორმაციას. არსებობს სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული ინფორმაცია, რომელიც საიდუმლოა და გარკვეულწილად, კანონითაა დაცული. როდესაც ამა თუ იმ პიროვნების შესახებ გროვდება ინფორმაცია, შეუძლია თუ არა ამ პიროვნებას, თუნდაც, წლების გასვლის შემდეგ, გაიგოს, იყო თუ არა მასზე ფარული მოსმენა, ანუ გატარდა თუ არა მის მიმართ სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებები?! ეს საკითხი, რატომღაც, დღეს არ არის აქტუალური საქართველოში.

**– პირადად მე, სულ ვწერ ამის შესახებ და ძალიან მინდა, მოვიპოვო ინფორმაცია, თუ ვინმე მისმენდა და მითვალთვალებდა.**

– ამიტომაც შევქმენი ნოემბერში არასამთავრობო ორგანიზაცია „სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრი“, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია სპეცსამსახურების კონტროლი, როდესაც ხელისუფლებაში ერთპარტიული სისტემაა. მეტიც, მართალია, ახლაც ერთპარტიული სისტემაა, მაგრამ სპეცსამსახურები დამომპლექტებულია „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში და არის შესაძლებლობა, რომ გამოვიდეს პარლამენტის, პროკურატურის კონტროლიდან, ამიტომ აუცილებელია საზოგადოებრივი სექტორის კონტროლი. მათ შორის, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია იქნება თითოეული მოქალაქის უფლებების დაცვა სპეცსამსახურების უკანონო მოქმედებებისგან და მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვა. კონსტიტუციით, გვაქვს უფლება, გამოვითხოვოთ ჩვენ შესახებ არსებული ის ინფორმაცია, რაც იმ ავადსახსენებელ „კუდში” იყო. მაგრამ გინახავთ ადამიანი, ვისაც ეს ინფორმაცია მიეცა?! ისიც მეეჭვება, რომ ვინმეემ მოითხოვა.

**ჩვენი მეზობელი და პარტნიორი ქვეყნების სპეცსამსახურებსა და საელჩოებს ამომწურავი ინფორმაცია აქვთ, თუნდაც, ბოლო წლების შესახებ. უბრალოდ ისინი არ ამჟღავნებენ ამას**

**– მე ვაპირებ, რომ მოვითხოვო.**

– ძალიან კარგი იქნება. სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე წელია, ჩვენთან სპეცსამსახურების მუშაობას პოპულისტურად აფასებენ. ჩვენს საზოგადოებას ცოტა ზერელე წარმოდგენა აქვს სპეცსამსახურების მუშაობის ტექნიკურ საკითხებზე, თან, ეს ხდება კამპანიურად და სამწუხაროდ, არასერიოზული შეფასებები ისმის, მაშინ, როდესაც ეს სერიოზული საკითხი და პრობლემაა და გადადის უფრო რთულ პრობლემაში, თუ რამდენადაა დაცული პიროვნება.

**– ბანკებში ინახება ინფორმაცია ჩვენი შემოსავლებისა და გასავლების, თანხის მოძრაობის შესახებ. რა გარანტიაა, რომ ესეც არ გახდება ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის?**

– უფრო რომ გავაფართოოთ პრობლემა: ევროპასა და შტატებშიც სამსახურში მიღების დროს მიღებული ფორმაა ანკეტირება და მაქვს ინფორმაცია, რომ ეს მოქალაქეების გაღიზიანებას იწვევს, რადგან არის შეკითხვები ადამიანის აღმსარებლობაზე, ორიენტაციაზე, რასაც დასავლეთში თვლიან პიროვნების თავისუფლების შეზღუდვად. ბანკს, ბუნებრივია, აქვს სურვილი, ჰქონდეს მაქსიმალური ინფორმაცია კლიენტის შესახებ, სამსახურში მიღებისას კი კადრებზე პასუხისმგებელი პირიც ცდილობს, შეაგროვოს ინფორმაცია ახალ თანამშრომელზე, რომ გამორიცხოს მომავალი რისკები. პრობლემაც ეს არის: სად კადის კანონის ზღვარი, თუმცა ხშირად კანონიც ირღვევა. თავის დროზე „ნაციონალურ მოძრაობას“ ტოტალური კონტროლის დამყარება უნდოდათ და აპირებდნენ, რომ კომერციულ სტრუქტურებში ჰყოლოდათ თავიანთი წარმომადგენელი, თითქოსდა ჰაკერული შემოტევებისგან დასაცავად, სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად. ეს უნდა ყოფილიყო ინფორმაციის უსაფრთხოების ოფიცერი, რომელსაც, თუ არ ვცდები, შსს დანიშნავდა.

**– ვერ მოესწრო.**

– ვერა, რადგან ეს ნიშნავდა, რომ ყველა კერძო სტრუქტურაში თავიანთი აგენტურა ეყოლებოდათ. თუმცა სახელმწიფო სტრუქტურებში ხომ ისედაც ჰყავთ „ოდერის“ ფორმით. ინფორმაციის ფლობა ნიშნავს ბატონობას, ამ შემთხვევაში კი, „ნაციონალებს“ ტოტალური ბატონობა, ტოტალური კონტროლი უნდოდათ. არ მინდა, ყველაფერი მათ დავაბრალო, მაგრამ ამის მცდელობა იყო. გავიხსენოთ, თუნდაც, იუსტიციის სამინისტროში აღმოჩენილი სერვერი, საიდანაც კონტროლდებოდა პარლამენტის და ძალიან ბევრი, თუ ყველა არა, სახელმწიფო სტრუქტურის მიმოწერა. დღეს: როგორც გითხარით, არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრუქტურა, თუმცა არ ვიცი, მოჰყვა თუ არა მის მუშაობას რეალურად რამე შედეგი.

**– ცნობილია, რომ გამეფებული იყო მოსმენების და თვალთვალის ტოტალური შიში, როგორც ფსიქოლოგები ამბობდნენ, შიში რეჟიმის შეცვლისთანავე გაქრებოდა. თუმცა დღესაც ლამის ყველას ისევ სჯერა, რომ მათი სატელეფონო ზარები ისმინება, ერთი ისაა, არ ვიცი, ისევ ისე ეშინიათ თუ არა ამის.**

– ეს ის პრობლემაა, რომელიც ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა შეისწავლოს. ამას წინათ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გასული წელი შეაჯამა და ერთგვარი მშრალი ანალიზიც შემოგვთავაზა. კერძოდ, ითქვა, რომ შევარდნაძის დროს სასამართლო შესაბამისი უწყების მიერ სამძებრო-ოპერატიული ღონისძიების გატარების, ანუ თვალთვალისა და მიყურადების მოთხოვნის ათი შემთხვევიდან ათსავეს აკმაყოფილებდა, რაც ასე არ არის; „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ათიდან – ცხრას, რაც სასაცილოა; ხოლო დღეს ათიდან – შვიდრვას. რაც ყველაზე საინტერესოა, არ დაასახელა აბსოლუტური ციფრი, არადა, ეს ციფრი ძალიან მნიშვნელოვანია.

როდესაც უშიშროების სამინისტროში ვმუშ-

# რა ეფექტური თვისებებით გამოირჩევა ლელა გეჯაძის ნაყენი, რომელმაც ბევრს მოუხსნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები და რომელსაც მაღალი სასულიერო იერარქიის პირები იყენებენ

ახალი წლების ხვავიანი სუფრის, გემრიელი კერძებისა და სასმელების მიღების შემდეგ ხშირად გვახსენებს თავს ნაღვლის ბუშტთან, თირკმელებთან და სხვა ორგანოებთან დაკავშირებული პრობლემები. ამიტომაც, კარგი იქნება, როგორც სამკურნალოდ, ასევე, პროფილაქტიკის მიზნით, მივიღოთ ლელა გეჯაძის ნაყენი – „ქავთასი“, რომელმაც არაერთ პაციენტს გადაუჭრა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები. ამიტომაც უწოდებენ მის ნაყენს „სასწაულმოქმედს“ პაციენტები: ტაო-კლარჯეთის ეპარქიის წმიდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მამა ლუკა (კონჩაკო), სამგორის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ცოტნე. „ღვთიური მადლით გაჯერებული ბუნების საჩუქარი – უკვდავების ნაყენი“ – ასე უწოდა ლელა გეჯაძის ნაყენს დმანისის ეპარქიის წმიდა ბასილი დიდის ტაძარში მოღვაწე დედა გაიანემ (ფილიშვილი). ქალბატონი ლელა მიიჩნევს, რომ მის ნაყენს უფრო მეტი ძალა მეტეხის ეკლესიის წინამძღვრის, მამა აკაკის (მელიქიძე) კურთხევამ მისცა, რომლის საფუძველი გახდა ეკლესიის მსახურთა, მრევლის განკურნების შემთხვევები. „ქავთასის“ მკურნალობის სპექტრი საკმაოდ დიდია: ის იცავს ორგანიზმს ლეიკემიის განვითარებისგან, სიმსივნის წარმოქმნისგან; ეფექტურია წინამდებარე ჯირკვლის ადენომების, ფიბრომიომების, კისტების, მასტოპათიების დროს; აწესრიგებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას; ეფექტურია დიფუზური, გიგანტური, კვანძოვანი ჩიყვის დროს; აღადგენს ღვიძლის ქსოვილს; მუშაობს ცხიმოვან ჰეპატოზზე, ქრონიკულ დავადებებზე (C ჰეპატიტი, ციროზი); წმენდს ნაღვლის ბუშტს; მისი მიღება ეფექტურია ნაღვლის ბუშტის ყველა ტიპის დაავადების სამკურნალოდ: დისკინეზია, კენჭოვანი, სლაჯის ტიპის – ანთებითი პროცესით; აღადგენს გათიშულ ნაღვლის ბუშტს; წმენდს თირკმელებს სხვადასხვა ტიპის ნალექებისგან, კენჭებისგან; აწესრიგებს კრეატინინს – ჩამოჰყავს ნორმის ფარგლებში.



**ვლადიმერი** ***(პაციენტი):*** ხუთი წლის განმავლობაში თირკმელები გათიშული მქონდა, ვიყავი დიალიზზე და ყოველ მესამე დღეს ვიტარებდი თირკმლის გამორეცხვას. ვერ გამოვყოფდი შარდს და თირკმელები საგრძნობლად იყო გაზრდილი. ლელა გეჯაძის ნაყენით მკურნალობის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ გამიადვილდა შარდისგამოყოფა – დღეში 250 მილილიტრს გამოვყოფდი. ყოველი სამი კურსის შემდეგ ექოსკოპიურად ვაკვირდებოდი თირკმელს და ვიკეთებდი თირკმლის ფუნქციას. შედეგები ყოველ ჯერზე იზრდებოდა – თირკმლის ფუნქციებმა დაიწყო აღდგენა, მომიწესრიგდა კრეატინინი და შარდოვანა. თუ მანამდე ყოველ მესამე დღეს დავდიოდი დიალიზზე, ახლა, მკურნალობის შემდეგ, კვირაში ერთხელ მიწევს მისვლა.

**თამარი** ***(პაციენტი):*** ექიმებმა დამისვეს ნაღველკენჭოვანი და თირკმლის კენჭოვანი დაავადება. ნაღველში მქონდა წვრილი, მრავლობითი კენჭები; ასევე, ქრონიკული ბრონქიტი, ტოქსიკური ჩიყვი, მკერდზე კი – მასტოპათიები და ფიბრო-ადენომები. კომპიუტერული ტომოგრაფიის გადაღების შემდეგ მითხრეს, რომ ფილტვები ძალიან ცუდ მდგომარეობაში მქონდა – ფიბროზული კერები იყო, თან, მრავლობითი; ანუ, დამიდგინდა ფილტვში მეტასტაზი. აუცილებლად უნდა გამეკეთებინა ბრონქოსკოპია. დავიწყე ლელა გეჯაძის ნაყენის მიღება და ხუთი კურსის შემდეგ თავს უკვე კარგად ვგრძნობდი. ხუთი კურსის შემდეგ ჩავიტარე ხელახალი გამოკვლევები: მასტოპათიები ზომაში შემცირდა, ნაღვლის ბუშტი გამეწმინდა, თირკმელებიც გამისუფთავდა კენჭებისგან, ქრონიკული ხველაც მომეხსნა. თავს ვგრძნობ ენერგიულად და კარგად.

**მიხეილი** ***(პაციენტი):*** მაქვს პროსტატის ადენომა, უროლოგებმა დამითხოვეს – აღარ მიგრძელებდნენ მკურნალობას. მოცულობაში გადიდებული იყო წინამდებარე ჯირკვალი, მიჭირდა მოშარდვა. ძალიან მაღალი მქონდა ონკო-მარკერი; მაწუხებდა წელის, სახსრების ტკივილები; მქონდა მაღალი ტემპერატურა, უმადობა, კუჭის მოქმედება – დარღვეული, სისუსტე. ლელა გეჯაძის ნაყენით მკურნალობის სამი კურსის ჩატარების შემდე ტკივილებმა დაიკლო, შარდვა მომიწესრიგდა, მომემატა მადა, სისხლის ანალიზებიც სასიკეთოდ შემეცვალა. განვაგრძობ მკურნალობას, რადგან, შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ.

***P.S. ვისაც გსურთ, უკეთესად იგრძნოთ თავი, გამოჯანმრთელდეთ, დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 595 26-32-17. მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით.***

**ნათია უტიაშვილი**

---

აობდი შევარდნაძის დროს, ძალიან ბევრი რაიონული სასამართლო უარს ეუბნებოდა უშიშროების სამინისტროს ტელეფონის კონტროლზე, ანუ მოსმენაზე აყვანაზე. არანაირი ძალდატანება არ ყოფილა, სანამ კანონის ყველა ნორმა არ იქნებოდა დაცული, სასამართლო არ დააკმაყოფილებდა უშიშროების სამინისტროს მოთხოვნას. „ნაციონალური მოძრაობის“ დროს არა მხოლოდ „კუდი” და „სოდი” ითხოვდა მოსმენებზე ნებართვას, არამედ, ცხრავე ოპერატიული სამსახური, მით უმეტეს, რომ შსს-ს კიდევ თავისი ცხრა ჰყავდა. სამწუხაროდ, კადრები იგივე დარჩა, სისტემაც იგივე დარჩა, რეფორმა არ განხორციელებულა და რა გარანტიაზე შეიძლება, იყოს საუბარი, რომ მავანი ჩინოვნიკის გადაწყვეტილებით ისევ არ ხდება მოსმენა?!

**– სასამართლოს გარეშე, ანუ უკანონო მოსმენებს გულისხმობთ?**

– რა თქმა უნდა, რადგან, თუ სასამართლომ გასცა ნებართვა, ეს უკვე კანონიერია. იმიტომ რომ, იმას ვერ გავაქრობთ, რეგისტრირდება. მაგრამ „ნაციონალების“ დროს, ჩემი აზრით, სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვებით წარმოებული მოსმენა იყო აისბერგის წვერი, დანარჩენი ხდებოდა უნებართვოდ, ზეპირი დავალებით. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ამის გამო არავინ დასჯილა.

**– და უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერებიც გაანადგურეს, სასამართლო პროცესი კი არ ჩანს, რომლისთვისაც ვითომ ერთი ჩანაწერი დატოვეს.**

– არანაირი აზრი არ ჰქონდა იმ ჩანაწერების განადგურებას, რამდენიმე ასლი მაინც იარსებებდა და ეს იქიდანაც ჩანს, რომ ვხედავთ, როგორ მართავს სიტუაციას სხვადასხვა სტრუქტურაში „ნაციონალური მოძრაობა“. ეს ჩანს სხვადასხვა გადაწყვეტილებაშიც, ხანდახან შეიძლება, არის საბოტაჟიც და ასე შემდეგ. განსაკუთრებით, ეკონომიკა მაქვს მხედველობაში. და ჩვენ ვერ ვხედავთ იმას, რაც უნდა გააკეთოს ქვეყნის სპეცსამსახურებმა. თუ არ დაიცავი ადამიანი, მაშინ იმის გარანტია, რომ სხვა არ გააკეთებს იმავეს, არ არის.

**– ერთია ჩვენი სპეცსამსახურები და, მეორე, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები, მათ რამდენად აქვთ წვდომა ჩვენი მოქალაქეების მონაცემებზე, – მათზე, ვინც აინტერესებთ?**

– სპეცსამსახურს, მით უმეტეს, სხვა ქვეყნის, თავისი ქვეყნის კანონი ავალდებულებს, დაარღვიოს სხვა ქვეყნის კანონები. ეს არის რეალური კაზუსი. საქართველოში, რა თქმა უნდა, იკვეთება დაინტერესებული სპეცსამსახურების ხაზები, ძალიან ბევრი ნაკადი გადის, მათ შორის, საიდუმლო ინფორმაციის. უპირველესად, საელჩოების მეშვეობით ცდილობენ, მოიპოვონ ინფორმაცია პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ სხვა ტიპის. ამას ცდილობენ ღია წყაროების ანალიზითაც, მაგრამ, ასევე, არის ფარული წყაროებიც. მათი მხრიდან არის ფარული მოსმენებიც, განსაკუთრებით ინფორმაციის ელექტრონულად გადაცემის დროს და მობილური კავშირის კონტროლის მხრივ. თითქმის ყველა საელჩოს შეუძლია ამის გაკეთება, მათ აქვთ საამისო ტექნიკური საშუალება. მაგალითად, A ქვეყანას აქვს B ქვეყნის ინტერესი და ორივენი არიან თბილისში, ასევე, არიან ამ ქვეყნებიდან ტურისტები, მათ შეუძლიათ აგენტურის შექმნა და ასე შემდეგ. ეს კლასიკური სქემებია. ისინი ამაში იღებენ ხელფასს და ეს ბუნებრივია. ერთ-ერთი ძალიან დაინტერესებული სტრუქტარა იყო რუსეთის საელჩო. მათ შენობაში ახლა მხოლოდ ტექნიკური ჯგუფია, მაგრამ არ არის გამორიცხული, კვლავ გრძელდებოდეს მუშაობა.

ჩემი აზრით, ჩვენი მეზობელი და პარტნიორი ქვეყნების სპეცსამსახურებსა და საელჩოებს ამომწურავი ინფორმაცია აქვთ, თუნდაც, ბოლო წლების შესახებ. ისინი არ ამჟღავნებებნ ამას, ინახავენ. მათ დაწვრილებითი ინფორმაცია ექნებოდათ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და ახლაც ექნებათ ჩვენს მინისტრებზე, მათი ოჯახის წევრებზე. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს.

**– არც გვიკვირს.**

– დღეს შსს რეალურად არის მხოლოდ კრიმინალთან ბრძოლის ადგილი და მგონია, რომ არც ახსოვთ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის არსებობა, არადა, აუცილებელია არა მარტო მოწინააღმდეგეების, არამედ, თუნდაც, ჩვენი მეგობრების განეიტრალება. ხომ ხედავთ, რა ამბები ატყდა თვითონ ევროპაში, როდესაც გაირკვა, რომ ერთმანეთს უსმენდნენ მოკავშირეები, რადგან არის თემები, რის იქითაც ქვეყნის სუვერენიტეტი ილახება. ამდენად, არ ვიცი, რას აკეთებს ჩვენი კონტრდაზვერვის სტრუქტურა. მით უმეტეს, რომ 2014 იქნება მძიმე წელი და რუსეთის ქმედება იქნება ფარული. წავა ევროპული გზის დისრკედიტაცია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ და ხალხმა თვითონ თქვას უარი ამ არჩევანზე. ეს საფრთხე უნდა გაანეიტრალოს ჩვენმა სპეცსამსახურებმა, იმისთვის ვიხდით გადასახადებს, რომ პრევენციულად იმოქმედოს. ჯერჯერობით მათი მუშაობის პროცესი აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა, ჩაბნელებულ სამყაროში არიან. რუსეთის მოყვანა რომ მოგიწევს მაგალითად, მაგრამ რუსეთის შესაბამისი უწყებაც კი აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას „ეფ ეს ბეს“ მუშაობის შესახებ: რამდენჯერ მიმართეს სასამართლოს ოპერატიული-სამძებრო ღონისძიების გატარების მოთხოვნით და რამდენი დააკმაყოფილა სასამართლომ. ჩვენ ეს მინიმალური ინფორმაციაც კი არ გვაქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. მაგალითად, თუ 20 000 მოთხოვნა იყო, ეს ნიშნავს, რომ, მინიმუმ 20 000 ადამიანზეა თვალთვალი, ანუ ეს ძალიან დიდი ციფრია და ამ ციფრებით შეგვიძლია, შევიქმნათ შთაბეჭდილება კონტროლის მასშტაბზე. გასაგებია, რატომ მალავდნენ ამ ინფორმაციას „ნაციონალები“, მაგრამ არ ვიცი, რატომ მალავს ახალი ხელისუფლებაც.

**ნინო ხაჩიძე**



ფაქტია, რომ თვითონ ამ სფეროში დასაქმებული ადამიანები არ აქტიურობენ პროსტიტუციის ლეგალიზაციის საკითხში და თვითონვე უძლვებიან ამ ბიზნესს

**მართალია, პროსტიტუციის არსებობა გარდაუვალი ფაქტია, თუმცა მისი ლეგალიზაცია-აკრძალვის თემა მხოლოდ პერიოდულად ხდება აქტუალური. ამ საკითხს ჩვენი კანონმდებლობა არათუ არ არეგულირებს, საერთოდაც, არ აქცევს ყურადღებას. რას მოუტანს მისი ლეგალიზება ამ სფეროში დასაქმებულებსა თუ მის მომხმარებლებს, რას აკლებს მისი საკუთარ ნებაზე მიშვება და რატომ ახსენდება ჩვენს საზოგადოებას ეს პრობლემა მხოლოდ შიგადაშიგ, – კითხვებზე პასუხის მიღებას ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“ ხელმძღვანელ რუსუდან ფხაკაძისგან შევეცდებით.**

# რატომ ჩაანაცვლა ფიზიკური ძალადობა ფსიქოლოგიურმა ძალადობამ და როგორ იწვევს ისტერიული და ტრავმული თაობების გამრავლებას ოჯახური ძალადობა

**– ვიცი, რომ თქვენ მუშაობთ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალბატონებთან, მაგრამ, როგორც ფსიქოლოგი, რას ფიქრობთ, რას შეგვმატებს პროსტიტუციის ლეგალიზება და რას გვაკარგვინებს ამ რეგულაციის არარსებობა?**

– ეს საკითხი მრავალჯერადად ამოიწევა, შემდეგ ისევ არააქტუალური გახდება. ამდენად, მე ის უფრო მაინტერესებს, რით არის განპირობებული მისი ხან გააქტიურება, ხან ისევ პასივში გადატანა?! ფაქტია, რომ ეს არ ხდება თვითონ სექს-მუშაკების ინიციატივით ან მათი ნებით.

**– დიახ, ისინი ყველაზე ნაკლებად აქტიურობენ.**

– და ეს მაფიქრებინებს, რომ ეს რაღაც პოლიტიკის შედეგია, როგორც ყველაფერი. შესაძლოა, რადგან ევროკავშირთან დაახლოება გვინდა, უნდა ვაკმაყოფილებდეთ კიდეც რაღაც სტანდარტებს. ამ შემთხვევაში, მე ორ მიმართულებას ვხედავ: ერთი არის პოლიტიკის თემა, რომელიც მოიცავს იმას, რომ რაღაც სტანდარტებს უნდა ვაკმაყოფილებდეთ, ამიტომ ეს თემები იყოს გაშუქებული და სათანადო ადგილებზე განთავსებული და, მეორე, ეს არის იმ ადამიანების თემა, ვისაც ეს ეხება. ფაქტია, რომ თვითონ ეს ადამიანები არ აქტიურობენ და თვითონვე უძლვებიან ამ საკითხს.

**– ამ ბიზნესს.**

– დიახ, თვითონვე უძლვებიან ამ ბიზნესს და, ამდენად, მე მიჭირს, პოზიცია მქონდეს, რადგან, თუ ის ჯგუფი, რომელსაც ეს ეხება, აქტიურობს, გამოთქვამს აზრს, თავის ჩივილებს, მაშინ შეიძლება, განვიხილოთ ეს საკითხი ამ კონტექსტში. სხვანაირად ძალიან ხელოვნურად მეჩვენება მისი წამოწევა და ვერანაირ აქტიურობას ვერ ვხედავ, გარდა იმისა, რომ პროსტიტუცია ყოველთვის იყო და იქნება.

**– ანუ თქვენ ევროკავშირთან დაახლოების პროცესს უკავშირებთ ამ ტიპის კანონმდებლობის არსებობას?**

– მეჩვენება, რომ ამ საკითხის აქტუალიზაცია მხოლოდ ჩვენი მთავრობის ინიციატივა და გადაწყვეტილება არ არის. როგორც ყოველთვის, ყველაფერი ძალდატანებით და სხვისი ინტერესის გათვალისწინებით ხდება.

**– ჩვენ ნაკლებად გვიყვარს ჩვენი პრობლემებისთვის თვალებში ჩახედვა და სხვებისთვის სიამოვნების მინიჭებაც გვსიამოვნებს.**

– თავად სექს-მუშაკების ეს ჯგუფი თავიანთ პრობლემებს თვითონვე აგვარებენ ავად თუ კარგად. ძალიან დახურული წრეა და თავიანთი მიმართულებით მუშაობენ. არ მახსენდება შემთხვევა, მოსულიყვნენ რაღაც ჩივილებით, ეთქვათ, რომ განიცდიან დისკომფორტს. შეიძლება, ცოტა მკაცრად ვმსჯელობ, მაგრამ ჩვენ 15 წელია, ვმუშაობთ ქალთა პრობლემებზე და მართალი გითხრათ, თუ თვითონ არ მიაკითხე კვლევის მიზნით მათ იქ, სადაც არიან განლაგებულნი, თავიანთი ნებით ჩვენთან არ მოდიან. რასაკვირველია, ყველა უჩივის თავის ბედს, მაგრამ ჩვენთან მოდიან ძალადობის მსხვერპლი ქალები, გვეუბნებიან, რომ ყველაფერი სცადეს, თუმცა მსგავსი ჩივილები ამ კონტინგენტისგან ჩვენ ჯერ არ მოგვისმენია.

**– რას მოგვცემს ლეგალიზაცია: ერთი, რომ დაცული იქნებიან ამ სფეროს წარმომადგენლები და, მეორე, სახელმწიფო მიიღებს შემოსავლის დამატებით წყაროს. კიდევ?**

– რასაკვირველია, ლეგალიზაცია არის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო ბიუჯეტისთვის, რადგან, თუ დღეს კერძო პირების ხელთაა ეს ბიზნესი, ლეგალიზაციის შემთხვევაში, სახელმწიფოს თავისი წილი ექნება.

**– ყოველთვის მაინტერესებდა ამ საქმიანობისას, როგორ უნდა მოწესრიგდეს აღრიცხვიანობა?**

– ეს მაინც ტაბუირებული თემაა. მართალია, ისინი დღეს ქუჩებში დგანან, მაგრამ რთული სათქმელია, მოუნდებათ თუ არა თავიანთი საქმიანობის ლეგალიზება. ან რას მისცემს მათ ეს აღრიცხვიანობა. მე ვფიქრობ, მათაც ურჩევნიათ, ისევ ტაბუირებულად დარჩეს მათი საქმიანობა და ბევრ ინსტანციასთან კავშირი არ ჰქონდეთ.

**– პროსტიტუციის ლეგალიზების შემთხვევაში, ვინაობის ლეგალიზება მოუწევთ საჯაროდ და არა მხოლოდ კლიენტურისთვის.**

– თუკი ახლა ლოკალური ტაბუირება ხდება, ლეგალიზაციის შემთხვევაში, მათი განაცხადი იქნება გამჭვირვალე: გამჟღავნდება მათი ვინაობა და მდგომარეობა. ზოგი სხვა ქალაქიდან, რაიონიდან არის ჩამოსული და ოჯახის წევრებმა და ნათესავ-მეგობრებმა არ იციან მათი საქმიანობის შესახებ. ლეგალიზაციის შემთხვევაში, ეს ყველაფერი დაირღვევა.

**– გასაგებია, რომ ეკლესია პროსტიტუციის ლეგალიზაციის წინააღმდეგი იქნება, მაგრამ არის ადამიანების საერო ჯგუფი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ლეგალიზაცია ხელს შეუწყობს პროსტიტუციის გავრცელებას.**

– ჩემს პოზიციას ვერ გამოვხატავ ზემოხსენებული მიზეზების გამო, მაგრამ, თუ მაინცდამაინც უნდა მოხდეს ლეგალიზება, ერთადერთ დადებითს ვხედავ იმაში, რომ მოწესრიგდება გადამდებ დაავადებათა აღრიცხვიანობის პრობლემა. თუმცა ამასაც ფიქრი უნდა: თუ ეს იქნება ანონიმურად, ბევრი ფული დასჭირდება. თან, ანონიმურობაც უნდა იყოს დაცული და გადამდებ დაავადებათა მკურნალობაც ლეგალიზებულად უნდა წარიმართოს. მეორე მხრივ, მაგალითად, ოჯახური ძალადობის საკითხზე კანონიც არსებობს, შესაბამისი სტრუქტურები და ინსტანციებიც, მაგრამ, რაც უფრო ღრმად შევდივართ, რეალურად მით უფრო დაუცველი ხდება მსხვერპლი. ამდენად, დიდ იმედებს ვერ გამოვთქვამ, რომ, როდესაც სახელმწიფო თავის ხელში აიღებს ამ თემას, ეს დიდ სარგებელს მოუტანს საზოგადოებას.

შესაბამისად, აკრძალვაც არ არის გამოსავალი და არც არასდროს ყოფილა. ყოველთვის იკრძალებოდა პროსტიტუცია და იშანთებოდნენ კიდეც, მაგრამ ამას ნაყოფი არ გამოუღია. ეს ისეთი თემაა, რომელიც ყოველთვის იარსებებს, უბრალოდ ძალიან გონივრულად, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მივუდგეთ ამ საკითხს და არა წამხედურობით.

**– რაღაცნაირად დაემთხვა, რომ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა პატრიარქის ეპისტოლეს, ჩემთვის გაუგებარი, რადგან არ მესმის, რატომ ელოდა ვინმე, რომ მართლმადიდებელი პატრიარქი იტყოდა იმას, რაც ეწინააღმდეგება ამ სარწმუნოების დოგმებსა და წესებს...**

– რელიგიამ ასე უნდა თქვას, ესაა რელიგიის დანიშნულება, იმიტომაც განსხვავდება ერთმანეთისგან ერი და ბერი. ცუდი ის არის, რომ ასეთი თავდასხმები პატრიარქზე კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ არათუ არ ვცემთ პატივს განსხვავებულ აზრს, არამედ მიმღებლობაც არ არსებობს, ამ განსხვავებულ აზრს პატრიარქი იტყვის თუ პარლამენტარი. მე ამაში უფრო მეტ უბედურებას ვხედავ. იმდენად შეშინებული და ძალიან სერიოზულად დაზიანებული ხალხი ვართ, რომ, თუ შენი აზრი არ ემთხვევა სხვის აზრს, აუცილებლად აგრესიით, ბოროტებით და ძალადობით უნდა გამოხატო პროტესტი. მე ამ პრობლემას უფრო მაღალ რანგში დავაყენებდი. თუ ხარ რელიგიაში განმტკიცებული, შენთვის ბუნებრივია რელიგიური დოგმები; თუ ხარ ჰომოსექსუალი, შენთვის ორგანულად შემოდის ჰომოსექსუალიზმი. თუ ხარ ნარკოტიკის მომხმარებელი, ნარკოტიკული თრობისას უფრო ერთობი. ყველას თავისი მრწამსი აქვს და მაშინ როგორ მოვიქცეთ?! ვიმეორებ, ამის გამო თავდასხმა სრულიად არაბუნებრივად მიმაჩნია და ეს შიშისა და უძლურების ნიშანია.

**– შეკითხვა ვერ დავასრულე. ძალიან გამაკვირვა თამარ ჩუგოშვილის პროტესტმა იმის გამოც, რომ, თურმე, ქალები უნდა დავემორჩილოთ ვიღაცას. მან იგულისხმა ეპისტოლეს ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ცოლის მორჩილებას ქმრისადმი. სახარებით ქალი და კაცი არ არის თანასწორი, მაგრამ ისინი თანასწორები არიან კონსტიტუციით და ეს გენდერული ბალანსი, ისევე, როგორც ქალთა უფლებები, როგორც წესი, ყოველთვის დარღვეულია ჩვენს ქვეყანაში.**

– სხვათა შორის, იმ ქალბატონებს, რომლებიც ჩვენ მოგვმართავენ, უნდათ მორჩილება მამაკაცების, უბრალოდ არ უნდათ, რომ მათზე ძალადობდნენ. რაც შეეხება თამარ ჩუგოშვილს: ის პრემიერ-მინისტრის მრჩეველია გენდერულ საკითხებში. როდესაც შეგვხვდა, თანამშრომლობა გვთხოვა, მეც გულუბრყვილოდ მივწერე რამდენჯერმე, მაგრამ არანაირი პასუხი არ მიგვიღია. ამდენად, უკეთესი იქნება, თუ გენდერის საკითხებს მიხედავს და გაერკვევა, ვინ რას აკეთებს ამ სფეროში, იქნებ გამოვადგეთ. ამას არ აკეთებს და როგორ შეიძლება,

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი 1973 წელს დაიბადა ტყიბულში და აგერ უკვე 9 წელი სრულდება, რაც ამ პოსტს იკავებს. 1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, სპეციალობით – საერთაშორისო სამართალი; 1995 წელსვე დაიწყო მუშაობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურისტად. 1996-ში საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის კოორდინაციის ჯგუფის მთავარი სპეციალისტი გახდა, 1997-დან 1998 წლამდე კი, უკვე საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის კანონპროექტთა სამართლებრივი ექსპერტიზისა და ვიზირების განყოფილების გამგე იყო. 1998-2000 წლებში ჰანოვერის უნივერსიტეტის (გერმანია) დოქტურანტურაში სწავლობდა; 2000-ში საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი გახდა. 2000-დან 2003 წლამდე იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილეც იყო და სამინისტროს საპარლამენტო მდივანიც; პარალელურად, 2002-2003 წლებში იურისტადაც მუშაობდა „ქართველი ადვოკატები სამართლიანობისათვის“ იურიდიულ ფირმაში. 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „განვითარებისა და რეფორმების ფონდის“ მეურვეთა საბჭოს წევრად დაინიშნა, მოგვიანებით, ფონდის დირექტორიც გახდა (ეს ის ფონდია, რომელიც ვარდების რევოლუციის შედეგად, ხელისუფლებაში მოსული თანამდებობის პირებისთვის მაღალ ხელფასს გასცემდა).

2005 წლიდან კონსტანტინე კუბლაშვილი უკვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა. რაკი ხანგრძლივი ჩინოვნიკური

# რამდენი მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოტე კუბლაშვილის მეუღლეს

კარიერა აქვს, ბუნებრივია, რომ საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციაც არაერთხელ შეუვსია. მათ შორის, სულ პირველი 2000 წლით თარიღდება, რომელიც ბ-ნმა კუბლაშვილმა შეავსო, როგორც იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ და მას უკვე ჰყავდა მეუღლე.



ოჯახის უძრავ-მოძრავ ქონებას შეადგენდა: საცხოვრებელი ბინა ვაჟა-ფშაველას მესამე კვარტალში (ბ-ნი კუბლაშვილის საკუთრება), ხოლო მარინა მესხს კი ეკუთვნოდა 2 500 აშშ დოლარად ღირებული პერსონალური კომპიუტერი. დეკლარაცია არ შეიცავს ინფორმაციას ცოლქმრის შემოსავლების შესახებ. თუმცა იმავე წლის მორიგ დეკლარაციაში, რომელიც ბ-ნმა კუბლაშვილმა შეავსო, როგორც იუსტიციის საბჭოს წევრმა, ვკითხულობთ, რომ მან, როგორც იუსტიციის საბჭოს წევრმა, აიღო 1 036 ლარი (მაგრამ მითითებული არ არის პერიოდი), ხოლო მარინა მესხმა, როგორც „საიას" პროექტის დირექტორმა, 1 640 აშშ დოლარი.

სულ ბოლო დეკლარაცია ბ-ნმა კუბლაშვილმა 2013 წლის მაისში შეავსო, ბუნებრივია, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ. ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე და შვილი, 2002 წელს დაბადებული, ანა-მარიამი.

კონსტანტინე კუბლაშვილის უძრავი ქონების ანგარიშზე კვლავაც ის ერთი საცხოვრებელი სახლია (ვაჟა-ფშაველას მესამე კვატრალში), სამაგიეროდ, გაზრდილია ქ-ნი მესხის საკუთრების ჩამონათვალი. კერძოდ, მისი საკუთრებაა: საცხოვრებელი ბინა თბილისში, პეკინის ქუჩაზე (190 კვადრატული მეტრი), მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე (1 500 კვადრატული მეტრი), ასევე, მიწის ნაკვეთი ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში (1600 კვადრატული მეტრი); მიწის ნაკვეთი მცხეთის რაიონის სოფელ წოდორეთში (1 400 კვადრატული მეტრი) და იქვე მდებარე საცხოვრებელი სახლი (110 კვადრატული მეტრი).

ანაბარი ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს აქვს – მისი სახელობის დეპოზიტზე 19 300 ლარი ირიცხება, თუმცა ნაღდი ფული დეკლარაციის შევსების დროს მხოლოდ კოტე კუბლაშვილს ჰქონდა – 10 000 ლარი.

2012 წლის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ხელფასის სახით 131 525 ლარი აიღო, მისმა მეუღლემ, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორმა, 39 400 ლარი. იმ წელს ქ-ნ მესხს ჰონორარის სახით 2 185 აშშ დოლარიც აუღია, სარემონტო სამუშაოებში 11 500 ლარი დაუხარჯავს, ხოლო დოქტურანტურაში სწავლის საფასურად 2 250 ლარი გადაუხდია.

**ნინო ხაჩიძე**

მის ამ ქილიკს აღფრთოვანებით ან აზრიანად შევეგებო?! მით უმეტეს, რომ პირადი გამოცდილებით, ეს არის ფასადური პოლიტიკა.

**– ქალთა ძალადობის თემაზე მუშაობთ, ისევ ისე გვიჭირს ამ მიმართულებით, ანუ კვლავ აქტუალურია ოჯახური ძალადობა?**

– ჩვენ ხომ საერთოდ აღმოსავლური პოლიტიკა გვახასიათებს და არც ეს თემა გადარჩენილა ნალექის გარეშე. მოგეხსენებათ, არის საბჭოც, სამოქმედო გეგმებიც და გულუბრყვილო უცხოელს რომ მოუყვეთ, რამდენი რამ ტარდება ამ თემასთან დაკავშირებით როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც, აღფრთოვანდება. მაგრამ ეს ვერ აღწევს სამიზნე ჯგუფამდე, რაც მათ მართლაც გამოიყვანდა ამ მდგომარეობიდან.

**– სამწუხარო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა ამ თემაზე ჩატარებული კვლევებიც: ქალების და მამაკაცების ნაწილი ცემას ამართლებს, როგორც წყვილის ურთიერთობის ფორმას.**

– იმიტომ რომ არასწორი პოლიტიკა ტარდება. ტელევიზიაში შოუები იდგმება შოუებისთვის, ამიტომ, როდესაც ლაპარაკია საქორწინო ხელშეკრულებაზე, ჰგონიათ, რომ ეს სექსის ხელშეკრულებაა და არა ქონებრივი საკითხების მოწესრიგების საშუალება. როდესაც ტელევიზიებით მხოლოდ ის შუქდება, რომ ქალებს მარტო ვარცხნილობისა და ბოტოქსის გაკეთება უნდათ, რასაკვირველია, ქალთა პრობლემა სერიოზულად არ აღიქმება. რომ დაანახვო საზოგადოებას, რა შედეგები მოაქვს ძალადობას, რა ტრავმულად აისახება ბავშვებზე და როგორ ვიღებთ რისკჯგუფში მყოფ და ისტერიულ თაობებს, პრობლემა გასაგები გახდება. მაგრამ ამგვარი გადაცემები ჩვენ არ გვინდა და არც გვაქვს. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, ვის რა აცვია და რომელ ბოტოქსზე ვდგავართ. ამის შედეგად, რასაკვირველია, არც პრობლემის ნორმალური აღქმა არსებობს.

**– ყველა კითხვის პასუხი საოცარი იყო, მაგრამ მე გამაოცა ერთმა კითხვამ, ცოლი შეიძლება ცემოს ქმარმა, თუ მის უკითხავად გავა სახლიდან.**

– ძალადობრივი ურთიერთობის მსხვერპლს უნდა, რომ თავი დააღწიოს თავის მოძალადეს, ასეთ დროს იზრდება ფიზიკური განადგურების რისკი. ყველგან, სადაც კარგად შეისწავლეს ეს პრობლემა, მიიღეს მთელი რიგი პროცედურები. ის კი არა, ქმარს უთხრას თუ არა, არამედ, სახელმწიფო ისე არეგულირებს ამ თემებს, რომ ეს ტრავმები აღარ ხდება.

**– ქმარს აღარ უჩნდება ცოლის ცემის სურვილი, თუ ცოლი არ ეტყვის, რომ სახლიდან გადის?**

– არა, ამაში ჩართულია სოცმუშაკი. ის მიდის ოჯახში, მოძალადეს სათანდო ადგილას იბარებენ. ამაზე ფულს ხარჯავენ და ნიჭიერად უდგებიან პრობლემას. ჩვენ კი ამოვგლეჯთ კონტექსტიდან საკითხებს და ისე ვსაუბრობთ მათზე ან შოუებს ვდგამთ. კონტექსტიდან ამოგლეჯილი ნაწილებით კი დამახინჯებული სურათი იქმნება.

**– ოჯახებში ფიზიკური ძალადობა აქტუალურ თემად რჩება?**

– ჩემი გამოცდილებით, ფსიქოლოგიური ძალადობა უფრო მძიმე და აქტუალური თემაა და ყოველთვის ასე იყო, იმიტომ რომ, ბევრად რთული დასაჭერია. ფიზიკური ძალადობა აღარ არის მთლად ტაბუირებული თემა, კვალს ტოვებს და ეს მოძალადეებსაც ესმით. ვერ ვიტყვი, შემცირდა თუ არა ფიზიკური ძალადობა, რადგან მაშინ მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა მქონდეს სტატისტიკური მონაცემები და არ ვეყრდნობოდეთ მხოლოდ შსს-ს მონაცემებს.

**– შევახსენოთ კიდევ ერთხელ ჩვენს მკითხველებს, რით გამოიხატება ფსიქოლოგიური ძალადობა.**

– ყოველდღიური შეურაცხყოფები, ლანძღვა, მუქარა, დაშინება, რაც არ ჩანს და მერე რა მოხდა, თუ არის. ეს ის მდგომარეობაა, რომელიც სულს გასაქანს არ აძლევს, თან, ის ერთ ადგილას არ ჩერდება. როდესაც მუდმივად ასეთი შევიწროებული და დამცირებული ხარ, სხვასაც ზიანს აყენებ. სხვის მიმართ აგრესიული ხდები, ეს აგრესია გადადის ბავშვებზე, გამოდის ოჯახიდან ეზოში, ქუჩაში, სამსახურში. იქცევა სოციალურ პრობლემად, რის აღქმა ჩვენთან ნულოვანია ჯერ კიდევ.

**– კაცები თუ ხდებიან ცოლების მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი?**

– რასაკვირველია, არიან. ახლა, როდესაც კანონი გამკაცრდა, მამაკაცებიც გააქტიურდნენ. მოდიან და ამბობენ, მეც ძალადობის მსხვერპლი ვარ. თან, ფსიქოლოგიური ძალადობა ხდება არა მხოლოდ ოჯახში, არამედ, სამსახურებშიც. ამდენად, უნდა არსებობდეს არა ერთი და ორი ცენტრი, არამედ უნდა იყოს ამის სახელმწიფოებრივი გარჩევის ადგილები.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 200 0 200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია



**დღეს საქართველოში რამდენიმე ათეული ათასი ტონა ნავთობის მოპოვება ხდება, რაც არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას და მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებული**

**ისე დაგვებედა, რომ, ან ნავთობის საერთაშორისო ფასი იზრდება, რაც საწვავს გვიძვირებს, ან ნავთობის ფასი იგივე რჩება და ლარი გვიძვირდება, რაც, საბოლოოდ, ბენზინის ხარჯს გვიზრდის. ისეც ხდება, რომ საერთაშორისო ფასები იკლებს, მაგრამ, ლარი გვიუფასურდება. ასეა თუ ისე, ფაქტობრივად, საწვავის პერმანენტული გაძვირების რეჟიმში ვცხოვრობთ. ამის პარალელურად, გავრცელებული ინფორმაციით, თითქოს საწვავის დეფიციტია მოსალოდნელი, იმ მიზეზით, რომ „სოკარს“ გაუჭირდება იმავე ოდენობის საწვავის შემოტანა, რაც ადრე შემოჰქონდა. მეორე მხრივ, უცნაურია საწვავის დეფიციტზე საუბარი, ჯერ ერთი, საბაზრო ეკონომიკისა და, რაც მთავარია, ქართულ ბაზარზე რამდენიმე მსხვილი ნავთობიმპორტიორის არსებობის გათვალისწინებით (მით უფრო, რომ აზერბაიჯანი, სულ რაღაც, „ევრო 2-ის“ სტანდარტის საწვავს აწარმოებს). ბენზინის ფასებსა და დეფიციტის პერსპექტივას ეკონომიკის ექსპერტი ოისებ არჩვაძე შეაფასებს.**

# რატომ უსწრებს აზერბაიჯანი ინვესტიციების რაოდენობით საქართველოს 8-ჯერ და ვინ უკეტავს გზას თურქმენულ საწვავს ქართულ ბაზარზე

**– ბარელი ნავთობის ფასი 95 აშშ დოლარის ფარგლებშია, თუმცა, საწვავი მაინც გაძვირდა ჩვენს ბაზარზე, რაც ამჟამად დაუკავშირეს ლარის გაუფასურებას. მართლაც ისეთი დიდი რყევა განიცადა ლარმა, რომ 7-10 თეთრით გაძვირებულიყო საწვავი?**

– ნავთობის ფასს ერთგვარი ეგზისტენციური დატვირთვა აქვს და, შეიძლება, ხატოვნად ასეც ვუწოდოთ: „ნავთობი ჩვენი მღელვარებისა“. ასეა თუ ისე, ამაზეა დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკა: იმ ქვეყნებისაც, რომლებიც ნავთობის ექსპორტს ეწევიან და იმ ქვეყნებისაც, რომლებიც ექსპორტზე არიან დამოკიდებულნი. სამწუხაროდ, საქართველოში ნავთობის ადგილობრივი წარმოება მცირეა. ჩვენ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გვქონდა პიკური ამოფრქვევა: ორი წლის განმავლობაში სამ მილიონ ტონაზე მეტი იყო წარმოება, მაგრამ, შემდგომში იკლო და დღეს რამდენიმე ათეული ათასი ტონის მოპოვება ხდება, რაც არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას და მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებული.

**– დავაზუსტებ: ამოფრქვევა იყო თუ მოპოვება? ანუ, არის და, უბრალოდ, ამჟამად არ მოვიპოვებთ?**

– გასული საუკუნის 70-იან წლებში იმდენედ მაღალი იყო საქართველოში ნავთობის მოპოვება, რომ, შეგვიძლია, ვუწოდოთ ამოფრქვევაც და მოპოვებაც. მაშინდელი საქნავთობის გენერალურმა დირექტორმა ამისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც კი მიიღო.

**– ახლა რა უშლის ხელს მოპოვებას?**

– ნავთობის მოპოვებას მაღალი ტექნოლოგიები და ინვესტიციები სჭირდება. მაგალითად, აზერბაიჯანში უცხოური ინვესტიციების 70 პროცენტზე მეტი ნავთობისა და გაზის ინდუსტრიულ სექტორზე მოდის და საქართველოსთან შედარებით იქ უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე რვაჯერ უფრო მეტია და, უპირველესად, ეს უკავშირდება ენერგომატარებლებს. ნავთობპროდუქტების მხრივ, ჩვენ დამოკიდებული ვართ მსოფლიო ბაზარზე. კარტელურ გაერთიანება „ოპეკში“ ხდება გარკვეული საფასო შეთანხმება მოპოვების თვალსაზრისით და ფასები დგინდება შეთანხმებით, თუმცა, ეს ჩვენთვის შეღავათი არ არის.

**– არსებობს ევროპის ენერგოპორტალი, რომელზეც ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში საწვავის ყოველდღიური ფასებია მოცემული, თავისი ფასწარმოქმნიანად; ჩაშლილია კომპონენტები, რაც აწარმოებს ბენზინის ფასს. რა გახდა იმის გასაჯაროება, როგორ დგინდება საწვავის ფასი ჩვენს ქვეყანაში?**

– ჩვენთვის ცნობილია ბენზინის საბაზრო ფასი, აქციზის სიდიდე, ტრანსპორტირების ფასი და, შეგვიძლია, დაახლოებით ვიანგარიშოთ, რა უჯდებათ ნავთობიმპორტიორებს საწვავის შემოტანა. შემიძლია, გითხრათ, რომ საწვავზე აქციზური გადასახადი გაცილებით მაღალია ჩვენთან, ვიდრე ჩვენს მეზობელ სომხეთსა და რუსეთში. მაგრამ, თუ ავიღებთ საცალო ფასებს, საქართველოს, ამ მხრივ მაინცდამაინც საწუწუნო არაფერი აქვს. ჩვენი მეზობელი თურქეთი ყველაზე ძვირი საწვავის მქონე ქვეყნების ხუთეულში შედის.

**– მაგრამ, როგორც ვიცი, თურქეთში საწვავის ფასწარმოქმნის სხვა პრინციპია და მხოლოდ საწვავთან არ არის დაკავშირებული, სხვა კომპონენტებიც ემატება.**

– გასაგებია, მაგრამ, მომხმარებლისთვის თურქეთში ბენზინი ძვირი ღირს. ჩვენთანაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები და ამან გავლენა მოახდინა ბაზარზე. ჩემი დაკვირვებით, ბოლო წლებში შეინიშნება, ერთი მხრივ, საავტომობილო პარკის ზრდა და, მეორე მხრივ, ბენზინის მოხმარებისა და იმპორტის შემცირება. იმის გამო, რომ საწვავი საკმაოდ ძვირია, სულ უფრო მეტი და მეტი ავტომანქანა, რომელიც საქართველოში შემოდის, გადაჰყავთ გაზზე.

**– ოფიციალური მონაცემით, ჩვენთან ავტოპარკის 9-პროცენტიანი ზრდაა ყოველწლიურად.**

**ნიაზოვის მოულოდნელი გარდაცვალება იმას უკავშირდება, რომ მან შეძლო წინააღმდეგობის დაძლევა – თურქმენეთს დამოუკიდებლად გაუხსნა გზა მსოფლიო ბაზრისკენ და სწორედ ამას შეეწირა მისი სიცოცხლე**

– 30 000-50 000-ით იზრდება ყოველწლიურად ჩვენი ავტოპარკი და ამ ნაზარდის სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილი არის არა ბენზინის, არამედ, შეჭირხნული გაზის მომხმარებელი. ბენზინის მომხმარებელთა წილი ახალშემოყვანილ ავტომანქანებში სულ უფრო და უფრო მცირდება და ეს გავლენას ახდენს ბენზინის იმპორტის მაჩვენებელზე. ბოლო 3-4 წლის განმავლობაში თითქმის 50 000-60 000 ტონით შემცირდა ბენზინის იმპორტი, მაშინ, როდესაც ავტომანქანების რაოდენობა თითქმის ერთი მეოთხედით გაიზარდა საქართველოში. ჩემი გათვლებით, 2014 წელს გაზით მოძრავი ავტომანქანების გარბენის სიგრძე გადააჭარბებს ბენზინზე მომუშავე ავტომობილების მიერ გავლილ კილომეტრებს, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შევამცირებთ ბენზინის იმპორტს. 2001 წლის შემდეგ ნავთობპროდუქტების იმპორტის ოდენობა ეკვივალენტურია 2004-2005 წლების მთლიანი შიგა პროდუქტის საშუალო არითმეტიკულის. 2001 წლიდან 2013 წლის ჩათვლით 5,8 მილიარდი აშშ დოლარის ნავთობპროდუქტების იმპორტი განვახორციელეთ საქართველოში. ეს საკმაოდ დიდი ციფრია და, შემიძლია, ისიც გითხრათ, რომ ნავთობპროდუქტების იმპორტის თანაფარდობა ჩვენს მთლიან ექსპორტთან 40 პროცენტის ფარგლებშია. ესეც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ნიშნავს, რომ, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარებასთან, უკავშირდება ნავთობის იმპორტს, მასზე ფასებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს საერთო მდგომარეობაზე. ამასთან, საწვავის იმპორტის ღირებულების ზრდა წინ უსწრებდა ჩვენი იმპორტის მთლიან ზრდას. გაზრდილია ამ იმპორტის თანაფარდობა ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტთან და ძალიან ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება, რის მიხედვითაც, ჩვენ საგრძნობლად ვართ დამოკიდებული ნავთობის იმპორტზე. ყოველწლიურად მოსახლეობის ერთ სულზე ნავთობპროდუქტების დაახლოებით 200 დოლარის იმპორტი ხორციელდება.

**– მეც დამითვლია, ჩემს რესპონდენტებსაც, რამდენი უჯდებათ ნავთობიმპორტიორებს ერთი ლიტრი ბენზინი და მათ მიერ დაწესებული საცალო ფასი საკმაოდ მაღალია, ანუ, მოგების ლუფტი მაღალია, რაც ცოტა უცნაურია, თუ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ვიმსჯელებთ.**

– აქ ორი მომენტია: ერთია, რამდენად კეთილსინდისიერად ეპყრობიან ნავთობიმპორტიორები მომხმარებელთა ინტერესებს და, მეორე, რომ ჩვენთან არიან მხოლოდ მსხვილი იმპორტიორები, მცირე იმპორტიორები ბაზრიდან გაქრნენ და, სადაც არ არის თავისუფალი კონკურენცია, იქ შესაძლებელია თამაშის გარკვეული წესების დადგენა, თუ პირდაპირ არა, ჯენტლმენური გარიგებით. ქვეყნის შიდა ბაზარზე სულ რამდენიმე მსხვილი ნავთობიმპორტიორია.

**– „სოკარს“ ოფიციალურადაც უჭირავს ბაზრის დიდი წილი და, არის მოსაზრება, რომ დანარჩენებიც დიდწილად მისგან ყიდულობენ საწვავს. ის ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, საწვავის დეფიციტი შეიქმნას, რადგან, არ არის გამორიცხული, „სოკარმა“ ველარ შეძლოს იმდენივე საწვავის შემოტანა, რამდენიც შემოჰქონდაო, არ ადასტურებს დანარჩენი ნავთობიმპორტიორების „სოკარზე“ დამოკიდებულებას? თორემ, რატომ უნდა შეიქმნას დეფიციტი?**

– საბაზრო ეკონომიკის პირობებში დეფიციტის შექმნა შეუძლებელია. 2008 წლის ივლისში ნავთობის ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია – 147 დოლარი ღირდა ერთი ბარელი, მაგრამ, ეკონომიკური კრიზისისა და მოთხოვნის შემცირების საფუძველზე, ნავთოპროდუქტების ფასი თითქმის სამჯერ შემცირდა. იმ წელს აზერბაიჯანიდან საწვავის იმპორტი წინა წლებთან შედარებით სამჯერ შემცირდა, იმიტომ, რომ ნავთ-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ნონა წულეისკირი** *(48 წლის, ექთანი. თბილისი). დიაგნოზი:* L3, L4 დისკების პოსტტრავმული პროლაფსი, L3 მალის დისკოზი.

– 2012 წელს ავარიაში მოვხვდი. გადავრჩი, მაგრამ მივიღე ლავიწის ძვლის მოტეხილობა და დავიზიანე ხერხემალი. გამიკეთდა სასწრაფო ნეიროქირურგიული ოპერაცია, რამაც ტკივილები სრულად ვერ მომიხსნა. ასევე, ცალ ფეხში ძალა დამიქვეითდა. კომპიუტერულმა საკონტროლო კვლევამ აჩვენა, რომ ოპერაციამ ტექნიკურად წარმატებით ჩაიარა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისევ მიჭირდა სიარული, მტანჯავდა ტკივილები და „ვიჯექი" გამაყუჩებლებზე. ბედად მომასწავლეს ალექსიშვილის კლინიკაში. იმედი მქონდა დაკარგული, მაგრამ ღმერთმა არ გამწირა. პირველივე პროცედურაზე ისეთი შვება ვიგრძენი... მეორე ღამეს მშვიდად მეძინა... ზუსტად ერთ კვირაში პირველად გავიარე სხვისი დახმარების გარეშე, კიდევ ერთ კვირაში კიდურში ძალა დამიბრუნდა. მალე ხელჯოხიც გადავაგდე. მანანა ექიმმა ბოლოს მასაჟები, ფიზიო და ვარჯიშები დამინიშნა, რამაც სრულად დამაყენა ფეხზე, მომეხსნა ყველა ტკივილი და დაბუჟება. დამიბრუნდა სიცოცხლის ხალისი. ამ ადამიანს ვერასოდეს დავკარგავ. უფალს ვთხოვ, ყოველგვარი სიკეთე მოამადლოს მას.



**ტრისტან ჭიპაშვილი** *(რუსთავი). დიაგნოზი:* L4-L5-S1 დისკების თიაქარი.

– 2011 წელს დამეწყო ტკივილი წელის არეში, რაც ფეხზეც გადაეცემოდა. ვუკავშირებ სიმძიმის აწევას. გავიკეთე კომპიუტერული გამოკვლევა, გამიშვეს ოპერაციაზე. პირველმა ოპერაციამ ტკივილი ვერ მომიხსნა და ერთ კვირაში მეორე ოპერაცია გამიკეთდა. ესეც უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდეგ, ამავე ექიმების რჩევით, ალექსიშვილის კლინიკას მოვაკითხე. მანანა ექიმმა მკურნალობის კურსი ჩამიტარა. მას შემდეგ, 3 წლის განმავლობაში, თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, მიუხედავად დიდი ფიზიკური დატვირთვისა. ახლა გავცივდი და ვიგრძენი ტკივილი მეორე ფეხში, რომ არ გამრთულებოდა, დაუყოვნებლივ მოვაკითხე და 2 დღეში უკვე დიდი შეღავათი მივიღე. გმადლობთ, ექიმო!

## ბუასილი მარტივად იკურნება

**ცისანა ტაბატაძე** *(50 წლის. საგარეჯო). დიაგნოზი*: ჰემოროიდული დაავადება – მე-3 ბ ხარისხი, დისბაქტერიოზი. ორმა სხვადასხვა ექიმმა ოპერაციაზე გამიშვა, სხვა არაფერი გიშველისო. აქ ახლობელმა მომასწავლა და ვიფიქრე, აქაც ვცდი-მეთქი. მოვედი. ჩემი დიაგნოზი რომ ნახეს, ამათაც მითხრეს, დაავადება საკმაოდ გართულებულია, მაგრამ რამდენიმე დღე დავაკვირდებითო. წავიღე მალამოები, დანიშნულება. შეშინებული ვიყავი და ყველაფერს ზედმიწევნით ვასრულებდი. არაჩვეულებრივი შედეგი მივიღე. მოწესრიგდა კუჭ-ნაწლავი, დაპატარავდა კვანძები, გაქრა ტკივილი, წვა... ახლა მეორე კურსის მალამოების წასაღებად და მადლობის სათქმელად მოვედი.

**გუჯა თავაძე** *(43 წლის, მძღოლი. თბილისი).* **დიაგნოზი**: ანალური ნაპრალი, კოლიტი. ვმუშაობ სამარშრუტო ტაქსზე, ეს მძღოლების დაავადებაა. დიდი ხანია, მაწუხებდა სისხლდენა, კვანძების გამოვარდნა, შეკრულობა, ტკივილი. ბოლოს ძალიან გამიმწვავდა. ქალბატონი მანანას მალამოებმა საოცარი ეფექტი მომცა, თანაც ძალიან მოკლე ხანში. ერთ კვირაში, ფაქტობრივად, აღარაფერი მაწუხებდა. ტკივილები სადღაც გაქრა. კუჭის მოქმედება კი საათივით ამეწყო.

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 17 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

ობპროდუქტები თითქმის სამჯერ გაიაფდა მთელ მსოფლიოში. ამიტომ, დეფიციტზე ლაპარაკი არ არის სწორი. ბაზარი დეფიციტზე რეაგირებს ფასების მომატებით. უბრალოდ, შეიძლება, მოპოვებასთან გვქონდეს სირთულეები.

**– მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სირთულეებია აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვებასთან.**

– თუ შემცირდა საერთო მოპოვება, ეს აისახება ფასებზე, თუმცა, „წმინდა ადგილი ცარიელი არ რჩება", ჩაენაცვლება სხვა წყარო და ბაზარი გაჯერდება. 2000 წლისთვის მანქანის ერთი ავზის გავსება 60 ლარამდე უჯდებოდა მომხმარებელს, დღეს კი 130 ლარი უჯდება. საწვავის ფიზიკური მოცულობა არ გაზრდილა, მაგრამ ფასი გაიზარდა. ის ეჭვი, რომ სხვა ნავთობიმპორტიორი კომპანიები „სოკარისგან" ყიდულობენ მის მიერ შემოტანილ ნავთობს, ახალი არ არის, მაგრამ, არც ეს კომპანიები და არც „სოკარი"თავგამოდებით არ უარყოფენ აღნიშნულ ბრალდებას, რაც დამატებითი ეჭვის გაჩენის საფუძველი ხდება.

**– საწვავის კრიზისზე თავად „სოკარის" წარმომადგენელმა ისაუბრა, თუმცა, იქვე დაგვპირდნენ, რომ შეეცდებიან, არ აგრძნობინონ ქართველ მომხმარებელს. რატომ ვერ ხერხდება თურქმენეთიდან საწვავის შემოტანა? ეს ხომ გააიაფებდა ბენზინს? მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანიდან „ევრო 2-ის" სტანდარტის საწვავი შემოდის და თურქმენულიც ამავე დონისაა.**

– ეს მარტო იმპორტიორების პრობლემა არ არის, რადგან, თურქმენეთს მსოფლიო ბაზარზე გასვლაში პრობლემები იმის გამო ექმნება, რომ რუსეთი არ არის მაინცდამაინც დაინტერესებული, რომ თურქმენეთს ჰქონდეს დამოუკიდებლად გატანის შესაძლებლობა.

**– ჩვენ რა, მსოფლიო ბაზარი ვართ? ან, რამდენი საწვავი უნდა მოვიხმაროთ? თუ, გზა გაიჭრება და ამის შესაძლებლობას არ უშვებს რუსეთი?**

– არის ეს მომენტიც. თუ რამე გაკეთდება, რუსეთი უნდა დარჩეს მონოპოლიური ჰაბის როლში და მხოლოდ მისი გავლით უნდა განხორციელდეს გატანა. ეს რუსული პოლიტიკის ზოგადი პრინციპია და, ამ შემთხვევაში თურქმენეთის ძალისხმევაც ამას უკავშირდება.

**– მსმენია ექსპერტებისგან, რომ აზერბაიჯანიც წინააღმდეგია, თავის ტერიტორიაზე გაატაროს თურქმენული საწვავი. არადა, კასპიის ზღვა სულ 200 კილომეტრი სიგანისაა და ტრანსპორტირებაც იაფი დაჯდება.**

– კასპიის ზღვის შელფის განაწილებაზეც არის მათ შორის აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა, თუმცა, შესაძლებელია საერთო ენის გამონახვაც. რამდენიმე წლის წინათ ისიც კი დაიწერა, რომ ნიაზოვის მოულოდნელი გარდაცვალება იმას უკავშირდება, რომ მან შეძლო წინააღმდეგობის დაძლევა – თურქმენეთს დამოუკიდებლად გაუხსნა გზა მსოფლიო ბაზრისკენ და სწორედ ამას შეეწირა მისი სიცოცხლე.

ეს დაიწერა პრესაში, თუმცა, ხმამაღლა ამ საკითხზე არ საუბრობენ. ჩვენ რა შეგვიძლია ამ პირობებში? თუ დეფიციტი იქნება, საწვავის ფასი გაიზრდება და მოხმარებაც იქნება ადეკვატური. კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან: 2005 წელს მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასების რყევა გამოიწვია ქარიშხალმა „კატრინამ", მათ შორის საქართველოში, 20-22 დღის განმავლობაში, აგვისტო-სექტემბერში, ბენზინის ფასი 1,4 ლარიდან 2,25 ლარამდე გაიზარდა და, ამ ხნის განმავლობაში, ჩვენმა მომხმარებელმა რამდენიმე ათეული მილიონი ლარით მეტი გადაიხადა საწვავში. ეს რას ნიშნავს? როდესაც არის დეფიციტი, ძვირდება შემოტანილი საქონელი და მომხმარებელს მეტის გადახდა უწევს. იგივე რამ მოხდება, თუ ბაზარზე რაღაც პრობლემები შეექმნება აზერბაიჯანიდან ბენზინის შემოტანას: ან ფასი გაიზრდება, თუ არა და, მოწოდების ბაზარი ჩანაცვლდება. ასეთია საბაზრო პრინციპი და არ უნდა ველოდოთ ამ ზოგადი სურათიდან ამოვარდნას.

**– და, გამოსავალია, თუმცა, ერთჯერადი დიდი ხარჯია, ავტომანქანების გაზზე გადაყვანა.**

– რომ დააკვირდე, ნახავთ, რომ გაზის დამტენი სადგურებით თბილისში ტაქსების უკვე ლამის 100 პროცენტი სარგებლობს, ისევე, როგორც მსუბუქი ავტომანქანების დიდი ნაწილიც გაზზეა გადაყვანილი. თბილისში, როგორც წესი, უფრო ტევადი, მასიური მანქანების სიჭარბეა და, რადგან ისინი საწვავს დიდი რაოდენობით მოიხმარენ, მასობრივად გადაჰყავთ გაზზე. ეს ამცირებს ბენზინზე აბსოლუტურ მოთხოვნას.

**– ჩვენთან ორი თვალშისაცემი უცნაუროზაა: გაზზე მომუშავე ძვირად ღირებული „ჯიპები" და ავტობუსის აიფონიანი მგზავრები.**

– ზოგს ბინაზე მეტად მანქანით სიარული უფრო დიდ სიამოვნებასა და კმაყოფილებას ანიჭებს. მაგალითად, ევროპაში, განვითარებულ ქვეყნებში, შედარებით მცირელიტრაჟიანი მანქანებით კმაყოფილდებიან, ზოგან კი, საერთოდაც, ველოსიპედებით გადაადგილდებიან, ანუ, უფრო რაციონალური დამოკიდებულებაა ამ მხრივ. ჩვენ კი, მათთან შედარებით, მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე „ჯიპების" რიცხვით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა ვართ და უკვე შვეიცარიასაც კი ვუსწრებთ.

**– ყოველ შემთხვევაში, საწვავთან დაკავშირებით კატასტროფული არაფერი გველის?**

– ჩვენ ისეთი პერიოდები გავიარეთ, არ მგონია, ახლა ვერ დავძლიოთ წინააღმდეგობა, თუმცა, თვალყური უნდა ვადევნოთ პროცესებს და რეაქცია გვქონდეს იმ მეთოდების გამოყენებით, რაც საბაზრო ეკონომიკას მოუფიქრებია.

**ნინო ხაჩიძე**

**არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური სამოქალაქო სექტორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და აქტიური სახეა. მის შრომით ბიოგრაფიაში ძალიან ბევრი სამსახურია, მათ შორის საინფორმაციო სააგენტოს სტაჟიორის რანგშიც კი. ამსტერდამიდან დაბრუნებულმა სამსახურს, სადაც დღეს მუშაობს, დასაქმების პორტალით მიაგნო და იქ, სადაც დღეს ყველა ექსჩინოვნიკი „მიდის" საკუთარი ნებით და დიდი გეგმებით წავიდა.**

# რა ცდუნებას გაუძლო ეკა გიგაურმა ამსტერდამში და როგორ გახდა ის აღმასრულებელი დირექტორი დასაქმების პორტალის წყალობით

**ეკა გიგაური**: სამი წელია, რაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი ვარ. მაშინ ახალი ჩამოსული ვიყავი ამსტერდამიდან, სადაც ვსწავლობდი მაგისტრატურაში ამსტერდამის უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლის განხრით. რამდენიმე პროფესია მაქვს – ბაკალავრის ხარისხი მაქვს საერთაშორისო ურთიერთობებსა და სამართალში, ბიზნესადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი კი მივიღე კავკასიის უნივერსიტეტში და როგორც გითხარით, მაგისტრატურა დავამთავრე ამსტერდამის უნივერსიტეტში. იქ ყოფნის პერიოდში ვთანამშრომლობდი ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელიც აწყობდა სემინარებსა და შეხვედრებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებთან. ეს იყო კვირის რამდენიმე საათი, რომელიც შემოსავლის მოტანის საშუალებას იძლეოდა, თუმცა ეს იყო მინიმალური შემოსავალი ევროპული ქვეყნისთვის და მე იქ ვცხოვრობდი ჩვეულებრივ, სტუდენტურად, სტიპენდიითა და საკუთარი ხარჯით. როდესაც ამსტერდამიდან დავბრუნდი, დავიწყე სამსახურის ძებნა. რეკლამაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ ჯობ.ჯის მეშვეობით შევიტყვე, რომ აქ აღმასრულებელი დირექტორის ვაკანსია იყო. იქამდეც მქონდა გამოცდილება, როცა რამდენჯერმე ვიშოვე სამსახური ჯობ.ჯის მეშვეობით. ამსტერდამში წასვლამდე უკვე საკმაოდ დიდი სამუშაო გამოცდილება მქონდა. ჩემს შრომით ბიოგრაფიაში იყო ისეთი სამსახურიც, როგორიცაა სტაჟიორის პოზიცია „ალიონის" საინფორმაციო სააგენტოში. ეს იყო ჩემი პირველი სამსახური, როდესაც პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. შემდეგ ვმუშაობდი სახელმწიფო სექტორშიც – საგარეო საქმეთა სამინისტროში, საქართველოს პარლამენტში, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში საგარეო ურთიერთობების კუთხით, ასევე ვმუშაობდი კერძო სექტორშიც – ვიყავი „მარიოტის" ორივე სასტუმროს პიარ-კოორდინატორი. ეს სამსახურიც ჯობ.ჯის მეშვეობით ვიშოვე, ასე რომ, როდესაც ეს ნაცადი გზა კიდევ დამჭირდა, ისევ გამოვიყენე – გავგზავნე საბუთები, გავიარე ყველა საჭირო პროცედურა და დავინიშნე ამ პოზიციაზე. ჩემთვის მიუღებელია წარმოდგენა, როცა ამბობენ, რომ თუ არ გყავს ნაცნობების წრე, ამ ქვეყანაში სამსახურს ვერ იშოვიო. ეს ძალიან ეწინააღმდეგება ჩემს პრინციპებს. საკუთარი თავი რომ ჩავაყენო იმ ადამიანის მდგომარეობაში, ვისაც შეიძლება, სამსახური სთხოვო, ეს მინიმუმ ძალიან უხერხული იქნებოდა ჩემთვის. ჩვენს ორგანიზაციაშიც ქვეყნდება ხოლმე ვაკანსიები და იმის მიუხედავად, ადამიანს ვიცნობთ თუ არ ვიცნობთ, თუ კარგი კადრია, ჩვენ მას ავიყვანთ და თუ არა – არ მივიღებთ, ვისი ნაცნობიც არ უნდა იყოს.



ძალიან თავისუფალი ვარ, ჩარჩოებში არ ვჯდები

**– ამსტერდამში დარჩენის ცდუნების წინაშე არ დამდგარხართ?**

– მქონდა შემოთავაზებები, გარკვეული პერიოდი ვფიქრობდი კიდეც დარჩენას და სწავლის გაგრძელებას ბიზნესსამართლის მიმართულებით, რადგან იქ იმდენად დიდია ინვესტიციები. ყოფილი საბჭოთა რეპუბლიკებიდან ძალიან სჭირდებათ ადამიანები, მით უფრო იურისტები. ყველა მეუბნებოდა, რომ ჩემი იქ დარჩენა კარგი იდეა იყო და მეც ვფიქრობდი, კარგი შანსი იყო ეს ჩემთვის. თუმცა, მაინც ვიფიქრე, რომ საქართველოში ჩამოსვლა ჯობდა. ეს შეიძლება, გაცვეთილ ფრაზად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მართლა ვიფიქრე, რომ ჩემი პატარა წვლილი შემეტანა ჩემი ქვეყნის განვითარებაში. მე სხვა დამოკიდებულება მაქვს ჩემი ქვეყნისადმი, რაც ძალიან მძაფრად ვიგრძენი აგვისტოს ომის პერიოდში. პატრიოტიზმი და ქვეყნის სიყვარული თითქოს ზოგადი ცნებაა, მაგრამ შენი ქვეყნისთვის რთულ პერიოდში გრძნობ, რომ ეს არაა ზოგადი ცნება – მართლა ძალიან გინდა, რომ შენს ქვეყანაში, ყველგან, ყველასთვის უკეთესი მდგომარეობა იყოს.

**– დღეს არასამთავრობო სექტორში მუშაობა ძალიან მომხიბვლელია. კონკურენციის მაღალი სტანდარტი უნდა გქონდეთ უკვე, რადგან ყველა ექსჩინოვნიკი თქვენთან „მოდის," გაქვთ ადგილი მათ „მისაღებად"?**

.– ვერავის აუკრძალავ სამოქალაქო სექტორში მუშაობას, მთავარია, ყველა ამ ადამიანის მიზანი იყოს, რაღაც კარგი გაკეთდეს ამ ქვეყანაში თითოეული მოქალაქისთვის. ყველას თავისი ნიშა აქვს, ჩვენ მივესალმებით ამ კონკურენციას, რადგან დღეს სამოქალაქო სექტორში ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი. ახლა საკუთარი პოზიციის გამოხატვის დიდი შესაძლებლობებია, უფრო გახსნილია სივრცე. ჩვენი ორგანიზაცია, რომელსაც სათავო ოფისი აქვს ბერლინში და მსოფლიოს ას ქვეყანაში – წარმომადგენლობა, ბევრი პროფილით მუშაობს. მაგალითისთვის მოვიყვან არჩევნების თემას, ვმუშაობთ მედიაგარემოს გაუმჯობესებაზე, საკანონმდებლო ინიციატივებზე, რის გამოც ძალიან აქტიურები ვართ საქართველოს პარლამენტში. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ გამოვიარეთ ძალიან რთული პერიოდები. რა თქმა უნდა, მძიმე იყო 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდი, როდესაც გამოქვეყნდა ციხის წამების კადრები. მახსოვს, ინტერვიუებს რომ ვაძლევდი, კომენტარის დასრულების შემდეგ, აღარ მახსოვდა, რას ვამბობდი. საკუთარ თავს ემოციების გამოხატვის საშუალებას არ ვაძლევ, ყოველთვის ვცდილობ, ორგანიზაციის პოზიციის გამოხატვისას, ვიყო ფრთხილი და ზომიერი, არ გადავამეტო, მაგრამ მაშინ ეს არ გამომდიოდა. როდესაც, თამარ ჩუგოშვილთან ერთად, მაშინ ის „საიას" ხელმძღვანელი იყო, შევედი ციხეში და იქ პირველ სართულზე გვეჩურჩულებოდნენ პატიმრები საკუთარ პრობლემებზე, ადამიანურად ეს ძალიან მძიმე გადასატანი იყო ჩემთვის. ჩვენს ორგანიზაციას ციხის თემატიკაზე არ ჰქონდა ნამუშევარი. რა თქმა უნდა, კოლეგებისგან ბევრი რამ მსმენოდა და მეც მქონდა წაკითხული რა ხდებოდა ციხეში, მაგრამ საკუთარი თვალით რომ ხედავ ამ ყველაფერს, ეს ძალიან რთულია.

**– ბოლო პერიოდში არასამთავრობო სექტორის განსაკუთრებით პოპულარული სახე გახდით. როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება?**

– მე ვიტყოდი, რომ ეს არ ვარ მხოლოდ მე, ეს არის ყველა იმ ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაო და საქმიანობა, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია ყოველდღე ეწევა. მე ვიტყოდი, რომ „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოს" ჰყავს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით საქმიანობს ამ ქვეყნის წინსვლისთვის. მე, უბრალოდ, ვარ ამ გუნდის ხელმძღვანელი, თუმცა ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა ვარ პოზიციაზე, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი. ვერ ვიტყვი, რომ მკაცრი შეფი ვარ. აქ არაა ის წესები, რაც სახელმწიფო სამსახურში. აქ რჩევის და მეგობრული დამოკიდებულების გარეშე, შორს ვერ წახვალ. ვიცით, რომ ერთმანეთის გარეშე არაფერი გამოვა *(იცინის)*. რაც შეეხება ჩემი ცხოვრების შეცვლას, ამ მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა. ქუჩაში მცნობენ, მაგრამ, ვერ ვიტყვი, ყველამ იცის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" წარმომადგენელი რომ ვარ. შეკითხვა: „გვეშველება რამე?!" ძალიან აქტუალურია *(იცინის)*. ბოლო პერიოდში მაქვს ძალიან აქტიური რეჟიმი. ვცდილობ, შაბათი და კვირა მაინც დავუთმო საკუთარ თავს, ვივარჯიშო. ცხოვრების ჯანსაღი წესი და ფიზიკური აქტივობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მიყვარს სპორტი, შეიძლება ითქვას, ექსტრემალი ვარ. მიყვარს ცურვა, თხილამურებით ვსრიალებ, რამდენჯერმე ვცადე პარაპლანით ფრენაც. ჩემი მეგობრები არიან დაკავებული ამ საქმით თბილისის ზღვაზე. ერთხანს მეც აქტიურად ვიყავი ჩართული, თუმცა ბოლო დროს ვერ ვიცლი, რაც ძალიან მაწუხებს. წარმოშობ-

(გაგრძელება 69-ე გვერდზე)

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

**17 წლის ანა ხანჩალიანი ქართველმა მაყურებელმა, რამდენიმე წლის წინ, პროექტ „ნიჭიერის" სცენაზე დაინახა და აღმოაჩინა, რომ ამ პატარა, ცრემლიანი გოგონას ნიჭიერება მართლაც დასაფასებელი იყო. მას მერე ანას ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო და მიხვდა, რომ მისთვის სიმღერა ცხოვრების თანამგზავრია, რომლის გარეშეც არსებობა არ შეუძლია. სულ ახლახან ანა სომხეთის „ახალი ხმის" კონკურსის გამარჯვებული გახდა. ჟურნალი „თბილისელები" ულოცავს ანას ამ გამარჯვებას. ხოლო, თუ რა გახდა მისი გამარჯვების მიზეზი, რა მოუტანა მას „სომხეთის ახალი ხმის" ტიტულმა და რის გამო სწყდება მას გული, ამაზე თავად ანა გვიამბობს.**

# რატომ მისდიოდათ გული ანა ხანჩალიანის გამარჯვებამდე სომხური „ახალი ხმის" ჟიურის წევრებს და ვინ აჩუქა მას შოკოლადის მიკროფონი

**ანა ხანჩალიანი**: 2014 წელი მართლაც რომ ძალიან წარმატებულად დაიწყო ჩემთვის. ჩემს სამშობლოში გავიმარჯვე – „სომხეთის ახალი ხმა" გავხდი და ამ კონკურსში გამარჯვებით კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ ბედი მწყალობს ***(იცინის).*** ეს კიდევ დასაწყისია და, მთავარი გამარჯვება, მჯერა, რომ წინ მელის. ზოგადად, ჩემი აღმავალი პერიოდი 2010 წელს დაიწყო, როცა საქართველოს „ნიჭიერის" სცენაზე დავდექი. მას მერე ვცდილობ, დასახულ მიზანს მივაღწიო. 2014 წელი კი ნამდვილად გამართლებულად დაიწყო და, იმედია, ასევე გაგრძელდება.

**– რა რეაქცია გქონდა, როცა გამარჯვებულად დაგასახელეს და თუ გქონდა ამის იმედი?**

– სიმართლე გითხრათ, დიდი კონკურენცია იყო. თუმცა, თავად არავინ მიმაჩნდა კონკურენტად. როცა სცენაზე გასასვლელად ვემზადები, სულ იმაზე ვფიქრობ, კარგად ვიმღერო და მაყურებელსა და ჟიურის მოვაწონო თავი, და არა სხვას გავუწიო კონკურენცია. ხალხი ამას ხედავს და თავად წყვეტს რამდენად კარგი და მისაღები ხარ მათთვის. მეც ასე ვფიქრობდი და გამიმართლა კიდეც. რომ გითხრათ, გამარჯვებაზე არ ვფიქრობდი-მეთქი, მოგატყუებთ. აბა, კონკურსზე ისე რატომ გახვალ?! ყველა ამ მიზნით მიდის. მეც მჯეროდა და ყველაფერს ვაკეთებდი გამარჯვებისთვის. ემოციას კი ნამდვილად ვერ გადმოგცემთ. გამარჯვებულად რომ დამასახელეს, ცრემლები ვერ შევიკავე. კონკურენტებს შორის კონფლიქტები და ინტრიგებიც იყო კულისებს მიღმა, მაგრამ, მე ამაში არ ვერეოდი, ყველას ვუღიმოდი და ყველასთან ვმეგობრობდი. ყველა ამჩნევდა ამას და ამიტომაც მაფასებდნენ. ჟიურის წევრებმა მითხრეს, როცა ბოლოს მაყურებლის ზარების დათვლა მიდიოდა, ძალიან ვინერვიულეთ, კინაღამ გული წაგვივიდა განცდისგან, გვინდოდა, შენ ყოფილიყავი ლიდერიო. ასეც მოხდა და დიდი მადლობა მათ ამ განცდისთვის და გვერდში დგომისთვის. სომხეთის პრესაში და სცენაზეც, ყველგან აღვნიშნავდი, რომ მე თბილისელი სომეხი ვარ და, რომ ეს ქალაქი და საქართველო ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

**– ქართულ „ნიჭიერში" ცრემლიან, პატარა გოგონად გაგიცნო ხალხმა, რომელმაც შეძელი და დაამტკიცე, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, შეგიძლია თავის ხელში აყვანა და ძლიერი ხარ. ხომ მეთანხმები?**

– რასაკვირველია, გეთანხმებით ***(იცინის).*** ბავშვობიდან მიზანდასახული ვარ. მინდა, ყველაფერს მივაღწიო და ამისთვის ბევრს ვშრომობ, ყველაფერს ვაკეთებ. „ნიჭიერში" დიდი გამოცდილება მივიღე, რადგან, პირველი კონკურსი იყო ჩემთვის. მანამდეც კი ვიდექი სცენაზე – სომხურ თეატრში გამოვდიოდი ხოლმე, მაგრამ, ძალიან ცოტა ადამიანი



**„სვეტსკაობა" არ მიყვარს და, მომავალშიც, მირჩევნია, ისეთი უშუალო დავრჩე, როგორიც ახლა ვარ ხალხის თვალში**

მიცნობდა. მაგრამ, 2010 წლის შემდეგ მთელმა საქართველომ გამიცნო. ანუ, პატარა ცრემლებმა დიდი გამარჯვება მომიტანა.

**– სომხეთში თუ გახდი პოპულარული და თუ გცნობენ და გაფასებენ?**

– „ახალი ხმის" ფინალზე მივხვდი, რომ სომხეთმა შემიყვარა და ძალიან დამაფასა. გამარჯვებული რომ უნდა გამოეცხადებინათ, ძალიან ვინერვიულე. მანამდე, მწვრთნელები და, ზოგადად, მაყურებლები მეუბნებოდნენ, აუცილებლად გაიმარჯვებო, მაგრამ, მაინც ეჭვი მეპარებოდა, ვამბობდი, ამდენი შეძახილით დავითარსები-მეთქი და იმედი გადამეწურა ***(იცინის).*** ისეთ შოკში ჩავვარდი გამარჯვებულად რომ დამასახელეს, სახეზე გაკვირვება, გამარჯვება და ცრემლი ერთმანეთში ამერია ***(იცინის).***

**– რა პრიზები გადმოგეცა?**

– პრიზად გადმომეცა სიმღერის ჩაწერა სტუდიაში, საგზური, ტელეფონი და, კიდევ, არ ვიცი.

**– ეს როგორ გავიგოთ?**

– ჯერ არ ვიცი, რადგან, მეუბნებიან, პრიზები კიდევ გელისო. ვნახოთ. თუმცა, სულ ვამბობ, პრიზებში ბედი არ მწყალობს-მეთქი. ზოგი ბინას იგებს, ზოგი მანქანას, მე აქამდე ჯერ ვერ მივედი ***(იცინის).*** რაც შეეხება საგზურს, ეს არის ორკაციანი საგზური ეგვიპტეში და ერთ კვირაში გავემგზავრები.

**– თუ საიდუმლო არ არის, ვისთან ერთად აპირებ ეგვიპტეში დასვენებას?**

– დედასთან ერთად. მართლა ვერ წარმოვიდგენდი, ამდენს თუ მივაღწევდი, გულწრფელად გეუბნებით. თუმცა, ღმერთის დახმარებით ასე მოხდა. ანუ, ცრემლიანი სიზმარი, რომელიც „ნიჭიერით" დაიწყო, სამი წელი გრძელდებოდა და ახლა რეალობა შევიგრძენი, მივხვდი, რომ მართლა მივაღწიე წარმატებებს. სომხეთში სამი თვე მომიწია ყოფნა და, ჩემი ძმა არმენა გვერდიდან არ მომცილებია. ისე განიცდიდა ჩემს ყოველ გამოსვლას სცენაზე, რომ ამას ყველა ატყობდა. ერევნელი და თბილისელი მეგობრები ძალიან მგულშემატკივრობდნენ.

**– ალბათ, წარმატებასთან ერთად, თაყვანისმცელმების რიცხვიც გაიზარდა.**

– ***(იცინის)*** რა თქმა უნდა. ზოგი რას მჩუქნის და ზოგი – რას. ერევანში, ქუჩაში რომ დავდიოდი, ორიგინალურ საჩუქრებს მჩუქნიდნენ ბიჭები: ერთმა შოკოლადის მიკროფონი მაჩუქა; ერთმა – ულამაზესი, ყუთში ჩადებული გაბანტული დათუნია; ერთმა კი ახალ წელს ნაძვის ხე მომართვა, რომელიც ჩემი ფოტოებით იყო მორთული. იმდენი დათუნია მაქვს სახლში, ზოოპარკში გეგონებათ თავი ***(იცინის).*** მინდა ყველას მადლობა გადავუხადო ამ დაფასებისა და სიყვარულისთვის. სულ ვამბობ, რომ ღმერთი ძალიან მწყალობს – სადაც მივდივარ, ყველგან სიყვარული და პატივისცემა მხვდება-მეთქი. პოპულარობაშიც, ოჯახშიც და მეგობრებშიც ძალიან გამიართლა.

**– ანა, სომხეთში გააგრძელებ შემოქმედებას თუ საქართველოში დაბრუნდები? რაიმე სერიოზული შემოთავაზება ხომ არ გაქვს?**

– შემოთავაზებები არის და, ვნახოთ ჯერ ვფიქრობ. ზოგადად, ჯერ მინდა, სწავლას მივხედო: ვიოლინოზე ვიმეცადინო, ერევნის კონსერვატორიაში ჩავაბარო, ცეკვაც კარგად ავითვისო, უცხო ენებს დავეუფლო და ხატვასაც მეტი დრო დავუთმო. სულ ვამბობ, სახლები უნდა მქონდეს საქართველოში, სომხეთსა და გერმანიაში-მეთქი და, ყველგან ვიქნები – საქართველოშიც, სომხეთშიც და გერმანიაშიც.

**– საქართველო და სომხეთი გასაგებია, მაგრამ გერმანიაში რატომ?**

– იმიტომ, რომ გერმანიაში ვიოლინოს განხრით ძლიერი სკოლაა და მინდა იქ დავუკრა ორკესტრში. სიმღერის გარდა, მინდა სხვა პროფესიაც მქონდეს და ეს არის ვიოლინო. ოცნებები მისრულდება და, იმედი მაქვს, ამიხდება კიდევ ერთი ოცნება – ვიმღერო სელინ დიონთან ერთად დიდ სცენაზე. მინდა, ხალხის სითბო, რომელიც დავიმსახურე, შევინარჩუნო; ვაკეთო საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს და ამით სხვებსაც ბედნიერება მივანიჭო. „სვეტსკაობა" არ მიყვარს და, მომავალშიც, მირჩევნია, ისეთი უშუალო დავრჩე, როგორიც ახლა ვარ ხალხის თვალში. „ახალ ხმაში" რომ გავიმარჯვე და მეორე დღეს მივედი, ისეთივე უბრალო და სადა, ყველა კონკურსანტი და ჟიურის წევრი მეუბნებოდა, ვიცოდით, თავში რომ არ აგივარდებოდა ეს წარმატება და პირველობა, რაც იყავი, ისეთივე დარჩიო ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

**ქეთი ციხელაშვილი ქართულ მთავრობაში არასამთავრობო სექტორიდან მოხვდა. პაატა ზაქარეიშვილის პირველ და ერთადერთ მოადგილეს აწ უკვე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროში მაღალი რანგის მანდატით უწევს ის საქმიანობა, რაზედაც არასამთავრობო სექტორიდან წლების განმავლობაში ზრუნავდა. როგორც თავად ამბობს, ჩინოვნიკურ სამსახურს ის არ შეუცვლია. ყველაზე დიდი სიახლე მის პირად ცხოვრებაში რამდენიმე დღის წინ მოხდა – ქეთი ციხელაშვილმა პირადი ცხოვრება დაუკავშირა გერმანელ მამაკაცს, რაზედაც მინისტრის მოადგილემ „თბილისელებს" ექსკუზლიურად განდო.**

# ვის გაჰყვა ცოლად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის მოადგილე ქეთი ციხელაშვილი და რისი „მსხვერპლი" გახდა მისი ქორწინება რამდენჯერმე

**ქეთი ციხელაშვილი:** დიდი ხანია, რაც ამ სფეროში ვმუშაობ და, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება მაქვს. ალბათ, ამიტომაც გააკეთა მინისტრმა არჩევანი ჩემზე, როცა ამ პოსტზე მუშაობა შემომთავაზა.

რამდენიმე წელი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში ვმუშაობდი როგორც მკვლევარი-ანალიტიკოსი; მაქვს პუბლიკაციები ამ თემაზე. კონფლიქტების მოგვარებისა და მედიაციის საკითხებში პროფესიული მომზადებაც გავიარე. გარდა ამისა, არასამთავრობო სექტორიდან ხშირად ვახორციელებდით პროექტებს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ამგვარი პროექტის ფარგლებში, ჩემს კოლეგებთან ერთად, მომიწია ჩასვლა სოხუმსა და გაგრაში, ეს იყო 2007 წელს. 2004 წელს ამ სამინისტროშიც ვიმუშავე დაახლოებით ორი წელი, თუმცა, ამ უწყებას მაშინ სხვა სახელწოდება ჰქონდა – „კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი" ერქვა.

იმ პერიოდში, როდესაც მინისტრის მოადგილის თანამდებობა შემომთავაზეს, მე ვხელმძღვანელობდი ორგანიზაციას „ლიბერალური აკადემია – თბილისი"; ასევე, ვიყავი არასამთავრობო ორგანიზაციების ყველაზე დიდი გაერთიანების აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, სადაც შედის წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს საქმიანობას – ევროინტეგრაციას უჭერენ მხარს; ასევე, ლექციებს ვკითხულობდი უნივერსიტეტში. პროფესიით გახლავართ საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული სწავლების სპეციალისტი. ბაკალავრიატი დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგისტრატურაში ვსწავლობდი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში, ბუდაპეშტში. ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, ერთი მხრივ, არის კონფლიქტების მოგვარების სფერო, მეორე მხრივ – ევროპული ინტეგრაცია, ევროკავშირი. ჩვენს პოლიტიკურ ხედვაში ეს ორი მიმართულება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, იმიტომ, რომ სწორედ საქართველოს ევროპული არჩევანი, ევროპული განვითარება არის კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი გასაღები და გზა ერთიანი განვითარებული სახელმწიფოსკენ.



**მაშინ საერთოდ სხვა განზომილებაში ვცხოვრობდი**

**– როგორც ვიცი, წლების განმავლობაში ევროპაშიც მუშაობდით. იქ რატომ არ გააგრძელეთ კარიერა?**

– ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა, როცა მუშაობა დავიწყე პრაღაში, ონლაინ გამოცემაში. ცოტა ხანი ვიმუშავე იქ, ახალკურსდამთავრებულისთვის ონლაინ გამოცემაში მუშაობა საინტერესო იყო. ამის შემდეგ მქონდა შემოთავაზება გერმანიიდან, რის გამოც დავტოვე ის სამსახური და გადავედი ქალაქ ფლენსბურგში, კვლევით ცენტრში. იმავე პერიოდში მივიღე შემოთავაზება ჰამბურგის უნივერსიტეტიდან, ასევე კვლევით პროექტში ჩართვისთვის. ორივე კვლევა და შემდგომი პუბლიკაციები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს უკავშირდებოდა. საერთოდ, პარალელურ რეჟიმში არაერთხელ მიმუშავია. ამის შემდეგ იყო ბრიუსელი, „ნატოს" საპარლამენტო ასამბლეა, სადაც ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. ეს იყო ძალიან საინტერესო პერიოდი, ახალგაზრდისთვის ამგვარი მრავალფეროვანი გამოცდილება ბევრის მომცემია. იმის მიუხედავად, რომ ევროპაში მუშაობა ძალიან საინტერესოა, ჩემს გეგმებში არ შედიოდა საქართველოდან წასვლა ან უცხოეთში კარიერის გაკეთება და დავბრუნდი თბილისში, რათა აქ გამეკეთებინა საქმე. თბილისშიც ძალიან ბევრ ადგილას მომიწია მუშაობა, ყოველთვის მქონდა ცხოვრების აქტიური რეჟიმი. ჩემთვის არ არსებობს სტანდარტული სამუშაო დღე, სტანდარტული შაბათ-კვირა. ეს გახდა ჩემი ცხოვრების სტილიც, თან, ადრეული ასაკიდან. მე ქუთაისიდან ვარ, სადაც ძალიან აქტიურად ვიყავი დაკავებული თეატრალური ცხოვრებით, აქ, თბილისში, გრიბოედოვის თეატრშიც გამოვდიოდით სპექტაკლებით. ერთხელ, სპექტაკლის ბოლოს, მიშა თუმანიშვილთან ძალიან კარგი გასაუბრებებიც მახსოვს *(იცინის)*. ბავშვობაში კარგა ხანს ვოცნებობდი რეჟისორობაზე, მაინცდამაინც კინოს რეჟისორობა მინდოდა. მახსოვს, ის რეჟისორები, რომლებსაც ძალიან უყვარდათ თავიანთი საქმე. მათ არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის, რომ ძალიან მძიმე იყო ამ პროფესიის ადამიანთა ცხოვრება საქართველოში იმ მძიმე, 90-იან წლებში. თუმცა, მე ძალიან შემოქმედებითად ვიყავი განწყობილი. გაგიმხელთ, რომ საოპერო ხმაც აღმომაჩნდა და მიუზიკლებშიც ვთამაშობდი, რის გამოც მირჩევდნენ კიდეც, რომ ჩამებარებინა კონსერვატორიაში, მაგრამ, ეს ჩემთვის ძნელად წარმოსადგენი ამპლუა იყო *(იცინის)*.

**– მსახიობის რანგში სოლიდურ როლებს განდობდნენ?**

– კი, იყო მშვენიერი როლები ქართული სპექტაკლებიდან, თუმცა, მოლიერის პერსონაჟებიც მაქვს ნათამაშევი. მაშინ საერთოდ სხვა განზომილებაში ვიყავი, რაც ახლა ძალიან კარგად მახსენდება. როცა პროფესიული არჩევნის დრო დადგა, ავირჩიე საერთაშორისო ურთიერთობები. ამის მიზეზი, გარდა იმისა, რომ მაინტერესებდა დიპლომატია, ისიც იყო, რომ სულ მინდოდა, მენახა ბევრი ქვეყანა. ამ წლების განმავლობაში ამის საშუალება ხშირად მქონდა, ძალიან მიყვარს მოგზაურობა. ახლა უდროობის გამო ვერ ვიცლი, მაგრამ, ძველებურად მიყვარს კინო და თეატრი, რომელსაც მაყურებლის როლში ვუბრუნდები ხოლმე. ის, რაც გადმომყვა იმ წლებიდან, არის მუსიკა. მუსიკალურ ათწლედში ვსწავლობდი და, ახლა, როცა დრო მაქვს, არასაჯაროდ, ფორტეპიანოზე ვუკრავ – ეს განტვირთვის კარგი საშუალებაა ჩემთვის.

**– როგორ შეცვალა ამ პოსტმა თქვენი ცხოვრება?**

– თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს სამსახური იყო დაკავშირებული ძალიან დიდ პასუხისმგებლობასთან – საერთოდ, ჩემს საქმესთან ასეთი დამოკიდებულება მაქვს, სადაც არ უნდა ვმუშაობდე. თუმცა, იმ საკითხების მნიშვნელობა, რაზეც ახლა ვმუშაობ და ჩემი პოზიცია, ამ პასუხისმგებლობას აორმაგებს. ძალიან დატვირთული და აქტიური გრაფიკით ცხოვრება ჩემთვის უჩვეულო არ არის, ამ მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა. მოკლედ, „ტექტონიკური ძვრები" ჩემში ნამდვილად არ მომხდარა. ის ღირებულებები, რაც აქამდე მქონდა, ჩემთვის ისეთივე ღირებულია, როგორც მანამდე იყო.

**– კანცელარიის ჩინოვნიკური ინფრასტრუქტურაც არ ახდენს გავლენას?**

– საერთოდ არა. საჯარო სამსახურში მუშაობა, როგორც გითხარით, დიდი პასუხისმგებლობაა მით უფრო – ამ სფეროში. კონფლიქტების მოგვარება, ნდობის მშენებლობა რთული ამოცანაა. ნგრევა ადვილია, აღდგენა და აშენება – რთული და ხანგრძლივი, მით უფრო, იმ მძიმე მემკვიდრეობის ფონზე, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო. მაგრამ, ეს ის გზაა, რომელიც უნდა გავიაროთ და ამას შედეგი ექნება. მან, ვინც დღეს მავთულხლართებისა და ბარიერების მშენებლობის გზით აშორიშორებს ხალხს, ძალიან კარგად იცის, რომ ხალხთა შორის არსებული კონტაქტები ბევრ რამეს ცვლის. ამ კონტაქტების დროს კიდევ უფრო ნათლად ჩანს, რამდენი რამ არის ამ ადამიანებში საერთო, თუნდაც ის, რომ ერთ მონათესავე კულტურას ეკუთვნიან იმ გაზიარებული ტრადიციებით, რაც აფხაზებსა და ქართველებს, ოსებსა და ქართველებს აკავშირებთ.

**– რატომ შეუცვალეთ სახელი სამინისტროს, შერიგება უფრო კარგად ჟღერს თუ, „ცისფერი მთების" ამბავია?**

– ადრე, ამ სამინისტროს, როგორც გითხარით, „კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი" ერქვა, 2008 წელს კი გადაერქვა სახელი და ეწოდა „რეინტეგრაციის სამინისტრო", რაც ძალიან ცუდად აღიქვეს აფხაზებმა და ოსებმა, რომ არ ჰქონდათ სურვილი, რაიმე კონტაქტი ჰქონოდათ ამ დასახელების უწყებასთან – ამას სულ ასახელებდნენ მიზეზად ან საბაბად მაინც. ახლა კი ეს საბაბი თუ მიზეზი აღარ იქნება. ამას გარდა, ის დასახელება არასრულად გამოხატავდა სამინისტროს საქმიანობას, რადგან, ჩვენ, კონფლიქტების მოგვარებასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი, სამოქალაქო ინტეგრაციას, ანუ, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკის მიმართულებაც აქვს და ამ კონტექსტში რე (ანუ ხელახალი) ინტეგრაცია გაუგებარია. ვფიქრობ, ეს ადრე ბევრმა არც კი იცოდა. ამიტომ, ჩვენ უფრო კარგი ტერმინი შევარჩიეთ – „სამოქალაქო თანასწორობა," რაც ამ მიმართულებას მოიცავს. შესაბამისად, ახალი სახელწოდება სამინისტროს საქმიანობის ორივე მიმართულებას გამოხატავს. შერიგება კი, ამავდროულად, მიანიშნებს პოლიტიკურ მიდგომაზე ამოცანის მისაღწევად, რომელიც მიმართულია ჩიხში შეყვანილი სამშვიდობო პროცესის დაძვრის, ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის ამ გზით მოგვარებისკენ. აქედან გამომდინარე, ეს გახლავთ სახელის ცვლილების მთავარი მოტივაცია.

**– სულ ახლახან სიახლე მოხდა თქვენს**

**(გაგრძელება მე-17 გვერდზე)**

**14 იანვარს „იმედის“ ეთერში მუსიკალური პროექტის – „ახალი ხმის“ ფინალი გაიმართება და გამარჯვებული მაყურებლის დახმარებით გამოვლინდება. ამ დღეს ერთმანეთს კონკურენციას 4 მონაწილე გაუწევს, რომელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა ნიკა ლაზარიაშვილი, სტეფანეს გუნდის ნამდვილი ფავორიტი. ნიკას ყველა გამოსვლა, ჯერ კიდევ „ბრმა ქასთინგიდან“ მოყოლებული, ყოველთვის ძალიან საინტერესო, განსხვავებული, სასიამოვნო სანახავი და მოსასმენი იყო. მის გაზრდასა და წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი სტეფანეს მიუძღვის, რომელმაც ნიკას შესაძლებლობები თავიდანვე დაინახა და სწორად შეაფასა. ეს ორი ნიჭიერი ადამიანი ნამდვილად იმსახურებს გამარჯვებას და, რაც მთავარია, სამშაბათს მათი დახმარებით მაყურებელი არაჩვეულებრივ შოუს იხილავს. ამიტომაც, დაუმესიჯეთ ნიკას ნომერზე: 0-903-200-211! მისი სახით, ქართველი მაყურებელი ნამდვილად აირჩევს „ახალ ქართულ ხმას“.**

# რა ისწავლა ნიკა ლაზარიაშვილმა სტეფანე მღებრიშვილისგან და როგორ დაინახა მან ცხოვრება სხვა თვალით სტეფანეს დახმარებით

**ნიკა ლაზარიაშვილი**: ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი სტეფანეს მიუძღვის, ამიტომაც ვუჯერებ ყველაფერს. საერთოდ, ყოველთვის ვიყავი დამჯერი ბავშვი, მაგრამ, რაც 20 წელს გადავაბიჯე, დამოუკიდებლად დავიწყე ცხოვრება და დედაჩემს აღარ ვუჯერებ ბევრ რამეს. რომ მეუბნებოდნენ, თბილად ჩაიცვიო, მე, პირიქით, თხლად ჩაცმული გამოვდიოდი. ახლა კი, სტეფანე რასაც მეუბნება, იმას ვაკეთებ. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩემს მშობლებს პატივს არ ვცემ, უბრალოდ, არ ვიცი, რა მოხდა და როგორ მოხდა, ალბათ, მომაჯადოვა. ისეთი ადამიანია, იმდენად იხარჯება, რომ, მეც მინდა, დავიხარჯო და არაფერი დავაკლო.

**სტეფანე მღებრიშვილი**: ჩვენს ურთიერთობაში ყველაზე მთავარი და სასაცილო ისაა, რომ ხალხს ჰგონია, მე ნიკას ველარ „ვუქაჩავ“ რეპერტუარის მხრივ. მიხარია, რომ ჩემს მიზანს უკვე მივაღწიე, რადგან, ამ შოუში მე საკუთარ თავზე არ ვფიქრობ – განწირული ვარ და გადადებული მაქვს თავი ნიკასთვის. არც ერთხელ არ გადამიყვანია ნიკა ტურიდან ტურში – საზოგადოებამ ჩემი მესიჯი სწორად გაიგო. ყველა ფინალისტი, რომლებიც დღეს ნიკასთან ერთად დგანან, მწვრთნელების გადაყვანილები არიან, ნიკას გადაყვანაზე კი საერთოდ არ მიწვალია. საზოგადოება მიხვდა, რომ ეს ადამიანი არის „ახალი ხმა„ და ახლა თქვენი იმედი მაქვს.

**– სტეფანე, ასე რომ არ მოგყვებოდეს ნიკა, ალბათ, არც გექნებოდა მისი გამარჯვების იმედი და არც ასე დაიხარჯებოდი.**

– მე თვითონ გადავიფიქრებდი. ძალიან ძლიერი გუნდი მყავდა და, არ ვფიქრობდი, რომ ნიკა იყო ერთადერთი. უბრალოდ, ნიკა საერთაშორისო პროექტად მიმაჩნია და ამიტომაც შევაჩერე მასზე არჩევანი. დიდი პრაქტიკა დავაგროვე „ვოისებს“ შორის. ჩვენს შოუს კი აქვს მაღალი რეიტინგი, მაგრამ, საზოგადოებისთვის დღეს ტელევიზიები არ არის იმდენად აქტუალური. ამიტომაც, ძალიან ცოტა დრო მქონდა იმისთვის, რომ ეს ადამიანი ვარსკვლავად მექცია. ფაქტობრივად, ეს გამომივიდა, რადგან, როდესაც ნიკა სცენაზე დგას, მისგან სულ სხვა ენერგეტიკა მოდის – გგონია, რომ უცხოელი ვარსკვლავი ატარებს კონცერტს. მე ამას მივაღწიე შრომით, იმ ენერგიით, რაც ნიკაზე მაქვს დახარჯული.

**– პლუს, – ძალიან ნიჭიერი ბიჭია.**

– კომპლექსურად – სუპერ ბიჭია.

**– ამბობ, ნიკა საერთაშორისო პროექტიაო. ამ კუთხით თუ გაქვს გეგმები?**

– ჯერჯერობით არ ვიცი, რა იქნება. ჩემთვის მთავარია, ეს პროექტი მოვიგოთ. ამდენი ხანია, ვაკლავ ამ შოუს თავს და, ვარ ღირსი, რომ მოვიგო. მით უმეტეს, ფინალისტებს რომ გადავხედოთ, ამ სუპერ ბიჭმა უნდა მოიგოს. მეგობრები მხოლოდ საქართველოში კი არ მყავს, ამიტომ, ვნახოთ, მერე რა იქნება. მე სულ აქტიური ცხოვრება მაქვს და, ნიკასგან განსხვავებით, ჩემი მოღვაწეობის პერიოდი იმდენად დიდია, რომ იქ აგრესიასაც შევჯახებივარ, ჩემი პოზიციებიც დამიფიქსირებია, ბევრი უარყოფითი მომენტიც მქონია. ამას კი სუფთა ისტორია აქვს და, იმედია, ყველაფერს ლამაზად, სწორად დააყენებს. მე მაქსიმალურად დავულაგებ ყველაფერს და, მერე, იმედი მაქვს, თვითონ მიხედავს თავის გზას.

**– ნიკა, ალბათ, ამ ყველაფრის შემდეგ, მოიგებ თუ წააგებ შოუს, მაინც აპირებ მუსიკალური კარიერის გაგრძელებას?**

**ნიკა**: დიახ, მინდა, რომ გავაგრძელო. ვფიქრობ, ასეთ დონეზე რომ ახვალ, არ უნდა დაანებო თავი, პირიქით, უნდა შეინარჩუნო ეს ყველაფერი, წახვიდე უფრო ზევით, „სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა...“ სხვათა შორის, კომპლექსებით მივედი შოუში, ანუ, კამერების კომპლექსები მქონდა, ახლა კი იმდენად აღარ მაქვს. პროექტმა დიდი გამოცდილება მომცა, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, ცხოვრება სულ სხვა თვალით დავინახე და ეს ძალიან მიხარია. თურმე, სხვა რაღაცეებიც არსებობდა, სხვანაირად ვცხოვრობდი და, ის, რაც ახლა ვნახე, მივხვდი, რომ უფრო სწორია.

**– სტეფანე, რას გულისხმობს?**

**სტეფანე**: ზოგად პრაქტიკაზეა საუბარი, ასაკობრივ გამოცდილებაზე. მარტო ჩემთან ერთად ხომ არ მუშაობს, ბევრ ჩემს მეგობართან



**ნიკა: „ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩემს მშობლებს პატივს არ ვცემ, უბრალოდ, არ ვიცი, რა მოხდა და როგორ მოხდა, ალბათ, მომაჯადოვა. ისეთი ადამიანია, იმდენად იხარჯება, რომ, მეც მინდა დავიხარჯო და არაფერი დავაკლო“**

ერთადაც არის, რომლებსაც, ასევე, დიდი გამოცდილება აქვთ, არა მხოლოდ საქართველოში მიღებული. თან, ჩემი მეგობრები ისეთები არიან, არავის იღებენ ადვილად. ნიკა კი ადვილად მიიღეს და შეუყვარდათ ისე, როგორც მე მიყვარს. ცხოვრება ხომ ტოტალური ხედვა და ღირებულებების სწორად გადანაწილებაა. ალბათ, ნიკამ ღირებულებები გადაანაწილა სწორად და ამას გულისხმობდა. მას იმისთვისაც ვამზადებ, რომ, რაც უფრო მეტად წარმატებულები არიან ადამიანები, მით უფრო ცდილობენ, განსაკუთრებით – ამ ქვეყანაში, გადაგიარონ. როგორც ჩვენს ქვეყანაში უყვართ გადავლა, ასე არსად არ უყვართ. ბრალი დასდეს, რომ ერთფეროვანია. გადახედონ ნიკას გამოსვლებს, რა ერთფეროვნებაზეა საუბარი! ამიტომ, ვამზადებ იმისთვის, რომ, სოციალურ ქსელებში რაც იწერება, იმას არ მიაქციოს ყურადღება. რაც ყველაზე მთავარია, მინდა, ხალხს ვუთხრა, რომ ნუ შეადარებენ ნიკას დარჩენილ გოგონებს, რადგან, გოგონების ყელის მოწყობილობა სულ სხვაა, მამაკაცის კი – სულ სხვა.

**ნიკა**: ხელის გულზე უნდა მატარონ.

**– გატარებენ ხელის გულზე?**

**სტეფანე**: კი, კი, ატარებენ. ტელეფონი აფეთქებული აქვს.

**ნიკა**: რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სასიამოვნოა, უბრალოდ, გადაჭარბებული და შემაწუხებელი არ უნდა იყოს.

**სტეფანე**: ფიზიკურად არ ჰყოფნის დრო, რომ ყველას გადაუნაწილოს. ადრე გოგონებს ეუბნებოდა, გადაანაწილეთ დრო, საათობრივად ვივლიო. მაგრამ, ახლა ეს საათებიც აღარ აქვს – გრაფიკი აერია, ველარ ტევს.

**– მერე, არ აპროტესტებენ?**

**ნიკა**: შეეგუენ, ასეთი რომ ვარ, თან – ერთადერთი.

**– ძველით ახალ წელს არის თქვენი შოუ. მაინტერესებს, როგორ აღნიშნავთ ზოგადად ამ დღესასწაულს.**

– გინდა-არ გინდა, 31-ში მაინც აღნიშნავ, თუმცა, 13-ში ღამე ისე აღვნიშნავთ, როგორც 31 დეკემბერს. ბავშვობის მერე სურვილები აღარ ჩამითქვამს. ერთხელ დამხვდა ბალიშის ქვეშ კანფეტები, მიხაროდა – თოვლის ბაბუამ მომიტანა-მეთქი და იმის მერე აღარ დამხვედრია.

**– სტეფანე, ნიკას გამარჯვება ხომ არ ჩაუთქვი ახალ წელს?**

**სტეფანე**: არა, სხვა რამე ჩავუთქვი, მაგრამ, არ ვიტყვი. თუმცა, ზოგადად, მჯერა პოზიტიური ენერგიის კოსმოსში გაშვების.

**ნიკა**: როცა ადამიანი რაღაცას იჯერებს, მერე ის აუცილებად ისე იქნება – ეს ფსიქოლოგიური მომენტია, ამას უნდა მიაღწიო.

**სტეფანე**: ახალ წელს, 18 წლიდან, ქუჩაში ვარ. წელს ეს ბატონიც ასე იყო და, იმედი მაქვს, რომ მისი ცხოვრება ასე გაგრძელდება: არასდროს ეცლება ახალ წელს – ეს არის ხელოვანის ცხოვრება.

**ნიკა**: რამდენიმე წელია, 12 საათზე ვარ სახლში, მერე გავდივარ, მეკვლედ შემოვდივარ კანფეტებით, ერთ-ორ ჭიქას დავლევ: ოპ, ოპ და – გავდივარ მეგობრებთან.

**სტეფანე**: კარგი ფეხი გაქვს? წელს ჩემთან იყავი მეკვლე, ვნახოთ, რა იქნება.

**ნიკა**: წელს „რადისონში“ ვიყავი კორპორაციულ საღამოზე. ძალიან მიხაროდა, ვღელავდი კიდეც. გუშინაც შევხვდი იმ ადამიანებს და მადლობებს მიხდიდნენ: ძალიან კარგი იყოო. ერთმა მითხრა: ერთი გოგოა, შენი ფანია. აქ არ არის ახლა, საფულე დაკარგა, მაგრამ, მაინც გამოგიშვებს ესემესებსო. სცენაზე, რომ იდექი, შენთან ერთად ცეკვავდა და შენ კიდევ არ აქცევდი ყურადღებასო.

**– ეს დიდ ამბავშია...**

**სტეფანე**: პიკშია, პიკში!

**ნათია უტიაშვილი**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენია ჯარიმა გაზის ან ელექტროენერგიის აღრიცხვის გარეშე მოხმარებისთვის?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიანტის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გადაცემის ან განაწილების ქსელიდან ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსელიდან ბუნებრივი აირის დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით, გამოიწვევს გაფრთხილებას; იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევაში აქვს პოლიციელს უფლება, ადმინისტრაციული წესით დააკავოს მოქალაქე?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებს მოქალაქის დაკავება შეუძლიათ: წვრილმანი ხულიგნობის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების და დემონსტრაციების ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევის, პოლიციის მუშაკის, აგრეთვე, სამხედრო მოსამსახურის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის, ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენის ან შენახვის, ან/და, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების, ოჯახში ძალადობის ჩადენის, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის, პროსტიტუციის, საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნის, საგზაო მოძრაობის წესების, ნადირობის, თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევის და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვაგვარი დარღვევების, აგრეთვე, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**კითხვა: გთხოვთ, მომცეთ განმარტება, რას ნიშნავს პირობით მსჯავრდებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმი მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას; ასევე, შესაძლოა, მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის სანქციები შეიძლება მოჰყვეს პირობით მსჯავრდებული პირის მიერ უნებართვოდ უცხოეთში გამგზავრებას და შეიძლება თუ არა ამისათვის გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და მოხდეს თავისუფლების აღკვეთის შეფარდება?**



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მსჯავრდებულის მიერ უცხოეთში გამგზავრების ნებართვის გარეშე საქართველოს საზღვრის გადაკვეთა ან გადაკვეთის მცდელობა გამოიწვევს მსჯავრდებულის დაჯარიმებას 500-დან 1 000 ლარამდე ოდენობით, ანდა, ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

# ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## როგორ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ ბარაქა

***ნინო ვარსიმაშვილი** დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. მომავლის განჭვრეტის მისი ფენომენალური უნარის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ქალბატონი ნინო ამ საქმიანობას ეწევა. მის შესახებ ქალაქში ამბობენ, სასწაულებს ახდენსო. ამ ცნობილ ნათელმხილველს ძალიან ხშირად აკითხავენ ცნობილი პიროვნებები, თუმცა, ქალბატონი ნინო მათზე საუბარს ყოველთვის თავს არიდებს. ვინ მოთვლის ამ წლების განმავლობაში რამდენი გაქცეული ქმარი დაუბრუნა ცოლს, რამდენ იმედგადაწურულ ახალგაზრდას დაეხმარა ოჯახის შექმნაში, ბედის გახსნასა და ფინანსური პრობლემების მოგვარებაში. მადლიერი ბევრი ჰყავს, რადგან, მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში მართლაც რომ არ ჰყავს ბადალი. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუკი მას თქვენი პრობლემების მოგვარებას მიანდობთ.*

**– ქალბატონო ნინო, დღეს რას მოიცავს თქვენი ნათელხილვები?**

– ყველა იმ პრობლემას, რაც აწუხებთ ადამიანებს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ბარაქის მოზიდვასა და ეკონომიკურ პრობლემებზე; ვკურნავ შიშებს, ნევროზს. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომლებსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის; ასევე, ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან, ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ მე მომიწია წასვლა საბერძნეთსა და მოსკოვში, სადაც იმ ადამიანების თხოვნით და მიწვევით ჩავედი, ვინც ადრე ჩემი კლიენტები იყვნენ და მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს მათთან მუშაობას სატელეფონო კონტაქტით ვახერხებ.

**იზა კ-ძე** *(62 წლის, გორი):* ჩვენი გაცნობა საოცარი იყო. ჩემი შვილიშვილი ექსკურსიაზე მიდიოდა და წინა დღეებში ბაზრობაზე წავედი მისთვის სპორტული ტანსაცმლის საყიდლად. უცებ გვერდით ქალბატონი ამომიდგა და უცნაური ხმით მითხრა, არ გაუშვა, არ გაუშვაო. მე მეუბნებით-მეთქი? – ვკითხე. კიო, – დამეთანხმა, – არ იყიდო, რასაც ყიდულობ და არ გაუშვაო, – მითხრა და გამერიდა. გაოცებული დავრჩი, ვერც კი გავიაზრე, რა მითხრა, მაგრამ, მერე მოვლენები ისე განვითარდა, ყველაფერს ცხადად მივხვდი: ავტობუსი, რომლითაც ჩემი შვილიშვილის მეგობრები მთაში წავიდნენ, ხრამში გადავარდა. ჩემი ბიჭი გადარჩა, რადგან, წინა დღეს მაღალი სიცხე ჰქონდა და ექსკურსიაზე არ გავუშვით. სწორედ მაშინ გამახსენდა იმ უცნობი ქალბატონის სახე და სიტყვები. ამ ამბიდან რამდენიმე თვე იყო გასული, ერთ-ერთ გადაცემაში რომ ვნახე. მაშინვე ვიცანი. ტელევიზიიდან გავიგე მისი ვინაობა, მოვედი და მადლობა გადავუხადე გაფრთხილებისთვის. მაშინ ჩემი მეორე ქალიშვილი გასათხოვარი იყო. 40 წელს მიტანებული ქალის გათხოვება ძნელია. ბედი ჰქონდა ჩაკეტილი. ნინომ მთხოვა, შენი გოგო მოიყვანე ჩემთანო. ასეც მოვიქეცი. ორი თვეც არ იყო გასული, რომ, წვეულებაზე, სადაც ჩემი შვილი შემთხვევით მოხვდა, ძალიან კარგი მამაკაცი გაიცნო და ერთ თვეში დაოჯახდა კიდეც. სასწაული არ არის?! იმ წვეულებაზე სრულიად შემთხვევით იყო მისული, ახლა კი ისეთი ოჯახი აქვს, ამდენ მოლოდინად ნამდვილად ღირდა.

**მარინა, 40 წლის** *(ქუთაისი):* ერთ დღეს მოულოდნელად შეიცვალა ჩემი ცხოვრება: ჯერ სამსახური დავკარგე. ამას როგორმე გადავიტანდი, მაგრამ, კიდევ ერთი უბედურება დამატყდა თავს – მეუღლემ მიმატოვა და სხვა ქალთან გადავიდა საცხოვრებლად. ორი შვილით მარტო დავრჩი. საშინელი დეპრესია დამეწყო, ფიზიკურადაც ძალიან ცუდად ვიყავი. ქალბატონ ნინოსთან ახლობელმა მომასწავლა – მათ ოჯახს ფინანსური კრიზისის მოგვარებაში დაეხმარა. მაშინვე თბილისში ჩამოვედი და აქეთ გამოვეშურე. ქალბატონმა ნინომ მომცა სპეციალური თილისმები, რომლებშიც სხვადასხვა საშუალებები იყო ჩადებული. მალე ყველა პრობლემა მოგვარდა. ჩემი გაქცეული მეუღლეც დაბრუნდა სახლში და ახალი სამსახურიც ვიშოვე. ეს არის ქალბატონი ნინოს ფენომენალური უნარი, რომელიც სიტყვებით არ გადმოიცემა. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც მას ერთხელ მაინც შეხვდება!

***გსურთ, დაადგინოთ, რატომ არ გწყალობთ იღბალი? განიცდით ბოროტი თვალის ან ჯადოს ზემოქმედებას? გაწუხებთ უბარაქობა? – დაუკავშირდით ნინო ვარსიმაშვილს, ის თქვენი პრობლემების მიზეზების დადგენასა და მათ გადაჭრაში დაგეხმარებათ.***

*ქალბატონ ნინოსთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 5 99 003-006; 597 82-68-68 (ჩაწერა წინასწარ).*

**მისამართი: თბილისი, წითელწყაროს ქუჩა.**

**თამარ ჩხენკელი**

# ინტიმური საუბრები

## წელს ყველაზე ბედნიერი შობა გამითენდა

სკოლის ასაკიდან ვუყვარდი ბიჭს, რომელიც ჩვენს უბანში ცხოვრობდა. თითქმის შვიდი წელი დამდევდა კუდში, რას აღარ აკეთებდა, რომ ჩემი ყურადღება მიექცია, მაგრამ, მე ვერა და ვერ შევიყვარე, თუმცა, ნამდვილად ვხედავდი მის უამრავ ღირსებას. ხომ იცით, ნათქვამია, გულს ვერ უბრძანებო და მეც ასე დამემართა. ვიცოდი, რომ ძალიან კარგი ადამიანი იყო, წესიერი, განათლებული, მზრუნველი, მაგრამ, მე სხვანაირი ტიპრები მომწონდა – უფრო თამამი, თავისუფალი, მხიარული ბიჭები, დიტო კი თავისი ასაკისთვის ზედმეტად დინჯი და სერიოზული იყო, უფრო სწორად, ზედმეტად მორიდებული, რაც ძალიან მაღიზიანებდა.

ერთ დღეს კი, დავკარი ფეხი და ცოლად გავყევი სამი დღის გაცნობილ ბიჭს – ჩვენი მეზობლის დეიდაშვილს, რომლის შესახებაც, პრაქტიკულად არაფერი ვიცოდი. უბრალოდ, ტიპაჟი მომეწონა, თან, ვიცოდი, რომ მასაც მოვწონდი და, გარდა ამისა, მშობლებზე ვიყავი ძალიან ნაწყენი და გაბრაზებული და მათ ჯინაზეც გადავდგი ეს უჭკუო ნაბიჯი, მაგრამ, ზუსტად ერთი თვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ, თუ სასწრაფოდ არ გავშორდებოდი, შეიძლება, თვითმკვლელობამდე მივსულიყავი, რადგან, გარდა იმისა, რომ კაზინოდან არ გამოდიოდა და ძალიან ხშირად სვამდა (რის შემდეგაც ჩემ მიმართ აგრესიული ხდებოდა და ხელითაც მეხებოდა), აბსოლუტურად უვიცი და გაუნათლებელი იყო. ერთი სიტყვით, ერთ თვეში მივხვდი, რომ არანაირი გრძნობა არ მქონდა მის მიმართ და, თან, ყველაფერთან ერთად, საშიში იყო მის გვერდით ცხოვრება, რადგან, კაცმა არ იცის, მთვრალი რას მოიმოქმედებდა, შეიძლება, ძილში მოვეკალი კიდეც. ერთი სიტყვით, როგორლაც მოვახერხე, გამოვეპარე და მშობლებთან დავბრუნდი, მაგრამ, ითაკილა – ცოლმა როგორ მიმატოვაო და ჩემი დაშინება, დევნა და შევიწროება დაიწყო. მამაჩემმა ორჯერ ისე სცემა, კინაღამ შემოაკვდა, ის კი მაინც არ მანებებდა თავს. შურისძიების მიზნით კი მამაჩემს ჩაუსაფრდა ღამით სახლთან და დანით დაჭრა. ისე მძიმედ იყო, ძლივს გადავარჩინეთ.



ერთხელაც, მაღაზიიდან რომ ვბრუნდებოდი სახლში, ჭიშკართან დამეწია. ჯერ მაგინა, მერე უკანასკნელი სიტყვებით გამლანძღა და ბოლოს საცემრად გამოიწია. სწორედ ამ დროს გამოიარა შემთხვევით დიტომ და, რომ დაინახა, რა დღეშიც ვიყავი, გამოჰგლიჯა ხელიდან ჩემი თავი და სახლში შემიყვანა, თვითონ კი უკან დაბრუნდა და ისეთ დღეში ჩააგდო, ის ნაძირალა მუხლებზე დამხობილი ეხვეწებოდა პატიებას და ჰპირდებოდა, რომ ჩემს სიახლოვესაც კი აღარასდროს გაიჭაჭანებდა. არ მჯეროდა, რომ ასე მოხდებოდა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, დიტოს შიშით ის ნაგავი მართლაც აღარ გამკარებია. სამაგიეროდ, დიტომ დაიწყო ჩვენს ოჯახში სიარული და მივხვდი, რომ მის გარეშე სიცოცხლე აღარ შემეძლო.

ახალი წლის წინა დღეს დიტომ ჩემი ხელი სთხოვა მამაჩემს (რა თქმა უნდა, ჩემი თანხმობით), შობის დღეს კი ნიშნობა გვქონდა. ჯვრისწერა და ქორწილი ნათლისღების შემდეგ, იანვრის ბოლოს დავნიშნეთ. მიუხედავად ჩემი განათხოვრობისა, დიტოს მშობლებს აბსოლუტურად არ გამოუთქვამთ რაიმე უარყოფითი განწყობა ჩემ მიმართ და ძალიან თბილად მექცევიან.

წელს ყველაზე ბედნიერი შობა გამითენდა ცხოვრებაში და, მინდა, ყველა გოგოს ჩემსავით გაუმართლდეს.

**ნანი, 21 წლის.**

## შვილი 15 წლის შემდეგ გავიცანი

17 წლის რომ ვიყავი, შემიყვარდა ჩემზე 3 წლით უფროსი გოგო, რომელიც ჩემს მშობლებს, რატომღაც, არ მოეწონათ და გამომიცხადეს, ამას რძლად არ მივიღებთო. ამიტომ, ცალკე ვიქირავეთ ბინა და რამდენიმე თვე ვცხოვრობდით ერთად. მაგრამ, ძალიან გაგვიჭირდა მატერიალურად, რამაც ჯერ წვრილმანი, შემდეგ მსხვილმანი უსიამოვნებები გამოიწვია, ბოლოს კი მაგრად ვიჩხუბეთ და ერთმანეთს დავშორდით. ვიცოდი, რომ ნატო თვე-ნახევრის ორსული იყო, მაგრამ, ძალიან ლაწირაკი ვიყავი და ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, მით უმეტეს, რომ ნატომ მითხრა, შენი შვილი არაფერში მჭირდება, აბორტი უნდა გავიკეთოო. მეც, ჩემი უჭკუობით, მივახალე, რაც გინდა, ის ქენი-მეთქი და კარი გავიჯახუნე.

სხვადასხვა მიზეზისა და გარემოების გამო, 15 წლის განმავლობაში ნატოსთვის თვალი აღარ მომიკრავს, მით უფრო, რომ ბოლო ათი წელი საქართველოში არც ვიმყოფებოდი. შარშან კი, თბილისში დაბრუნებიდან ზუსტად სამი თვის შემდეგ, ვიღაც ქალმა დამირეკა და მითხრა, თქვენთან ძალიან სერიოზულ საქმეზე მინდა შეხვედრაო. რომ შევხვდით, მოზარდის (ბიჭის) სურათი მაჩვენა და მკითხა, ხომ არ გეცნობათო. რომ დავხედე სურათს, მეგონა, საკუთარ გამოსახულებას ვუყურებდი და დავიბენი. მერე იმ ქალმა მითხრა, რომ ეს ბიჭი ჩემი შვილია (ანუ, ნატოს აბორტი არ გაუკეთებია) და, ალბათ, ვერასოდეს გაიგებდით მისი არსებობის შესახებ, რომ არა ნატოს გარდაცვალებაო. ვერც კი წარმოიდგენთ, რა შოკში ჩავვარდი. ბიჭი ისე მგავდა, რომ ეჭვის შეტანა გამორიცხული იყო. ცოტა გონს რომ მოვედი, იმ ქალს ვთხოვე, ჩემს შვილთან შემახვედრე-მეთქი, რაც მეორე დღესვე შეასრულა.

თავიდან ცოტა გაგვიჭირდა ხასიათების შეწყობა, მაგრამ, თანდათან შევეგუეთ ერთმანეთს და ახლა ისეთი მამაშვილობა გვაქვს, ყველა ჩვენ შემოგვნატრის.

ნატო ძალიან მეცოდება. ცოცხალი რომ იყოს, აუცილებლად შევურიგდებოდი, თუნდაც შვილის გამო.

მართალია, ახალგაზრდა ასაკის გამო შეცდომა დავუშვი, მაგრამ, ახლა ძალიან მეამაყება, რომ ამხელა შვილი მყავს და ძმასავით მიდგას მხარში.

**ნიკა, 33 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს.
„ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78.
ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com
ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ვის გაჰყვა ცოლად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის მოადგილე ქეთი ციხელაშვილი და რისი „მსხვერპლი" გახდა მისი ქორწინება რამდენჯერმე

(მე-14 გვერდიდან)

**პირად ცხოვრებაშიც. ვინ არის თქვენი რჩეული, ვისზეც სულ ახლახან იქორწინეთ?**

– ჩემი რჩეული გახლავთ არმინ ჰუტენლოხერი. ის არის გერმანიის მოქალაქე. ჩემი პირადი ცხოვრების შეცვლა აბსოლუტურად არ უკავშირდება ჩემს საქმიანობასა და მინისტრის მოადგილის სტატუსს. ჩემს მეუღლეს ადრეც ვიცნობდი, თუმცა, არა მაშინ, როცა მე გერმანიაში ვცხოვრობდი და გერმანულ ფონდში ვმუშაობდი. უცნაურია, მაგრამ, როდესაც გერმანიას საქმიანად „დავშორდი," ჩვენი ურთიერთობებიც მაშინ დაიწყო. მას ძალიან უყვარს საქართველო, ადაპტირებულია ქართულ გარემოსათან – აქეთ ხშირად ჩამოდის ხოლმე.

**– „გადმოიბირეთ" მეუღლე თქვენს ბანაკში? თქვენ ხომ არ აპირებთ იქით გადასვლას?**

– არა, მე არ ვაპირებ გადასვლას და წასვლას, რადგან, აქ ჯერ ძალიან ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი. ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, უფრო ხშირად ის ახერხებდა ჩამოსვლას. იყო რამდენიმე ისეთი შემთხვევაც, როცა სიურპრიზი მომიწყო და სხვადასხვა ქვეყანაში ჩემი ვიზიტისას ჩამომაკითხა. რთულია დისტანცია, მაგრამ, სიყვარული საზღვრებს არ ცნობს. ამიტომ, ჩვენი ცხოვრება დიდწილად უკავშირდება მგზავრობას.

**– თქვენი მეუღლეც კონფლიქტების მოგვარებით არის დაკავებული?**

– არა, მას ჩემს საქმესთან შეხება არ აქვს, სხვა სფეროში მუშაობს.

**– გერმანელი ქმარი სახლში ადვილი ასატანია?**

– დიახ, გერმანელი ქმარი არ არის ძნელი მოსავლელი, პირიქით, ძალიან მიწყობს ხელს, თუმცა, ნერვიულობს და მგულშემატკივრობს დატვირთული გრაფიკის გამო. როცა ჩემი მეუღლე თბილისშია, არასამუშაო დროს ჩვენ სულ ერთად ვატარებთ.

**– ქორწილი უკვე გქონდათ?**

– არა, ჯერჯერობით არ გვქონია. ქორწინება ჩვენი აქტიური რეჟიმის „მსხვერპლი" ბევრჯერ გახდა და, უნდა ვაღიარო, რომ, ძირითადად, ჩემი მიზეზით. გადავდეთ რამდენჯერმე ეს ამბავი. გასულ კვირას, როგორც იქნა, მოვახერხეთ ხელის მოწერა – უკვე ოფიციალურ ქორწინებაში დავრეგისტრირდით. პატარა საქორწინო წვეულება, ალბათ, გვექნება. ამ ეტაპზე ორივეს დატვირთული გრაფიკი გვაქვს, საქორწინო სამზადისისთვის ვერ მოვიცლით, თან, გაზაფხულის უკეთეს ამინდებს დაველოდებით, მთავარია, რომ ეს ურთიერთობა შედგა, რადგან, ქალისთვის ოჯახი ძალიან ბევრს ნიშნავს.

**თამუნა სამადაშვილი**

**სახელი – ელენ-ორიენტალ, რომელიც „აღმოსავლურს" ნიშნავს, თბილისში ყველასთვის ნაცნობია სატელევიზიო პროექტებითა და „ფეისბუქით". ელენე ჩიხლაძეს, როგორც თვითონ ამბობს, ასე უმეტესწილად უცხოეთში მოიხსენიებენ, ვინაიდან, მისი გვარის წარმოთქმა ყველას უძნელდება. ის პროექტ „ნიჭიერში" სამი წლის წინ გამოჩნდა. თუმცა წლევანდელ „ნიჭიერშიც" იღებდა მონაწილეობას თავის მოსწავლეებთან ერთად და ამჯერადაც დაიმსახურა მაყურებლის დიდი მოწონება.**

# რა ვერ გააგებინა ქართველ მამაკაცებს ელენე ჩიხლაძემ და რომელ ცეკვას ველარ იცეკვებს ის

**– ელენე, წინასწარ ემზადებით სცენაზე გასასვლელად, თუ, პირდაპირ იღებთ თქვენს კოსტიუმს, რეკვიზიტებს და გადიხართ?**

– თუ უცხოეთში ფესტივალი, რამე გადაცემა ან შოუა, წინა დღეებში ვცდილობ, რამე ისეთი არ გავაკეთო, რაც უარყოფითად იმოქმედებს ორგანიზმზე, მაგალითად, ახალი წამალი არ დავლიო ან საჭმელი არ ვჭამო, ახალი ფეხსაცმელი არ ჩავიცვა, რომელიც, ვიცი, რომ აუცილებლად მატკენს ფეხს და დისკომფორტს შემიქმნის. ჩემი გამოსვლა – არ არის ჩვეულებრივი სარესტორნო გამოსვლა, ოღონდ მაყურებელი კარგ ხასიათზე დააყენე და, რაც გინდა იცეკვე. როცა საქმე ეხება დიდ სცენას, მოცეკვავე ხდება ხელოვანი და ის რამდენიმეწუთიანი ცეკვა არ არის მხოლოდ ქორეოგრაფია, ეს არის მსახიობის ოსტატობა და ქორეოგრაფია ერთად. მაყურებელი ელოდება ემოციას – გაიგო თუ არა მან ცეკვა. როგორი რთული მომენტებითაც არ უნდა იყოს დატვირთული ცეკვა, თუ ემოცია არ არის, მაყურებელი ვერაფერს გაიგებს, რა იცეკვა, რატომ გააკეთა ამდენი რთული მოძრაობა.

**– ვიცი, რომ სასცენო კოსტიუმებს თვითონ იკერავთ. რატომ გადაწყვიტეთ, ყველა სასცენო კოსტიუმი თვითონ შეგეკერათ – ფინანსური პრობლემების გამო თუ, უბრალოდ, დიდი სურვილი გქონდათ ამის? თუმცა, მიმაჩნია, რომ ესეც ცალკე ნიჭი და ხელოვნებაა.**

– ამ კოსტიუმების კერვა დავიწყე იმიტომ, რომ ძალიან ძვირი ღირდა, ანუ, სერიოზული ფინანსური პრობლემები იყო; მეორეც, ძალიან რთული იყო კარგი კოსტიუმის შოვნა, მით უმეტეს – საქართველოში. სვაროვსკის თვლებიც არ იყიდებოდა მაშინ, როცა დამწყები, თინეიჯერი მოცეკვავე ვიყავი. არაბულის გარდა, მსოფლიოს ხალხების ცეკვებს ვასრულებდი და ბევრად მეტი ნაჭერი და გასაწყობი მასალა მჭირდებოდა. მაშინ ინტერნეტით შეძენაც არ ხდებოდა და პრინციპში, ერთადერთი გამოსავალი იყო, თვითონ შემეკერა. იცით, ინტერნეტში არის ბევრი საცეკვაო ფორუმი სადაც, მოცეკვავეები ერთმანეთს სწერენ კოსტიუმის დიზაინზე, ქორეოგრაფიაზე, მუსიკაზე, ფესიტივალებზე, აზრს უზიარებენ და აბსოლუტურად ყველა ფორუმზეა ასეთი თემა – კოსტიუმების პლაგიატი. ძალიან ცუდ ტონად ითვლება, თუ ძალიან ცნობილი მოცეკვავე, სხვა მოცეკვავეს ცეკვის რაღაც ილეთს ან კოსტიუმის დიზაინს მოჰპარავს. რამდენიმე კვირა ვიჯექი ამა თუ იმ კოსტიუმის დიზაინზე, ძალიან ვცდილობდი, მაგარი გამოსულიყო, ყველა დეტალზე ვიფიქრე, შევკერე, მერე არ მომეწონა და გადავაკეთე. მერე ვიღაცამ ნახა და ზუსტად იგივე შეაკერინა. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, მოეწონათ და უთხოვიათ ჩემთვის – ძალიან მომწონს თქვენი კოსტიუმი და, თუ შეიძლება, ასეთი რომ შევიკეროო. კი ბატონო, არ მაქვს პრობლემა, მაგრამ, როცა ეს დაუკითხავად ხდება, მაშინ, ბუნებრივია, ვბრაზობ. ერთმა მოცეკვავემ შეაკერინა კოსტიუმი, რომელიც ძალიან ჰგავდა ჩემსას. მე პირდაპირ მივწერე: ან ახლავე მოიხდი ბოდიშს და დაწერ, ვის ეკუთვნის ამ კოსტიუმის იდეა, ან სხვანაირად დაგელაპარაკები-მეთქი, მით უმეტეს, ეს მოცეკვავე ცხოვრობს ევროპაში და ძალიან კარგად იცის, რა არის საავტორო უფლებები. ეგრევე მომწერა – ბოდიშს გიხდითო.

**ძალიან მინდა, ერთხელ და სამუდამოდ მიხვდეს ქართველი მაყურებელი, რომ ეს არის არაბული ცეკვები და არა მუცლით ცეკვა მხოლოდ მამაკაცების სიამოვნებისთვის**



**– ფაქტობრივად, თქვენ ხართ პირველი, ვინც საქართველოში აღმოსავლური ცეკვების შესრულება დაიწყო. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ევროპელობაზე, ქართველ კაცებს მთელი ყურადღება არა ცეკვაზე, არამედ, სხეულზე გადააქვთ – როგორ ამოძრავებს თეძოებს, მკერდს, მუცელს, საჯდომს...**

– ჯერ ერთი, ძალიან მინდა, ერთხელ და სამუდამოდ მიხვდეს ქართველი მაყურებელი, რომ ეს არის არაბული ცეკვები და არა მუცლით ცეკვა მხოლოდ მამაკაცების სიამოვნებისთვის. ქართველი მამაკაცები ასევე დიდი სიამოვნებით უყურებენ ლათინურ-ამერიკულ ცეკვებს და, ასევე სხვა ცეკვებსაც, იმიტომ, რომ ლამაზი ქალი ყველგან არის ლამაზი ქალი. როგორც არაბები ვერ ხვდებიან ქართულ ცეკვებს და ჰგონიათ, რომ მოცეკვავეები დადიან, ისე ვერ გავიგებთ, ალბათ, კარგა ხანს, რა არის არაბული ცეკვა. ერთი არაბი უყურებდა ქართულ ცეკვას და მკითხა, რატომ არ ცეკვავენ ეს გოგო და ბიჭი, მარტო დადიანო. გეფიცებით, ყბა ჩამომივარდა გაოცებისგან. როგორ არ ცეკვავენ, აბა, კარგად შეხედეთ-მეთქი. მე არც პოპულარობა მინდა, არც არაფერი, უბრალოდ, არ მინდა, ქართველმა მაყურებელმა იფიქროს, რომ არაბული ცეკვა არის იაფფასიანი, არასერიოზული და სარესტორნო ცეკვა. სინამდვილეში, ეს არის მსოფლიოში აღიარებული ხელოვნება, ამ ცეკვას ყველგან დიდ პატივს სცემენ. ჩვენ ხომ გვინდა ევროპა, ევროპაში კი არაბული ცეკვა ითვლება დიდ ხელოვნებად, რომელიც გამოირჩევა თავის ყველაზე რთული საშემსრულებლო მანერით, ისევე, როგორც, ვთქვათ არგენტინული, ოღონდ, არგენტინული ტანგოს შესასწავლად ბავშვები არ შეჰყავთ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, რადგან, არგენტინული ტანგო უფრო ეროტიკული და სექსუალურია. როცა მირეკავენ და მეკითხებიან: თქვენ მუცლის ცეკვებს ცეკვავთ? ვპასუხობ, რომ მე ვცეკვავ არა მუცლის ცეკვას, არამედ, არაბულ, ეგვიპტურ, თურქულ, ლიბანურ, ასევე არაბულ-ესპანურ ცეკვებს.

**– ისევ მამაკაცებზე მინდა გკითხოთ: ცეკვის შემდეგ არ მოდიან და არ გთხოვენ, ერთმანეთი გავიცნოთ, თქვენი ტელეფონი მომეცითო?**

– ასეთი შემთხვევები მქონდა ძალიან ადრე – რვა, ათი წლის წინ. როცა სარესტორნო სისტემაში ვიყავი, არ მქონია არც ერთი სერიოზული ჩხუბის შემთხვევა; მაქსიმუმ, ცდილობდნენ, ჩემზე რამე ინფორმაცია გაეგოთ ან ტელეფონის ნომერი – ეს ჩვეულებრივი მომენტია. იყო შემთხვევები, როცა მოდიოდა ხალხი და მეუბნებოდა: გმადლობთ, მე შემეცვალა აზრი არაბული ცეკვების მიმართ თქვენი წყალობით. ხშირად მიწვევენ ქორწილში ან დაბადების დღეზე. მე ვეუბნები – არ შემიძლია, თუ გნებავთ, ვინმე სხვას გამოგიგზავნით-მეთქი, მაგრამ, ამაზე უარს ამბობენ. იციან, მე რომ გამოვალ სცენაზე, არ შერცხვებიან სტუმრების წინაშე ჩემ გამო, რადგან, მე არ ვიქნები ვულგარული. ცეკვის დროს არ ვაკეთებ აქცენტს ჩემს ქალურობაზე, მე ვცდილობ გავაკეთო აქცენტი იმაზე, რომ ვარ კარგი მოცეკვავე. ვისაც უნდა სექსისა და ეროტიკის დანახვა, ბალეტშიც ნახავს ამას.

**– თქვენი ცეკვები ყველა ცეცხლოვანია ჩქარ ტემპში, ლამაზადაა გაფორმებული. გაქვთ ისეთ ცეკვაც, რომელიც ცოტა ნელი, სადა და უფრო მოხდენილია?**

– მოსკოვის ფესტივალზე ვიცეკვე და ვამაყობ, რომ, ამ მუსიკის კომპოზიტორმა ვიდეო ნახა და დიდი წერილი გამომიგზავნა – ძალიან მოეწონა, რომ მე გავაცოცხლე მისი კომპოზიცია. ეს ადამიანი სტინგთან მუშაობდა და ახლა შაკირას უკეთებს არანჟირებას. ბევრი ალბომი აქვს გაკეთებული. ეს იყო სევდიანი კომპოზიცია და კოსტიუმიც და მაკიაჟიც მქონდა ძალიან სადა და უბრალო – თეთრ კაბაზე მოსხმული შავი ნაქსოვი შარფი, ესპანურ სტილში. სხვათა შორის, იმდენად რთული კომპოზიცია იყო, რომ მას მერე ვერ შევძელი ცეკვა. სულ ორჯერ ვიცეკვე და ცეკვის მერე სცენიდან ოთახში რომ ვბრუნდებოდი, ისეთ სევდასა და გულისტკივილს ვგრძნობდი, ვერ წარმოიდგენთ. არადა, მე არ მქონდა ცხოვრებაში ის გადატანილი, რასაც ის ქალი იმ სიმღერაში მღერის. მესამედ რომ

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

**მსახიობი ეკა ჩხეიძე, ახალ წელს ყოველთვის ამაღლებული განწყობით ხვდება და სჯერა, რომ მომავალი უკეთესი იქნება, ვიდრე გასული წელი იყო. გასული გველის წელიწადი, ეკასთვის, შემოქმედებითად, ნამდვილად წარმატებული აღმოჩნდა. მან სამი პრემიერა ითამაშა თეატრში და საკმაოდ დადებითი შეფასებებიც დაიმსახურა. თუ როგორ შეხვდა ცხენის წელს ის, რატომ აქვს კარგად დაცდილი გარეთ ახალი წლის შეხვედრა და რა ტრადიციას აგრძელებენ მედეა ჩახავას შთამომავლები, ამაზე თავად ეკა მოგიყვებათ.**

# რაში „გადაახტა" გენეტიკა ეკა ჩხეიძეს და როგორ გადარია ახალ წელს თავისი საფირმო საცივით მექსიკელები მედეა ჩახავამ

**ეკა ჩხეიძე**: გასული, გველის წელიწადი ძალიან კარგი და ნაყოფიერი იყო ჩემთვის, რადგან სამ სხვადასხვა რეჟისორთან, სამი პრემიერა ვითამაშე და მაყურებლის ოვაციითა და გაყიდული ბილეთების რაოდენობით ვხვდები, რომ სამივე სპექტაკლი წარმატებული აღმოჩნდა. ეს ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვერ გეტყვით ეს გველის ბრალი იყო თუ არა, მაგრამ კარგი წელი რომ დავცადე, ფაქტია ***(იცინის).*** ზოგადად, არაფერს ვგეგმავ წინასწარ, რისიც მჯერა, რომ აუცილებლად გამომივა, გამომდის, ხოლო, რაშიც ეჭვი მეპარება, მას ვცდილობ, გვერდი ავუარო. თან, ჩემს შვილს ძალიან უნდოდა უცხოეთში წასვლა, იქ სწავლის გაგრძელება და ესეც გველის წელში მოხდა. დღეს რომში სწავლობს, ინტერიერის დიზაინზე და მის გარეშე შევხვდით ოჯახი ამ ახალ წელს. ასე რომ, მთავარია, მისი ოცნება ახდა, ბედნიერია და ანანოს გარეშე შევხვდი ახალ წელს.

**– სპექტაკლში „მთვრალი ალუბალი" სექსუალური ქალის იმიჯი გაქვს და საკმაოდ დიდი წარმატებები მოგიტანა მან. ეს როლი როგორ მოირგე?**

– ვაიმე, ყველა სპექტაკლში ასე მხდიან და ვხუმრობ ხოლმე: რა მოსწონთ, ნეტავ, ამ გახდილი ეკასი-მეთქი ***(იცინის).*** ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვიყო საჭირო და ამას ვგრძნობ. ვერ ვიტან სახლში უსაქმურად ჯდომას. ეს მკლავს და ნამდვილი გიჟი ვარ. არაფრის კეთება მღლის და დეპრესიაში მაგდებს. თუმცა, მსახიობის ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ასეთი არასტაბილური პერიოდებიც დგება. ხან სამ რეპეტიციაზე ერთად გავრბივარ, ღამეებს ვათენებ და ხან ძილის პერიოდი მეწყება. საშინლად არ მიყვარს ეს ძილის პერიოდები.

**– პირად საუბარში აღნიშნე, ამ ახალი წლისთვის ადრე დავიწყე მზადება და ნაძვის ხეც ნაადრევად დავდგიო. ამ მზადებაში ვინმე გეხმარებოდა?**

– ნამდვილად ასეა. დადგა თუ არა დეკემბერი, საახალწლო განწყობა შევიქმენი. პირველ დეკემბერს დავდგი სახლში ნაძვის ხე. ძალიან მიყვარს ნაძვის ხე და დიდ სიამოვნებას მანიჭებს მისი გაწყობა ფერად-ფერადი სათამაშოებით. ახალი წელი კი ყველაზე გამორჩეულად საყვარელი დღესასწაულია ჩემთვის. მე და ჩემი გოგონა, ყოველთვის ერთად ვაწყობდით ნაძვის ხეს, მაგრამ წელს ეს მარტოს მომიწია. შარშან, პრაღაში ვიყავი და იქ ვნახე ნაძვის ხის მოსართავი ყვავილები. საკმაოდ მეძვირა და ვერ ვიყიდე. მერე ვინანე და ამოვიჩემე, აუცილებლად ასეთი ყვავილებით მოვრთავ ნაძვის ხეს მომავალში-მეთქი. წელს ეს ოცნება ავიხდინე, გავიმეტე ფული და ჩემი მწვანე ნაძვის ხე, მხოლოდ თეთრი ყვავილებით მოვრთე. ასე რომ, სახლში აყვავებული ნაძვის ხე მაქვს და მინდა, ასეთი აყვავებული იყოს ეს წელიწადიც ***(იცინის).*** თან, პატარა ცხენის კულონი მაჩუქეს თვლებით გაწყობილი, მასაც დავიკიდებ გულზე და სურვილებიც ამიხდება.

**– ეკა, ყოველ ახალ წელს ქუჩაში ხვდები. ასე რატომ იქცევი, კარგად გაქვს დაცდილი თუ ახალი წლის გარეთ დახვედრა რაიმე ფაქტს უკავშირდება?**

– სულ თავიდან რომ დამკვიდრდა კონცერტი და ახალი წლის ქუჩაში შეხვედრა, პირველივე წელს, მე და დუტას მიგვყავდა კონცერტი და ახალ წელს ქუჩაში შევხვდით. ის წელი, ძალიან კარგად დავცადე და ჩემი შვილი დათაც იმ წელს გაჩნდა. არ დამავიწყდება, ერთხელ მიხეილ ცაგარელმა გამოაცხადა ტელევიზიით, წელს კარგია ახალი წლის დახვედრა ხიდზეო. მოვკიდე ჩემს ბიჭს ხელი და მოვქოქე მანქანა. დედაჩემი და ჩემი ქმარი გადაირივნენ, სად მიდიხართ ახალი წელი საცაა დადგებაო ***(იცინის).*** მოკლედ, არავის არაფერი ვუთხარი და გავვარდი „შუშის" ხიდზე. იმდენი ხალხი დაგვხვდა, ვერ გავბედე მასზე დადგომა. ვიფიქრე, სიმძიმეს ვერ გაუძლებს და არ ჩაინგრეს-მეთქი. ადგილიც არ იყო დასადგომი. მოვაბრუნე მანქანა და მარჯანიშვილის ხიდზე დავხვდი ახალ წელს. მოკლედ, რაც ჩემი ბიჭი გაჩნდა, იმის მერე სულ გარეთ ვხვდები ახალ წელს და არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი. სხვათა შორის, ჩემი დათა ცხენის წელშია დაბადებული, გარეთ შევხვდით ახალ წელს და მეკვლეებიც ჩვენ ვიყავით. ასე რომ, საკუთარი ცხენიც სახლში მყავს და კარგი მეკვლეებიც თავად ვართ ოჯახისთვის.

**– ყველაზე მეტად, რომელი საახალწლო საჩუქარი გახსენდება, რომელიც ნაძვის ხის ქვეშ დაგხვდა და ოცნება აგიხდა?**

**წელს ოცნება ავიხდინე, გავიმეტე ფული და ჩემი მწვანე ნაძვის ხე, მხოლოდ თეთრი ყვავილებით მოვრთე**

– თოვლის ბაბუის არსებობას ახლაც დავიჯერებ, თუ მოვა და მომიტანს საჩუქრებს ***(იცინის).*** ჩემი შვილი, რვა წლის იყო თოვლის ბაბუის არსებობაში ეჭვი რომ შეიტანა. ავუხსენით, თოვლის ბაბუას მეილზე ვუგზავნით წერილს და ფულსაც ვურიცხავთ, რომ საჩუქარი გიყიდოს. აბა, ამდენი ფული სად აქვს, უბრალოდ, ჩვენი გაგზავნილი ფულით, იმას გიყიდის, რასაც დაუწერო. მოკლედ, დაუწერა ველოსიპედი მინდაო. ჰოდა, მამამისმა დიდი ველოსიპედი უყიდა და სახურავიდან, აივანზე ჩამოკიდა. გახდა 12 საათი, გავვარდით აივანზე და რომ დაინახა სახურავიდან გადმოკიდებული ველოსიპედი, გაოცდა ***(იცინის).*** ჩვენ კიდევ ვყვიროდით: უი, ალბათ, თოვლის ბაბუამ გადაუფრინა სახლს და გადმოკიდა ეს საჩუქარი, ეჩქარებოდა და სხვაგან გაფრინდაო. ჩემი ბიჭი მოგვიბრუნდა და აუღელვებლად მოგვახალა: კი მაგრამ, კარიდან ვერ შემოიტანდა, ამდენი რომ არ ეწვალაო ***(იცინის).*** მე და ჩემს ქმარს კი გვეგონა,



**ერთ წელს, მიხეილ ცაგარელმა გამოაცხადა ტელევიზიით, წელს კარგია ახალი წლის დახვედრა ხიდზეო. მოვკიდე ჩემს ბიჭს ხელი და მოვქოქე მანქანა. იმდენი ხალხი დაგვხვდა „შუშის" ხიდზე, ვერ გავბედე მასზე დადგომა**

რომ თოვლის ბაბუის ზღაპარი და სახურავზე გადაფრენები, დიდხანს გაგრძელდებოდა ჩვენს ოჯახში. სხვათა შორის, ერთხელ ნაძვის ხის ქვეშ თოვლის ბაბუამ მე ბინის ორდერი დამახვედრა, მეორე წელს, მანქანის გასაღები. ახლა ცოტა გაკოტრდა და იმიტომ ვამბობ, ოღონდ მოვიდეს და ვიწამებ მის არსებობას მეთქი ***(იცინის).***

**– ამბობენ, ბედობა დღეს, როგორი განწყობითაც შეხვდები, ისეთი განწყობა დაგებედება მთელი წელიო. ამ დღეს როგორ ხვდები, რაიმე შენეული ტრადიცია ხომ არ გაქვს?**

– 2 იანვარს, ბედობა დღეს, ტრადიციად გვაქვს მედეა ჩახავას შთამომავლებს, ერთად შეკრება. ოღონდ, არ მკითხოთ რამდენი ვართ ***(იცინის).*** ეს მედიკოს ტრადიცია იყო, იშლებოდა დიდი სუფრა, ყველანი საჩუქარებს ვცვლიდით. ერთად შეხვედრა ბედობა დღეს, საჩუქრების გაცვლა, ქეიფი და ფოტოს გადაღება – ეს ტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ მედეა ცოცხალი აღარ არის, მაინც გრძელდება და ყოველ წელს ფოტოზე ნამატით ვართ. ეს ტრადიციული ფოტოები კი ოჯახურ ალბომში ინახება. თუ ვინმე აკლია, მის სახელს ვაწერთ ***(იცინის).*** ასე რომ, მედიკოს შემდეგ, მაკა აგრძელებს ამ ტრადიციას.

**– მართალია, რომ მედეა ჩახავა არაჩვეულებრივი კულინარი იყო და მის მიერ გაკეთებულმა საცივმა მექსიკელები შოკში ჩააგდო?**

– მედეა ჩახავა არაჩვეულებრივი კულინარი იყო. ისეთ საცივს, აჩმას და ნამცხვრებს ამზადებდა, ეს უნდა გაგესინჯათ. მისი საფირმო აჩმა-ხაჭაპური, მისი სავიზიტო ბარათი გახლდათ. ერთხელ ვუთხარი, აჩმის გაკეთება მაინც მასწავლე-მეთქი. დამთანხმდა, დავიჭირე პასტა, ფურცელი და დავიწყე ჩაწერა. ცოტა ხანში, ამომხედა და მითხრა: რატომ მაწვალებ, ხომ ვიცი, შენ ამის გამკეთებელი არ ხარო ***(იცინის).*** მართლა არ მიყვარს სამზარეულოში ტრიალი და რა ვქნა? ჩემს შვილს გამოჰყვა გენეტიკურად მისგან გემრიელობების კეთება, მე კი ვხუმრობ ხოლმე, გენეტიკა გადამახტა ამ მხრივ-მეთქი ***(იცინის).*** რაც შეეხება საცივს, მედეა გასტროლზე იყო თეატრიდან მექსიკაში. ახალი წლის დღეებში, არ დაეზარა, წასულა, უყიდია საცივის ინგრედიენტები, თავისი სუნელ-საკაზმებით და გაუკეთებია საცივი. მექსიკელები გადარეულან თურმე, ისე მოსწონებიათ.

**ნონა დათეშიძე**



# რისგან არის დაზღვეული ქალი, რომელიც სიყვარულით კი არა, ანგარიშით თხოვდება

**სიყვარული ყველა ადამიანს სჭირდება. ზოგისთვის ეს გრძნობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მაშინ, რატომ ხდება ისე, რომ სიყვარულით შეუღლებულ წყვილს ოჯახურ ცხოვრებაში პრობლემები უჩნდება. ვეღარ პოულობენ საერთო ენას და ხმაურიანი სკანდალებით შორდებიან. იქნებ პარტნიორის შერჩევისას აქცენტი სხვა რამეზე უნდა გავაკეთოთ? მაგალითად, გონებით კარგად ავწონ-დავწონოთ: ვინ იქნება ჩვენთვის შესაფერისი პარტნიორი; ვისთან ვიქნებით ბედნიერები და ვინ შეძლებს ჩვენთვის მშვიდი, სტაბილური ცხოვრების უზრუნველყოფას. მართალია, სიყვარული ჭეშმარიტად ძლიერი გრძნობაა და ჩვენს ყოველდღიურობას ჯადოსნურ ფერებს სძენს, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათად არის მარადიული. ისეც ხდება, რომ ერთ დროს უზომოდ შეყვარებული დანანებით ვამბობთ: ნუთუ ეს ადამიანია ის, ვინც შემიყვარდა?!**

თეა *(36 წლის)*: ყოველთვის ძალიან პრაგმატული ვიყავი. თინეიჯერობის ასაკშიც კი არ ავყოლივარ ემოციებს და მეღიმებოდა ჩემს თანატოლებზე, რომლებიც შეყვარებულების გამო ღამეებს ათენებდნენ... ცრემლსაც ღვრიდნენ და ნერვიულობდნენ.

**– ანუ, თავიდანვე გქონდათ გადაწყვეტილი, რომ სიყვარულით არ გათხოვდებოდით?**

– ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. ცხოვრება სიურპრიზებითაა სავსე. როგორ შეიძლება, საკუთარ თავს წინასწარ გადაუწყვიტო რამე, როცა წარმოდგენა არ გაქვს, ხვალ რა გელოდება. იმის თქმა მინდა, რომ ყოველთვის მებრალებოდნენ კაცზე უზომოდ შეყვარებული ქალები. ასეთები ჩემ გარშემო დღესაც მრავლად არიან. მათი ცხოვრება ნამდვილად არ არის ნათელი ფერებით აღსავსე.

**– იმის თქმა გინდათ, რომ სიყვარულით გათხოვილი ქალი ყველა უბედურია?**

– არა. ამას ნამდვილად არ ვიტყვი, თუმცა, შემიძლია ვთქვა და აგიხსნათ კიდეც, რატომ არის ყველა, სიყვარულით გათხოვილი ქალი დაჩაგრული. ვიცი, რომ შემეკამათებით და გაიმეორებთ ნაცნობ, ძალიან ბანალურ ფრაზას: როგორ შეიძლება იცხოვრო კაცთან, რომელიც არ გიყვარს? ძალიან კარგადაც შეიძლება. სხვათა შორის, ამას ისინი ამტკიცებენ, ვისაც იმ საყვარელ კაცთან ყოველდღიური „დაკა-დაკა“ აქვს. ზოგადად, რა არის სიყვარული? რატომ არის აუცილებელი, ბოდავდე ვინმეზე და ჭკუას კარგავდე? ასეთი არარაციონალური გრძნობა ვერაფრით იქნება დღეგრძელი. ოღონდ, სწორად გამიგეთ. ნამდვილად არ ვიბრალებ ურთიერთობის ექსპერტობას. ვერც ვინმეს ჭკუის დამრიგებლად გამოვდგები. ყველას თავისი ჭკუა აქვს და ნებისმიერი გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოს. საკუთარ შეცდომებზეც ვერ სწავლობ ზოგჯერ და სხვისი ცხოვრება მაგალითად ვერ გამოდგება. მე, უბრალოდ, იმდენი ფაქტი დამიგროვდა და ისე თვალნათლივ დავინახე რაღაც-რაღაცეები, რომ მივხვდი: ქალს, როცა კაცი ძალიან უყვარს, ის უკვე წაგებულია.

**– ეს მაშინ, როცა კაცს ნაკლებად ან საერთოდ არ უყვარს.**

– ვერ დაგეთანხმებით. რომც უყვარდეს, საკმარისია, დაინახოს, რომ ქალს უზომოდ უყვარს, ეგრევე იცვლის განწყობასაც და დამოკიდებულებასაც. ეტყობა, ეს კაცის ბუნებაა ასეთი. იმიტომ რომ, ბევრი ქალზე გადარეული კაცი მინახავს, რომელსაც მიზნის მიღწევის შემდეგ, საერთოდ დაუკარგავს აზარტიც და ინტერესიც.

**– თქვენ სიყვარულზე არ საუბრობთ.**

– მე იმაზე ვსაუბრობ, რასაც ჩვენ ვეძახით სიყვარულს: აივანთან სერენადების სიმღერას, უკან დევნას, ნერვიულობას, სიურპრიზების კეთებას... თქვენც ხომ ხვდებით, მე რასაც ვგულისხმობ. ზოგადად, იშვიათია მამაკაცი, რომელსაც ქალის მხრიდან სიყვარული თავში არ უვარდება და ბოროტად არ სარგებლობს ამით. ყურადღებას აღარ აქცევს, ეგრევე ცივდება და ნაშებში იწყებს სირბილს. მით უმეტეს, თუ ცოლადაც დაიგულა და გამოკეტა სახლში. მე ვერ ვხსნი ამ ყველაფრის მიზეზს, მაგრამ, თუ კაცი ცოლთან ურთიერთობაში მუდმივად დაძაბული არ არის, მის მიმართ ინტერესს კარგავს. ამიტომაც, არასოდეს ვუსმენდი ჩემი გულის ხმას. მომწონებია კაცი, ძალიან მომწონებია, მაგრამ არ მიმიცია საკუთარი თავისთვის მისი შეყვარების უფლება. როგორც უკვე ვთქვი, სიყვარულისგან უფრო მეტს კარგავ, ვიდრე იძენ.

> **ყოველთვის მებრალებოდნენ კაცზე უზომოდ შეყვარებული ქალები**

**– სიყვარული ხომ ბედნიერებაა...**

– ჩემთვის არა. ახლა ერთ რაღაცას გეტყვით: ჩემთვის გაცილებით ნაკლებად მტკივნეულია ღალატი იმ კაცის მხრიდან, რომელიც არ მიყვარს, ვიდრე იმისგან, ვისაც ვაღმერთებ.

**– გიღალატათ ქმარმა?**

– არა. საერთოდ ვხსნი სიტუაციას. თქვენ ცუდი მოპყრობა ვისგან უფრო გეწყინებათ და გეტკინებათ, უცხოსგან თუ შინაურისგან?

**– ალბათ, შინაურისგან.**

– ალბათ კი არა, შინაურისგან უფრო მტკივნეულია. სწორედ ამის გამო, ვირიდებდი სიყვარულს თავიდან. ვამბობდი, იმ კაცის ცოლი გავხდები, რომელიც მაქსიმალურ კომფორტს შემიქმნის და უზრუნველ ცხოვრებას მაჩუქებს, რატომ უნდა შევიყვარო ვიღაც და თავზე დავისვა-მეთქი. შენი მომავალი საღ გონებაზე უნდა დაგეგმო და დაალაგო. ჩემი მაგალითით გეტყვით, რომ ეს იდეალური ვარიანტია. სიყვარულის ეიფორია მხოლოდ წიგნებსა და ფილმებშია კარგი. სენტიმენტებს რეალურ ცხოვრებაში უსიამოვნებების გარდა, სხვა არაფერი მოაქვს. საკმაოდ მხიარული, კომუნიკაბელური, მიზანდასახული ადამიანი ვარ. რასაც ვინდომებ, იმას ვაღწევ კიდეც. მინდოდა ახლა, სიყვარულს ჩემი ცხოვრება თავდაყირა დაეყენებინა და ჩიხში შევეყვანა? ჩემი ორი მეგობარი დიდი გრძნობით გათხოვდა. ჭკუას მარიგებდნენ, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობსო და აღმერთებდნენ საკუთარ ქმრებს. დღეს ორივე განქორწინების პირასაა. დანახვა არ უნდათ თავიანთი ძვირფასი „ღმერთკაცების“. ეშინიათ ხვალინდელი დღის. ერთმა ღალატი აპატია დიდი სიყვარულის გამო და ათი კილო დაიკლო ნერვიულობით. მეორეს სცემს, სიმთვრალეში რომ წამოუვლის და მაინც უთმენს – უყვარს და რა ქნას?! ერთი სიტყვით, მე არ მიყვარს ჩემი ქმარი და ვარ ბედნიერი. მშვენივრად ვცხოვრობ მასთან. რომც დადგეს ისეთი მომენტი, რომ ჩვენი ურთიერთობა ჩიხში შევიდეს, გავშორდებით და დეპრესიაშიც არ ჩავვარდები – გავულებ კარს და გავუშვებ. რომ მიყვარდეს, მაშინ ჩემთვის ეს ქვეყნის აღსასრული იქნებოდა. მაგრამ ახლა ამ მხრივ დაზღვეული ვარ. რით არის ცუდი?

**– სიყვარულს მაინც აქვს განსაკუთრებული ხიბლი.**

– კარგი რა! – საერთოდ ვერ წარმომიდგენია საკუთარი თავი სიყვარულით შეპყრობილი. ჩემმა ქმარმა იცის, რომ მისი გულისთვის თავს არ მოვიკლავ, ამიტომაც მიფრთხილდება. როცა ერთმანეთი გავიცანით, მაშინვე გაუჩნდა ჩემ მიმართ გრძნობა. გამომკითხა: რა მაინტერესებდა ცხოვრებაში, რა მახარებდა, რა მეწყინებოდა... ერთხელ ვუთხარი, თუ ასე ძალიან მოგწონვარ, დამიმტკიცე-მეთქი და საოცარი რაღაც ჩაიდინა, ისეთი სიურპრიზი მომიწყო, თან მართლა გულით გააკეთა, რაც გააკეთა.

**– ანუ, სიყვარული საჭირო ყოფილა და სასარგებლოც.**

– რა თქმა უნდა, ოღონდ, როცა ის მამაკაცის მხრიდან მოდის. ქალი იჩაგრება სიყვ-

# სუმსკის მხარეში მცხოვრები შვილი მამას საქართველოში ეძებს

*ნატალია ივანეს ასული მიციკი ეძებს 70 წლის რეზო ხუჯაძეს.*

**ისტორია**: ვეძებ მამას, 1943 წელს დაბადებულ რეზო ხუჯაძეს. მამა არასდროს მინახავს. ჩემი არსებობის შესახებ კი მან დედასგან იცის. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ დაახლოებით 1964-1965 წლებში ის წყალტუბოს კურორტზე მუშაობდა. ამჟამად მამაჩემი უკვე 70 წლის უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, მას ჰყავს შვილები და შვილიშვილებიც. ძალიან მინდა მათი გაცნობა. პირადად მე მამისგან არაფერი მინდა, გარდა იმისა, რომ ვიცნობდე და ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვნახო. ვცხოვრობ რუსეთში და მისი მოძებნა აქამდე ვერაფრით ვერ მოვახერხე. სამწუხაროდ, არც მისი მისამართი ვიცი და არც ტელეფონი. ჩემთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ის საქართველოში უნდა ცხოვრობდეს.



**– როგორ დაკარგეთ მამა-შვილმა ერთმანეთი?**

– ჩემმა მშობლებმა, დედამ (ანა გალინამ) და მამამ (რეზო ხუჯაძემ) ერთმანეთი 1963 წელს გაიცნეს. მაშინ მამაჩემი სამხედრო სამსახურს სუმსკის მხარეში გადიოდა. ის და დედა ერთ სასადილოში მუშაობდნენ და იქ გაიცნეს ერთმანეთი. ჩემი დაბადების შესახებ მამამ დედასგან იცის. ჩვენ ერთმანეთი არასდროს გვინახავს. რა თქმა უნდა, მესმის, რომ მას თავისი ოჯახი და ცხოვრება აქვს, მაგრამ, ძალიან მინდა, გავიცნო. იმედი მაქვს, რომ საქართველოში, რომელიც ძალიან მომწონს, მყავს ნახევარდძმები. მამასგან მე არაფერი მინდა მისი გაცნობის გარდა. ახალგაზრდობაში შეცდომა ბევრს მოსდის, შვილებმა კი, ჩემი აზრით, არ უნდა აგონ პასუხი მშობლების შეცდომებზე. მაქვს მამის მხოლოდ ერთი ფოტო, ისიც საკმაოდ ცუდი ხარისხის, მაგრამ, სხვა სურათი არ გამაჩნია.

**– მამის მოძებნა როდის ან როგორ გადაწყვიტეთ.**



– ყოველთვის მაინტერესებდა მამაჩემის გაცნობა და ალბათ, ეს, ბუნებრივიცაა. პატარა რომ ვიყავი, მეგონა, რომ მამას არ ვჭირდები და ამიტომ არ მიკავშირდებოდა. მაგრამ, დროთა განმავლობაში სიბრაზემ გამიარა, უფრო სწორად კი, მამის გაცნობისა და ნახვის სურვილმა სძლია და, გადავწყვიტე, მომეძებნა მამაჩემი. ვერ ვიტყვი, რომ ცხოვრებაში რამე მაკლდა, დედამ რაც შეძლო, ყველაფერი გააკეთა ჩემთვის. მყავს მამინაცვალი და ჩვეულებრივად ვცხოვრობ, მაგრამ, ძალიან მაინტერესებს, მყავს თუ არა ნახევარდძმა, როგორები არიან ისინი. არა მგონია, მამაჩემს ეწყინოს ჩემი გამოჩენა; მე ხომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, მისგან არაფერს ვითხოვ, უბრალოდ, მინდა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვნახო ეს ადამიანი და გავიცნო.

**– დედამ თუ იცის, მამას რომ ეძებთ და რა რეაქცია აქვს მას ამ საკითხთან დაკავშირებით?**

– დედამ იცის, მამის პოვნა რომ მინდა და წინააღმდეგი არ არის. პირიქით, მასაც უნდა, რომ მე მოვძებნო მამა და ვიცნობდე მას. არ ვიცი, მამას ოჯახმა იცის თუ არა რამე ჩემ შესახებ, მაგრამ, იმედია, მათ ჩემი გამოჩენა გაუხარდებათ. პირადად მე გამიხარდებოდა. იმას რა ჯობია, როცა გაიგებ, რომ სადღაც ნახევარდძმა გყავს და მას შენი გაცნობა უნდა?!

**– მამის პოვნის შემთხვევაში, თუ რა თქმა უნდა, ისიც თანახმა იქნება, აპირებთ თუ არა მასთან შეხვედრას?**

– ძალიან მინდა, ვნახო მამაჩემი. თუკი ყველაფერი გამოვიდა და მე ის ვიპოვე, ჩემთვის პირველი მიზანი მასთან შეხვედრა იქნება. არ ვიცი, გამომივა თუ არა ეს ყველაფერი, მაგრამ, ვეცდები, რომ ვნახოთ ერთმანეთი. ხოლო, თუ არ გამოგვივა შეხვედრა, მაშინ, სატელეფონო ან ინტერნეტით კავშირი ხომ მაინც გვექნება! ჩემთვის ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. იმედია, ის კარგად და ჯანმრთელად არის.

*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით, ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

არულისგან – ამას ვამბობ, თორემ კაცს ქალი უნდა უყვარდეს და აღმერთებდეს. ცოლები ისედაც ვიჩაგრებით ოჯახში და ამას სიყვარულიც თუ დაემატა, სულ დავიღუპებით.

**– შვილები გყავთ?**

– დიახ. ორი შვილი მყავს და მათ ნამდვილად ვაღმერთებ. ქმარს კი პატივს ვცემ და ყველანაირად გვერდში ვუდგევარ. მან იცის, რომ ვუერთგულებ იქამდე, სანამ დარწმუნებული ვიქნები მის კეთილსინდისიერებაში. როცა საქმეს გონებით უდგები, ყველაფერი გაცილებით მარტივი და დალაგებულია. ძალიან კარგი ცოლი ვარ. თქვენ რა გგონიათ,

## თუ კაცი ცოლთან ურთიერთობაში მუდმივად დაძაბული არ არის, მის მიმართ, ინტერესს კარგავს

მჯერა, რომ ჩემი ქმარი სხვა ქალებთან არ ფლირტაობს? ფულიც აქვს და სერიოზული სოციალური სტატუსიც. მე რომ მასზე უზომოდ შეყვარებული ვიყო, სახლში სკანდალს ვერ გამოვლევდი. მის მობილურშიც მინახავს საეჭვო მესიჯები. სიტუაციას ვაკონტროლებ – მიშვებული არ მაქვს, მაგრამ „ცივი გონებით“ ვწყვეტ ყველაფერს. მე რომ სიყვარულს ვყავდე შეპყრობილი, ერთ ამბავს ავტეხდი – ვიწივლებდი, ვიკივლებდი... გამოვიძიებდი, ვინ არის ის ქალი, ვისაც ეფლირტავება. გავლანძღავდი და ქმარს დავაშანტაჟებდი იმით, რომ არ ვაჩვენებდი შვილებს. ადრე თუ გვიან, კაცს მობეზრდებოდა ეს წნეხი და გამექცეოდა. არ ვამბობ მართალს? ეგრევე მომენებებოდა „ისტერიჩკა“, „სტერვა“ ცოლის იარლიყი.

**– ისედაც რომ წავიდეს იმ ვიღაც ქალთან, ის რომ შეუყვარდეს?**

– არსად არ არის წამსვლელი. ეს უკვე გადავამოწმე – გავტესტე, როგორც იტყვიან. ერთ საღამოს ჩავალაგე ჩემი ქმრის ნივთები და დავახვედრე კორიდორში. აბსოლუტურად მშვიდად ვუთხარი: შენ სხვა ქალი გყავს, მე ამას ვხვდები და გიშვებ მასთან. ბავშვებთან მოსვლა ყოველთვის შეგიძლია. მე ხელს არ შეგიშლი და ყოველთვის შენს მეგობრად დავრჩები, მაგრამ ქმრად აღარ მჭირდებიმეთქი. უნდა გენახათ, რა დაემართა. ისტერიკაში ჩავარდა. მუხლები ლამის დამიკოცნა. შენ გარდა, არავინ მჭირდება, ერთადერთი ხარ, ვინც მართლა მიყვარს. არსად არ წავალო. ვერაფრით ვერ გავაგდე. იტირა კაცმა. მე თითქმის არ მინერვიულია. იმ დღის მერე მორჩა... ისეთი ქმარი მყავს, სანიმუშო. ზუსტად ვიცი, რომ გვერდზეც აღარ იხედება. ერთგული მეგობრის, მეუღლისა და თანამოაზრის დაკარგვა გაცილებით ძნელია და მტკივნეული, ვიდრე შტერი საყვარლის. ჩემმა ქმარმა ეს უკვე იცის.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემს ოჯახში ყველაფერს ქმარი წყვეტს. პურს ვერ ვიყიდი მისი ნებართვის გარეშე. თავად ამბობს, რომ ეს ნორმალურია. ადრე ვეთანხმებოდი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ეს ტირანიაა და სხვა არაფერი. ჩემი ქმარი ფარული ტირანია და ეს არის რეალობა. ძალიან ვნერვიულობ და განვიცდი. როგორ გავაგებინო, რომ ოჯახში გადაწყვეტილების მიღების უფლება მეც თანაბრად მაქვს. მით უმეტეს, როცა საქმე საყოფაცხოვრებო საკითხებს ეხება.**

გამოხმაურება: ძალიან ბევრი მამაკაცი იქცევა თქვენი მეუღლესავით. მით უფრო, როცა ოჯახში ფულის შემომტანი თავად არიან. სამწუხაროდ, მათი მენტალობის შეცვლა ძალიან რთულია. სცადეთ და მშვიდად, არგუმენტირებულად დაელაპარაკეთ. შეიძლება, გაჭრას.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაძიძე**

**როდესაც კრისტი ყიფშიძეს ინტერვიუს ჩასაწერად შევხვდი, ის ტროსტით, თავზე შლაპით – მოკლედ, ჩარლი ჩაპლინის იმიჯით დამხვდა. ამ ყველაფრის მიზეზი კი ცალ ფეხზე დაჭიმული მყესებია, რომელმაც ენერგიულ და მუდამ საქმიან კრისტის, ცოტათი შეუცვალა გეგმები.**

# რის დამალვა არ შეუძლია კრისტი ყიფშიძეს და რაში უშლის მას ხელს საკუთარი სტატუსი და ადგილი საზოგადოებაში

**კრისტი**: საკმაოდ აქტიური ადამიანი ვარ, ერთ ადგილას ვერ ვჯდები. სულ მოძრაობაში ვარ, მიყვარს სადღაც წასვლა-მოსვლა, ფეხით შემიძლია, ძალიან ბევრი ვიარო, ამიტომაცაა ეს ჩემთვის რთული. „ჰოლიდეი ინში“, სადაც ახლა ვართ და ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ადგილია, ისეთი აურაა, ხვდები, რომ ძალიან გაწყნარებს. თან, აქ კვირაში სამჯერ დავდივარ ტრენაჟორებზე სავარჯიშოდ, მინიმუმ 3 საათი ვვარჯიშობ. ვერ ვჩერდები, სულ რაღაცას ვაკეთებ და წარმოიდგინე, ცოტა ხნის წინ, საღამოს, თოვლი, რომ მოვიდა თბილისში და არსად მოყინული არ იყო, მხოლოდ ერთადერთ ადგილას იდო 10-სანტიმეტრიანი ყინული, მაინცდამაინც მასზე დავაბიჯე, მოვსრიალდი, დავჯექი და მუხლი მივარტყი. ძალიან მეტკინა, მაგრამ არ მივაქციე ყურადღება. არ ვიცი, რატომ ვარ ასეთი, მაგრამ შემიძლია, ძალიან ძლიერი ტკივილი ავიტანო და გმირულად გადავიტანო. მე კი შემიძლია გადავიტანო, მაგრამ აღმოჩნდა, ჩემი ორგანიზმი ვერ გადაიტანს ამას – ამდენი ვარჯიში, ცოტა გადაღლა, დიეტა და მოკლედ, დილით გული წამივიდა. საშინელმა ტკივილმა გამაღვიძა, ცუდად ვიყავი, მაგრამ მაშინ ვერც მივხვდი, რა მჭირდა, რისგან იყო ეს გამოწვეული. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი იმ ფეხმა, გამოიწვია, რომელიც ვიტკინე. გადავიღე სურათი – მაქვს მყესების ძლიერი დაჭიმულობა. არ შეიძლება ბევრი სიარული, ცეკვა, ვარჯიში, პოდიუმზე გასვლა, მოკლედ – არაფერი. ყველაფერს ადვილად ვეგუები: ეს იმიტომ დამემართა, რომ მერე უფრო კარგი რამ მოხდეს – ვიწყნარებ ხოლმე თავს.

**– როგორც ვიცი, სამსახურის მხრივ შენს ცხოვრებაში სიახლეებია.**

– ვარ მაღაზიების – „დევიდ ჯონსისა“ და „ბონ ვიაჯოს“ ოფიციალური სახე და ეს არ ნიშნავს, მხოლოდ ფოტოების გადაღებას. დავამატე აქციები კრისტისგან. გარდა ამისა, ერთ-ერთ საიტთან გვქონდა მოლაპარაკება და საზოგადოების წინაშე კიდევ ერთხელ წარვდექი, როგორც ჟურნალისტი. ამ მაღაზიებში მოხდება ინტერვიუების ჩაწერა, ვისაუბრებთ მოდაზე. რესპონდენტებს, ალბათ, მე ავარჩევ და, გარდა ამისა, გამოკითხვების სახეც ექნება. მოკლედ, ხალხისთვის საყვარელი და საინტერესო რესპონდენტები გვეყოლება. რაც მთავარია, შემოქმედებითი ჯგუფი გვყავს, შოთიკო ბოჭორიშვილი კვლავ ჩემს გვერდითაა. ჩვენ გვაქვს რამდენიმე მაღაზია და კლიპში გადავიღეთ ჩვენი კონსულტანტები – ასეთი რამ ჯერ არავის გაუკეთებია. რაც მთავარია, ძალიან საინტერესო გამოვიდა.

**– ცოტა ხნის წინ ინტერნეტში შენი მონაწილეობით ახალი სარეკლამო რგოლი გამოჩნდა, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა: ბევრი გაკრიტიკებდა, ბევრს მოსწონდა.**

– ბევრი მწერდა: არ გცივა? არადა, ეს ზაფხულში გადავიღეთ. ეს არ არის სარეკლამო რგოლი, კომედიური ჟანრის ფილმია. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, თუმცა, ამას მითქმა-მოთქმა მოჰყვა, რასაც ველოდებოდი კიდეც. მაგრამ, დიდად არ დავინტერესებულვარ, ცოტას გადავხედე. ყველას თავისი აზრი აქვს, არავის განკითხვას არ დავიწყებ. მე თვითონ ისეთი თვითკრიტიკული ვარ, რაც უნდა გავაკეთო, კმაყოფილი მაინც არ ვარ. ერთადერთი, რითაც ვარ – ეს ჩემი შვილია. მოკლედ, ეს არის 2-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც შვეიცარიაში იყო ფესტივალზე. თემა იყო საათები. გიგა აგლაძე, თეა და მე დიდი ხნის მეგობრები ვართ და მითხრეს: ვიცით, შენ ამას გააკეთებო და არა ის, რომ შიშველი უნდა გამოხვიდეო. შიშველი არც ვარ, საცურაო კოსტიუმი მაცვია. მთელი ზაფხული ასეთივე შორტებით დავდიოდი და რატომ გაუკვირდათ, არ ვიცი? რომ მითხრეს: შენ ამას შეძლებო, მეც დამაინტერესა, ჩემთვის საინტერესო იყო ასეთი სახის შექმნა. ინტერნეტ-რეკლამასავითაა, მაგრამ ეს უფრო არის კომედიური, გროტესკული, საერთოდ განსხვავებული ჟანრის ფილმი. ერთ მშვენიერ დღეს, იღვიძებს ქალი, რომელიც იკეთებს ორ საათს, ორივეს – კაცისას. ყრის სამოსს, წვავს და მერე გარბის ქუჩაში. ბოლოს



საერთოდ არ მიყვარს ტანსაცმელი, ძალიან მომბეზრდა სამოსი

კი კაცები მოჰყვებიან: ველარ ხვდები, ქალს მისდევენ თუ საათებს. მაგრამ, ეს ქალი იმდენად კმაყოფილია, სხვა არაფერი აინტერესებს.

**– ასეთი ქალი ხარ?**

– კი, ვარ. საერთოდ არ მიყვარს ტანსაცმელი, ძალიან მომბეზრდა სამოსი. ალბათ, ამ სფეროში 20 წელი რომ ტრიალებ – გაცმევენ, სულ ტანსაცმელზეა საუბარი, მერე, ეტყობა – უფასურდება.

**ძალიან მეტკინა, მაგრამ არ მივაქციე ყურადღება. არ ვიცი, რატომ ვარ ასე, მაგრამ შემიძლია, ძალიან ძლიერი ტკივილი ავიტანო და გმირულად გადავიტანო**

**– თუმცა, შენი სტილი გაქვს, რომელსაც ძალიან იხდენ.**

– ეს ჩემი სამსახური, პროფესიაა. ამიტომ, არ მაქვს უფლება, რაღაც არ მოვიხდინო, ფორმაში არ ვიყო. წარმოიდგინე, რამდენ ჩვენებაში მაქვს მონაწილეობა მიღებული, არაფერი არასდროს არ მომწონს, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს – უნდა მოვიხდინო. ცხოვრებაში ჩემი სტილი მაქვს, არ მიყვარს, როცა ვიღაცისნაირად მაცვია; ან მოდაში, რომ შემოვა, ყველა გიჟდება, გავარდებიან და ყიდულობენ.

**– თქვი, თვითკრიტიკული ვარო და მოგეწონა იმ ვიდეოში შენი თავი, რომელზეც ცოტა ხნის წინ ვსაუბრობდით?**

– ვამბობ, რომ უკეთესი შემეძლო, რადგან ჩემი, არასდროს არაფერი მომწონს. როგორც კი მე რაღაც მომეწონება, იქვე დამთავრდება ჩემი კარიერა, რადგან ადამიანი სულ ახლის ძიებაში, ზრდაში, უფრო მეტისა და მეტის კეთებაში უნდა იყოს. უპრიველეს ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ჩემს გენეტიკას, რომლის მეშვეობითაც ვარ ასეთი. ვვარჯიშობ კვირაში სამჯერ, არ ვსვამ და ძალიან ცოტას ვეწევი. ვიცი, რამდენი ხანი მჭირდება ძილი და მაქსიმალურად კარგ ხასიათზე ვარ. დავდივარ ფეხით, ჯანმრთელად ვიკვებები, ხორცს არ ვჭამ, ვუვლი საკუთარ თავს და რაც მთავარია, ხაზს გავუსვამ ჩემს გენეტიკას – კარგი წინაპრები მყავდა. 36 წლის ასაკში, რომ კარგად გამოიყურები და ადამიანს მოუნდება, გადაგიღოს ფილმში, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია.

**– თან, შენი სამსახიობო ნიჭის გამოვლენაც გიწევს.**

– რა თქმა უნდა და არ იცი, როგორ მიყვარს კამერა. მე და ობიექტივი შეყვარებულები ვართ და მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ეს არის ჩემი ცხოვრების სტილი და აზრი.

**– კამერა ყველაზე ერთგული შეყვარებულია?**

– კი და ზუსტად ვიცი, რომ არასდროს მიღალატებს.

**– ბოლოს რომ ვსაუბრობდით, მითხარი: არ ვარ შეყვარებულიო. ახლაც მარტო ხარ?**

– ჯერ არ გამოჩენილა. ძალიანაც რომ მინდოდეს, ამას ვერ დავმალავ. სხვათა შორის, რომ ვამბობ, შეყვარებული არ ვარ-მეთქი, ბევრს უკვირს, მაგრამ, ვერ ვხვდები, რატომ. ალბათ, ჩემი სტატუსი, რომ მაქვს და საზოგადოებაში რაღაცას წარმოვადგენ, იკეტება ჩემი აურა და არც არავინ მოდის ახლოს. ზოგადად, ძალიან მეგობრული, კონტაქტური ვარ, მაგრამ, იმავდროულად, ძალიან ჩაკეტილიც. ყველასთვის გახსნილი და კეთილი კი ვარ და ამას არასდროს ვმალავ. მიხარია, რომ სიკეთის გაკეთება შემიძლია – ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნება, მაგრამ იმ რაღაცისთვის, ალბათ, ჩაკეტილი ვარ. ყველაფერი მაინც ბედისწერის ამბავია.

**– როგორია შენი საახალწლო განწყობა?**

– არასდროს არ მაქვს საახალწლო განწყობა. ჩემი დაბადების დღეც დიდად არ მიყვარს, ძალიან იშვიათად ვიხდი. ტრადიციებს მივყვები, მჯერა, რომ ახალ წელს ახალი ცხოვრება იწყება, ცუდი კი ძველს მიაქვს. ნაძვის ხესაც ნატაშკა რთავს და მე ერთადერთი, რაც მავალია: ეს არის ყოველ წელს ახალი სათამაშოების ყიდვა და ძველისთვის დამატება.

**– სამზადისი არ გეხება?**

– დედაჩემია ჩვენი შეფ-მზარეული და მე – მისი ასისტენტი. მიყვარს, რომ ვეხმარები: ვჭრი, ვთლი, ვრეცხავ, სუფრას ვშლი, ბაზარში სიარულიც მიყვარს – მარჯვენა ხელი ვარ. კიდევ გოზინაყს ვჭრი – მე მიყვარს ჭრა და ჭურჭლის რეცხვა. ზუსტად 12 საათზე თვალებს ვხუჭავ და სურვილებს ჩავიფიქრებ ხოლმე, მერე კი, ზოგჯერ მიხდება.

**ნათია უტიაშვილი**

**სალომე გოგიაშვილი მესამე შვილის მოლოდინშია. ტელეკომპანია „იმედიდან“ ხმაურიანი წამოსვლის შემდეგ, სალომემ სატელევიზიო ტაიმაუტი, სრულიად საპატიო მიზეზით აიღო. 2014 წელს ქვეყანას მისი მესამე შვილი მოევლინება. შესაბამისად, ახალი პროექტების განხორციელებას ის უკვე ახალი სეზონიდან შეეცდება. მანამდე კი, ტკბება ოჯახური ცხოვრებით, პატარას მოლოდინით და მის დიდ სახლში გამეფებული საახალწლო განწყობით. იქ ხომ ყველაფერია საახალწლო ღამის ზღაპრულად გასატარებლად – მოსიყვარულე ოჯახის წევრები, ფერადი ნაძვის ხე, ბუხარი და ძაღლი ნუცა.**

# რისი ეშინია სალომე გოგიაშვილს და რის გამო ეტირება მას მუდმივად

**სალომე გოგიაშვილი**: ძალიან კმაყოფილი ვარ განვლილი 2013 წლით. ეს წელი შემიძლია, ათი ქულით შევაფასო, როგორც ძალიან წყნარი, მშვიდი და ყველაზე ბედნიერი წელი, რადგან კვლავ ორსულად ვარ. რაც შეეხება მომდევნო წელს, ვაპირებ, კიდევ უფრო ბედნიერი ვიყო...

**– და კიდევ ერთი შვილი გააჩინო?**

– ეს რომ ასე მოხდეს, აი, პირველი მოგკლავ შენ ***(იცინის).***

**– ეს დაგეგმილი ორსულობა იყო?**

– რა თქმა უნდა, უკვე ისეთ ასაკში ვარ, მხოლოდ დაგეგმვით რომ ხდება ასეთი რაღაცეები ***(იცინის).*** დაგეგმილი და გააზრებული ნაბიჯი იყო. ძალიან გვინდოდა მე და ჩემს მეუღლეს და ორივე ძალიან ბედნიერები ვართ.

**– თავიდან ვიცი, რომ ტოქსიკოზი გქონდა და თავს კარგად არ გრძნობდი...**

– იმ პერიოდმა უკვე დიდი ხანია, რაც

> **ვიღლები და ნერვები მეშლება, რატომ აღარ შემიძლია-მეთქი. მუცელში მაგრად რომ მომარტყამს, ვგრძნობ, ცოტა უნდა დავამუხრუჭო**

გადამიარა. მაგრამ, ახლა უკვე ბოლოსკენ ვარ და ამ ბოლო თვეების სტრესი მაქვს: საშინლად რომ იწელება ყოველი დღე; უკვე ძალიან რომ ხარ დამძიმებული; ყველაფერი ნერვებს რომ გიშლის და გეტირება. თან, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალია. ზუსტად იგივე რეჟიმში ვაგრძელებ ცხოვრებას, როგორც აქამდე – ვიღვიძებ რვის ნახევარზე, მთელი დღე ბავშვები, მათი საქმეები, წაყვანა-წამოყვანა, მანქანით გადაადგილება ამ საცობებში, კუს ტბაზე ყოველდღე ასვლა და ვარჯიში... რაღაც მომენტში, რომ ვიღლები, ნერვები მეშლება, რატომ აღარ შემიძლია-მეთქი. რომ მომარტყამს მაგრად მუცელში, ვგრძნობ, ცოტა უნდა დავამუხრუჭო. მაგრამ, არ შემიძლია, ეს აქტიურად ყოფნა კი არაა, სხვანაირად ვერ ვცხოვრობ. ვგრძნობ, რომ ენერგია აღარ მყოფნის და თან, ექიმებიც მეუბნებიან: არ არის აუცილებელი, ასე გიჟივით, ცხენივით მთელი დღე გადარბენაზე იყოო. რაც შეიძლება და არ შეიძლება, იმას ვაკეთებ.

**– მესამე ჯერზე, წესით, აღარ უნდა გეშინოდეს, მაგრამ ვიცი, მაინც საშინლად განიცდი მშობიარობის გარდაუვალობას.**

– ***(იცინის)*** იმდენად კი არ განვიცდი და მეშინია, რამდენადაც მაინტერესებს – იქნებ, რაიმეთი იყოს უკეთესი. მეორეზე მითხრეს, რომ ვერ იგრძნობო და ამ განწყობით მივედი. მივედი და გაუტკივარებით ვიმშობიარე, მაგრამ მაინც არანაკლებ რთული იყო, ვიდრე პირველი. უბრალოდ, დავამატე ის, რომ ნაკლებად მტკიოდა. მესამეზე სანამ მივალ, უკვე გაუტკივარებას ვიკეთებ. თან, რომ იცი გამოსავალი არც ეს არის. აი, ხომ შეიძლება, აღარ მინდა, ვარ ბოროტი და აღარ მინდა. მაგრამ, აბა, რანაირად?! ***(იცინის)*** ყველა ვარიანტში, მომიწევს ამ ამბის გადატანა.



**აი, ხომ შეიძლება, აღარ მინდა გაჩენა, ვარ ბოროტი და აღარ მინდა. მაგრამ, აბა, რანაირად?!**

**– პირველი და მესამე შვილები ერთ გვარს ატარებენ, ხომ?**

– სამივე. პირველი, მეორეც და მესამეც ნიკოლეიშვილები იქნებიან. ოფიციალური მოგვარე იქნება ხუთივე ერთმანეთის. საერთო ჯამში, ხუთი გვყავს.

**– ბავშვების მოლოდინი როგორია?**

– მაშას აბსოლუტურად არ აქვს ეჭვიანობის მომენტი, პირიქით, ძალიან უხარია, ელოდება და გადარეულია. ციბუც თავიდან ძალიან აჟიტირებული იყო. აქამდე სულ ღმერთს ევედრებოდა, რომ „ბრატი“ ჰყოლოდა და ახლა, როცა ეს სურვილი აუსრულდა, დიდად აღფრთოვანებული აღარ არის. ლოგინში გვერდით წოლა და რაღაცეები არ მოსწონს, მაგრამ მაინც დიდ მოლოდინშია. მეცოდება რაღაცნაირად, თავის დამტვრეულ თოფებს და რაღაც ეგეთ სათამაშოებს რომ უნახავს. საერთოდ, ოჯახში დიდი მოლოდინია. მშობლებიც აღარ ჰყავს პატარა, ასაკში ვართ მე და ვახო და აღარც ბავშვები არიან ძალიან პატარები ***(იცინის).***

**– რამდენი ბიჭი და რამდენი გოგო იქნება?**

– პატარა რომ დაიბადება, იქნებიან – ოთხი ბიჭი და ერთი გოგო ***(იცინის).*** მაშა იქნება განებივრებული პრინცესა.

**– რას არქმევთ?**

– პირველი ოთხი თვე ვიცოდით, რომ იყო გოგო და თიკოს, დედაჩემის სახელს ვარქმევდით. რომ ვიყიდეთ და დედაჩემმაც ჩამოუტანა ყველაფერი, თუკი რამე შეიძლებოდა, გავიგეთ, რომ ბიჭია. ისე გვეწყინა, რომ ვამბობდით, იყოს კაცო თიკო, არ არის პრობლემაო. ექოსკოპიაზე სახე მომენჭყრა, გაგიჟდნენ ექიმები ***(იცინის).*** ამის მერე სახელზე ბევრი აღარ გვიფიქრია და თიკო გახდა იკო. მისი ნათლია უნდა იყოს ჩვენი უახლოესი მეგობარი, ირაკლი ლაბაძე და მის პატივსაცემად, ირაკლის ვარქმევთ. მოკლედ, იკო-თიკო იქნება.

**– საქმიანობასთან დაკავშირებით, რას აპირებ. ამას წინათ ხმაური მოჰყვა, ეგრეთ წოდებული, „დაბლოკილი მომღერლების“ თემის წამოწევას. ბევრი ყოფილა ასეთი... მგონი, შენ მანამდე გაცილებით მეტი სამსახური გქონდა.**

– ***(იცინის)*** მართლა, უფრო მეტი სამსახური მქონდა. მაგრამ, სხვათა შორის, როგორ გასაკვირადაც არ უნდა ჟღერდეს ეს, მე დაბლოკილი ვიყავი. საინტერესო პიროვნებებს რომ შევხვდით, რომელთაც ამ თემაზე ვესაუბრე, ბევრი კითხვა დავსვი, მათ შორის ჩვენს მომავალთან დაკავშირებით, რადგან ის პერიოდი იყო საშინლად პასიური ჩემს ცხოვრებაში. საერთოდ არაფერი ხდებოდა, ისინი დაგვპირდნენ, რომ რაღაცეები აუცილებლად იქნებაო. კონცერტებს რომ თავი დავანებოთ, პროფესიული კუთხით, მართლა არ ვიცი, რომელ ტელევიზიას მივემიზნო. ის მიზეზი, რის გამოც „იმედმა“ ტელევიზიიდან გამომიშვა, მსგავსი ფრაზებით და წინადადებებით, თითქმის ყოველდღე ვისმენ ტელეეთერით გამოსვლებს. ერთი კვირაა ამას ვუყურებ და ჩემი უწყინარი ხუმრობა, რატომ გახდა ასეთი აჟიოტაჟის მიზეზი, ვერ ვხვდები. ვფიქრობ, დაბლოკვის ერთ-ერთი გამოხატვა იყო სწორედ ეს ფაქტი. მაგრამ, ჯერჯერობით სამსახურის დაწყებას ნამდვილად არ ვაპირებ. ახლა ისედაც სახლის პერიოდი მეწყება. თან, მაქვს დრო რაღაცეებზე ვიფიქრო, დავგეგმო. მინდა, გავაკეთო საღამო და ბევრი იდეის განხორციელება მინდა. ძალიან არ მომწონს ვიზუალურად ორსული ეკრანზე – სხვაზე არ ვამბობ, მხოლოდ ჩემს თავთან მაქვს პრეტენზია. არც ენერგია მაქვს ახლა საკმარისი. ბავშვი წამოიზრდება და შემოდგომისთვის დავიწყებ ჩემი იდეების განხორციელებაზე ზრუნვას.

**სალომე გველესიანი**

**ძველად შობისა და ნათლისღების დღესასწაულები ერთად აღინიშნებოდა. თუმცა, უკვე დიდი ხანია, მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის შობას 7 იანვარს აღნიშნავს, ხოლო ნათლისღებას – 19 იანვარს. როგორ უნდა აღნიშნონ ქრისტიანებმა ეს ორი, ყველასთვის მნიშვნელოვანი დღე, როგორ სრულდება ნათლობის საიდუმლო – ამ ყველაფრის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რატომ უნდა დაარქვას ქრისტიანმა შვილს სახელი დაბადებიდან მერვე დღეს და რა არის ნათლობისთვის აუცილებელი

– მაცხოვრის შობისა და მაცხოვრის ნათლისღების დღესასწაულს მეხუთე საუკუნემდე ეკლესია ერთი და იმავე თარიღით აღნიშნავდა. მეხუთე საუკუნის შემდეგ მოხდა მათი დაშორება, ანუ, ვზეიმობთ ჯერ მაცხოვრის შობას, ხოლო შემდეგ – ნათლისღების დღესასწაულს. ორივე დღესასწაული არის თეოფანია, ანუ, ღვთის გამოცხადება.

**– როგორია ნათლისღების დღესასწაულის მნიშვნელობა, მისი არსი?**

– ნათლისღება არის წმიდა საღმრთო საეკლესიო საიდუმლო, რომლის ძალითაც ადამიანი ქრისტეს ეკლესიის წევრი ხდება. მონათვლის აუცილებლობას კი ვრცელი, ქრისტიანული კატეხიზმოც სრულიად გარკვევით და ცხადად გვასწავლის. ნათლობისთვის აუცილებელია სინანული და რწმენა: „შეინანეთ და ნათელიღეთ კაცად-კაცმა თქვენმან სახელითა უფლისა იესუ ქრისტესითა, მოსატევებლად ცოდვათა და მიიღეთ ნიჭი სულიწმიდისა“, „რომელსა ჰრწმენეს და ნათელიღოს, ცხოვნდეს“.



**რომელ დღესაც დაიბადება ყრმა, ან, რომელ დღესაც ინათლება, ანდა, ამ ორ მოვლენას შორის დროის მონაკვეთიდან შეარჩიეთ სახელი, ან – ნათლობიდან ახლოს სამი დღის პერიოდიდან**

წმიდანები ყოველთვის ეხმარებიან და შეეწევიან ადამიანებს. როდესაც მათ სახელებს ვარქმევთ ჩვენს შვილებს, მათ უკვე წმიდანების სახით ჰყავთ მფარველები, რომელთა წინაშე მთელი ცხოვრება უნდა ილოცონ; დახმარება, შემწეობა სთხოვონ და მადლობა გადაუხადონ. თუ გული სულიერი სინათლისკენ მიისწრაფის, ყველა ნათელი სახელი და სახე ძალუმად მოქმედებს მასზე – ღრმად იჭრება სულში და იქ ივანებს დიდი ხნით. ამიტომაც, წმიდანების სახელების ხსენება, მათ მიმართ აღვლენილი ლოცვა ადამიანს აღელვებს, სიმშვიდეს ანიჭებს, ასუფთავებს და ახლოს არ ეკარება იმ ადამიანის სულს, რომლის გული ამსოფლიურ ამაოებას დაუპყრია. წმიდა ოქროპირის გადმოცემით, ქრისტიანთათვის წმიდანთა სახელების დარქმევის ტრადიცია ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში დამკვიდრდა. ნეტარი თეოდორატის მოწმობით კი, ახლად ნათელღებული სულებისთვის წმიდანთა სახელების წოდება საყოველთაო წესად მეოთხე საუკუნეში გადაიქცა. ქრისტიანებმა კარგად უწყოდნენ წმიდანთა ღვაწლი უფლის წინაშე, მათი ღვთისნიერი საქმეები, უყვარდათ ისინი და შვილებისთვის მათი სახელის დარქმევა დიდ პატივად მიაჩნდათ. რომელ დღესაც დაიბადება ყრმა, ან რომელ დღესაც ინათლება, ანდა, ამ ორ მოვლენას შორის დროის მონაკვეთიდან შეარჩიეთ სახელი; ან, ნათლობიდან ახლოს სამი დღის პერიოდიდან. ეკლესიური განაწესით, ჩვილს ქრისტიანული სახელი ნათლობამდე ერქმევა, რაც ნათლობისადმი მოსამზადებელი მოქმედებაა. კურთხევანის მიხედვით, ქრისტიანს სახელი დაბადებიდან მერვე დღეს ერქმევა, ისევე, როგორც იესო ქრისტეს დაარქვეს დაბადებიდან მერვე დღეს.

**– ნათლისღების საიდუმლოს აღსრულების დროს მღვდელი ძალიან საინტერესო წესებს აღასრულებს. რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ წესს?**

– მოსანათლავად გამზადებული ადამიანი გრძელ პერანგში გამოწყობილი შედის, თმა გაშლილი აქვს იმის ნიშნად, რომ თავის წარსულსა და სოფლის ამაოებას განეშორება. ის დგას ფეხშიშველი და თავდახრილი, პირი კი აღმოსავლეთისკენ (უფლის სავანისკენ) აქვს მიბრუნებული. მღვდელი ამ დროს მას სახესა და მკერდზე სამგზის უბერავს სულს და, თან, თავზე ადებს ხელს. ეს პროცესი სულიწმიდის დაქროლვას ნიშნავს, რაც ადამიანს ბოროტი სულის განდევნაში ეხმარება. ამის შემდეგ მოძღვარი „შეფიცვის ლოცვებს“ კითხულობს, მოსანათლავი კი, ნათლიასთან ერთად, დასავლეთისკენ ბრუნდება (დასავლეთი ბნელეთის, დემონების სამფლობელოს გამოხატავს). ამ დროს ის ქრისტეს მხედარი ხდება და შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს: „განვეშორები ეშმაკისგან და ყოველთა საქმეთა მისთაგან და ყოველთა სიბილწეთა მისთაგან“. ამას სამჯერ იმეორებს და, ზიზღისა და უარყოფის ნიშნად, დასავლეთის მხარეს განერწყვავს. ეს ცოდვისა და ცოდვის მამის – დემონისადმი სიძულვილის ნიშანია. ამის შემდეგ მოსანათლავი ნათლიასთან ერთად აღმოსავლეთისკენ ბრუნდება და სამგზის დებს პირობას, იფიცებს უფლის წინაშე: „შევუდგები ქრისტეს“. როდესაც მოსანათლავი ჩვილია, მაშინ ამ სიტყვებს ნათლია წარმოთქვამს. შემდეგ ნათლული და ნათლია სარწმუნოების სიმბოლოს – „მრწამსს“ კითხულობენ. ამ პროცესს მღვდლის მიერ წყლის კურთხევა მოსდევს, რათა მან იორდანის წყლის ძალა და მადლი შეიძინოს. შემდეგ ის გასანათლავ ადამიანს შუბლზე, მკერდზე, ხელებსა და ფეხებზე ზეთს სცხებს, რაც ცოდვილი ადამიანის ქრისტესთან შერიგებას ნიშნავს. ემბაზი (რაშიც ადამიანი ინათლება) გამოქვაბულს ნიშნავს, რომელშიც ქრისტეს სხეული იყო დასვენებული; წყალი – მიწას, ხოლო გასანათლავის წყალში სამგზის ჩაძირვა ნიშნავს სიკვდილსა და აღდგომას ქრისტესთან ერთად. აქედან გამომდინარე, ნათლობა ნიშნავს, რომ ჩვენს შიგნით მცხოვრები ცოდვილი კაცი ქრისტესთან ერთად მოკვდა და ახალი, სულიერი ცხოვრებით აღვსილი პიროვნება მაცხოვართან ერთად აღდგა. ნათლისღების დროს მღვდელი მოსანათლავს მირონს სცხებს, რომელსაც მღვდელმთავარი განსაკუთრებული წესით, გამუდმებით სახარების კითხვითა და სხვადასხვა ყვავილით ამზადებს. მისი ცხებით ადამიანი სახარების მცნებებს იძენს, რომლებიც მას ცოდვებთან ბრძოლაში ეხმარება. ნათლობის დასასრულს მღვდელი ნათელღებულს თმას ჯვარედინად ჰკვეცს; თმის მოკვეცა ნიშნავს იმას, რომ მონათლული ადამიანის ბატონი ღმერთია. სასურველია, ეს მოკვეცილი თმა ნათელღებულმა სანთელთან და თეთრ ზეწართან ერთად შეინახოს, რომ მას უფლის წინაშე ყოველთვის ახსოვდეს თავისი მოვალეობები.

**თუ გული სულიერი სინათლისკენ მიისწრაფის, ყველა ნათელი სახელი და სახე ძალუმად მოქმედებს მასზე. ღრმად იჭრება სულში და იქ ივანებს დიდი ხნით**

**– ჩვილებს არ აქვთ რწმენა, არც სინანული გააჩნიათ და როდესაც მათ ნათლავენ, მათ ამის გაზიარებაც არ შეუძლიათ. ძველად, როგორც ცნობილია, ადამიანები უფრო დიდ ასაკში ინათლებოდნენ. რატომ არის ჩვილების მონათვლა დაბადებიდან მეორმოცე დღეს აუცილებელი?**

– ძველი აღთქმის დროს წინადაცვეთის წესს ჩვილ ყრმებზე აღასრულებდნენ, ხოლო ნათლისღება ახალ აღთქმაში წინადაცვეთის ადგილს იკავებს. მართლმადიდებლური სწავლება ჩვილ ყრმათა მონათვლის შესახებ გადმოცემული აქვს მოსკოვის მიტროპოლიტს, წმიდა მაკარის: „თუკი ნათლისღება აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, როგორც ერთადერთი კარი ცათა სასუფეველში შესასვლელად, მაშინ, ეს საიდუმლო უნდა მიეცეთ არა მხოლოდ ზრდასრულ ადამიანებს, არამედ, ჩვილ ყრმებსაც, რამეთუ, ყრმებსაც აქვთ უნარი ღმერთის სასუფეველში შესვლისა, სულიწმიდით განათლებისა. სამოციქულო ეკლესიის სწავლების თანახმად, ადამიანის ნათლისღება მისი ყრმობის ასაკშივე უნდა აღსრულდეს. ახალშობილი დაბადებიდან მერვე ან მეორმოცე დღეს უნდა გაინათლოს, ხოლო, თუ ჩვილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მაშინ, ჯობია, მისი მონათვლა დაბადებისთანავე მოხდეს, რაც ხშირ შემთხვევაში გამოჯანმრთელების მიზეზიც გამხდარა.

**– ძველი ტრადიციის თანახმად, ნათელღებულ ადამიანს გარკვეული დროის განმავლობაში არ ბანდნენ. შემდეგ მოდიოდა პიროვნება, რომელიც მონათლულის ნათლია-„განმბანელი“, ხდებოდა. დღეს ეს ტრადიცია დავიწყებას მიეცა, სამაგიეროდ, განბანის საიდუმლო ნათლისღების დროს აღესრულება.**

– ნათლობის დროს ადამიანს მღვდელი მირონს სცხებდა და, ამიტომ, ნათელღებული პიროვნება ცხრა დღის განმავლობაში მირონცხებული დადიოდა, შემდეგ მას მშობლების მიერ სპეციალურად შერჩეული ქრისტიანი ჩამობანდა, რომელიც „განმბანელად“ იწოდებოდა. დღეს, სამწუხაროდ, ამ ტრადიციამ სახე იცვალა და ნათლისღების დროს განბანას თვით მღვდელმსახური აღასრულებს. ეს გამოწვეულია შემდეგით: ადამიანი, რომელიც მირონცხებული იყო, წმიდად და ბეჭედდასმულად ითვლებოდა, მისთვის მოფერება, კოცნა და შეხება ყველას ეკრძალება, რაც საკმაოდ რთული შესასრულებელი იყო, ამიტომ, ამ საიდუმლოს დაცვა და მირონის მიმართ უფრო მეტი მოწიწების გამოჩენა რომ მოხდეს, ეს წესი შეიცვალა და მღვდელი ნათელღებულს მირონს მეცხრე დღის ნაცვლად ნათლობისთანავე ჩამოჰბანს.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთის გამოცხადება ადამიანის გულში

„გავიხსენოთ არქიეპისკოპოსი იოანე და ისინი, ვინც მისი შემწეობით რწმენას ეზიარა. მე მოვიყვან ერთ მაგალითს მისი ცხოვრებიდან – შემთხვევას შანხაიში, სადაც ის ეპისკოპოსი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს. ეს ამბავი გვიამბო ერთმა ჩვენმა კარგმა მეგობარმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. იგი მეტყველების მასწავლებელი იყო, ანა ერქვა. როგორც მან აგვიხსნა, არქიეპისკოპოსი იოანე ისეთ მკაცრ მარხვას იცავდა, რომ იმ პერიოდში მისი ყბა მოძრაობის უნარს კარგავდა და ის ძალზე გაურკვევლად ლაპარაკობდა. ანას დაავალეს, რომ მისთვის ყბის გასავარჯიშებლად გაკვეთილები ჩაეტარებინა, რათა უფრო გასაგები მეტყველება გახდომოდა. არქიეპისკოპოსი ყოველთვის ერთნაირი შუალედით მიდიოდა ანასთან და, ჩვეავად ჰქონდა, ყოველი გაკვეთილის შემდეგ ამერიკული ოცდოლარიანი დაეტოვებინა. ომის დროს ეს ქალი დაჭრეს და შანხაის ფრანგულ ჰოსპიტალში სიკვდილს ებრძოდა. გვიანი ღამე იყო, გარეთ ქარიშხალი ბობოქრობდა და ქალაქთან კავშირი გაწყვეტილი იყო, მაგრამ, ანას ერთი ფიქრი უტრიალებდა გულში. ექიმებისგან მან უკვე იცოდა, რომ სიკვდილის პირას იყო მისული და ახლა ერთადერთ ნუგეშად ისღა დარჩენოდა, რომ არქიეპისკოპოსი იოანე მისულიყო, ეზიარებინა და როგორღაც გადაერჩინა. ის ყველას ემუდარებოდა, როგორმე ხმა მიეწვდინათ მისთვის, მაგრამ, ისინი უმწეონი იყვნენ. ტელეფონები გრიგალის გამო არ მუშაობდა და საომარი ვითარების გამო ჰოსპიტალი ღამით იკეტებოდა. ასე რომ, მას შეეძლო, მხოლოდ ეყვირა: „მიშველე! მეუფე იოანე, მოდი!“ რა თქმა უნდა, ხალხი ამას საწყალი ქალის ბოდვად მიიჩნევდა, რადგან, შეუძლებელი იყო, არქიეპისკოპოსთან რაიმე კავშირის დამყარება. მაგრამ, იმ ღამეს, როცა ანა ამ სიტყვებს იძახდა, შუა გრიგალში კარი გაიღო და შემოვიდა არქიეპისკოპოსი იოანე წმიდა ზიარებით. ის მივიდა ქალთან, ათქმევინა აღსარება, დააწყნარა (რასაკვირველია, ანას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა), მიაღებინა წმიდა ზიარება და წავიდა.

ამის შემდეგ ქალს 18 საათი ეძინა და, მეორე დღეს, გაღვიძებულმა, გამოჯანმრთელება იგრძნო. „ალბათ, არქიეპისკოპოს იოანეს მოსვლამ მიშველა“, – თქვა მან. „რომელი ერქიეპისკოპოსი იოანესი? – იკითხეს მედდებმა, – ასეთ ღამეში რა შემოიყვანდა ჩარაზულ ჰოსპიტალში?“ ავადმყოფმა, რომელიც ანას გვერდით იწვა, თქვა, რომ ღამით მართლა ვიღაც მოვიდა, მაგრამ, მასაც არავინ დაუჯერა. ანას ეჭვი შეეპარა, მოჩვენებები ხომ არ დამეწყოო, მაგრამ, იმავე დღეს მედდებმა მისი საწოლის გასწორებისას ბალიშის ქვეშ ამერიკული ოცდოლარიანი იპოვეს. „აი, ესეც საბუთი, რომ ის აქ იყო!“ – ამოხდა ქალს.

კაცმა რომ თქვას, მაინც, როგორ გაიგო ყველაფერი არქიეპისკოპოსმა იოანემ, როგორ მივიდა მასთან მაშინ, როცა ყოველგვარი ადამიანური კავშირი გამორიცხული იყო და ანას სათხოვარს ვერავინ შეატყობინებდა? შეიძლება, ვინმემ გვითხრას, რომ მეუფე იოანე მას გამოეცხადა, რადგან, მსგავსი რამ მის ცხოვრებაში მომხდარა, მაგრამ, როგორ გამოეცხადა? რატომ მას და არა სხვა ვინმეს? რატომაა, რომ სიმართლე ერთს ეცხადება, მეორეს კი – არა? არსებობს კი რაიმე განსაკუთრებული ორგანო ღვთისაგან გამოცხადების მისაღებად? დიახ, გარკვეული აზრით, არსებობს, თუმცა, ჩვეულებრივ, ჩვენ მას ვხურავთ და არ ვაძლევთ გახსნის საშუალებას. ღვთის გამოცხადება ეძლევა მოსიყვარულე გულს“.

**მღვდელმონაზონი სერაფიმე როუზი**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ძალიან მინდა ჩემი პატარა შვილი ეკლესიური გაიზარდოს. რომელ ასაკში უნდა თქვას ბავშვმა პირველი აღსარება?**

**პასუხი**: ეკლესია ბავშვებს ჩვილობის ასაკშიც აზიარებს. პირველი აღსარება კი ბავშვმა 7 წლის ასაკში უნდა თქვას. მას უნდა აუხსნათ, თუ რატომ არის საჭირო, მოძღვარს ყველაფერი უთხრას. როგორი სასიხარულოა ზიარება და როგორ დააჯილდოებს მას უფალი, თუ კარგად მოიქცევა. სიყვარულისა და სიკეთის მაგალითებს კი ის ოჯახში უნდა ხედავდეს.

**კითხვა: გთხოვთ, მიპასუხოთ, შერჩებათ თუ არა თავიანთი სქესი ქალსა და მამაკაცს გარდაცვალების შემდეგ?**

**პასუხი**: სულს სქესი არ გააჩნია. ადამიანების სულები ისევე იქნებიან, როგორც არიან ანგელოზები. ამდენად, გარდაცვალების შემდეგ სხეული მიწად მიიქცევა, სული კი აგრძელებს სიცოცხლეს, რომელსაც სქესი არ აქვს.



**კითხვა: ვგრძნობ, რომ სასმლის დალევის მოთხოვნილება მაქვს. როგორ გადავეჩვიო ამ ცოდვას?**

**პასუხი**: ამ ცოდვისა და სენის მოსაშორებლად განუწყვეტლივ ევედრეთ უფალს. მარხვითა და სინანულით განმარტოვდით და დაფიქრდით იმაზე, თუ რამდენ ტკივილს აყენებთ სიმთვრალის ცოდვით საკუთარ თავსა და ახლობლებს. გადაიხადეთ პარაკლისი წმიდა ბონიფატეს სახელზე, რომელსაც ხელეწიფება მემთვრალეობისგან განკურნება. ასევე, არსებობს ღვთისმშობლის საგანგებო ხატი, რომელსაც, შეგიძლიათ, ევედროთ და დახმარება შესთხოვოთ.

**კითხვა: როდის არის მრისხანება მართებული?**

**პასუხი**: მრისხანება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართებული, თუ ის ცოდვის წინააღმდეგ არის მიმართული და თან ახლავს არა სიძულვილი და ბოროტება, არამედ, სიყვარული და მოყვასისადმი თანადგომა. ასეთ დროს მრისხანების მიზანია მხოლოდ და მხოლოდ ცოდვილის ხსნა. სხვა შემთხვევაში მრისხანების გამო ადამიანი დაისჯება უფლის მიერ.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### ქვის ქანდაკება

ეს იმ დროს მოხდა, როცა უდაბნო ბარბაროსებმა დალაშქრეს. ბაზაკების ტომმა მონასტერი ააოხრა. ზოგიერთმა ბერმა თავის დაღწევა მაინც მოახერხა და, უსაფრთხო ადგილის ძიებაში მრავალი დღე და ღამე უდაბნოში დახეტიალობდნენ. ბოლოს მიაგნეს ერთ ადგილს, სახელად ტარენუფს, სადაც უძველესი ტაძარი შემორჩენილიყო და იქ ღამის გასათევად დაბანაკდნენ.

სალამოს ბერები კოცონს მიუსხდნენ და ამბა ანუბის, რომელიც ასაკით სხვებზე უფროსი იყო, დაეკითხნენ, რა უნდა ელონათ და როგორ ეცხოვრათ მომავალში.

– უდაბნო დიდია, სადმე ვპოვებთ მუდმივ თავშესაფარს, – ბრძანა ამბამ, – პირველ ხანებში ჩვენ ცალკე სენაკები არ გვექნება და ცხოვრება ერთად, ერთ ჭერქვეშ მოგვიწევს. მოდი, ასე მოვიქცეთ: აქ ერთი კვირა დავყოთ და მდუმარება დავიცვათ, ხოლო, როცა შემდეგ შაბათს კვლავ ერთად შევიყრებით, მაშინ მიიღებთ ჩემგან დარიგებას, რომელსაც ითხოვთ.

ბერები დათანხმდნენ და უძველესი ტაძრის ნანგრევებში დაიდეს ბინა. მხოლოდ ნატაძრალში დაბუდებული ფრინველების ხმა და კენჭების ჩხარუნი არღვევდა ადამიანების მიერ დიდი ხნის წინ მიტოვებული ამ ადგილის სიმყუდროვეს – მამები მდუმარებას იცავდნენ.

მაგრამ, თავად ამბა ანუბი ცოტა უცნაურად იქცეოდა: ყოველ დილით იგი იქვე მდგომ ქვის ქანდაკებას სახეში კენჭებს ესროდა, ხოლო, როცა მოსაღამოვდებოდა, ქანდაკებას მიეახლებოდა, მუხლს იყრიდა და შენდობას სთხოვდა. ასე იქცეოდა ის მთელი კვირის განმავლობაში.

როცა ერთი კვირის თავზე ბერები კვლავ შეიყარნენ, უპირველესად, ამბა ანუბის სწორედ ამის შესახებ ჰკითხეს:

– რას აკეთებდი, მამაო? ჩვენ ვხედავდით, როგორ ესროდი ყოველდღე ქვებს კანდაკებას, საღამოობით კი, რატომღაც, მას თაყვანს სცემდი. ნუთუ ასე უნდა იქცეოდეს მართლმორწმუნე ბერი?

– ჩემი ქმედებით მე დარიგება მოგეცით, – განმარტა ამბა ანუბიმ, – აბა, მითხარით, როცა ქანდაკებას ქვებს ვესროდი, ის რამეს ამბობდა ან მიწყრებოდა?

– არა, ამბა...

– და, როცა მუხლს ვიყრიდი მის წინაშე და შენდობას ვთხოვდი, ხომ არ იძვროდა ადგილიდან? ან, იქნებ, მპასუხობდა: არასდროს მოგიტევებო?

– ამგვარი არაფერი გვიხილავს და არც მოგვისმენია... – ექოდ გაიჟღერა ბერების ხმამ ნატაძრალზე.

მაშინ ამბამ თქვა:

– ჩვენ აქ შვიდი ბერი ვართ. თუ ამ ქანდაკებას ვემსგავსებით, რომელიც თანაბარი სიმშვიდით იტანს წყენასაც და პატივსაც – ნებისმიერ ადგილზე კარგად ვიქნებით. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ჯობია, ახლავე, ოთხივ კუთხით სხვადასხვა მიმართულებით წავიდეთ და ურთიერთს განვეშოროთ...

მას შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ეს ბერები ერთად ცხოვრობდნენ ახალ მონასტერში და არასდროს მოსვლიათ ერთმანეთში კამათი.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# „ოქროს ბურთის" გარეშე დარჩენილი ვარსკვლავები

***ამ დღეებში გაირკვევა, ვინ მიიღებს 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებულ ჯილდოს – „ოქროს ბურთს". კანდიდატი სულ სამია: ლიონელ მესი, ფრანკ რიბერი და კრიშტიანუ რონალდუ. მანამდე კი გავიხსენოთ ფეხბურთის ის ვარსკვლავები, რომლებმაც კარიერა ისე დაასრულეს (ან ასრულებენ), რომ ვერ მოახერხეს „ოქროს ბურთის" მიღება.***

### ალესანდრო დელ პიერო (იტალია)

ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი, „იუვენტუსისა" და „სკუადრა აძურას" ლეგენდა, ყველაზე ახლოს „ოქროს ბურთთან" 1995 და 1996 წლებში იყო, თუმცა, ბედმა მაშინ მას არ არგუნა სანუკვარი ჯილდო. დელ პიერო 1993-2012 წლებში ირიცხებოდა ტურინულ გრანდში და მუდამ უმაღლეს დონეზე თამაშობდა. ამჟამად „პინტურიკიო", როგორც მას ქომაგები უწოდებენ, ავსტრალიაში ასპარეზობს და, სოლიდური ასაკის მიუხედავად, თავის უმაღლეს კლასს აჩვენებს.

### რობერტო კარლოსი (ბრაზილია)

მცველები იშვიათად იღებენ აღნიშნულ ჯილდოს, თუმცა, რობერტო კარლოსი ნამდვილი მოვლენა იყო ფეხბურთში და, რომ არა მისი თანამემამულე რონალდო, 2002 წელს ის აუცილებლად მიიღებდა „ოქროს ბურთს". გამოკითხვაში მან სულ რამდენიმე ხმით ნაკლები მიიღო.

### კენი დალგლიში (შოტლანდია)

1970-80-იანი წლების ლეგენდარული „ლივერპულის" ლიდერი კენი დალგლიში 1983 წელს იყო ჯილდოს კანდიდატი. იმ წელს იგი ინგლისის ჩემპიონი გახდა, თუმცა, მიშელ პლატინიმ მას არ აცალა მწვერვალზე ასვლა – სწორედ „უეფას" ამჟამინდელმა პრეზიდენტმა დატოვა შოტლანიდური ფეხბურთის ვარსკვლავი ჯილდოს გარეშე.

### იურგენ კლინსმანი (გერმანია)

1990-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, გერმანელი იურგენ კლინსმანი, ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია ისტორიაში, თუმცა, ის მაინც მთავარი ინდივიდუალური ჯილდოს გარეშე გამოეთხოვა ფეხბურთს. 1995 წელს იურგენმა საოცარი სეზონი ჩაატარა ინგლისურ „ტოტენჰემში" და სწორედ იგი ითვლებოდა გამარჯვების კანდიდატად, თუმცა, იმ წელს გამოკითხვაში კლინსმანი ლიბერიელ ჯორჯ ვეასთან დამარცხდა 36 ხმით.

### დინო ძოფი (იტალია)

ერთადერთი მეკარე, რომელსაც მიღებული აქვს „ოქროს ბურთი," მოსკოვის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ლეგენდა ლევ იაშინია. იტალიელი დინო ძოფიც ითვლებოდა რეალურ კანდიდატად, როდესაც 1973 წელს ფენომენალური სეზონი ჩაატარა „იუვენტუსთან" ერთად, თუმცა, გამოკითხვაში მას ჰოლანდიელმა იოჰან კრუიფმა აჯობა.

### დენის ბერხკამპი (ჰოლანდია)

1990-იანი წლების ჰოლანდიური ფეხბურთის ნომერ პირველი ვარსკვლავი და ლონდონის „არსენალის" ლიდერი, დენის ბერხკამპი, მრავალჯერ სახელდებოდა „ოქროს ბურთის" კანდიდატად, თუმცა, კარიერა ისე დაასრულა, რომ ერთხელაც ვერ მიიღო სანუკვარი ჯილდო. ბერხკამპს ფეხბურთის მკვლევრები ერთ-ერთ ყველაზე ელეგანტურ და უზადო ტექნიკის მქონე ფეხბურთელად მიიჩნევენ

### ფერენც პუშკაში (უნგრეთი)

უნგრელი ლეგენდა ფერენც პუშკაში, შესაძლოა, გამხდარიყო კიდეც „ოქროს ბურთის" ლაურეატი, რომ არა ის ფაქტი, რომ ჯილდოს გაცემა 1956 წელს დაიწყეს – იმ პერიოდში ის უკვე ასაკში შესული, თუმცა, კვლავ სტაბილურად უმაღლეს დონეზე მოთამაშე ვარსკვლავად ითვლებოდა. პუშკაში 1960 წელს იყო ახლოს „ოქროს ბურთთან", მაგრამ, გამარჯვება სხვას ხვდა წილად.



### დევიდ ბექჰემი (ინგლისი)

ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი მსოფლიოში და საფეხბურთო „მოდის" ფუძემდებელი, ინგლისელი დევიდ ბექჰემი, ფეხბურთიდან 2013 წელს ისე წავიდა, რომ მხოლოდ ერთხელ იყო ახლოს „ოქროს ბურთის" მოპოვებასთან შორეულ 1999 წელს, თუმცა, მაშინ ის გამოკითხვაში მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა, წინ კი ბრაზილიელი რივალდო „გაუშვა".

### ტიერი ანრი (საფრანგეთი)

რთულია ამის წარმოდგენა, მაგრამ, ტიერი ანრი კარიერას ისე დაასრულებს, რომ ერთხელაც ვერ მიიღებს „ოქროს ბურთს", არადა, ძნელად თუ გავიხსენებთ მასზე წარმატებულ და შედეგიან ფორვარდს 2000-იანი წლების პირველ პერიოდში. ანრი ყველა ტიტულის მფლობელი გახდა იმ გუნდებში, სადაც თამაშობდა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობა კი „სამფეროვანთა" რიგებში მოიპოვა.

### რაული (ესპანეთი)

ესპანური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა და „რეალის" ვარსკვლავი, რაული, ყველაზე ახლოს „ოქროს ბურთთან" 2001 წელს იყო, თუმცა მაშინ გამოკითხვაში მას მაიკლ ოუენმა აჯობა. ამბობდნენ, რომ რაულისთვის ეს არ იყო ბოლო შანსი და ის აუცილებლად გახდებოდა „ოქროს ბურთის" ლაურეატი, თუმცა, მისი კარიერა ისე დასრულდა, რომ ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ნაკრებთან ერთადაც კი ვერ მიაღწია იმ დიდ გამარჯვებებს, რაც ბოლო წლებში ესპანურმა ფეხბურთმა შეძლო.

## ათასი „მარსიელი"

პროექტ „Mars One-ს" ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ პირველი ტურის შედეგებით, წითელ პლანეტაზე გასაგზავნად შერჩეულია 1 058 ადამიანი. პროექტის ხელმძღვანელობამ სულ 200 ათასზე მეტი განაცხადი განიხილა. მონაწილეთა მიმართ წინასწარ განისაზღვრა მოთხოვნები: ასაკი – 18 წელს ზემოთ. უნდა ყოფილიყო მიზანდასახული, ადამიანებთან კეთილგანწყობილი და კარგი ურთიერთობით გამორჩეული, ადაპტირების უნარის მქონე, ინტერესიანი და შემოქმედი. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ოფიციალური ენა ინგლისურია, მოქალაქეობაზე და ეროვნულობაზე შეზღუდვა არ დაწესებულა.

პირველი შერჩევით ტური გაიარეს მოხალისეებმა 107 ქვეყნიდან. ყველაზე მეტი პოტენციური კანდიდატი ამერიკის შეერთებული შტატებიდანაა – 297. მეორე ადგილზე კანადელები არიან – 75 წარმომადგენლით, მესამეზე ინდოეთი – 62 ადამიანით, მესამეზე – რუსეთი, 52 კანდიდატით. შერჩეულთაგან 77 პროცენტი მუშაობს, 15 პროცენტი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა. ნახევარზე მეტი – 55 პროცენტი მამაკაცია. 357 კანდიდატი 25 წლამდე ასაკისაა, 415 – 35 წლამდეა, მხოლოდ 26 მათგანია 56 წლამდე ასაკის. ყველაზე ხნიერი კი 81 წლისაა. შერჩევის შემდეგი ეტაპი ფიზიკური და ემოციური შესაძლებლობების შემოწმება იქნება. როგორც პროექტის სამედიცინო განყოფილების უფროსმა ნორბერტ კრაფტმა განაცხადა, შერჩევა შეიძლება, მოხდეს რეალითი-შოუს ფორმატში, რაზედაც უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

პროექტი „Mars One", რომლის ბაზა ნიდერლანდებშია, პილოტირებულ ექსპედიციას 2023 წლისთვის გეგმავს. პირველი „მარსელი" კოლონისტი პროექტის ოთხი საუკეთესო მონაწილე გახდება, რომლებიც დარჩენილ სიცოცხლეს მარსზე გაატარებენ. თუმცა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მათ წითელ პლანეტაზე მთელი რიგი სიძნელეები შეხვდებათ, მათ შორის რადიაციული ფონი. მარსამდე 360 დღე და უკან – იმდენივე, ასევე, 500 დღე იქ ცხოვრებისას ადამიანი დასხივების ისეთ დოზას მიიღებს, რომელსაც ასტრონავტები მთელი თავიანთი კარიერის განმავლობაში იღებენ.

## კასილასი მამა გახდა

მადრიდის „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ვარსკვლავური გოლკიპერი იკერ კასილასი 3 იანვარს მამა გახდა. ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ახალშობილ ვაჟს მარტინი დაარქვა. იკერისა და სარა კარბონერისთვის მარტინი პირველი შვილია. სარასა და იკერის რომანის შესახებ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც გამარჯვებით გახარებულმა იკერმა პირდაპირ ეთერში აკოცა სარას, რომელიც, ცნობისთვის, სპორტული ტელეჟურნალისტია.

## ირინა შეიკის პირველი ფოტოსესია 2014 წელს

კრიშტიანუ რონალდუს მეგობარმა გოგომ ირინა შეიკმა, 2014 წლის პირველ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. რუსი სუპერმოდელი საცურაო კოსტიუმების ბრენდ „ბიჩ ბანის" სარეკლამო სახე გახდა. იდეალური ფიგურის გამო, ირინა ბოლო წლებში საცურაო კოსტიუმების რეკლამირებისთვის საუკეთესო მოდელად ითვლება მსოფლიოში და არაერთ ცნობილ ბრენდთან თანამშრომლობს. ახალ სესიაში ირინამ ბიკინიში, მონიკინისა და პარეოში იპოზიორა. საინტერესოა, რომ ინტერნეტში უკვე გავრცელდა „ფოტოშოპში" დაუმუშავებელი ფოტოები, რომლებზეც ირინა ისეთივე სექსუალურია, როგორც „დაფოტოშოპებული".



## შინჯი კაგავას პორნომეგობარი

„მანჩესტერ იუნაიტედის" იაპონელი ნახევამრცველის, შინჯი კაგავას მეგობარი გოგო, იაპონელი ამერი იჩინოსე, წარსულში პორნოგრაფიული ფილმების ვარსკვლავი ყოფილა. ამჟამად მოდელმა ამერიმ პორნოკარიერა 2006 წელს დაიწყო ერიკა კურისუს ფსევდონიმით, ხოლო მკერდის გადიდების შემდეგ კიდევ ერთხელ შეიცვალა სასცენო სახელი და აიაკა მისორა გახდა. პორნოინდუსტრიაში გატარებული ორი წლის შემდეგ ამერიმ გადაწყვიტა, თავი დაენებებინა „მძიმე კინოსთვის" და ამჟამად ფეხბურთელს ხვდება, თუმცა, „დეილი მეილის" ცნობით, ორივე საგულდაგულოდ მალავს თავიანთ ურთიერთობას.

## ვოზნიაცკი გათხოვდა

ახალ წელს ჩრდილოირლანდიელმა მეგოლფემ, რორი მაკილროიმ, დანიელ ჩოგბურთელს, კაროლინა ვოზნიაცკის ხელი სთხოვა და თანხმობაც მიიღო. ვოზნიაცკი და მაკილროი 2011 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს და იმ პერიოდში კაროლინას მსოფლიო ქალთა კლასიფიკაციაში პირველი პოზიცია ეკავა. ამჟამად კაროლინა რეიტინგში მეათეა, ხოლო მაკილროი მსოფლიო მეგოლფეების რეიტინგში – მეექვსე. წყვილი ერთად შეხვდა ახალ წელს და „ტვიტერის" საშუალებით აცნობა მსოფლიოს, რომ დაოჯახებას აპირებენ.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# რომელი საბჭოელი დიქტატორის როლის შესრულებაზე ოცნებობს ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი ლეონარდო დიკაპრიო

*მარტინ სკორსეზეს ახალი ფილმის – „მგელი უოლ-სტრიტიდან" პრემიერის შემდეგ კინოკრიტიკოსები და უბრალო მაყურებლები ერთხმად აცხადებენ, რომ მთავარი როლის შემსრულებელი ლეონარდო დიკაპრიო ნამდვილად იმსახურებს „ოსკარის" ჯილდოს წლის საუკეთესო მსახიობის ნომინაციით. 2014 წელი ლეოსთვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის 40 წლის იუბილეს იზეიმებს.*



* სრული სახელი და გვარი: ლეონარდ ვილჰელმ დიკაპრიო.

* ლეონარდო ჰიპების ოჯახში დაიბადა და ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ყველაზე კრიმინალურ უბანში იზრდებოდა.

* ორ-ნახევარი წლის ასაკში შედგა ლეონარდოს დებიუტი ტელევიზიაში, როცა მამამ ის ერთ-ერთი საბავშვო გადაცემის ქასთინგზე მიიყვანა.

* ლეონარდოს მამა, ჯორჯი, კომიქსების მხატვარი იყო, ხოლო დედა, ირმელინი – სოციალური მუშაკი. ისინი ადრე განქორწინდნენ, თუმცა ლეონარდოს არ უგრძნია მათი გაშორება, რადგან ყოვლედღიური კონტაქტი ჰქონდა ორივესთან.

* სახელი ლეონარდოს მშობლებმა მაშინ შეურჩიეს, როცა ირმელინი ლეონარდო და ვინჩის ნახატებს ათვალიერებდა – სწორედ ამ დროს იგრძნო მან მუცლიდან პირველი დარტყმა.

* ლეონარდო დიკაპრიოს იტალიელი, რუსი და გერმანელი წინაპრები ჰყავს.

* ლეონარდოს ბებია, ელენა სმირნოვა რუსია. ის გერმანელზე გათხოვდა და გვარად ინდენბირკენი გახდა. ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის დროს ლეონარდო უმტკიცებდა რუსეთის პრეზიდენტს, ნახევრად რუსი ვარო.

* ლეონარდო ბავშვობიდან არის გატაცებული ანთროპოლოგიით – მის სახლში დინოზავრების ძვლები ინახება.

* 14 წლის ასაკში ლეონარდო დიკაპრიოს საკუთარი აგენტი ჰყავდა, ხოლო მის დებიუტად ითვლება როლი ცნობილ ტელესერიალში „სანტა ბარბარა".

* ლეონარდო დიკაპრიო სამჯერ იყო წარდგენილი „ოსკარის" ნომინაციაზე, თუმცა, ჯილდო სამივეჯერ სხვას შეხვდა.

* ლეონარდო დიკაპრიო საკალათბურთო გუნდ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ქომაგია.

* ლეოს ოცნებაა, დიდ ეკრანზე იოსებ სტალინი განასახიეროს, თუმცა, ჯერჯერობით ვერ მიაგნო შესაბამის სცენარს.

* ლეონარდოს საყვარელი ფილმია „ნათლიმამა".

# 5 ფაქტი ნორვეგიის მეფის, ჰარალდ მეხუთის ცხოვრებიდან

***2014 წლის 17 იანვარს ნორვეგიის სამეფო მეფე ჰერალდ მეხუთის ტახტზე ასვლიდან 23-ე იუბილეს აღნიშნავს და, საინტერესო იქნება, ევროპელი მონარქის შესახებ გავრცელებულ საინტერესო ამბებს გავეცნოთ.***

* მისი უდიდებულესობა მეფე ჰარალდ მეხუთე 1937 წლის 21 თებერვალს, ოსლოსთან ახლოს მდებარე სამეფო საგვარეულოს კუთვნილ სასახლეში, სკაუგუმში დაიბადა. ის იყო ნორვეგიის პირველი პრინცი უკანასკნელი 567 წლის განმავლობაში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ნორვეგიაში ნაცისტური გერმანიის ჯარების შესვლის შემდეგ, სამეფო ოჯახი ჯერ შვედეთში გაიქცა, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა, საიდანაც, ომის დასრულების შემდეგ, 1945 წელს დაბრუნდა მშობლიურ მიწაზე. სკოლის დამთავრების შემდეგ ჰარალდმა სწავლა ჯერ ნორვეგიის საკავალერიო სასწავლებელში განაგრძო, შემდეგ კი – სამხედრო აკადემიაში, სადაც ნორვეგიელი მონარქისთვის აუცილებელი სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა. 1960-1962 წლებში ჰარალდი ოქსფორდის უნივერსიტეტში ეკონომიკასა და ისტორიას სწავლობდა. იმ პერიოდში მამამისი მეფედ, ულაფ მეხუთედ აკურთხეს და ჰარალდმა ავტომატურად მიიღო კრონ-პრინცის ტიტული.



* ნორვეგიის მეფემ, ჰარალდ მეხუთემ, რაინდის წოდება მიანიჭა პინგვინს, სახელად ნილს ოლაფ მეორეს. 1962 წლიდან ნორვეგიის სამეფო გვარდიის რიგებში ერთგვარ თილისმად „მსახურობა" დაიწყო საიმპერატორო ჯიშის პინგვინმა, ნილს ოლაფმა, რომელმაც სერჟანტის წოდებამდე მიაღწია, 1987 წელს კი ის მოკვდა. თილისმის გარეშე დარჩენილმა სამეფო გვარდიამ ახალი პინგვინი ითხოვა ედინბურგის ზოოპარკიდან და 1993 წლიდან ნილს ოლაფ მეორემ მსახურობა დაიწყო გვარდიაში. იმ წელს ფრინველი ოცმეთაური გახდა, 2004 წელს სამეფო შეიარაღებული ჯარების პოლკოვნიკი, ხოლო სულ ახლახან მეფემ მას რაინდის წოდება მიანიჭა.

* ჰარალდ მეხუთის შვილმა, კრონ-პრინცმა ჰოკონმა, ვიკინგური ტრადიციების აღდგენა გადაწყვიტა და თავის შვილს ვიკინგების ეპოქიდან წამოსული სახელი – სვერეს მაგნუსი დაარქვა. სვერესი უძველეს ნორვეგიულ სახელებს მიეკუთვნება, რომელიც ვიკინგების ეპოქაში, 1184-1202 წლებში, ერქვა ნორვეგიის მმართველ მეფეს – სვერეს სიგურდსონი. აღსანიშნავია, რომ მეფე ჰარალდ მეხუთემ ნორვეგიის კონსტიტუციის თანახმად მინისტრთა კაბინეტის წევრებს მიმართა თხოვნით, მიიღოს მათი თანხმობა შვილიშვილისთვის – მომავალში ტახტის მემკვიდრისთვის ძველი სახელის დარქმევასთან დაკავშირებით.

* ბილ ქლინთონის, ვაცლავ ჰაველისა და რომის პაპის, იოანე პავლე მეორის მსგავსად, ნორვეგიის მეფე ჰარალდ მეხუთე, რუდოლფ კამპფის მანუფაქტურის წარმოებული ფაიფურის ჭურჭლის კოლექციას აგროვებს. რუდოლფ კამპფის ფაიფურის მანუფაქტურა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე, ჰაბსბურგების სამეფო დინასტიის დახმარებით ჩამოყალიბდა და ევროპის არისტოკრატიულ ოჯახებში მიღებულია ამ მანუფაქტურის ნაწარმის, ჭურჭლის, დეკორისა და ინტერიერის ნივთების შეგროვება.

* ჰერალდ მეხუთის უმთავრეს გატაცებად აფროსნობა ითვლება. ის არაერთხელ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატებზე, სადაც 1987 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 1964 წელს ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ჰარალდ მეხუთეს გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ნორვეგიის დროშის ტარების საპატიო მისია ხვდა წილად, რაც საკმაოდ პრესტიჟულად ითვლება და, აღსანიშნავია, რომ გულზე გადატანილი მძიმე ოპერაციის მიუხედავად, ჰარალდ მეხუთე თავის გუნდთან ერთად ხშირად იღებს მონაწილეობას აფროსნობის ტურნირებში, სადაც ის თავისი კუთვნილი იახტით – „ფრამ XVI-ით," ხშირად აღწევს წარმატებას.

# როგორ ერთობიან მილიარდერები

*ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა ყველაზე ძვირად ღირებული წვეულებებისგან შემდგარი რეიტინგი, რომელთა ორგანიზატორები მილიარდერები იყვნენ.*

## სულთან ჰასანალ ბოლკიაჰის იუბილე

ბრუნეის სულთანმა, ჰასანალ ბოლკიაჰმა, 1996 წელს 40 მილიონი დოლარი გადაიხადა ორკვირიან წვეულებაში. სულთნის დაბადების დღის მისალოცად ბრუნეიში 3 ათასი სტუმარი ჩავიდა, მათ შორის იყო პრინცი ჩარლზიც; მიწვეულთა გართობაზე მაიკლ ჯექსონი ზრუნავდა. სტუმრებს ახვედრებდნენ შავი ხიზილალისგან მომზადებულ კერძებს და უწყობდნენ სპეციალიზებულ სამხედრო აღლუმებს.



## „მარდან პალასის" გახსნის ცერემონიალი

2009 წელს, აზერბაიჯანელ მილიარდერს, ტელმან ისმაილოვს, სასტუმრო „მარდან პალასის" გახსნისადმი მიძღვნილი წვეულება 35 მილიონი დოლარი დაუჯდა. სტუმრების სტატუსით სასტუმროს გახსნას დაესწრნენ: რიჩარდ გირი, შერონ სტოუნი, ტომ ჯონსი და პერის ჰილტონი. წვეულების განსაკუთრებული სტუმარი იყო ტელმან ისმაილოვის ამჟამინდელი მეგობარი ქალი – მონიკა ბელუჩი.



## ელიზაბეტ ბრუკსის იუბილე

მილიარდერმა დევიდ ბრუკსმა გრანდიოზულად აღნიშნა თავისი ქალიშვილის, ელიზაბეტის 12 წლის იუბილე. ებრაელმა მილიარდერმა ტრადიციული „ბატ-მიცვა", ებრაულად – „სრულწლოვანება," სასტუმრო „რეინბოუ რუმსში" აღნიშნა. სტუმრების საზეიმო განწყობაზე ჯგუფები „იგლზი", „ფლიტვუდ მაკი" და რეპერი „50 ცენტი" ზრუნავდნენ.

## დევიდ ბონდერმენის იუბილე

2011 წელს მილიარდერმა დევიდ ბონდერმენმა გრანდიოზულად აღნიშნა თავისი დაბადების დღე. ლას-ვეგასის „ჰარდ როკ კაფე" დახურული იყო და მოწვეულ სტუმრებს „როლინგ სთოუნზი" და რობი უილიამსი ართობდნენ. წვეულება 7 მილიონი დოლარი დაჯდა.

## ვიქტორ პინჩუკის იუბილე

2010 წელს ლეონიდ კუჩმას სიძემ, უკრაინელმა მილიარდერმა ვიქტორ პინჩუკმა თავისი 50 წლის იუბილე აღნიშნა ცნობილ ფრანგულ კურორტ კურშაველში. წვეულებაზე სტუმრებს კრისტინა აგილერა და „ცირკ დიუ სოლეის" სოლისტები ართობდნენ, ხოლო კვებაზე პასუხიმსგებელი იყო ცნობილი ფრანგი შეფ-მზარეული ალენ დიუკასი. უკრაინელ ოლიგარქს იუბილე 6,6 მილიონი დოლარი დაუჯდა.

**გვერდი მოამზადა
უშანგი რუხაძემ**



## რა პროდუქტები უნდა ჭამოთ კუჭის შეკრულობის დროს

კოლიტი ნაწლავების ანთებითი და არაანთებითი დაავადებაა. ანთებითს განეკუთვნება მსხვილი ნაწლავის გაღიზიანების სინდრომი, რომელსაც ნაწლავების ფუნქციის მოშლა იწვევს; არაანთებითს კი – არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი ან კრონის დაავადება. ქრონიკულ კოლიტი ვლინდება მუცლის ტკივილით, მეტეორიზმით, შებერვით, კუჭის შეკრულობითა და ლორწოვანი გამონადენით. ამ დროს ორგანიზმის ინტოქსიკაციის არანაირი ნიშანი არ შეიმჩნევა, ანუ, არ აღინიშნება არც მაღალი ტემპერატურა, არც წონის კლება და არც ცვლილებები ანალიზში.

თუ კუჭის შეკრულობა ხშირად არ განუხებთ და ის არ არის საკვები რაციონის ცვლილებაზე დამოკიდებული, მაშინ, შესაძლოა, ყველა სიმპტომმა თავისით გაიაროს; მაგრამ, თუ კუჭის მოქმედება სამ-ოთხ დღეში ერთხელ გაქვთ, რასაც თან ახლავს ტკივილი, გაწუხებთ მეტეორიზმი, აუცილებლად უნდა გაესინჯოთ გასტროენტეროლოგს ან თერაპევტს და დაადგინოთ მიზეზი. შეკრულობა, შესაძლოა, ინფექციური დაავადებითაც იყოს გამოწვეული. თუ ტკივილები აღგენიშნებათ, ამ შემთხვევაში ინიშნება ტკივილგამაყუჩებლები; თუ კუჭის მოქმედება დარღვეულია, მაშინ საჭიროა მისი ნორმაში ჩაყენება.

წყლულოვანი კოლიტის დროს ზიანდება მსხვილი და სწორი ნაწლავები. ახასიათებს დიარეა და განავალს მოჰყვება სისხლი. ამ დროს თავს იჩენს დაავადების საერთო ნიშნები, მაგალითად, წონაში დაკლება, მაღალი სიცხე, პირღებინების შეგრძნება, სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება. შესაძლოა, ტკივილი არ აღინიშნოს, მაგრამ, თუ მაინც გტკივათ, ესე იგი, სერიოზული გართულებაა და დროულად მიაქციეთ ყურადღება. კრონის დაავადება კი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნებისმიერი უბნის დაზიანებაზე მეტყველებს. ქრონიკული კოლიტისგან განსხვავებით, დაავადების სიმპტომები, შესაძლოა, დიდი ხნის განმავლობაში არ გამოვლინდეს. მოგვიანებით კი ის ვლინდება კანის, თვალების, სახსრებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებით. ხშირად კრონის დაავადება ინიღბება ბრმა ნაწლავის ტკივილით. თუ ადამიანს ეს დაავადება ერთხელ შეეყარა, მთელი ცხოვრება დატანჯავს, რამაც, შესაძლოა, საშიში გართულებებიც გამოიწვიოს, კერძოდ: ჩირქოვანი იარები, შეხორცებები, შევიწროებები წვრილ და მსხვილ ნაწლავებში, რაც გაუვალობის მიზეზი ხდება. წყლულოვან კოლიტს კი მოჰყვება სისხლდენები, პერიტონიტი, მსხვილი ნაწლავის კიბო და სხვა საშიში გართულებები.

კოლიტის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კვების რაციონს და დაიცავით დიეტა. ქრონიკული კოლიტის დროს კარგია ქატო, შავი ქლიავი, სტაფილო, რადგან ისინი კვებით ბოჭკოებს შეიცავენ. ასევე, აუცილებელია ცილისა და ნახშირწყლების შემცველი პროდუქტების მიღება. იკრძალება რძე, ცხიმიანი, ცხარე, მლაშე და მწარე საჭმელი.

ასევე, წყლულოვანი კოლიტისა და კრონის დაავადების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცილებითა და ვიტამინებით მდიდარ კალორიულ კვებას. მიირთვით ორთქლზე მომზადებული თევზი, ხორცი, კარტოფილი, ფაფები და ნიგოზი.

არსებობს კოლიტი, რომელსაც მიკრობებით გამოწვეული დაავადებები მიეკუთვნება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, გამომწვევია ნაწლავური ინფექცია. ამ დროს მკურნალობის კურსი დროულად უნდა ჩაიტაროთ.

## ალკოჰოლური სასმელები ღვიძლის მტერია

ღვიძლის უჯრედებში შეუწყვეტლივ მიმდინარეობს ბევრი ქიმიური რეაქცია, მაგალითად, ალკოჰოლის გადამუშავება, ტოქსინების გამოდევნა, გლუკოზის მარაგის შექმნა და მისი გაცემა, ქოლესტერინისა და სხვა ლიპიდების წარმოქმნა და ცვლა, ნაღვლის გადამუშავება.

ღვიძლის უჯრედებს შესწევს აღდგენის უნარი, მაგრამ ეს გარკვეულ ზღვრამდე შეუძლია. ალკოჰოლმა, ზოგიერთმა წამალმა, ვირუსებმა, შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ღვიძლს, რაც მაშინვე აისახება მთელ ორგანიზმზე: იცვლება სახის ფერი, ირღვევა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობა, პირის ღრუში ჩნდება უსიამოვნო სუნი. ამ დროს სასწრაფოდ უნდა ჩაიტაროთ სისხლის ბიოლოგიური ანალიზი და ულტრაბგერითი გამოკვლევა. ასევე, აუცილებელია ანალიზი ჰეპატიტის ვირუსზე, რომელიც შვიდი სახისაა. მათგან A და B ჰეპატიტით დასნებოვნება დაკავშირებულია წყალთან და ჰაერთან, ასევე, საკვებთან. დანარჩენი 5 ვირუსი კი ორგანიზმში სისხლით ხვდება.

ღვიძლის დაუძინებელი მტერია ალკოჰოლი. სპირტი გადამუშავდება ღვიძლის უჯრედებით. მაგრამ, თუ ალკოჰოლს დიდი რაოდენობით მიიღებთ, ღვიძლში ირღვევა ცვლის პროცესი, უჯრედები კვდება და ვითარდება ციროზი. ამიტომ, ეცადეთ, არ გადატვირთოთ ღვიძლი ალკოჰოლით. ასევე, დიდი რაოდენობით არ ჭამოთ ცხიმიანი, შემწვარი, მწარე და შებოლილი პროდუქტები.

ახალი ხილი და ბოსტნეული ღვიძლის გამწმენდია. ასევე, კარგია ქატო. ეს ყველაფერი შეიცავს ბევრ უჯრედისსა და პექტინურ ნივთიერებას. ეს პროდუქტები ორგანიზმიდან გამოდევნის მძიმე ლითონებსა და ტოქსინებს. ღვიძლისთვის კარგია ვიტამინები ნატურალური სახითაც, ზეთებიდან კი – სიმინდის, ზეითუნისა და მზესუმზირას ზეთი.

## კომბოსტო ორგანიზმისთვის შეუცვლელი ბოსტნეულია

კომბოსტო შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, ასევე, მასში გვხვდება ეგრეთ წოდებული ულცეროზული ვიტამინი, ანუ, წყლულის საწინააღმდეგო ნივთიერება. გარდა ამისა, კომბოსტოს შემადგენლობაში შედის ტარტარონის მჟავა, რომელიც ძალიან ეფექტური საშუალებაა გასუქების თავიდან ასაცილებლად. სიმსუქნისა და კუჭის წყლულის დაავადების დროს რეკომენდებულია უმი კომბოსტოს ჭამა.

ასევე, ხალხურ მედიცინაში კომბოსტოს იყენებენ როგორც გარეგან საშუალებას კანის სხვადასხვა დაავადების დროს და დამწვრობის შემთხვევაში.

კომბოსტოს მწნილი სასარგებლოა მათთვის, ვისაც ღრძილების დაავადებები აწუხებს. ასეთ დროს მწნილის წვენი გამოივლეთ პირის ღრუში.

ძლიერი კოლიტის, ბუასილისა და სისხლდენის დროს კი კომბოსტოს მწნილი შეუცვლელი საკვებია ორგანიზმისთვის. მისი ჭამა, ასევე, სასარგებლო და ეფექტურია ღვიძლის დაავადების დროსაც.

ერთფეროვანი საკვები მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ამ დროს ტვინი არ იღებს სასარგებლო ნივთიერებებს, ორგანიზმში კი გროვდება მავნე ნივთიერებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს თავის ტვინსა და გულზე.

საკვებ რაციონში ზღვის კომბოსტოს კვირაში ერთჯერადი შეტანაც კი, ისევე იცავს ფარისებურ ჯირკვალს, როგორც ერთი თვის განმავლობაში მულტივიტამინების მიღება. ეს პროდუქტი ჩიყვის განვითარებასაც აგაცილებთ თავიდან. ზღვის კომბოსტო შეიცავს დიდი რაოდენობით იოდსა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რაც ორგანიზმს იოდის ათვისებაში ეხმარება. გარდა ამისა, მისი რეგულარულად მიღება ამცირებს სისხლში ქოლესტერინს და ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას. ზღვის კომბოსტო, ასევე, სასარგებლოა იმუნური სისტემის ფუნქციის დარღვევისას.

## ყოველდღიურ რაციონში სელის ზეთი შეიტანეთ

ვიტამინი E ორგანიზმის ბიოაქტიური ფაქტორების მუშაობის კოორდინატორია. მას „ახალგაზრდობის ვიტამინსაც“ უწოდებენ. ამ ვიტამინის გარეშე, ნახევრად უჯერი ცხიმოვანი მჟავები ადამიანისთვის არათუ სასარგებლო, არამედ ზიანის მომტანიც კი იქნებოდა.

ვიტამინი E, როგორც უძლიერესი ანტიმჟანგავი და ანტიოქსიდანტი, ხელს უშლის უჯრედების ჟანგვის, ანუ დაბერების პროცესსაც.

ნახევრად ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების დიდი რაოდენობით ჩართვა საკვებში ზრდის E ვიტამინზე ორგანიზმის მოთხოვნილებას. ეს განსაკუთრებით შემწვარი და ცხიმიანი კერძების მოყვარულებმა უნდა გაითვალისწინ-

ონ, რადგან ასეთ საკვებში ნახევრად ნაჯერი და ცხიმოვანი მჟავები შედის, ვიტამინი E კი – არა.

გაითვალისწინეთ, რომ რაფინირებულ ზეთებში E ვიტამინი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე არარაფინირებულში.

ცნობილია, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადების პირველი მიზეზი ათეროსკლეროზია, ანუ არტერიის კედლებზე ქოლესტერინის ფოლაქების დალექვა, რაც აფერხებს გულისთვის სისხლისა და ჟანგბადის მიწოდებას, იწვევს გულის შეტევის პროვოცირებას. ქოლესტერინის დონის შემცირება, როგორც კვლევებით აღმოჩნდა, მეტ-ნაკლებად სელის ზეთს შეუძლია.

ამიტომ, აუცილებელია, რომ სელის ზეთი ყოველდღიურ რაციონში შეიტანოთ. სასარგებლო ნივთიერებები, რომლებსაც ეს პროდუქტი შეიცავს, მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის პროცესში და აუცილებელია ისეთი დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, როგორიცაა: ინსულტი, ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადება. ნახევარი სუფრის კოვზი სელის ზეთი უზრუნველყოფს უჯერი ცხიმების მჟავის დღეღამურ მოთხოვნილებას. ეს მჟავა სელში ორჯერ მეტია, ვიდრე თევზის ქონში.

მისი მიღება რეკომენდებულია იმ ადამიანებისთვის, ვისაც დარღვეული აქვთ ცხიმოვანი ცვლა, ასევე, ვეგეტარიანელებისთვის, რომლებიც თევზს არ მიირთმევენ.

### რომელი ვიტამინის სიჭარბე იწვევს ორგანიზმში ჰიპერვიტამინოზს

ვიტამინების დიდი დოზით მიღება ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია. ასეთ დროს ვითარდება ჰიპერვიტამინოზი. ყველაზე მეტად კი ადამიანის ორგანიზმში გროვდება A და D ვიტამინები.

რეტინოლი, ანუ A ვიტამინი, კარგია კანისა და მხედველობისთვის, მაგრამ, მისი ზედმეტი მიღება წარმოშობს A ჰიპერვიტამინოზს. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: კანის სიმშრალე, ქავილი, თავის ტკივილი, გულისრევის შეგრძნება, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, უძილობა და გაღიზიანება. მხოლოდ A ვიტამინს არ შეუძლია ჰიპერვიტამინოზის გამოწვევა. ზედმეტი დოზა შეიძლება ბეტა-კაროტინისგანაც მიიღოთ. ის არის სტაფილოში, გარგარში, ატამში, სხვა ნარინჯისფერ და წითელ ხილსა თუ ბოსტნეულში.

ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია D ვიტამინი. ის ხელს უწყობს ნაწლავებში კალციუმისა და ფოსფორის შეთვისებას, კალციუმის გადანაწილებას ძვლოვან ქსოვილში. მაგრამ, მისი არასწორი მიღება იწვევს ჰიპერვიტამინოზს. მისი სიმპტომებია: სისუსტე, უმადობა, ტემპერატურის მატება, ღებინება, არტერიული წნევის აწევა.

აგრეთვე, არ შეიძლება B ჯგუფის ვიტამინების, PP ვიტამინისა და წყალში ხსნადი C ვიტამინის დიდი რაოდენობით მიღებაც. C ვიტამინი აკრძალულია კუჭის წყლულისა და ლორწოვანი ეროზიის, გასტრიტის დროს.

### თუ შაკიკი გაწუხებთ, ჭამეთ თევზი

თუ ალერგია გაწუხებთ, ორგანიზმის რეაქციის შესაცვლელად, ჩაისა და ყავის ნაცვლად უნდა სვათ ორკბილას ნაყენი. ნაყენი ასე მზადდება: 20 გრამ აფთიაქში ნაყიდ ორკბილას დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ 20 წუთის განმავლობაში, ოთახის ტემპერატურაზე, თავდახურულ ჭიქაში. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ. სასურველია, ყოველი დალევის წინ დააყენოთ. ნაყენი უნდა იყოს ოქროსფერი, რადგან მღვრიე და მომწვანო ფერის ორკბილას ნაყენი ძველია და მან შესაძლოა, მოგწამლოთ კიდეც.



კოლიტის სამკურნალოდ, ხალხურ მედიცინაში იყენებენ საზამთროს ქერქს. 100 გრამ გამომშრალ საზამთროს ქერქს დაასხით ორი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ თავდახურული. ნახევარი ჭიქა ნაყენი დალიეთ დღეში 4-ჯერ. ეს უებარი საშუალებაა მსხვილი ნაწლავის ქრონიკული ანთების დროსაც.

თუ გსურთ, ინფარქტისგან დაზღვეული იყოთ, ხშირად მიირთვით თევზი. თევზის ქონში შემავალ „ომეგა 3-ს" ამის თვისება გააჩნია. ანუ, თევზის ქონი შეიცავს ცხიმიან მჟავებს, რომლებიც ეწინააღმდეგება სისხლის შედედებას და იცავს გულს შესაძლო დაავადებებისგან.

თევზის ქონი ამცირებს ქოლესტერინისა და ლიპოპროტეინის ცხიმოვან მჟავებს ადამიანის ორგანიზმში, ასევე, გვიცავს ათეროსკლეროზისა და შაკიკის შემოტევებისგან.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძე**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: დამინიშნეს პრეპარატი – ორამინ-F. წონაში დაკლებული მაქვს 20 კილოგრამი და ძალიან მეშინია მომატების. ეს პრეპარატი, როგორც ვიცი, ვიტამინებია და ხომ არ იწვევს წონის მატებას?**

**პასუხი:** ორამინ-F შეიცავს ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ვიტამინების, მინერალების, მაკრო და მიკროელემენტების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დაბალანსებულ კომპლექსს. უშუალოდ ვიტამინი არ იწვევს წონის მატებას, მაგრამ, მისი ზოგადი მასტიმულირებელი ეფექტის გამო, არ არის გამორიცხული მადის გაძლიერება და, შესაბამისად, წონის მატება. იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ წონა, უნდა აკონტროლოთ საკვებით მიღებული კალორიები და ივარჯიშოთ.

**კითხვა: თვეზე ოდნავ მეტია, რაც ლაქტაცია შემიწყდა, ხოლო ციკლი ჯერ კიდევ არ აღდგა. ხომ ვერ მეტყვით, ლაქტაციის შეწყვეტიდან რამდენ ხანში უნდა აღდგეს ციკლი?**

**პასუხი:** ზოგადად, თუ ძუძუთი კვების შეწყვეტის შემდეგ 2 თვის განმავლობაში ციკლი არ აღდგა, აუცილებელია გინეკოლოგთან ვიზიტი.

**კითხვა: მაიონეზის ნიღაბი თმაზე თუ აღადგენს თმას და თმის გაყოფილ ბოლოებს თუ შველის?**

**პასუხი:** თმის ბოლოები უფრო ხშირად იყოფა, თუ თმა გრძელია. თმის ბოლოების გაყოფის მიზეზებია: ქრონიკული ინფექციები, ანემიები, პარაზიტული დაავადებები, არაბალანსირებული კვება, ულტრაიისფერი გამოსხივება, ქლორიანი წყალი და სხვა.

ასე რომ, პირველ ყოვლისა, უნდა გამოირიცხოს ანემია და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება. ამასთან, გირჩევთ, აღარ იხმაროთ ფენი, შეარჩიეთ რბილი სავარცხელი და იკვებეთ სრულფასოვნად. მაიონეზის ნიღაბი კარგია თმისთვის, თუ მას 20 წუთზე მეტხანს არ გაიჩერებთ.

**კითხვა: ვარ 16 წლის და უკვე ჩვევად მაქვს ქცეული მუსიკის მოსმენა, ხშირად მაღალ ხმაზეც. არის თუ არა ეს „მავნე ჩვევა" და მომიტანს თუ არა რაიმე ზიანს?**

**პასუხი:** ხმამაღლა მუსიკის მოსმენა მავნე ჩვევა არ არის, თუმცა, შესაძლოა, მან გარკვეული ზიანი მიაყენოს თქვენს სმენას, განსაკუთრებით – ყურსასმენებით მოსმენისას. ამიტომ, გირჩევთ, მუსიკას ზომიერ ხმაზე მოუსმინოთ – ასე საკუთარ სმენასაც დაზოგავთ და არც ოჯახის წევრების მყუდროებას დაარღვევთ.

**კითხვა: 1 წელი ვაჭმევდი ბავშვს ძუძუს (ახლა წლისა და 2 თვისაა). თმა მცვივა, კბილები მიფუჭდება. თუ შეიძლება, ექიმის გარეშე დავლიო კალცი?**

**პასუხი:** კალციუმის შემცველი პრეპარატის მიღება ექიმის გარეშე შეგიძლიათ. გარდა ამისა, გადახედეთ თქვენი კვების რაციონს, რათა ის დაბალანსებული იყოს საჭირო ვიტამინებითა და მიკროელემენტებით. ასევე, სასურველია, გამოირიცხოს ანემია და ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

# ვის შეხვდა მერაბ ნინიძე პარიზში საიდუმლოდ და ბავშვობის რა ოცნება ვერ აიხდინა მან

მერაბ ნინიძე დაიბადა 1965 წლის 3 ნოემბერს, თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა. 1980 წელს მან ითამაშა სტურუას სპექტაკლში „რიჩარდ III" პრინც ედვარდის როლი. 1991 წლამდე მერაბ ნინიძე თამაშობდა რუსთაველის თეატრის სცენაზე და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა – იმდენად რომ, აფიშებზე ყოველთვის ეწერა: „მერაბ, მიყვარხარ"! მის კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული როლი იყო 1984 წელს, თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიებაში" შესრულებული თორნიკე არავიძე. 1992 წელს, საქართველოში მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე, მერაბი დიდ ბრიტანეთში მიემგზავრება. 1995 წლიდან კი, ის ცხოვრობს და მოღვაწეობს ავსტრიაში, ვენაში. მერაბმა პირველი ავსტრიული როლი გორან რეგიჩის „ჰუგოფილმში" შეასრულა. მანამდე კი იყო „კურდღლებზე ნადირობა," შემდეგ „მთვარე მამა" , „ქარვის ამულეტი". მთავარი წარმატება მერაბს მოუტანა ფილმმა „არსად აფრიკაში". ეს ფილმი 2003 წელს „ოსკარის" 75-ე დაჯილოდოების ცერემონიაზე გამოცხადდა, როგორც წლის საუკეთესო უცხოური ფილმი. 2011 წლის აპრილში ლეჩეს ევროპულ კინოფესტივალზე ქართველმა მსახიობმა საუკეთესო ევროპელი მსახიობის პრიზი მიიღო მამაკაცის როლის შესრულებისთვის, რობერტ ადრიან პეჟოს ფილმში „მკვლელი კამერა". „სიყვარული აქცენტით", „მაისის 4 დღე", „ზამთრის ქალიშვილი", „ქაღალდის ჯარისკაცი", „ტროას განძი"... მოკლედ, ძნელია, ყველა იმ ფილმის ჩამოთვლა, რომელშიც მერაბ ნინიძეს უთამაშია. აღსანიშნავია, რომ ბევრი ჩვენი მსახიობი უცხოეთში კინოსა თუ თეატრში, ძალიან წარმატებულია და მათ მოღვაწეობას ჩვენი დროის უდიდესი რეჟისორები, როგორც მაღალპროფესიონალურ დონეს, ისე აფასებენ. არ ვიცი, ისინი საქართველოში რომ დარჩენილიყვნენ რამდენად დაფასებულები იქნებოდნენ, მაგრამ უცხოეთში რომ მათ მეტი შესაძლებლობები აქვთ, თავიანთი ნიჭის გამოსავლენად და დაფასება, ფაქტია. მაშ ასე, ექსკლუზიურად ჩვენი მკითხველისთვის, მონატრებული მერაბ ნინიძე თავისი ცხოვრების დღიურებით



დაჯილდოების ცერემონიალი



დედასთან ერთად



ნანუკა ხუსკივაძესთან ერთად

***

„ყოველთვის მაინტერესებდა წერა, მაგრამ ახალგაზრდა რომ ვიყავი, უფრო მეტს ვწერდი, ვიდრე ახლა. ახლა უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე ვწერ. დავიწყე პიესებით. იქ მხოლოდ დიალოგია და მოქმედების აღწერა – ნაკლები. მეც დავიწყე დიალოგების ფორმით რაღაცეების ჩაწერა და პიესა გამოვიდა. ეს არ არის ლიტერატურა. ეს, ალბათ, უფრო ჩანახატებია კინოსთვის, თეატრისთვის. მერე, ძალიან დიდი სწრაფვა მქონდა ენების მიმართ და ერთ დღესაც, გადავწყვიტე, თვითონ შემესწავლა. ეს ინტერესი გამიღვივა „ბითლზებმა". რამდენიმე ფირფიტა მქონდა სახლში. ჩემთვის ყოველდღიურობაში მუსიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეგობრები ერთმანეთში ვცვლიდით ამ ფირფიტებს. მერე ვიღაცამ წამართვა, გამიტეხა, ვიღაცამ ცოლი მოიყვანა, ისეთი შთაბეჭდილების ქვეშ დარჩა გოგო... მოკლედ, ამ მუსიკამ მიმიყვანა იქამდე, რომ მაინტერესებდა; რაზე მღერიან, რა არის მათ ტექსტებში და დედაჩემს ვთხოვე, ჩემთვის ინლისურის მასწავლებელი აეყვანა. მომიყვანა მასწავლებელი, ქალბატონი ნუნუ ტორონჯაძე, რომელიც კვირაში ორჯერ მამეცადინებდა. მაგრამ, ეს იყო ძალიან მოკლე პერიოდი, ძირითადი საფუძველი მან მომცა, რა თქმა უნდა და დანარჩენი თვითონ გავაგრძელე. ამაში ისიც დამეხმარა, რომ 15 წლის ასაკში რუსთაველის თეატრთან ერთად ლონდონში მოვხვდი. მე ვუთარგმნიდი კახი კავსაძეს, კარლო საკანდელიძეს რაღაცეებს კომუნიკაციისთვის. იქიდან დაბრუნებულმა ინგლისურად წიგნების კითხვა და წერა დავიწყე. დღემდე ინგლისური ჩემი ყოველდღიური ენაა. რაც შეეხება გერმანულს, პირველი წლები ძალიან გამიჭირდა. აბსოლუტურად სხვაა, როგორც კი ემოციური ხდები რაღაც სცენაში, იქ პირი არ გემორჩილება, თითქოს არ ჯდება სიტყვები. ამაზე დამჭირდა დიდი ტრენინგი, რამაც შემდგომში უფრო მეტი სითამამე და თავისუფლება შემძინა. ადრე თუ დღეები მჭირდებოდა, რომ ტექსტს გავმკლავებოდი, ახლა ერთი შეხედვით შემიძლია, ავითვისო. თუმცა, გერმანული გრამატიკა არასდროს მისწავლია. საერთოდ, მე უკუღმა მივედი გერმანულ ენასთან – ჯერ ვთამაშობდი ზეპირად, ვიღაცის მიერ მომზადებლ ტექსტზე და მერე ვისწავლე. საუბარში მექანიკურ შეცდომებს ვუშვებ, მაგრამ, როცა თამაშობ, იქ უკვე არ გაქვს იმის უფლება, სწორად არ წარმოთქვა სიტყვა. ხანდახან ვფიქრობ: ღმერთო, რა სასჯელია, რატომ არ შეიძლება, ქართულად ვითამაშოთ ეს ყველაფერი-მეთქი. მაგრამ, მეორე მხრივ, არის ძალიან საინტერესო. რაღაც იცვლება შენში და როგორც მსახიობს, პროფესიონალს გხვეწავს. ფრანგული ენაც ვიცი, მაგრამ ისე არა – რაღაცეები მაქვს ფრანგულ ენაზე ნათამაშები, ერთი ორი როლი. თბილისში რომ ვცხოვრობდი, ფრანგულზე დავდიოდი. ბოლოს და ბოლოს, ამ ენებს ვსწავლობ, როგორც მუსიკალურ ნაწარმოებს, სმენით. დიდი ჯახირი ამისთვის არ მჭირდება.



დაჯილდოების ცერემონიალი



დედასთან ერთად

***

როცა ლილიკო ნემსაძემ თავისი სიმღერა მაჩუქა, შიში მქონდა, როგორ ვიმღერებდი. მერე ნატო მეტონიძემ დამპატიჟა დუეტის ჩასაწერად, რაც ძალიან გამიხარდა. ბავშვობაში ერთი პერიოდი, სულ ავად ვიყავი, მაღალი სიცხეები მქონდა, 40-მდე. როცა ამხელა სიცხე გაქვს, ბოდავ, სულ მოჩვენებები გაქვს. მახსოვს ვიწექი და ჩემს თავს ვუმღეროდი, ვღიღინებდი, იმიტომ რომ, რაღაცეების მეშინოდა. ახლაც, ხანდახან მარტო ჩემთვის რომ ვმღერი, თითქოს რაღაცისგან მათავისუფლებს და სხვა სამყაროსთან მაკავშირებს, რაღაც არის მეტაფიზიკური ჩემთვის სიმღერაში. კარგად ვიმღერებ თუ ცუდად, ჩემთვის აღარ აქვს მნიშვნელობა, თუ ვინმე მამღერებს, ბედნიერი ვიქნები.

***

„ჰაშიშით მთვრალი დეკადენტები," – ეს არის ციკლი საღამოების, რომლის იდეა ლაშა ბაქრაძეს ეკუთვნის. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ბერლინში, ვენაში, როცა ის დასავლეთში იყო. ლაშამ იპოვა არქივში, ერთ-ერთ ფოტო, სადაც ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი ყვავილებით დგანან. ალიო მირცხულავამ მიაწერა, როგორც ლაშა ამბობს წლების შემდეგ: „ჰაშიშით მთვრალი დეკადენტები". ჰაშიში – მომეჩვენა, რომ ეს პროვოკაციული, ცოტა ხულიგნური მინაწერი, კარგი სათაური იქნებოდა პროექტისთვის. მოგვიანებით, ლაშამ პაოლო იაშვილის მუზეუმში დაცული ორტომეული მომაწოდა, რომელიც მცირე ტირაჟით დაიბეჭდა. ეს წიგნი არასდროს გაყიდულა, შესაბამისად, თითქმის არავის ჰქონდა წაკითხული. მისი ფილოსოფიური და სფეციფიკური პუბლიცისტიკა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მსმენელისთვის. მინდა, რომ პროექტი – „ჰაშიშით მთვრალი დეკადენტები" ერთგვარ მოძრაობად გადაიქცეს. ახლა ნიკო მიწიშვილს უნდა ჩავუღრმავდე, მერე კოლაუს და ცამეტივე ცისფერყანწელს. მათ შემდეგ თანამედროვე ახალგაზრდა ავტორებს წავიკითხავ ხმამაღლა. ამ პროექტზე ფიქრისას ერთი იდეა გამიჩნდა. თბილისში რომ ვცხოვრობდე გავაკეთებდი სერვისს: „მსახიობი ნინიძე შეკვეთით", რომელიც მოვა და საყვარელ წიგნს სახლში, ბუხრის პირას წაგიკითხავს. თავიდან გამეცინა, მაგრამ მეორე დღეს ეს იდეა ჭკუაში დამიჯდა. ვთქვათ, პროზა ნახევარი საათი – 60 ლარი. პოეზია უფრო რთულია, შესაბამისად უფრო ძვირიც. რუსულად გნებავთ? – კი ბატონო! – 200 ლარი. ეს ყველაფ-



თენგიზ აბულაძესა და ია ნინიძესთან ერთად

ერი მარტიდან, – სრულიად სერიოზულად გეუბნებით. მივხდი, რომ არაფრისგან შემიძლია, რაღაც გავაკეთო. უბრალოდ, ავიღო წიგნი, დავიწყო კითხვა და სხვა სამყაროში მოვხვდე. ეს არის მხოლოდ წიგნის, რამდენიმე მსმენელის და წამკითხველის ურთიერთობა. პრინციპული საკითხია, რომ შეიძლება, წარმოდგენა განათებების, კოსტიუმების, კორდებალეტის და ორგანიზატორების გარეშე გააკეთო.


კადრი ფილმიდან

***

ძალიან სასიამოვნო და საინტერესო, მაგრამ გასაიდუმლოებული იყო ჩემი შეხვედრა უდიდეს რეჟისორთან, სტივენ სპილბერგთან, იმიტომ რომ, დამირეკეს შაბათ დღეს. შაბათ დღეს კი, როგორც წესი, არავინ არავის ურეკავს საქმესთან დაკავშირებით, თუ მართლა რაღაც არ ხდება. ყველა მსახიობისთვის ეს არის ანეკდოტივით, ტელეფონი რომ რეკავს და ერთმანეთს ეუბნებიან: ალბათ, სპილბერგი რეკავსო. დამირეკა მისმა პროდიუსერმა და მითხრა, რომ ორშაბათს ჩამოხვალ პარიზში, ერთი-ორი დღე გაჩერდები სასტუმროში და მერე ჩემთან და რეჟისორთან გექნება შეხვედრაო. წავედი. რა თქმა უნდა, ყველაფერი იყო ორგანიზებული. აეროპორტში დამხვდა მანქანა, წამიყვანეს სასტუმროში. ვიცი, ვის უნდა შევხვდე, მაგრამ ვიცი, რომ სერიოზული შეხვედრაა. მოკლედ, შევხვდი სპილბერგს. გავოცდი, ყველაფერი იცოდა საქართველოს შესახებ. არაფერი არ უნდა ამეხსნა მისთვის: საიდან ვარ, ვინ არის ქართველი? გელაპარაკება როგორც დიდი ხნის ნაცნობი და მეგობარი. მერე მითხრა, რომ „არსად აფრიკაში" ნახა ორჯერ, ერთხელ ხმით, მეორედ უხმოდ. ხმა გამორთო, იმიტომ რომ, აინტერესებდა, ფიზიკა როგორ მუშაობს, რა მოსდის თვალში... ბევრი კომპლიმენტიც მითხრა, მკითხა ვლაპარაკობ თუ არ ივრითზე. როცა ევროპაში ჩამოდის, ფილმებს, რომელსაც უყურებს კინოაკადემიაში და მოსწონს, უნდა რომ მასში მონაწილე მსახიობები პირადად გაიცნოს. ასეთი პრინციპი აქვს. მე მასთან არ მიმუშავია, მაგრამ, როდესაც ვშორდებოდით ერთმანეთს, ვუთხარი: არ ვიცი, ამ ჩვენს შეხვედრას რა მოჰყვება, მაგრამ, რაც არ უნდა მოჰყვეს, ეს შეხვედრა უკვე ჩემთვის ძალიან დიდი რამ არის და ის ფაქტი, რომ თქვენ ევროპაში ჩამოდიხართ, უყურებთ ჩემს ფილმებს, მაკვირდებით როგორ ვმუშაობ, საფუძველს მაძლევს, უკეთესად ვიმუშავო-მეთქი.

***

„მონანიებაში" თორნიკეს როლს გეგა კობახიძე თამაშობდა, თუმცა, გადაღებები გასაიდუმლოებული იყო და ამის შესახებ არავინ იცოდა. გეგას ტრაგედიის შემდეგ, როლზე მისი შემცვლელის შერჩევა თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყეს. მაშინ 17 წლის ვიყავი, მეორე კურსზე ვსწავლობდი. როცა კინოსტუდიაში მივედი, უამრავი დაკუნთული ბიჭი დამხვდა და მეგონა, არავითარი შანსი არ მექნებოდა. როცა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ, სინჯებზე მითხრა, შენს ასაკთან შედარებით დიდი ჰგავხარო, გავიფიქრე – სახლში წასვლის დროა-მეთქი. რამდენიმე დღეში კი კინოსტუდიიდან მეზობელთან დარეკეს. ჩემოდნები ჩალაგებული მქონდა, ზაფხულში ბებიასთან ერთად გურიაში მივდიოდი. ტელეფონზე ქალბატონი მეუბნება: როლზე დაგამტკიცეთ, ალბათ, ძალიან გიხარიათ, ხვალ რეპეტიციაზე გელოდებითო. მე მშვიდად ვუპასუხე: გამიხარდა, მაგრამ ახლა გურიაში მივდივარ, ორ კვირაში ჩამოვალ და მერე დამირეკეთ-მეთქი. მიხვდა, რომ ჩემთან საუბარს აზრი არ ჰქონდა და თენგიზ აბულაძეს გადასცა ყურმილი. ბატონმა თენგიზმა მშვიდად მითხრა: „გურია მოიცდის. სცენარი ხმამაღლა უნდა წავიკითხოთ და ფილმზე ვისაუბროთ". ამ ფილმის, თითქოს უხეშმა, რაღაცნაირად ბიბლიურმა სიუჟეტმა, ჩემზე ძალიან იმოქმედა. ვფიქრობდი: ნუთუ არ შეიძლება, კომედიაში მეთამაშა და „კოკა-კოლა" დამელია, მაგრამ, ალბათ, ესეც ბედი იყო. მაშინ აქ „კოკა-კოლას" არავინ სვამდა. „მონანიებისგან" დიდხანს ვერ ვთავისუფლდებოდი, სულ ტრაგიკულ, დრამატულ პერსონაჟებს ვანსახიერებდი. ესეც თავისებურ დაღს ტოვებს, შენი გმირის და საკუთარი განცდების გამიჯვნა გიჭირს. გულწრფელად ვიტყვი, დღეს, სხვა რამდენიმე ნამუშევართან ერთად, ამ ფილმით ვამაყობ. როგორც მსახიობი, ამის შემდეგ დავიბადე... ამ ფილმმა, ფაქტობრივად, მთელი ჩემი ცხოვრება განსაზღვრა.


გადაღებებზე

***

მარიამი 20 წლისაა, მახარე – 8-ის. მათგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ. მარიამის ადრეულმა ბავშვობამ ჩემ გარეშე გაიარა, მერე მოგვიწია ამ დანაკლისის აღდგენა. რა თქმა უნდა, ვხედავდით ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობდით, მის ყოველდღიურობაში არ ვმონაწილეობდი როგორც მამა. ეს ჩემთვის ძალიან რთული იყო, ალბათ, მისთვის უფრო. ახლა ვხვდები, რომ ისევ ისე საჭირო ვარ, როგორც მაშინ, როცა ორი თვის იყო, შეიძლება, უფრო მეტადაც. მარიამთან ურთიერთობამ როგორც ადამიანი ძალიან დამხვეწა, დამამშვიდა, ბევრი ზედმეტი და ნერვული სტრესისგან გამათავისუფლა... მივხვდი, რომ, რაც უფრო ნამდვილი და უშუალო ხარ, მით უფრო ადვილია ცხოვრება, უბრალოდ, უნდა მოდუნდე. მეც ასე გავიზარდე, ჩემს ცხოვრებაში მამა იშვიათად, მაგრამ მძაფრად არსებობდა. ჩემთვის ბაბუა იყო მამობის მაგალითი. რაღაც ასაკში ამაზე არ ვფიქრობდი, დანაკლისი 30-ს მიახლოებულმა ვიგრძენი, მანამდე რეალობას ისეთს ვიღებდი, როგორიც იყო. ამაზე ფიქრის და წუწუნის დრო არ მრჩებოდა. ერთხელ გიზო ჟორდანიამ თქვა: „უმამოები" ცალკე დასხედითო. ალმოჩნდა, რომ მხოლოდ 3 ბავშვი იზრდებოდა მამასთან. კითხვა: მამა, რატომ მიმატოვე? მოგვიანებით გამიჩნდა...


მიხალკოვის ქალიშვილთან ერთად

***

ძალიან მომწონს დევიდ ლინჩის ფილმები, რომლებშიც ის ზუსტად ყვება ადამიანის მიკრო-ჯოჯოხეთების შესახებ. ყველას აქვს მიკრო-ჯოჯოხეთები, შეიძლება, ოდესმე ამაზე წიგნიც დავწერო – ჩემი განცდები და ფიქრები ყოველგვარი შელამაზების გარეშე აღვწერო... ნოსტალგია სულ მაქვს. რა თქმა უნდა, ვენას, სადაც 22 წელი გავატარე, სრულად ვერ მოვწყდები, მაგრამ საქართველოშიც ვიქნები, ოღონდ გურიაში, ჩემს სოფელში – ნაგომარში. მომავალი წლიდან მე და ჩემი ძმა სახლს მივხედავთ, ხელახლა ავაშენებთ, ბოსტანს გავაკეთებ, ეზოს მოვუვლი. მინდა, სოფელს და ბუნებას დავუბრუნდე... თავიდან დინებას წავყევი, მთავარი იყო ენა მესწავლა და თამაში შემძლებოდა. აქედან რომ წავედი, არ ვფიქრობდი მთების გადადგმაზე, იმითაც კმაყოფილი ვიყავი, რომ პროფესიის დათმობა არ მომიხდა. ჩემი ფილმები ხან არტ-ჰაუსია; ხან ნაკლებად კომერციული, ხან მეტად; ხან ცუდია, ხან კარგი. მე კინო მიყვარს და ამას გარდა, ელემენტარული შემოსავალიც მჭირდება. მიხარია, რომ თუ ძალიან ცუდ ფილმში ვითამაშებ, საქართველოში ამას არავინ ნახავს და თუ კარგი გამოვა, მისი წარმატების ამბავს აუცილებლად ყველა გაიგებს... რაღაც ფილმებს, წინასწარ ვიცი, რომ არ უნდა ვუყურო, რაღაცეებს სიხარულით ველოდები... როცა ჩემი შვილები დროდადრო ამ პროფესიით იხიბლებიან და ამბობენ, რომ მსახიობობა უნდათ, ვბრაზდები და ვეუბნები, ამისთვის არ მემეტებით-მეთქი. ისიც საკმარისია, რომ მე გავიარე ეს გზა. ამ პროფესიას აქვს ერთი არაჩვეულებრივი თვისება – მოგცეს თავისუფლება. თუ გაგიმართლა, ყოველთვის გექნება შანსი, წინ წახვიდე, თუ არა – ცხოვრება გამტვრევს და მუდმივად ამ შანსის მოლოდინში ხარ. იმისთვის, რომ საკუთარი თავით კმაყოფილი იყო და ბედნიერებისთვის ათობით კინოროლი არ გჭირდებოდეს, ძალიან დიდი შრომაა საჭირო. ახლა ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, კიდევ რამდენ ფილმში გადამიღებენ... მთელი ბავშვობა ამაზე ვოცნებობდი. ახლა რომ დადგამდნენ მიუზიკლს, პირდაპირ რეჟისორთან მივიდოდი და მოურიდებლად ვთხოვდი, როლი მოეცა. აქამდე არასდროს მქონია შემოთავაზება, თორემ დიდი სიხარულით დავთანხმდებოდი".


გადაღებებზე


მერაბის მამა – შუაში მარჯვენივ

**ეკა პატარაია**

**თუ გეცოდინებათ, რა უნდა გააკეთოთ და კონკრეტულად, რას მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ძველით ახალ წელს, არ არის გამორიცხული, სასურველი შედეგი უმოკლეს დროში მიიღოთ. როგორც ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნანა ამბობს, საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი და ცხოვრებაც სასიკეთოდ შეეცვალა მას შემდეგ, რაც წინაპრების რჩევები სწორედ ამ დღეს შეასრულა.**

# რისი გათვალისწინებაა საჭირო ახალი წლის დღეებში, რომ ოჯახში ბედნიერება და სიმშვიდე დაიბედოთ

**ნანა**: ახალ წელს უდიდესი პოზიტიური ენერგია მოდის და ეს ენერგია თქვენს სასიკეთოდ უნდა გამოიყენოთ. თუ ამ დროს არ დაიზარებთ, შეასრულებთ გარკვეულ წესებს და ამას მთელი მონდომებით გააკეთებთ, მერწმუნეთ, უახლოეს მომავალში წარმატებებს ადვილად და იოლად მიაღწევთ. თუმცა, სანამ ამ თემებზე ვისაუბრებთ, მინდა, გარკვეული რეკომენდაციები მოგცეთ, რაც ნამდვილად წაგადგებათ და დაგეხმარებათ მომავალში. კერძოდ, ნებისმიერ სახლში არსებობს ნეგატიური ენერგია. ის სახლებში ადვილად აღწევს და იბუდებს. მისი განეიტრალება კი ბევრმა არ იცის, არც მის ნეგატიურ შედეგებზე გაქვთ წარმოდგენა. არადა, მერწმუნეთ, ეს ძალიან მარტივია და თავადაც შეგიძლიათ, გაანეიტრალოთ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. კერძოდ, საცხოვრებელი სახლის ნეგატიურ ადგილებში უნდა დადოთ არყის, მუხის ან ცაცხვის ხის ქერქის პატარა ნაჭრები. ხის ქერქი ნეგატიურ ენერგიას კარგად შეიწოვს და ანეიტრალებს მის უარყოფით მუხტს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამყაროდან პოზიტიური ენერგიები ჭარბად მოედინება.

**– როგორ უნდა გავიგოთ, სად დაგროვდა სახლში უარყოფითი ენერგია?**

– ყურადღება დაძაბეთ და დააკვირდით, სახლის რომელ კუთხეში ვერ ისვენებთ, სად გრძნობთ დისკომფორტს, სად და რომელ კუთხეში გიპყრობთ ცუდი აზრები და ცუდი გუნება-განწყობა. სწორედ იმ ადგილებშია სახლში უარყოფითი ენერგია დაგროვილი. კარგია, თუ შემოსასვლელ კართან დაფნის ან ცაცხვის ფოთლებს დააწყობთ. ისინი ავ ძალებს ებრძვიან და არ უშვებენ სახლში. ამიტომ, თუ გინდათ, რომ თქვენს სახლში დადებითი ენერგია მთელი წელი ტრიალებდეს, ამაში სწორედ ძველით ახალ წელს შესასვლელში დაწყობილი ცაცხვისა და დაფნის ფოთლები დაგეხმარებათ. ბინაში მათ დამატებითი დადებითი ენერგიის მოზიდვა შეუძლიათ.

**– უცხოეთში, ახალ წელს სახლიდან ყრიან ძველ ნივთებს და ამბობენ: რაც მეტ ნივთს გადაყრი, მით მეტ სიმდიდრეს მოგიტანს ახალი წელიო. ანუ, ახალი წლის დღეებში, რაც მეტ ნივთს გავიტანთ გარეთ და გადავყრით, მით მეტ სიკეთესა და ბედნიერებას უნდა ველოდოთ იმ წელიწადს?**

– ეს სიმართლე არ არის. უფრო სწორად, ზუსტად უნდა იცოდეს ადამიანმა, რა გადააგდოს და რა – არა. თუ გინდათ, ახალმა წელმა ბედნიერება მოგიტანოთ, სწორედ ამ ახალი წლის დღეებში უნდა მოიქცეთ გონივრულად. მაგალითად, ახალი წლის დღეებში არ შეიძლება სურათების, წამლების, ძველი ჩანაწერების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა თუ ჩანთების გადაყრა. სამაგიეროდ, შეგიძლიათ, თამამად მოისროლოთ ნაგავში მოძველებული აპარატურა, სამზარეულოს ნივთები ან ავეჯი.

**– ამბობენ, ნაძვის ხის გადაგდება ან დაჩეხვაც არ შეიძლებაო. სად უნდა წავიღოთ ნაძვის ხე ახალი წლის შემდგომ?**



– მთავარია, არ გაანაწყენოთ და არ გაგებუტოთ თქვენი ნაძვის ხე. თუ ასე მოხდა, მაშინ იმ წელს უბედურება გარდაუვალია ოჯახში. ამიტომ, არასდროს დაწვათ ის, არც დაჩეხოთ და არც უხეშად მოექცეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ახალი წლის ღამეს, მასზე ოჯახის მფარველი ანგელოზი იჯდა და იქიდან გლოცავდათ. ახალი წლის შემდგომ, ნაძვის ხე ფრთხილად უნდა აიღოთ და სახლთან ახლოს, გარეთ დადოთ.

ხის ქერქი ნეგატიურ ენერგიას კარგად შეიწოვს და ანეიტრალებს მის უარყოფით მუხტს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამყაროდან პოზიტიური ენერგიები ჭარბად მოედინება

**– ამბობენ, ახალი წლის დღეები მაგიური ენერგიის მატარებელიაო. ამ დღეებში ნანახი სიზმარი უნდა დაიმახსოვროს ადამიანმა?**

– ახალი წლის დღეებში ნანახ სიზმრებს აუცილებლად დააკვირდით და გამოიტანეთ აზრი. არ არის გამორიცხული, ამ დღეებში ნანახი სიზმარი მალევე აგიხდეთ. ასევე, ეცადეთ, ისე გაატაროთ ეს დღეები, რომ არ მოიწყინოთ, არ გაიხსენოთ წარუმატებელი პერიოდი, ესტუმროთ ისეთ ადამიანებს, ვისთანაც საუბარი და ურთიერთობა გსიამოვნებთ. თუ ახალი წლის დღეებში ვინმემ ფული გაჩუქათ, ამ ფულით იყიდეთ პატარა სარკე. ყოველ საღამოს ძილის წინ ჩაიხედეთ მასში, ბალიშის ქვეშ ამოდეთ და ისე დაიძინეთ. ის დაგიცავთ ბოროტისგან, მთელი წლის განმავლობაში ხელს მოგიმართავთ და სურვილების ახდენაში დაგეხმარებათ. რაც შეეხება ძველ, დაბინდულ და შელახულ სარკეს. ის უნდა გაიტანოთ გარეთ და გზაჯვარედინზე დატოვოთ, რომ უბედურება სახლიდან გარეთ გავიდეს და ზიანი ვერ მოგაყენოთ. კარგია, თუ ქოთნის მწვანე ყვავილებს შეიძენთ და მათ სახლში გამოსაჩენ ადგილას, სასტუმრო ოთახში დადგამთ. ისინი მომავალში წარმატების მოპოვებაში დაგეხმარებათ. მაგრამ, ჯუჯა, დეკორატიული ხეების შეძენას არ გირჩევთ, რადგან მათ უძველეს დროში „სიკვდილის ხეებს“ უწოდებდნენ და სახლსა და ეზოში არ ახარებდნენ. ასევე, საშიშია სახლში ქოთნის წიწაკა. მას სიმწარე შემოაქვს და ჩვენს ენერგიასაც იწოვს.

**– თუ არსებობს რაიმე ტრადიცია, რომელიც აუცილებელად უნდა დაიცვას ადამიანმა?**

– ამ დღესასწაულებისთვის ჩვენი წინაპრები სპეციალურად აცხობდნენ ცომის ფიგურებს და კარზე კიდებდნენ, რომ სიმშვიდე და ბედნიერება ყოფილიყო მათი თანამგზავრი. ასე რომ, ყველა ოჯახში უნდა იყოს ცომისგან გამომცხვარი ბეკეკა, რომელსაც კარზე დაკიდებთ ან მაგიდაზე დადებთ. ამას ადრე თითქმის ყველა ოჯახში ნახავდით, მით უმეტეს იქ, სადაც ბავშვი ჰყავდათ. ამბობდნენ, თუ ასეთი ბეკეკა იქნებოდა ბავშვის საწოლზე ჩამოკიდებული, მას ღვთისმშობელი აუცილებლად დაიცავდა ბოროტისგან.

**ნონა დათეშიძე**

## ყველაფერი ჩემ გარშემო

ქალს შეუძლია, მოაწყოს ისე, რომ თავის გარშემო განსაკუთრებული, ყველაფრით გამორჩეული გარემო შექმნას. მაგალითად, გამოხედვით – გასხივოსნებულით და კეთილგაწყობილით; ლირიკულით – გულწრფელით და ძალდაუტანებლით; ასევე, გულში ჩამწვდომი ხმით... ქალმა, ასევე, უნდა იცოდეს, რა თქვას კონკრეტულ სიტუაციაში და როგორ. ანუ, მოერგოს სიტუაციას და მაშინ მაგნიმტივით მიიზიდავს როგორც ადამიანებს, ასევე წარმატებასაც.

თუ გინდათ, თქვენი ცხოვრება ნათელი ფერებით იყოს აღსავსე, გაიფერადეთ ყოველდღიურობა თავადვე. ეს სულაც არ არის ძნელი. მთავარია სურვილი, სულ ცოტა ფანტაზია და დადებითი ენერგია. იყავით ხალისიანი. შეძელით, დააფასოთ ყოველდღიური პატარ-პატარა სიხარული და ნახავთ, როგორ შეიცვლება თქვენ გარშემო სამყარო, ასევე – ადამიანებიც. ისინი თქვენ შეგიყვარებენ და ველარ შეგელევიან.

გეთანხმებით, ცხოვრება ადვილი არ არის. ის სავსეა უსიამოვნო მოულოდნელობებით და სიურპრიზებით, მაგრამ ყველაფერი გაივლის. შეხვდით ყველაფერს პოზიტიურად. ასე, პრობლემებსაც ადვილად დაძლევთ და თქვენ გარშემოც ყველაფერი კარგად იქნება.

## მაგიური მომხიბვლელობა

არსებობენ ქალები, რომელთა მომხიბვლელობაც განუზომელია. მათ თითქოს მაგიური მიზიდულობის ძალა აქვთ. რა თქმა უნდა, არანაირ ჯადოქრობას ისინი არ ფლობენ და არც რამე განსაკუთრებული საიდუმლო იციან. მაშ დავიწყოთ...

* მათ არასოდეს ერიდებათ, ილაპარაკონ საკუთარ თავზე. მიუხედავად ამისა, ყოველთვის იტოვებენ თავისთვის რაღაც საიდუმლოს. იციან, როგორ დაარეგულირონ ურთიერთობა ისე, რომ არც ზედმეტად მოგიახლოვდნენ, არც ძალიან შორს წავიდნენ. ინფორმაციას ზუსტად იმ დოზით გასცემენ, რამდენიც საჭიროა უშუალო, თბილი ატმოსფეროს შესაქმნელად.

* ისინი არასოდეს ლაპარაკობენ ტყუილუბრალოდ. თუმცა, სიტყვათა საკმაოდ დიდი მარაგი აქვთ. ინდივიდუალურები, ორიგინალურები და პრაქტიკულები არიან. შეუძლიათ, გულწრფელი აღფრთოვანება, თანაც, უმნიშვნელო წვრილმანზე. პრობლემებზე მწვავედ არ რეაგირებენ, თუმცა, არც ყურადღების მიღმა ტოვებენ. ძალიან სასიამოვნო თანამოსაუბრეები არიან, რადგან კარგი მოსმენა იციან. არ წუწუნებენ და საკუთარ პრობლემებს თავს არ გახვევენ. რამდენიმე წინადადებით ახერხებენ, შექმნან პოზიტიური, სადღესასწაულო განწყობა.

რაც შეეხება გარეგნობას: „ყველა ღილი შეკრული არ არის“ – ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. იცვამენ ლამაზად, ძალიან აკურატულად და მსუბუქი ეროტიკის თანხლებით. არ კარგავენ ბუნებრიობას და სწრაფად მოიპოვებენ ადამიანის კეთილგანწყობას ბავშვური უშუალობით.

***P. S. სულ ეს არის, აბა, თქვენ იცით!***

## განეწყვე ბედნიერებისთვის

ჩვენი განწყობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, დიდწილად დამოკიდებულია ოთხ ფაქტორზე. ესენია: ჯანმრთელობა, ურთიერთობა, უნარი იმისა, რომ ყველაფერში რაღაც აზრი დაინახო და მეოთხე – იპოვო შენი საკუთარი საქმე. თუ ადამიანს ეს ყველაფერი აქვს, მისი ცხოვრება ზღაპარს ემსგავსება, მოსაწყენად ვერასდროს მოიცლის. ვერც იმისთვის დარჩება დრო, რომ სხვა ადამიანის ცხოვრებაში ჩაიხედოს, შეშურდეს მისი, იჭორაოს და კონფლიქტში შევიდეს მათთან. ცუდი დღეები, პრობლემები, წარუმატებლობა ყველას აქვს. შეუძლებელია, ყოველთვის ყველაფერში გაგიმართლოს. მთავარი ეს არ არის. უნდა მოახერხო და შეძლო ის, რომ ამ ყველაფერს რეალურად შეხედო – ანუ, მიხვდე იმას, რომ დროებითია და გაივლის. მთავარია, ღირსეულად გადახვიდე ახალ ეტაპზე და ცუდი უკან მოიტოვო. „განეწყვე ბედნიერებისთვის და ბედნიერება გიპოვის შენ!“ – ეს ლიტონი სიტყვები არ არის. ბუნებრივია, როცა რაღაც ცუდი ხდება, ეს უნდა გაღელვებდეს, მაგრამ რატომ უნდა გაჯობოს ნეგატივმა, როცა ცხოვრება პოზიტივით არის სავსე?! არავითარი დეპრესია და გულგატეხილობა. ყოველთვის ელოდეთ ცხოვრებისგან ახალს და სასიამოვნოს. დაიმუხტეთ დადებითი ენერგეტიკით. აჯობეთ ყოველდღიურ რუტინას. ცხოვრება მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ძალიან ერთფეროვანი და რუტინული... მას უამრავი მხარე აქვს და... კიდევ უფრო მეტი სიხარულის მოტანაც შეუძლია. თუნდაც, ის რად ღირს, რომ სიყვარული შეგვიძლია... სიყვარულიდან ბედნიერებამდე ხომ მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

## ღიმილი და „სპეცეფექტები“

სიხარული მოდის ჩვენთან – მზად ვართ მასთან შესახვედრად?! პატარა ელემენტებისგან იკვრება ატმოსფერო, რომელშიც ყველა ბედნიერია... ანუ ღიმილი – რამდენიც გინდათ და კიდევ „სპეცეფექტები“.

საიდან ჩნდებიან გახსნილი და პოზიტიური ადამიანები?! – ისინი ხომ ჩვენ გვერდით ცხოვრობენ და თითქოს პრობლემებიც ჩვეულებრივი, ისეთივე აქვთ, როგორიც დანარჩენებს. თუმცა, მაინც ახერხებენ, შეინარჩუნონ სულის სიმხნევე, რომანტიკა, მსუბუქი განწყობა. ასეთად უნდა დაიბადო თუ შეიძლება, მერე ისწავლო, როგორ გადაიქციო ცხოვრება დღესასწაულად?! არავის აქვს იმის ილუზია, რომ ყოველი დღე კაშკაშა ფერებით აღსავსე და ფოიერვერკებით გაჯერებული იქნება. დავუჯეროთ ფსიქოლოგებს, რომლებიც ამბობენ, რომ სიხარულის განცდა და ყოველი დღიდან სიამოვნების მიღება, უნდა გამოიმუშაო. უნდა გააცნობიერო, რამხელა ბედნიერებაა, თავად შენი არსებობა და განეწყო ოპტიმისტურად. ქვეცნობიერში ჩადებულ აზრს იმის შესახებ, რომ ცხოვრება, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მშვენიერია, ყველაფრის უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლია. როცა ხედავ ცუდს, შეუძლებელია, იქვე კარგიც არ დაინახო... გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს და კეთილგანწყობა თითქმის ყველა დაკეტილ კარს აღებს. რაც შეეხება გულწრფელ, სითბოთი აღსავსე ღიმილს, მას სასწაულის მოხდენაც კი შეუძლია.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# კომპლექსური „რელაქსი“

რამდენიმე დღეში საახალწლო ქეიფებ-ის „ბუმი“ ჩაივლის და, იმ მხიარული სად-ამოების შედეგიც არ დააყოვნებს: მომატ-ებული წონა, შეშუპებული სახე, მოდუნებ-ული კანი და მოთენთილობის შეგრძნება. რაც არის ამის მიზეზი, ყველას კარგად მოგვეხსენება, მაგრამ, ეს ყველაფერი მო-



უგვარებელ პრობლემებად რომ არ იქცეს, სასწრაფოდ უნდა მიიღოთ ზომები: უპირ-ველეს ყოვლისა, უთხარით „არა!“ უმოძრ-აობას, მსუყე საკვებს, ალკოჰოლის თუნდ-აც მცირე დოზას, სიგარეტსა და ტკბილ, გაზიან სასმელებს. შესაბამისად, სასწრაფ-ოდ დაიწყეთ ვარჯიში – დილა-საღამოს, თუნდაც ნახევარი საათი ძუნძული სუფთა ჰაერზე ძალიან დააჩქარე-ბს ფორმაში ჩადგომას, ხოლო, თუ ამას წყლის პროცედურებსა და ვე-ლოსიპედით სეირნობასაც დაუმა-ტებთ, საოცნებო შედეგს ერთ-ორ კვირაში მიაღწევთ. მაგრამ, ეს ყვე-ლაფერი არ არის საკმარისი სპეც-იალური დიეტის გარეშე. ცხადია, ისევ უნდა შემოიღოთ ნებისმიერი გასახდომი დიეტის მთავარი წესე-ბი (რაც არაერთხელ გვითქვამს), მა-გრამ, აუცილებელია, კვირაში ორ-ჯერ მოაწყოთ განტვირთვის დღე (უმი ბოსტნეულის წვენი, ჩვეულე-ბრივი სასმელი წყალი, ბალახეულ-ის ჩაი ან გაზგასული მინერალური წყალი – დღეში 2-3 ლიტრი). ჩვეულებრივ დიეტ-ურ დღეებში კი, შეგიძლიათ, იმპროვიზაც-იას მიმართოთ: ერთმანეთს შეურიოთ (თქვენი გემოვნების მიხედვით) ახალგამო-წურული წვენები (ხილისა და ბოსტნეულ-ის), გაზგასული მინერალური წყალი ან მწვანე ჩაი. დასაშვებია, წვენში გაურიოთ ხილის რბილობიც, ოღონდ, ცხადია, ყველ-აფერი უშაქროდ.

შეგიძლიათ, „სტარტი“ აიღოთ მხლითა და ვაშლით:

***საუზმე*** – წყალში გაზავებული ვაშლის ან მხლის წვენი (პროპორციით: 1 წილი წყალი, 2 წილი წვენი); ერთი პატარა ულუ-ფა მიუსლი.

***სადილი*** – ბოსტნეულის სუპი (უცხიმ-ოდ და უკარტოფილოდ), ყველანაირი მწვა-ნილით (ცოცხლად ჩააჭერით); 1 ჩაის ჭიქა წყალგარეული ტომატი და ნიახურის ახა-ლგამოწურული წვენი (ნახევარი ნახევარ-ზე).

***ვახშამი*** – უმი ან ოდნავ მოთუთქული ნებისმიერი ბოსტნეულის სალათა. შეაზავ-ეთ 1-2 ჩაის კოვზი ზეთით, ყველანაირი მწვანილითა და ძალიან ცოტა მარილით; პატარა ნაჭერი ცეხვილი შავი პური და ნე-ბისმიერი ბოსტნეულის წვენი.

კარგი იქნება, თუ დიეტის მეორე დღეს „სტოსს“ სტაფილო წაიყვანს:

***საუზმე*** – უმი სტაფილოს წვენი; მოთუ-თქული ბოსტნეული (სტაფილო, კომბოს-ტო, ხახვი, ყაბაყი და ასე შემდეგ). შეკაზმ-ეთ მწვანილითა და სალათის ფოთლებით.

***სადილი*** – უმი სტაფილოს სალათას შე-ურიეთ 1 სადილის კოვზი ნატურალური იო-გურტი და 1 ჩაის ჭიქა წყალში გაზავებუ-ლი უმი სტაფილოს წვენი (ნახევარი ნახევ-არზე).

მომდევნო დღე, შეგიძლიათ, მოხარშულ თევზს დაუთმოთ (ძალიან ცოტა მარილ-ით), ოღონდ, ეცადეთ, რომ მაქსიმალურად უცხიმო თევზი შეარჩიოთ. მოხარშეთ 2 ცა-ლი მომცრო ზომის თევზი, გაყავით 4 ნაწ-ილად და თითოეულ ულუფას მოუმზადეთ სხვადასხვა ბოსტნეულის გარნირი. ყოვე-ლი ჯერის შემდეგ დალიეთ თითო ჩაის ჭი-ქა გაზგასული მინერალური წყალი, ხილის



ან ბოსტნეულის წვენი და წყალში გაზავე-ბული ტომატ-პასტა.

შემდეგ დღეს თევზი ჩაანაცვლეთ ქათმ-ის ფილეთი (ან მჭლე საქონლის ხორცით), რომელიც, შეგიძლიათ, ან მოხარშოთ, ან – ორთქლზე მოამზადოთ. გარნირად კი მოთ-უთქული ვაშლი და კომში გამოიყენეთ (სი-თხე – იგივე).

მომდევნო სამი დღე კი ისევ მხოლოდ წვენებს, ხილსა და ბოსტნეულს უნდა დაუ-თმოთ.

წარმატებებს გისურვებთ!

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: თუ შეიძლება, მასწავლეთ რა-მე ნიღბის რეცეპტი ყელისა და დეკოლ-ტესთვის.**

**პასუხი**: კარგად გარეცხილი ერთი ცა-ლი კიტრი კანიანად გახეხეთ წვრილ სახეხ-ზე, შეურიეთ 1-2 ჩაის კოვზი თაფლი და წაისვით ყელსა და დეკოლტეზე. 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ნელთბილი წყლით, შე-მდეგ ყინულის კუბიკით მსუბუქად დაიმას-აჟეთ და შემშრალებისთანავე წაისვით მკვე-ბავი კრემი.

**კითხვა: რას ნიშნავს ფლექსიტარია-ნობა?**

**პასუხი**: ფლექსიტარიანობა – ეს არის კვების ისეთი სისტემა, რომლის დროსაც, ვეგეტარიანელი პერიოდულად უფლებას აძ-ლევს თავს, მიირთვას შემწვარი ქათმის ერ-თი ნაჭერი და, სხვათა შორის, ამის გამო სულაც არ გრძნობს სინდისის ქენჯნას.

ცნობისთვის: მსოფლიოში ცნობილმა ექ-იმებმა ფლექსიტარიანელობა აღიარეს ყვე-ლაზე სასარგებლო დიეტურ მიმართულებ-ად.

**კითხვა: რა არის არგანი? გამიგია, რომ კოსმეტიკაში ფართოდ გამოიყენება არგანის ზეთი.**

**პასუხი**: უძვირფასესი არგანის ზეთი მი-იღება მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მცე-ნარისგან – არგანიასგან (ეს არის მაროკო-ული ხე). ის ცნობილია E ვიტამინის – ძლი-ერი ბუნებრივი ანტიოქსიდანტისა და უჯე-რი მჟავების ჭარბი შემცველობით (სხვათა შორის, E ვიტამინი მასში 3-ჯერ მეტია, ვი-დრე ზეითუნის ზეთში). კვებითი, დამატენ-იანებელი და ნაოჭების გასწორების უნარის გამო, არგანის ზეთს მთელი მსოფლიოს კო-სმეტოლოგები ერთხმად აღიარებენ.

**კითხვა: ფოტოგაახალგაზრდავების შესახებ ხშირად წერთ, მაგრამ, თუ შეიძ-ლება, ცოტა დაწვრილებით ამიწერეთ ეს პროცედურა.**

**პასუხი**: ეს არის ლაზერული ზემოქმე-დება წვრილ სისხლძარღვებზე. კანის ყოვე-ლი უჯრედის კვება ხდება უშუალოდ სი-სხლძარღვების მეშვეობით. მათ ნორმალ-ურ მუშაობაზ-ეა დამოკიდე-ბული კოლაგ-ენისა და ელ-



ასტინის გამომუშავება და, შედეგად, რაც უფრო ინტენსიურია სისხლის მიკროცირკ-ულაცია, მით ახალგაზრდაა კანი. ფოტოგა-ახალგაზრდავება აუმჯობესებს კანის ფერ-საც; გარდა ამისა, სწორედ სისხლის მიმოქ-ცევის გაუმჯობესების შედეგად ხდება პიგ-მენტური ლაქების გაბაცება ან გაქრობაც კი. კურსი შედგება 10-დან 14 სეანსამდე.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ვის დაუკვეთა და სად უნდა აღემართა სტალინს დავით აღმაშენებლის ძეგლი



### 1952 წლის თებერვალი

იანვრის მიწურულს დიდმა ბელადმა კავკასიაში გამგზავრება განიზრახა. საქმე ის იყო, რომ ბოლო თვეების განმავლობაში, კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში კვლავ გააქტიურდნენ ნაციონალისტური ძალები და ეს მოვლენა საგანგაშოდ ეჩვენა სტალინს. საუბარია, ძირითადად, საქართველოსა და სომხეთზე, სადაც რამდენიმე საიდუმლო ორგანიზაციის წევრი იქნა დაპატიმრებული. ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის აგიტაციას ეწეოდნენ. ამ მოგზაურობაში, სტალინმა ბერია და მიქოიანი იახლა და სპეციალურმა სამთავრობო მატარებელმა 27 იანვარს კავკასიისკენ აიღო გეზი. 29-ში უკვე თბილისში ვიყავით. თუმცა, დიდი ბელადი ჯერ სომხეთში აპირებდა გამგზავრებას და მას შემდეგ, რაც მანქანებში გადავსხედით, ერევნისკენ გავემართეთ. დიდი ბელადის ეს ვიზიტი არ იყო ფართოდ აფიშირებული, რადგან თავად მან ისურვა ასე და გზებზე არავინ გამოსულა. მგზავრობის რამდენიმე საათის განმავლობაში, სტალინი ყურადღებით აკვირდებოდა სომხეთის ხრიოკ, კლდოვან ტერიტორიას, რომლის ულარიბეს, დანგრევის პირას მისულ, გაპარტახებულ სოფლებში ნახევრად გაუნათლებელი, წელში გაწყვეტილი მოსახლეობა ცხოვრობდა. „არცაა გასაკვირი, რომ ასეთ ბნელ, გაუსაძლის პირობებში მყოფი ადამიანები ვინმემ აბუნტოს“, – თავისთვის ჩაილაპარაკა სტალინმა და დაბა სპიტაკის შესასვლელთან მანქანის გაჩერება უბრძანა მძღოლს.

– აქაური წყალი ვიგემოთ, – თქვა სტალინმა და მანქანიდან ფეხი გადმოდგა. სპიტაკის შესასვლელთან პატარა წყარო ამოდიოდა და იქვე რამდენიმე უხუცესი იჯდა, რომლებიც დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ექვსი სამთავრობო მანქანიდან გადმოსულ ადამიანებს. „ანასტას,“ – სტალინმა უკან მოუხედავად მოიხმო მიქოიანი, – „ეს ადგილი თუ გახსოვს?“ – მიქოიანი, რომელიც აქამდე კოპებშეკრული, მდუმარედ იჯდა სტალინის მანქანაში, ერთბაშად გამოცოცხლდა, სტალინს წამოეწია, გაიღიმა და წარმოთქვა: „როგორ არ მახსოვს, მაშინ აქ ისეთი აურზაური ატყდა, რომ ალბათ, დღემდე ემახსოვრებათ აქაურებს“. სტალინი წყაროსთან მივიდა, მისი მოჩუქურთმებული თაღიდან ალუმინის სამასგრამიანი ჭიქა აიღო, გამოავლო, წყლით აავსო და სიამოვნებით დალია. შემდეგ ეს პროცედურა ერთხელაც გაიმეორა და მეორედ რომ გამოცალა სასმისი, ჭიქა ამოატრიალა, მეფისდროინდელ გერბს, რომელზეც ორთავიანი არწივი იყო ამოტვიფრული, დახედა და ჩაილაპარაკა: „ჭიქაც კი იგივეა, დღემდე არ დაკარგულა“. ჭიქა უკვე მიქოიანს ეჭირა და ისიც ღიმილით ათვალიერებდა სასმისს. მას შემდეგ, რაც მანაც ორი ჭიქა წყაროს წყალი გამოცალა, ბერიას გადასცა ჭიქა. როდესაც ყველამ ვიგემეთ სახელგანთქმული სომხური, მთის წყაროს წყალი, სტალინი იქვე მსხდომ უხუცესებთან მივიდა და გამართული სომხურით ჰკითხა (თარჯიმნობას ბერია გვიწევდა, რომელმაც, აგრეთვე, ბრწყინვალედ იცოდა სომხური): „არმენ მარტიროსიანი თუ არის ახლა ცოცხალი და სად შეიძლება მისი ნახვა?“ ერთ-ერთმა უხუცესმა, რომელმაც, როგორც ეტყობა, უმალვე იცნო სტალინი და ფეხზე წამოუდგა მას, დინჯად უპასუხა: „ათი წელიწადია, გარდაიცვალა და სასაფლაოზე განისვენებს“.

სტალინმა გამოჰკითხა, სად იყო სასაფლაო და გამომშვიდობების შემდეგ წასვლა ბრძანა. სასაფლაო საკმაოდ შორს, დაბის მეორე თავში მდებარეობდა და სანამ იქამდე მივიდოდით, მიქოიანმა ორმოცი წლის წინანდელი ისტორიის მოყოლა დაიწყო: „1912 წლის ნოემბერში, როცა კობა (სტალინის ძველი პარტიული მეტსახელის ხსენებაზე მიქოიანმა ენა მოიკვნიტა უნებურად, რადგან სტალინს თქვენობით მიმართავდა და უნებურად წამოცდა. თუმცა, დიდმა ბელადმა მხოლოდ გაიცინა და საყვედური არ უთქვამს ასეთი „ფამილარობის“ გამო) მორიგი გადასახლებიდან ახალი გამოქცეული იყო და მას რუსეთის იმპერიის მთელი „ოხრანკა“ გამწარებული ეძებდა, ცენტრალური კომიტეტის დავალებით, ამხანაგი სტალინი და მე ერევანში გავემგზავრეთ ცხენებით თბილისიდან. იქ რევოლუციური აგიტაცია უნდა გვეწარმოებინა. თან, 2 000-2 000 ცალი პროკლამაცია გვქონდა, მაშინ სწორედ ამ წყაროსთან შევჩერდით, წყალი რომ დაგველია და გვესადილა. გავშალეთ მოკრძალებული სუფრა. ამასობაში, ერთი ახოვანი ახალგაზრდა მოგვადგა სახედრით, რომელიც არმენ მარტიროსიანად გაგვეცნო. ისიც დაგვეწვია დანაირნაირი ხორაგი ამოალაგა. არმენი ადგილობრივი ვაჭარი აღმოჩნდა. ჩვენ მას ეთნოგრაფებად გავეცანით. სხვათა შორის, მან მშვენიერი არაყი დადგა სუფრაზე, რომლის გემოც დღემდე მახსოვს. ამხანაგი სტალინი არ სვამდა, მე და არმენმა კი ერთლიტრიანი ჭანჭურის არაყი ბოლომდე გამოვცალეთ.

უეცრად სტალინი ჩაერთო საუბარში და მოკლე ფრაზა წარმოთქვა: „რომ არა შენი სიმთვრალე, ამ აურზაურს ავიცილებდით კიდეც“, რაზეც მიქოიანი წამოწითლდა და მოყოლა გააგრძელა:

– უეცრად, წყაროსთან კაზაკთა ექვსკაციანი შეიარაღებული ჯგუფი მოვიდა. მათაც წყალი სდომებიათ, მაგრამ ერთადერთი ალუმინის ჭიქით ჩვენ ვსვამდით არაყს და მე მათ სწორედ არაყი შევთავაზე. ერთი სიტყვით, ერთ-ერთმა კაზაკმა არყით სავსე ჭიქა გამომართვა, მაგრამ კი არ დალია, სახეში შემომასხა, თან შემომიკურთხა. შემდეგ ჭიქა გამორეცხა, წყაროს წყლით აავსო და ყველამ დალია. ჩვენ ხმა არ ამოგვიღია. მართალია, ორ-ორი მაუზერით ვიყავით შეიარაღებულები, მაგრამ კაზაკებთან შეტაკებას თავი ავარიდეთ და მოთმინებით ველოდით მათ წასვლას. ერთი სიტყვით, კაზაკებმა გვიყურეს, გვიყურეს და საბუთები მოგვთხოვეს, თან აბგების შემოწმებაც მოგვინდომეს, სადაც პროკლამაციები გველაგა. უეცრად, ამხანაგმა სტალინმა მაუზერიდან გაისროლა და ორი კაზაკი ფეხში დაჭრა. ამ დროს არმენმა, ერთ-ერთი კაზაკი ცხენიდან ჩამოაგდო, კარაბინი წაართვა და მეორეს ესროლა, რომელიც ამხანაგ სტალინს უმიზნებდა. ერთი სიტყვით, ატყდა სროლა, ექვსივე კაზაკი დავხოცეთ და არმენთან ერთად გავიქეცით, რომელმაც უხიფათო გზებით გვატარა და სამშვიდობოზეც გაგვიყვანა. გამომშვიდობების წინ ამხანაგმა სტალინმა და არმენმა ძმობის ფიცი დადეს და გავიყარენით“.

სასაფლაოს მივადექით. არმენ მარტიროსიანის საფლავი მოვძებნეთ, დიდმა ბელადმა და მიქოიანმა გზაში ნაყიდი ყვავილები დააწყვეს მის საფლავზე. ერევანში რომ ჩავედით, პირდაპირ ცენტრალური კომიტეტის შენობას მივადექით, სადაც უკვე გველოდნენ რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის მესვეურები და ადგილობრივი პარტიული აქტივი. სტალინი თათბირზე სიტყვით გამოვიდა, მიწასთან გაასწორა ადგილობრივი ხელმძღვანელობა, მათ ნაციონალისტური ელემენტების გააქტიურებაში დასდო ბრალი და ისე, რომ სავახშმოდაც არ დავრჩენილვართ, გეზი თბილისისკენ ავიღეთ. ოღონდ, უკვე თვითმფრინავით, რომელიც ერევნის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე იდგა.

თბილისში შუაღამისას ჩავფრინდით და ჩვენთვის განკუთვნილ სამთავრობო რეზიდენციაში გავემართეთ დასასვენებლად. მეორე დღეს, დიდმა ბელადმა საქართველოს პარტაქტივს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყო. უფრო უარესი, ვიდრე სომხებს და სიტყვით გამოსვლის შემდეგ, პირადად ბერიას დაავალა საქმის გარკვევა და დამნაშავეების გამოვლენა-დასჯა. როცა სხდომა დასრულდა, სტალინმა მთაწმინდაზე ასვლა მოინდომა, რათა დედამისის საფლავი მოენახულებინა. პანთეონამდე ფეხით ავედით და დედის საფლავზე ყვავილების დაწყობის შემდეგ, ბელადმა თბილისს გადახედა და ბერიას უთხრა: „დაპატიმრებული, ადგილობრივი ნაციონალისტების ერთ-ერთი მოთხოვნა თბილისში მეფე დავითის (იგულისხმება დავით აღმაშენებელი) ძეგლის დადგმა იყო. რატომაც არა, მეც დიდი ხანია, ვფიქრობდი ამაზე და, ჩემი აზრით, მისი ძეგლი მართლაც უნდა დაიდგას თბილისში“.

შემდეგ სტალინმა ბერიას თითით მიუთითა ქვევით და თქვა: „ჩემი აზრით, აი, იქ (მან ერთი კლდე იგულისხმა) რკინა-ბეტონის კვარცხლბეკი უნდა აიგოს და ზედ მეფე დავითის უზარმაზარი ქანდაკება დაიდგას, რომელიც ქალაქის უმეტესი ნაწილიდან გამოჩნდება“ (სხვათა შორის, როდესაც მოსკოვში ჩავედით, სტალინმა თავისთან ცნობილი საბჭოთა მოქანდაკე, „მუშა და კოლმეურნე ქალის“ სკულპტურის ავტორი – ვერა იგნატიევნა მუხინა დაიბარა და მას დავით აღმაშენებლის ქანდაკების რამდენიმე ვარიანტის შექმნა დაავალა. ვერა მუხინამ, მართლაც, წარადგინა თავისი ნამუშევრები, ერთ-ერთი უკვე ასაგებადაც იყო შერჩეული, მაგრამ ეს პროცესი სტალინის გარდაცვალებამ ჩაშალა და ხრუშჩოვმა აღარ ისურვა დიდი ქართველი მეფის ქანდაკების დადგმა). თბილისში კიდევ ერთი დღე დავრჩით, სტალინმა რამდენჯერმე ფეხითაც გაისეირნა ქალაქის ქუჩებში და თან, ძველი დროც გაიხსენა, როდესაც ის საქართველოს დედაქალაქში რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა. მოსკოვში კვლავ მატარებლით დავბრუნდით. ეს იყო სტალინის ბოლო მოგზაურობა კავკასიაში.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**

# რა განსაზღვრავს ადამიანის ბედისწერას და რა კავშირშია ფიქრი სამყაროს კანონებთან



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

> *„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
>
> **კურტ ვონეგუტი**

ადამიანი ფიქრისა და სიტყვების საშუალებით იზიდავს დადებით ან უარყოფით ენერგიას და თავად გამოიმუშავებს სწორ აზრ-ფორმირებას, რაც მისივე წარმატება-წარუმატებლობაზე აგებს პასუხს.

იმათზე, ვისაც ხშირად უმართლებთ, ამბობენ, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო, თუმცა, თითოეული ჩვენგანი გარკვეული ვარსკვლავის წყალობისა და მფარველობის ქვეშ იბადება და სწორედ ის გვიწერს, თუ რა ბედისწერისანი ვართ.

ასევე, არსებობს გარკვეული ენერგია, რომლის დახმარებით, და, ასევე, ფიქრისა და სიტყვების წყალობით, ადამიანი იზიდავს ბედნიერებასა თუ უბედობას. ქაოსური და უმისამართო ფიქრი ისევე არ იძლევა შედეგს, როგორც ქაოსური და არამიზნობრივი შრომა. საჭიროა, გამოიმუშაოთ მიზანმიმართული და პერმანენტული ფიქრის უნარი და შედეგიც არ დააყოვნებს. კერძოდ, ამ დროს ჩამოყალიბდება აზრ-ფორმა, რომელსაც შეუძლია სამყაროში გადაადგილება და გარკვეული ინფორმაციული ენერგიის მიმოქცევის გამოწვევა კონკრეტული ადამიანისთვის. მიიღეთ მოვლენები, სიტუაციები და ადამიანები ისეთები, როგორებიც სინამდვილეში არიან და მიხვდებით, სად უშვებთ შეცდომას და სად ბლოკავთ საკუთარ ბედნიერებას. ნებისმიერი მოვლენა და თვით მთელი სამყარო ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ამიტომ, ნუ შეებრძოლებით სამყაროს და ნუ აღუდგებით მას წინ სხვადასხვა აზრებით, სიტყვებითა და სიტუაციებით. გირჩევთ, ყველაფერი ისე მიიღეთ, როგორიც არის და არა ისე, როგორიც თქვენ გინდათ, რომ იყოს. არ ეცადოთ საკუთარი აზრის დაცვას და ვინმეს დარწმუნებას. მიიღეთ ყველას აზრი წინააღმდეგობის გარეშე და არ მიეჯაჭვოთ არც ერთ მათგანს.

ასევე, არსებობს განზრახვისა და სურვილის კანონი. კერძოდ, ყველა ადამიანმა უნდა ჩამოწეროს ფურცელზე საკუთარი სურვილების სია. ამ სურვილების ასრულება მიანდეთ ზეციურ ძალებს და იყავით დარწმუნებული, რომ ეს სურვილები აუცილებლად აგისრულდებათ. ეს სია ყოველთვის თან ატარეთ, გნებავთ ჩანთით, გნებავთ ჯიბით. მთავარია, ის თქვენთან ახლოს იყოს და ხშირად გადაიკითხეთ, თან, იფიქრეთ, რომ სამყაროში შეუძლებელი არაფერია და ეს სურვილები აუცილებლად აგისრულდებათ. არ დაემორჩილოთ სხვის ნებას და არ გაფანტოთ ყურადღება. მიიღეთ აწმყო მორჩილად და სურვილების ასრულების იმედი არასდროს დაკარგოთ. ბუნების კანონები ამ სურვილების ახდენაში აუცილებლად დაგეხმარებათ. ფურცელზე დაწერითა და თან ტარებით კი თქვენს სურვილს სწორ გეზს მისცემთ სამყაროში.

თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ბედის ვარსკვლავი აქვს. ის ადამიანის დაბადებისთანავე ჩნდება, იწყებს კაშკაშს, მისი სიკვდილის მომენტში კი სწყდება ცის კაბადონს და ქრება. ვარსკვლავის მოწყვეტა და მისი ჩაქრობა ერთბაშად არ ხდება. როცა კონკრეტული ადამიანის სიკვდილის დრო ახლოვდება, ვარსკვლავი ნელ-ნელა იწყებს ჩაქრობას, სიკვდილის მომენტში კი ცას სწყდება. ხოლო იმაზე, თუ როგორ კაშკაშებს ვარსკვლავი, დამოკიდებულია ადამიანის ბედ-იღბალი. თუ ის საკმაოდ კაშკაშაა, მაშინ ადამიანს უმართლებს ბედში, მაგრამ, თუ შედარებით მკრთალია, ესე იგი, უბედოა ან არ უმართლებს. ის ჩვენს განზომილებაში არ ჩანს და ჩვენს გადაადგილებასთან ერთად უხილავად მოძრაობს. როცა ადამიანი ჯანმრთელია, არ შია და სწყურია, არ უნდა იწუწუნოს ბედზე და ამით საკუთარი ბედ-იღბლის ვარსკვლავი არ უნდა გაანაწყენოს. თუ კარგად დააკვირდებით, თავადვე მიხვდებით, რომ ყოველი ჩვენგანი სამყაროზეა დამოკიდებული. სამყაროში კი არაფერი იკარგება უმიზნოდ, მით უმეტეს – ადამიანის საქციელი, სიტყვა თუ აზრი. შესაბამისად, არც არაფერი ხდება შემთხვევით. ამიტომ, იყავით მეტად დაკვირვებული, ნუ ისვრით სიტყვებს უმიზნოდ და დაუფიქრებლად, ყურადღება მიაქციეთ ყველა წვრილმანს და თავად დაიცავით საკუთარი სიცოცხლე და თავი შესაძლო საფრთხისგან.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1976 წლის 2 სექტემბერს. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ სამშობლოს პატრიოტი, კარგად ერკვეოდეთ ადათ-წესებში, ისტორიაში, ტრადიციებში. უნდა შეინარჩუნოთ სტაბილური საოჯახო, პარტნიორული ურთიერთობები. უფრო მეტად დაეყრდნოთ ინტუიციას, იყოთ ფრთხილი და წინდახედული, ისწავლოთ საიდუმლოს დაცვა; ასევე, უნდა იყოთ ორგანიზებული და ერთგული და ირგვლივაც ერთგული ადამიანები უნდა შემოიკრიბოთ. გახდეთ ნებისყოფიანი, მომთმენი, შრომისუნარიანი, ბრძოლისუნარიანი. ასევე, ხარჯოთ ფული ყაირათიანად – ყოველივე ეს თქვენთვის გამარჯვების მომტანი ფაქტორებია.

**კითხვა: დავიბადე 1988 წლის 4 იანვარს, დილის 7 საათზე. რომელ სფეროში მელის წარმატება და რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მელის სასურველი სასიყვარულო-საოჯახო კავშირი?**

**პასუხი:** თქვენთვის სასიყვარულო-საოჯახო ურთიერთობა მისაღებია შემდეგი ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებულ ადამიანთან: მორიელთან, თევზებთან, კუროსთან ან ქალწულთან. არ გირჩევთ ურთიერთობას მშვილდოსანთან. პროფესიებიდან კი მისაღებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ოკულტიზმი, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამეცნიერო კვლევა, მანქანების ბიზნესი, არქიტექტურა, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო საქმიანობა, ფსიქოთერაპია.

**კითხვა: დავიბადე 1963 წლის 25 აპრილს, ღამის საათებში. მინდა უცხოეთში წასვლა. რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი:** თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება სამშობლოსა და მის სამსახურს, თუმცა, უცხოეთში წასვლა დროებით საცხოვრებლად და სამუშაოდ არ არის ურიგო. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, ყაზახეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – დასავლეთი მხარე; შვედეთი, ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, უზბეკეთი, ინდოეთი, იტალიიდან – ვენეცია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2006 წლის 10 თებერვალს. რა არის მისი კარმული მისია?**

**პასუხი:** თქვენი შვილის კარმული მისიაა, წარმოაჩინოს სულიერი თვისებები, იყოს აქტიური, ინიციატივიანი, პრაქტიკული, ენერგიული. უნდა შეძლოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ლიდერული თვისებების გამოვლენა; ასევე, იყოს უშიშარი და მებრძოლი. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე, ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია. მეტად დაეყრდნოს ოპტიმიზმსა და კეთილშობილებას. იყოს კანონმორჩილი, სამართლიანი, დიპლომატიური.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 3 ოქტომბერს. რომელი ქვეყნებია ჩემთვის მისაღები და რომელ პროფესიაში მელის მეტი წარმატებები ბარიერების გარეშე?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, ანუ, ზოგადად, ის საშუალოა. ქვეყნებიდან კი შედარებით მისაღებია: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე; ლიტვა, საბერძნეთი, ესპანეთის ანდალუზიის მხარე, შვედეთის ჩრდილოეთი ნაწილი; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – ვირჯინიის შტატი; თურქეთის დასავლეთი ნაწილი და ბელორუსია. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმე, პედაგოგიური სფერო, ლინგვისტიკა, უცხო ენები, მთარგმნელობითი საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მედიცინა, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1995 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 6-7 საათზე. მაინტერესებს, რა არის ჩემი კარმული მისია დედამიწაზე?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, გამოავლინოთ ხასიათში საუკეთესო თვისებები. რაც მეტად იქნებით აქტიური, ენერგიული, მიზანსწრაფული, მებრძოლი და უშიშარი, მით უკეთ შეძლებთ საკუთარ თავზე ინიციატივის აღებას, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების გამოვლენას; ამავდროულად, თუ იქნებით კეთილშობილი და ოპტიმისტი, დაეყრდნობით ცოდნის ბაზას, მეტად შეასრულებთ თქვენს კარმულ მისიას და მიაღწევთ წარმატებას. ასევე, იყავით მაქსიმალისტი, მიუდექით საქმეს მეტი სერიოზულობით, გამოავლინეთ პასუხისმგებლობა, ხარჯეთ ფული ყაირათიანად და გახადეთ ურთიერთობები სტაბილური.

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

13 იანვარი, **ორშაბათი** 12.00 - **„უფლისწული და მათხოვარი"** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 12, 15 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლელა ახალაია, ზაალ ბარათაშვილი, ლევან ბერიკაშვილი, მანანა გამცემლიძე, დავით გოცირიძე, ანდრია თავბერიძე, კახა კუპატაძე, ალექსანდრე მიკუჩაძე-ღაღანიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

18 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

19 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„ვთამაშობთ სტრინდბერგს"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია; *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8,**
**ტელ.: 295-59-66**

14-15-16-17-18-19 იანვარი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„საშობაო სიმღერა"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ბესო ბარათაშვილი, ნიკა კუჭავა, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ირმა ბერიანიძე, მაია კაციტაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, თემურ კილაძე, ნინო დუმბაძე, ვალერი კორშია; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

**მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)**
**მარჯანიშვილის ქუჩა №5.**
**ტელ.: 2 955-966**

15 იანვარი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21**

17, 19 იანვარი, **პარასკევი, კვირა** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2თ. 45 წუთი;*

**სამეფო უბნის თეატრი**
**გ. აბესაძის ქუჩა №10.**
**ტელ.: 292-38-70, 299-61-71.**

18-19 იანვარი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„მახინჯი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: სოსო ხვედელიძე, პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, იაკო ჭილაია, გაგა შიშინაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

**ახმეტელის თეატრი**
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

13-14-15 იანვარი, **ორშაბათი-სამშაბათი-ოთხშაბათი** 14.00 - **„საშობაო სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), სპექტაკლი შექმნილია ცნობილი ზღაპრების მიხედვით. წარმოდგენაში პატარა მაყურებლები შეხვდებიან მათთვის საყვარელ გმირებს, განსხვავებულ ამპლუაში: კარლსონს, ფრეკენ ბოკს, პრინცესას, დედოფალს, მეფეს, დევს, ხუთკუნჭულას, თოვლის დედოფალს და ფერიებს, რომლებიც სირთულეების დაძლევაში დაეხმარებიან მთავარ გმირებს. სპექტაკლის ბოლოს თოვლის ბაბუა ახალ წელს მიულოცავს პატარებს და გაიმართება საერთო ზეიმი - ნაძვის ხის გარშემო. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

**ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი**
**აღმაშენებლის გამზირი №182.**
**ტელ.: 234-80-90**

13 იანვარი, **ორშაბათი** 19.00 - **„იყო და არა იყო რა... ანუ საშობაო ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: სოფო ხალვაში, თიკა ფაცაცია, არჩილ სოლოღაშვილი, სალომე ყიფიანი, ტატო ჩახუნაშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

18-19 იანვარი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„მერი პოპინსი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, ლაშა რამიშვილი, გიორგი ყველაშვილი, სალომე ყიფიანი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

**გრიბოედოვის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06.**

18-19 იანვარი, **შაბათი-კვირა** 18.00 - **„ზამთრის ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: ირინა მეღვინეთუხუცესი, მიხეილ არჯევანიძე, ოლეგ მჭედლიშვილი, სოფო ლომჯარია, მედეა მუმლაძე, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

**გაბრიაძის თეატრი**
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

16, 19 იანვარი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. *10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან;*

17 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

18 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

**თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

13-14 იანვარი, **ორშაბათი-სამშაბათი** 12.00, 16.00 - **„საახალწლო შოუ"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), თოვლის ბაბუა, ფიფქია, სანტა კლაუსი, ბაყ-ბაყ დევი, ემილი, ჯუჯები, ნაცარქექია, ყვავი, დათვი, ვახუშტი, გვირილა, კაქტუსი, უფლისწული და სხვა ზღაპრის გმირები. რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, ვამეხ ჯანგიძე, ნინო ლეჟავა, კოტე თოლორდავა, თამარ ლორთქიფანიძე, თამარ ჭანუყვაძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

13-14 იანვარი, **ორშაბათი-სამშაბათი** 13.00, 15.00 - **„საახალწლო ზღაპარი"** (რუსულ ენაზე) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე დარბაზი), რეჟისორი: სერგო შვედკოვი. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ცოტნე საგინაძე, ედმონ გაბედავა, რამონა მიქელაძე, ტატიანა ალიოშკინა, ზურაბ არუსია, ნიკოლოზ დონი, დავით ენუქაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14 იანვარი, **სამშაბათი** 18.00 - **„ნაცარქექია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე დარბაზი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ხატია მელქაძე, ბადრი გვაზავა, ლევან კაციაშვილი, გიორგი კაჭახიძე, პაატა მხეიძე, ვახტანგ ნოზაძე, ნინო ლორთქიფანიძე, პაატა კიკვაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

## ორშაბათი 13 იანვარი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00" 09.00" 10.00" 12.00" 16.00" 19.00" 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ "**განრისხებული ფანტომასი**" **17.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **18.00** ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ. "**მაფიოზი**" **22.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" (პ/ე) **23.30** ცენტრალური საახალწლო კონცერტი: "გილოცავთ ახალ წელს" **02.00** მხ/ფ "**სიყვარულით გაბრუებული**" (მ. რაიანი).

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **1** სერ. **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**". **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.05** სერ. "**მარგალიტი**" **9** სერ. **20.50** სერ. "**სილა**" **22.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **9** სერ. (გ/ჩ) **23.00** იუმორინა – **2013** (გ/ჩ) **01.10** მხ/ფ "**ყველა ამბობს რომ მიყვარხარ**".

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **18.55** სერ. "**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** კომედი კონცერტი ახალი გ/ჩ **2014 00.00 31**-ის კონცერტი გ/ჩ **02.00** მხ/ფ "**მოახლე მანჰეტენიდან**" **04.00** მხ/ფ "**კარნავალის ღამე**" **06.00** მხ/ფ "**ზოროს ნიღაბი**".

**06.10** ეთნოგრაფია **06.25, 16.05** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.50** მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**რაც გინახავს,ველარ ნახავ**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი "**აკომპანიატორი**" **16.30** მოკ/ფ "**რეკორდი**" **17.30** კონცერტი - ანს. "**ამარტა**" **18.10** საქართველო არის ესე **18.30** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.45, 02.30** სიახლენი **19.25** მხ/ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10, 22.20** საახალწლო (ერთსულოვნება) გაგრძელება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუფლონი **23.40** შობას გილოცავთ **00.00** პატრიარქის მილოცვა **00.05** მრავალჟამიერი **00.10** საახალწლო ჩვეულებანი **01.15** განთიადის სტუმარი **01.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 4.00, 6.00, 23.25** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 9.15** ფარული კამერა (საბ.) **8.30** მულტფილმები **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) **12.30** მხ/ფ "**კოლეჯი ავალონი**" **14.30, 15.30, 6.30** ფარული კამერა **17.45, 18.45** "ყოველდღიური აბები" **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **21.40 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **22.50** მუსიკალური პროექტი "საუკუნის ნოსტალგია-**3**" **0.05** მუს./ფ. "**ჯადოსნური ღამე**" **1.35** საახალწლო კონცერტი ("მაესტროს" არქივიდან) **4.30** მხ/ფ "**მწვრთნელი პაემნისთვის**".

## სამშაბათი 14 იანვარი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ "**ზუმი-2**" (ს. მარსო) **17.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **18.00** ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" **19.15** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ტ/სერ. "**მაფიოზი**" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** მხ/ფ "**ყოფილი შეყვარებულების აჩრდილები**" (მ. დუგლასი) **00.50** მხ/ფ "**თინეიჯას დი – ბედის მედიატორი**" (ჯ. ბლეკი).

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **2** სერ. **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**". **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** იმედის გმირები **15.25** რომ გადახვალ გააჩერე **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.05** სერ. "**მარგალიტი**" **9** სერ. **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ახალი ქართული ხმა (პ/ე) **00.00** მხ/ფ "**ქორწილის ჩინებული დღე**".

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **18.55** სერ. "**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** იღბლიანი ფეისები და ა.შ **23.00** ვანოს შოუ საახალწლო **00.00** მხ/ფ "**გოძილა**" **04.00** მხ/ფ "**ცეკვის სახლში დაბრუნება** " **06.00** მხ/ფ "**ლეგენდა ზოროზე**".

**06.10** საგალობელი **06.15** სპექტაკლი "**აკომპანიატორი**" **06.45** საახალწლო (ერთსულოვნება) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.35** ქართული მულტფილმი **10.50** პატრიარქი ლოცავს საქართველოს **11.30** საუფლონი **12.10** მხ/ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** კონცერტი - ანს."ჩვენებურები" **16.05** დოკ/ფ "ლადო ასათიანი" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.05** ტელეზღაპარი **18.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.25** ქართული თეატრის დღე - "**ძველი აფიშა**" **19.20** კონცერტი - ანს."შინი" **20.00** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05, 22.25** შობას გილოცავთ "ერთსულოვნება" (გაგრძელება) **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუფლონი **23.40** ჩვენი ფონდი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 3.00, 4.30, 6.00, 01.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 9.10** ფარული კამერა (საბ.) **8.30** მულტფილმები **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.30** მუსიკალური პროექტი "მაესტრო.ბასტი-ბუბუ" **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) **12.30** მხ/ფ "**პატარძლის მეჯვარეები**" **14.10** "პულსის" საახალწლო მუს./ფ. **15.30, 5.00, 6.30** ფარული კამერა **17.45, 18.45, 0.30, 5.45** "ყოველდღიური აბები" **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **21.45, 2.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.30 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** **0.00** მუსიკალური პროექტი"საუკუნის ნოსტალგია-**1**" **1.30** მუსიკალური პროექტი"საუკუნის ნოსტალგია-**3**".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**13 – 19 იანვარი**

*დარბაზი 1*

11.30, 13.45, 16.00 - **„მრ. ძიძა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
18.00, 20.00 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„47 რონინი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
18.00, 20.00, 22.15 - **„მრ. ძიძა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„გაყინული”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
20.00 - **„მრ. ძიძა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 4*

11.30, 14.00 - **„47 რონინი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
16.30, 19.30 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40წთ.;*
22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00, 16.00 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
18.00 - **„მრ. ძიძა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
20.00 - **„47 რონინი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
22.30 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40წთ.;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.15 - **„გაყინული”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
14.15 - **„მრ. ძიძა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
16.15, 18.15, 20.15 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„47 რონინი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 16.15, 20.30 - **„მრ. ძიძა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
14.00, 18.15 - **„გაყინული”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

11.30, 15.30, 20.00 - **„47 რონინი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
13.30 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
18.00 - **„მრ. ძიძა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
22.30 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40წთ.;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი.

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ღორის ხორცი ბროკოლით











**საჭირო ინგრედიენტები:** 500-600 გრამი ღორის ხორცი (საუკეთესო ვარიანტია ნეკნები), 400 გრამი გაყინული ბროკოლი (1 შეკვრა), 200 გრამი გაყინული, მწვანე ლობიო (შეიძლება, დაკონსერვებულიც, ოღონდ შეუნელებელი), 100-170 გრამი სოკო (ნებისმიერი, თუნდაც, დაკონსერვებული), 2 სადილის კოვზი არაჟანი, გახეხილი ყველი, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით გრძლად, როგორც კარტოფილ „ფრის" ჭრით. თუ ნეკნები გაქვთ, შუაში გადაჭერით. ბროკოლი მოათავსეთ მდუღარე, ოდნავ მარილიან წყალში და ხარშეთ 5 წუთის განმავლობაში. დაწურეთ საწურზე.

გადაწურეთ ლობიო და გადაავლეთ მდუღარე წყალი. სოკო გაარჩიეთ და დაჭერით. ჯერ შებრაწეთ ხორცი ცოტა ზეთში. დაუმატეთ ლობიო, ცოტა ხანს ჩაშუშეთ დაბალ ცეცხლზე, შემდეგ დაუმატეთ სოკო, ცოტა კიდევ ჩაშუშეთ. როცა მზად იქნება, უყავით ცოტა მარილი, პილპილი და არაჟანი. აურიეთ კარგად. გადაიტანეთ ლამაზ ფორმაში, მოაყარეთ გახეხილი ყველი და მიირთვით.

# ხორცი ბოსტნეულით










**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი რბილი ხორცი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი დიდი ზომის სტაფილო, 2 ცალი ბულგარული წიწაკა, 200 გრამი გოგრა, 1 თავი ნიორი, 1 ჩაის კოვზი ქინძი, დაფქული, სურნელოვანი პილპილი, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, მარილი – გემოვნებით, ცოტა უცხო სუნელი, ცოტა დარიჩინი, 2 ჭიქა წყალი, ცოტა ცხარე წიწაკა „ჩილი“, 1 კონა კამა, ზეთი შესაწვავად.

**მომზადების წესი:**
ხორცი დაჭერით მოზრდილ ნაჭრებად, ხახვი – ალყა-ალყად, სტაფილო – საშუალო ზომის რგოლებად. ასევე, ბულგარული წიწაკა დაჭერით ჩხირებად, გოგრის რბილობი კი – კუბიკებად, ნიორი – ძალიან თხელ ფირფიტებად.

ტაფაზე დაასხით ზეთი და გააცხელეთ. ოდნავ მოშუშეთ ზედ ხახვი, სტაფილო და ბულგარული წიწაკა. დაუმატეთ ხორცის ნაჭრები. კარგად მოხრაკეთ და შებრაწეთ. მაშინვე უყავით მარილი, ქინძი, სურნელოვანი პილპილი, უცხო სუნელი, კიდევ აურიეთ და დაუმატეთ გოგრა. ცოტა კიდევ ჩაშუშეთ. დაუმატეთ ტომატ-პასტა და წყალი. უყავით „ჩილი“ და მარილი გემოვნებით. შუშეთ კიდევ ხორცი და ბოსტნეული 10 წუთის განმავლობაში. გადმოდგით ცეცხლიდან. ჩაუმატეთ დაქუცმაცებული ნიორი და წვრილად დაჭრილი კამა. სულ ცოტა დარიჩინი, აურიეთ და მზად არის არომატული და ძალიან გემრიელი კერძი.

# ღორის ხორცი შავი ქლიავით ნოდარ მელაძისგან





















**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ღორის რბილი, უძვლო ხორცი, 1 მოზრდილი თავი ხახვი, 1 ცალი დიდი ზომის სტაფილო, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 200 გრამი შავი ქლიავი (უკურკო), 2 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 3 ჭიქა წყალი, მარილი, 2 კოვზი ზეთი.

**მომზადების წესი:** ღორის ხორცი დაჭერით ნაჭრებად. შავი ქლიავი შუაზე გაჭერით, ხახვი და ბულგარული წიწაკა დაჭერით წვრილ ჩხირებად. სტაფილო გახეხეთ. თასში შეურიეთ ერთმანეთს წყალი, სოიის სოუსი, მარილი, შეგიძლიათ დაუმატოთ ცოტა უცხო სუნელი. აურიეთ კარგად. ქვაბში ჯერ ჩაასხით ზეთი და მოათავსეთ პროდუქტი შემდეგი თანმიმდევრობით. ჩააწყვეთ ხორცის ნაჭრები, ხახვი, სტაფილო, ბულგარული წიწაკა, შავი ქლიავი. ბოლოს მოასხით წყლიანი სოუსი. შუშეთ დაბალ ცეცხლზე 1,5 საათის განმავლობაში. შეგიძლიათ, ეს კერძი აირღუმელშიც მოათავსოთ. ხორცი გამოდის უგემრიელესი. წვნიანი კი ნაზი გემოსია.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ქათამი გოგრით

**საჭირო ინგრედიენტები:** 700 გრამი გოგრა, 1 ძირი პრასი, 2 ძირი ნიახური, 2-3 თავი წითელი ხახვი, 600 გრამი კარტოფილი, 1 ქათამი, 100 მილილიტრი ზეთი, 1-2 სადილის კოვზი პაპრიკა, 0,5 ჩაის კოვზი ხმელი ქონდარი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** გოგრის რბილობი საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭერით. მსხვილად დაჭერით ნიახური და პრასი, კარტოფილი – კუბიკებად, ხოლო ხახვი – თხელ ნახევარწრეებად. ქათამი გაასუფთავეთ და გაამშრალეთ. ზეთში აურიეთ მარილი და პაპრიკა, ნახევარი ბოსტნეულს მოასხით, ნახევარი კი ქათამს წაუსვით და გააჩერეთ 30 წუთი. ბოსტნეული და ქათამი გადაიტანეთ საცხობ ფორმაზე, გადააფარეთ ფოლგა და 45 წუთის განმავლობაში 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში შეწვით. მზა კერძს მოაყარეთ ქონდარი.



# ქათმის ღვიძლი ალუბლის სოუსით

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი გაყინული, უკურკო ალუბალი, 50 გრამი წითელი ხახვი, 20 გრამი ნედლი ჯანჯაფილი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 100 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 1 სადილის კოვზი თაფლი, 2 სადილის კოვზი ძმარი „ბალზამიკო," 300 გრამი ქათმის ღვიძლი, 2 სადილის კოვზი ფქვილი, 1 სადილის კოვზი კარაქი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით თხელ ნახევარწრეებად. ჯანჯაფილი დაკეპეთ. 1 სადილის კოვზი ზეთი გააცხელეთ ტაფაზე და ხახვი და ჯანჯაფილი ოდნავ მოშუშეთ. დაასხით ბოსტნეულის ბულიონში არეული თაფლი, „ბალზამიკო" და 5 წუთის განმავლობაში თავახდილი ადუღეთ. დაუმატეთ შუა-შუა გაჭრილი ალუბლები, წამოადუღეთ და თბილად შეინახეთ. ღვიძლს მოაყარეთ მარილი, ამოავლეთ ფქვილში და შეწვით ტაფაზე გაცხელებული ზეთისა და კარაქის ნარევში (4-5 წუთი ეყოფა). დაუმატეთ სოუსი, ამოურიეთ და გადმოდგით ცეცხლიდან. გემოვნებით დაუმატეთ მარილი და პილპილი.

# ინდაურის ფილე ბრინჯით

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ინდაურის მკერდის ფილე, 400 გრამი ტკბილი წითელი წიწაკა, 2 თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 1 სადილის კოვზი პაპრიკა, 200 გრამი გრძელი ბრინჯი, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 600 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 400 გრამი დაკონსერვებული პომიდორი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ინდაურის ხორცი საშუალო ზომის ნაჭრებად დაანაწევრეთ. წიწაკას ამოაცალეთ თესლი და პატარა ნაჭრებად დაჭერით, წვრილად დაჭერით ხახვი და ნიორი. სქელძირიან ქვაბში ან ტაფაზე დაასხით ზეთი, დაუმატეთ ინდაურის ხორცი და სწრაფად შებრაწეთ მაღალ ცეცხლზე და მოაყარეთ მარილი და წიწაკა. შემდეგ ცეცხლს დაუწიეთ, დაუმატეთ დაჭრილი ბოსტნეული და ამოურიეთ. 1-2 წუთის შემდეგ დააყარეთ პაპრიკა, ბრინჯი, ტომატ-პასტა, ბოსტნეულის ბულიონი, დაჭყლეტილი პომიდორი და 20 წუთის განმავლობაში საშუალო ცეცხლზე ხარშეთ თავდახურული. ბოლოს დაუმატეთ მარილი და წიწაკა.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 15 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 მხ/ფ **"მაგნოლია"** (ჯ. მური).

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00,11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 3 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 11 სერ. 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 მაგთის გათამაშება (პ/ე) 22.15 ეკა ხოფერიას თოქ-შოუ 00.00 მხ/ფ **"დღის ცივი შუქი"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" საახალწლო (1 იანვრის გ/ჩ) 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ (ტიტ.).

06.10 საგალობელი 06.15 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 შობას გილოცავთ "ერთსულოვნება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ქართული თეატრის დღე - **"ძველი აფიშა"** 11.15 ჩვენი ფონდი 11.30 საუფლონი 12.10 დროის ჩანაწერები 12.50 მოკ/ფ **"რა გაცინებს!"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05, 00.30 განთიადის სტუმარი 15.30 კონცერტი - ანჩისხატის გუნდი "ნადი" 16.45 კვირიაკე 17.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.15 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"აბეზარა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 ეპოქის სახელები 21.55 ფოტოგალერეა 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუფლონი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00, 0.00, 2.00, 4.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 9.15 ფარული კამერა (საბ.) 8.30 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) 12.30 მხ/ფ **"მწვრთნელი პაემნისთვის"** 14.10, 15.30, 6.30 ფარული კამერა 14.30 "პულსი" (გამ.) 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 17.45, 18.45, 0.30, 2.30, 4.30, 5.30 "ყოველდღიური ამბები" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.00 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** 6.00 ფარული კამერა.

## ხუთშაბათი 16 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ბანზაი"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.30 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"ოზოლი"**.

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 4 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.05 კაცების შოუ (გ/ჩ) (გაგრძელება) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 12 სერ. 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 10 სერ. (გ/ჩ) 23.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ **"მანოლეტე"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.30 მხ/ფ 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ ტიტ.

06.10 საგალობელი 06.15 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 საუფლონი 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"აბეზარა"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 კონცერტი -როსინი "პატარა საზეიმო მესა" 17.20 მოკ/ფ **"სერენადა"** 17.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 "პორტრეტები" 20.10 მოკ/ფ **"ჭა"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 დოკ/ფ "ქართველები უკრაინაში" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუფლონი 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00, 0.00, 2.15, 4.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 9.15 ფარული კამერა (საბ.) 7.30, 8.10, 9.15 მულტფილმები 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) 12.30 მხ/ფ **"მომხიბვლელი ჭკუისკოლოფი"** 14.15, 15.30, 5.15, 6.30 ფარული კამერა 17.45, 21.30, 0.30, 2.45, 4.30 "ყოველდღიური ამბები" 18.25, 0.45, 4.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.00 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## პარასკევი 17 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ბინგო ბონგო"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.05 დ/ფ. "ბედნიერება თეფშზე" 21.00 ტ/სერ. "მაფიოზი" 22.00 თოქ-შოუ "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ **"დატირება ტელეფონით"** 00.30 მხ/ფ **"დათქმული დრო"**.

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 5 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 13 სერ. 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 11 სერ. (გ/ჩ) 23.00 "ოქროს გლობუსის" დაჯილდოების ცერემონია – 2014 01.00 მხ/ფ **"მიმტანები"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 კომედი შოუ (კვირის გ/ჩ) 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი

გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.10** დოკ/ფ "მსოფლიო საგანძური" **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** მოკ/ფ **"სერენადა"** **11.10** დოკ/ფ "ქართველები უკრაინაში" **11.30** საუფლონი **12.10** პორტრეტები **12.50** მოკ/ფ **"ჭა"** **13.25** პატერიკი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი - ანდრე რიე **17.00** კვირიაკე **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუფლონი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.00, 2.15, 4.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 8.10, 9.15** მულტფილმები **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) **12.30** მხ/ფ **"12 საშობაო პაემანი"** **14.30** "პულსი" (გამ.) **15.30, 5.15, 6.30** ფარული კამერა **17.45, 21.30, 0.30, 2.45, 4.30** "ყოველდღიური აბები" **18.25, 0.45, 4.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **21.45, 1.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.00 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## შაბათი 18 იანვარი

**08.00** საბ. ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" **09.00** საბ. მხ/ფ "ღამის დარაჯთა ლეგენდები" **11.30** საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: მანანა მენაბდე **14.00** მხ/ფ **"იქ სადაც მდინარე მიედინება"** **16.30** "გურმანია" **17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **18.00** ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** **19.00** "ეტალონი" **21.00** "შეხვედრები მცხეთაში" **22.00** "წითელი ზონა" **23.30** დოკ/მხ/ფ **"ისინი არხეინებს გვიწოდებენ"** **01.30** მხ/ფ **"ს. დარკო"**.

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები'' **4** სერ. **08.25** მხ/ფ **"ლესი"** **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** **11** სერ. (გ/ჩ) **12.45** სერ. **"ჰანა მონტანა"** **14.30** რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) **15.00** ქ.მხ/ფ **"რაჭა ჩემო სიყვარულო"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **14** სერ. **20.50** სერ. **"სილა"** **22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** **12** სერ. (გ/ჩ) **23.00** კაცების შოუ (გ/ჩ) **00.00** მხ/ფ **"ცუდი დედიკო"** **01.35** მხ/ფ **"სახალისო თამაშები"**.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.00** ეკი ვოკი გ/ჩ **11.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები **15.30** "ნანუკას შოუ" - გ/ჩ **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00** მხ/ფ.

**06.10, 17.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ. მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** **13.30** საუფლონი **13.55** სატელევიზიო არქივიდან "გვილოცავენ ექიმები" **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **14.55** შვიდ გზის ლოცვა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ოპერა - **"ბერი"** **18.10** საქართველოს ქალაქები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** ჟურნალისტის დღიური **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუფლონი **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები"** I სერ.

**7.00, 0.00, 2.00, 4.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.00** მულტფილმი ქუჩის მავნებლები **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **10.30** "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **18.45, 0.30, 2.30, 4.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **21.45, 1.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.00 სერიალი "მომავლის გაელვება"** **6.00** ფარული კამერა.

## კვირა 19 იანვარი

**08.00** საბ. ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" **09.00** ქართ. ტ/ფ. "გზა მაცხოვრისა" **10.00** "ნათლისღება" (პ/ტრ) **14.00** დ/ფ. "დღესასწაული – ნათლობა აჭარაში" **14.30** ქართული მხ/ფ **"ჭირვეული მეზობლები"** **16.00, 20.00** "მოამბე" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** დ/ფ. "შობაზე შეყვარებულები" **18.00** I არხი და ფონდი "ივანანა" წარმოგიდგენთ – "ქალაქური მელოდიები" **20.30** "ტელებლოგი" **21.00** სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი: **"ჯერ დაიხოცნენ" მერე იქორწინეს"** **23.00** მხ/ფ **"წითელი ვიოლინო"** **01.00** მხ/ფ **"და მოვა სიყვარული"**.

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **5-6** სერ. **09.00** მხ/ფ **"მეხთამტყორცნელი"** **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** **12** სერ. (გ/ჩ) **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ქ.მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **17.40** ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** **13** სერ. (გ/ჩ) **23.00** თამარ გვერდწითელი **01.00** მხ/ფ **"დევნილი"** (ბ. დელ ტორო) **02.30** მხ/ფ **"ქვის მთლელი"** (ჯ. პაკულა) (ტიტ.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე (**4** იანვრის გ/ჩ) **14.00** ეკი ვოკი **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S **23.00** კომედი შოუ **00.30** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** საქართველოს ქალაქები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.00** ნათლისღება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა (ტრანსლაცია) **13.00** მოკ/ფ **"თეთრი ქვები"** **13.35** საუფლონი **14.00** ქრისტიანული ხელოვნება **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.15** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.50** ეპოქის სახელები **17.15** დოკ/ფ "ხილული სასწაულები" **18.35** დროის ჩანაწერები **19.20** დოკ/ფ 'ნათლისღება" **19.35** მხ/ფ **"მზე შემოდგომისა"** **21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუფლონი **00.40** პორტრეტები **00.20** მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები"** II სერ.

**7.00, 0.00, 2.00, 4.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.00** მულტფილმი "ქუჩის მავნებლები" **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **10.30** "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **2.30, 4.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.30, 0.30** ჟურნალისტური გამოძიება სტუდია "მონიტორის" (გამ.) **21.45, 1.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.00 სერიალი "მომავლის გაელვება"** **6.00** ფარული კამერა.

### ვერძი

არ არის გამორიცხული, ნერვიულმა დაძაბულობამ იმატოს. მიღებული ინფორმაცია კარგად გააანალიზეთ და ისე გამოიყენეთ. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას. საყვარელი ადამიანის გვერდით კი უფრო მომთმენი და დამთმობი იყავით, რათა მისი ნდობა მოიპოვოთ.

### კურო

ეცადეთ, აღიდგინოთ ძველი კავშირები და საზოგადოებაში ახალი ადგილი დაიმკვიდროთ. ადვილად შეძლებთ ჩანაფიქრების განხორციელებას. არ გირჩევთ უცხოელებთან ურთიერთობას, რადგან ის შედეგს ვერ გამოიღებს. აუცილებლად გამონახეთ დრო დასვენებისა და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის.

### ტყუპები

ეცადეთ გააკონტროლოთ სიტყვები და მოქმედებები. იყავით ფორმაში და ენერგიული. შემოქმედებითი საქმიანობა კარგ შემოსავალს გპირდებათ. გამოიყენეთ ეს დრო ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყებად. სექსუალურობით და მომხიბვლელობით, არ გაგიჭირდებათ საპირისპირო სქესის მოხიბვლა.

### კირჩხიბი

ჯობია, ცვლილებები პროფესიულ საქმიანობაში სხვა დროისთვის გადადოთ. სახლში ჰარმონიული ურთიერთობა მეტ ენერგიას შეგმატებთ და ადვილად შეძლებთ, გაუმკლავდეთ პირად ცხოვრებაში პრობლემებს. გამონახეთ დრო დასვენებისთვის. ახალდგაცნობილი ადამიანები წარმატების მიღწევაში დაგეხმარებიან.

### ლომი

ხანგრძლივი პროექტები და საქმიანი აქტიურობა მომავალში დიდ წინსვლას და შემოსავალს გპირდებათ. ჯობია, არ გარისკოთ. კარგია ბავშვებთან ურთიერთობა. აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება ჯანმრთელობას.

### ქალწული

არ ვარგა უცხოელებთან კონტაქტი. მოსალოდნელია სირთულეები საბუთებთან დაკავშირებით. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ სახლში და ხშირად დაისვენოთ. მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს და დიდ თავყრილობებს. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ.

### სასწორი

უარი თქვით ზღვარგადასულ გართობაზე. ფინანსური ოპერაციების ჩატარებისას, იყავით ფრთხილი და კარგად გადაამოწმეთ ყველა საბუთი. რომანტიკული ურთიერთობა საინტერესო და სასიამოვნო იქნება თქვენთვის.

### მორიელი

რთულ სიტუაციაში ახლობლებთან ურთიერთობა დაგეხმარებათ, რომ განწყობა გაგიუმჯობესდეთ. საყვარელი ადამიანი კი ყოველთვის თქვენს გვერდით იქნება და დაგეხმარებათ. მოიმატებს თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი, რის მეშვეობითაც ადვილად შეძლებთ ახალი კავშირების დამყარებას და ძველი ჩანაფიქრების განხორციელებას.

### მშვილდოსანი

სიფრთხილე გმართებთ განსაკუთრებით პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში. ეცადეთ, არ გაანაწყენოთ მეგობრები. დამატებით ფინანსებს გპირდებათ არაოფიციალური სამუშაო. იყავით მეტად ფრთხილი გადაადგილებისას.

### თხის რქა

საყვარელ ადამიანთან და ბავშვებთან თავს თავისუფლად და თბილად იგრძნობთ. ბევრ დროს წაგართმევთ სამუშაო, რაც, არ არის გამორიცხული, ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი გახდეს. უმჯობესია, მოგზაურობა გადადოთ. ნუ დახარჯავთ დროს უქმად და ნუ იქნებით უყაირათო.

### მერწყული

ყურადღება გმართებთ ფინანსური საბუთების მიმართ, რომ შეცდომები არ დაუშვათ. საყვარელ ადამიანთან თავი შეიკავეთ ემოციების გამოვლენისა და საკუთარი პოზიციების გამოხატვისგან. კარგია ახალი ნაცნობობა, მიზნის დასახვა. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული.

### თევზები

ადრე ჩაფიქრებული იდეების განხორციელებაში ახლო მეგობრები და საყვარელი ადამიანი დაგეხმარებათ. მთავარია, არ დაფაროთ ოცნებები და გაამჟღავნოთ ის. ამ პერიოდში კარგია დროის მხიარულად გატარება და ძველი კავშირების გამყარება. პერიოდულად კი დაისვენეთ, რომ ემოციამ არ გადაგღალოთ.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 1 იანვარი, 11 სთ: 05 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მეტი ყურადღება დაუთმეთ პროფესიულ საქმიანობას, რათა თავი აარიდოთ ზედმეტ პრობლემებს. ნუ იქნებით სულსწრაფი და მერყევი. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, იასამნისფერი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ჟადეიტი, აკვამარინი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია კონტაქტები, საბანკო ოპერაციები, მშენებლობა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთივს.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი

იყავით კეთილგანწობილი სხვების მიმართ. ცვლილებების დღეა. დღეს დაწყებული საქმეები კარგად წარიმართება. ატარეთ მწვანე, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, აქატი, ამეთვისტო, ოპალი ან მწვანე იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კონტაქტები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია ნათესაურ-მეგობრული კავშირები. სუსტდება მკერდი, კუჭი, ღვიძლი, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ მსხვილ შენაძენს. ნუ იეჭვიანებთ და მოერიდეთ წყენას. მშვიდად მიიღეთ ცვლილებები. ატარეთ მწვანე, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, იისფერი, ცისფერი ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – გიშერი, ამეთვისტო, ზურმუხტი, აქატი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. ნუ გასცემთ დაპირებებს. კარგია ვაჭრობა, საოჯახო ურთიერთობები, შემოქმედებითი საქმიანობა. მოერიდეთ სესხის აღებას. სუსტდება კუჭი, მკერდი, ლიმფური ჯირკვლები, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი

ამ დღეს სავსემთვარეობაა, მოჭარბებულია უარყოფითი კოსმიური ენერგიები. მოიმატებს ტრავმების, კონფლიქტების, დეპრესიის, ცდუნებების, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. იყავით ფრთხილი და წინდახედული. აკონტროლეთ ემოცია. ატარეთ იისფერი, თეთრი, ვერცხლისფერი, ცისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – გიაცინტი, ზურმუხტი, ამეთვისტო, აქატი ან მალაქიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სესხის აღებას. სუსტდება კუჭი, მკერდი, ლიმფური სისტემა, გული.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### პარასკევი

რთულ სიტუაციებში ეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ. იყავით დემოკრატიული. კარგია სასიყვარულო კავშირები. ნუ გასცემთ ტყუილუბრალო დაპირებებს. მოერიდეთ სესხის აღებას. ატარეთ წითელი, ყვითელი, ოქროსფერი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ლურჯი ან შინდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, სარდიონი, ქარვა ან მთის ბროლი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ადგილსამყოფლის შეცვლა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

მიიღეთ ცხოვრება ისეთი, როგორიც არის და ნუ იცხოვრებთ ილუზიებში. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ბინის შეცვლა. ატარეთ წითელი, ოქროსფერი, ლურჯი, კრემისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი ან მთის ბროლი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია თუ რამეს შეიძენთ, გართობა, მშენებლობის დაწყება, თმის შეჭრა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ხერხემალი, გულ-სისხლძარღვოვანი სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### კვირა

აკონტროლეთ ემოციები. ნუ დაიძაბებით და ნუ გადატვირთავთ ორგანიზმს ზედმეტად. ატარეთ მწვანე, ყავისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ოპალი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი ან რუხი ტოპაზი. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, კარგია სწავლა, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ჯანაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯანა**. გავრცელებულია როგორც მესხეთში, ისე კახეთსა და საინგილოში.

ამავე ძირისაა გვარი **ჯანანი**, რომელიც ფიქსირდება სოფელ რუისპირში. იმავე ძირისაა გვარი **ჯანგული** და **ჯანგულაშვილი**.

ცნობილმა მეცნიერმა მოსე **ჯანაშვილმა** აღნიშნა, რომ არმენებს სახელი შეუცვალეს ქართველებმა: სიტყვა სამხრეთიდან გაჩნდა სომეხი, სომხეთი, სომხითი. **ჯან** ნასესხები სიტყვაა ინდურ-არაბულიდან და ნიშნავს სულს.

**ჯანაშვილი** იგივეა, რაც სულაშვილი.

სახელიდან **ჯანია** კი წარმოშობილია გვარები: სულია, სულიაშვილი.

საქართველოში 1 701 **ჯანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 557, დედოფლისწყაროში – 278, ახალციხეში – 146, არიან სხვაგანაც.

**იტრიაშვილი**

გვარის ფუძედ გამოყენებული სიტყვა **იტრია** დაფიქსირებულია როგორც საკუთარი სახელი;

საკუთარი სახელი **იტრია** გვხვდება გვარში – **იტრიაშვილი** და ეს ისტორიულ წყაროებშიცაა აღნიშნული.

ილია მაისურაძეს მიაჩნდა, რომ სოფელ **იტრიიდან** წასულებმა თან წაიღეს საკუთარი სოფლის სახელი **იტრია** და დაიწყო ახალი გვარის – **იტრიაშვილების** ათვლა.

სავარაუდოდ, ეს გვარი მეთვრამეტე საუკუნის შემდგომ გაჩენილი უნდა იყოს. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების საბუთებში **იტრიაშვილი** არ ჩანს.

**იტრიაშვილი** მცირერიცხოვანი გვარია.

საქართველოში 31 **იტრიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 29, ბათუმში – 2.

**დუჩიძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **დუჩა.**

ძეძილეთში, ხონის რაიონში, მოიხსენიება **დუჩი**, ასევე – **დუჩა, დუჩია.**

**დუჩიძე** ბეჟანი იყო მოწმე შიოშ და ვარდან ფალავანდიშვილების მიერ გიორგი გულიგაშვილისთვის მიცემული მამულის წყალობის წიგნში, 1518 წელს.

საქართველოში 147 **დუჩიძე** ცხოვრობს: თბილისში – 81, საგარეჯოში – 36, რუსთავში – 22. არიან სხვაგანაც.

**მარჯანიძე**

ქართლური, ქართლში წარმოშობილი გვარია.

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მარჯანი.**

**„მარჯანიძეთა** შეწირულება განუახლა სვეტიცხოველს სვიმონ მეფემ, დომენტის კათალიკოსობის დროს" (1556-1560 წლები).

საქართველოში 400 **მარჯანიძე** ცხოვრობს: თბილისში – 165, ქარელში – 138, კასპში – 61. არიან სხვაგანაც.

**ბადალაშვილი-ბადალოვი**

გვარის ფუძეა **ბადალი**, რომელიც არაბული სიტყვაა და ტოლფასს ნიშნავს. ასევე, ფეოდალურ საქართველოში, **ბადალი** სხვის ნაცვლად ბეგრის მომხდელს ნიშნავდა, კერძოდ, ძეგლის დადება მეფეთ-მეფე გიორგის მიერ (მეთოთხმეტე საუკუნეში) ითვალისწინებდა შეუძლოდ მყოფი ხევისბერის მაგიერ ლაშქარში ძმის ან სხვა ახლობლის წასვლას. ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითარდა მეთვრამეტე საუკუნეში, ცვალებადი შემადგენლობის მუდმივი ჯარისკაცის მორიგი ჯარის შემოღებასთან დაკავშირებით. 1774 წელს, მორიგი ლაშქრის განაჩენი **ბადლობის** ნებას აძლევდა სოფლის მღვდელს – „აღებმიცემის კაცს"; ასევე, გუთნისდედას, მეწისქვილესა და ზოგიერთ სხვა ხელობის მუშაკს.

გვარი **ბადალაშვილი** სოფელ კოდაში გაჩენილი გვარია. ამ სოფელში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გვერდით აშენდა სომხურ-გრიგორიანული ეკლესია (მისი წინამძღოლი – ტერტერა) და სწორედ ამ წლებიდან გაჩნდა მარჯანიშვილიდან – მარჯანოვი, მინაშვილიდან – მინაროვი, სალათაშვილიდან – სალათოვი და ასე შემდეგ. გვარი **ბადალოვი**, რომელიც **ბადალაშვილიდანაა** გაჩენილ-გადაკეთებული, გვხვდება 1886 წლიდან.

**ბადალაშვილი** ქართველებიდან გაჩენილი გვარია. სომხები და რუსები კი დაინტერესებულები იყვნენ ქართული გვარების გა-




დაკეთებით, რაც 1863 წლიდან დაიწყო და ეს პროცესი 1919 წლამდე გაგრძელდა.

ასე რომ, **ბადალაშვილებიც**, **ბადალოვებიც** და **ბადალიანებიც** ქართველები არიან.

საქართველოში 514 **ბადალაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 242, თეთრი წყაროში – 145, რუსთავში – 53. არიან სხვაგანაც.

901 **ბადალოვი**: თბილისში – 299, მარნეულში – 208, ბოლნისში – 141. არიან სხვაგანაც.

**ეძგვერაძე**

ჩვენამდე ამ გვარის შესწავლა მიზნად დაუსახავთ ალექსანდრე ღლონტსა და ილია მაისურაძეს, რომლებიც ძალზე ძუნწ ცნობებს გვაწვდიან **ეძგვერაძეთა** გვარზე: **„ეძგვერაძე** – ნახახულევი, გუბი, ხონის რაიონი, აბანოეთი, ამბროლაურის რაიონი".

ასევე, გვხვდება მეტსახელი **ეძგვერა**.

გვარზე ჯერჯერობით სხვა მასალა არ გავაჩნია.

საქართველოში 308 **ეძგვერაძე** ცხოვრობს: თბილისში – 91, ქუთაისში – 36, სამტრედიაში – 26. არიან სხვაგანაც.

**ცივაძე**

გვარი დაფიქსირებულია ბობოყვათში, ქობულეთის რაიონში.

**ცივაძეების** სოფელია შუახევის რაიონში.

**ცივ** ფუძისაა საკუთარი სახელი **ცივა**, რომელიც გვხვდება გვარში **ცივაძე**.

ასევე, გვხვდება მეტსახელები: **ცივკვირა, ცივნარა, ცივქარა;** აქედან კი, გვარში – **ცივქარაშვილი.**

საქართველოში 458 **ცივაძე** ცხოვრობს: ქობულეთში – 329, ბათუმში – 61, შუახევში – 16, არიან სხვაგანაც.

**ზანდარაშვილი**

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ზანდარი**.

დიდმელი **ზანდარაშვილები** ციციშვილების ყმები იყვნენ. მათი დაბრუნების პირობა ვახტანგ მეფემ იმერეთში გადახვეწილ ციცი ციციშვილს 1658 წელს მისცა.

1658 წელს მოიხსენიება გიორგი **ზანდარაშვილი**, რომელმაც დიმიტრი პაპაშვილს ორი დღის მიწა მიჰყიდა კოლოტაურის ვენახამდე, აღებული თანხით თავი დაიხსნა ციცი ციციშვილის ყმობიდან და მეფეს ეყმო.

**ზანდარაშვილები** ძირითადად სასულიერო პირები იყვნენ.

საქართველოში 288 **ზანდარაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 118, მცხეთაში – 78, ყვარელში – 56. არიან სხვაგანაც.

**ქარჩავა**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ქარჩა**.

ამავე ძირისაა გვარები: **ქარჩაიძე, ქარჩილაძე.**

ასევე, გვხვდება ტოპონიმები: **ნაქარჩუ** – უბანი ამავე სახელის სოფელში, **ლუქარჩე** – უბანი იორიმეში. აქაური **ქარჩავების** წინაპრები ჩამოსულან ნაკაანის **ლექარჩედან** საუკუნის წინათ და თან ჩამოუტანიათ სოფლის სახელწოდება.

**საქარჩა** უბანია ჩხოუშის მარცხენა ნაპირზე, **საქარჩიო** კი – უბნები მოციერში, ჭითაწყარში და აბასთუმანში.

ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ გვარის ფუძეა მეტსახელი **ქარჩა**. სიტყვა **ქარჩა** მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათას გვარს შორის **ქარჩავას** 235-ე ადგილი უჭირავს, სამეგრელოში კი – 43-ე.

საქართველოში 2 836 **ქარჩავა** ცხოვრობს: ზუგდიდში – 1 005, ჩხოროწყუში – 426, თბილისში – 371. არიან სხვაგანაც.

**ვადაჭკორია – ვადაჩკორია**

გვარი ორი კომპონენტისგან შედგება: **ვადა+ჭკორ+ია**, სადაც **ია** სუფიქსია. **ჭკორი** მეგრულად ყმას, მონას ნიშნავს, **ვადა** კი ისტორიულ საბუთებში გვხვდება როგორც უძველესი სახელი.

**ვადაჭკორია** და **ვადაჩკორია** ერთი და იგივე გვარია.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის **ვადაჭკორიას** 856-ე ადგილი უჭირავს.

საქართველოში 1 202 **ვადაჭკორია** ცხოვრობს: თბილისში – 349, ლანჩხუთში – 265, ბათუმში – 183. არიან სხვაგანაც.

52 **ვადაჩკორია**: თბილისში – 29, ქობულეთში – 13, გარდაბანში – 2. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**თბილისში რამდენიმე კარგი ტრიო და კვარტეტია და ყველას თავისი შესრულების მანერა და რეპერტუარი აქვს. ტრიო „სიმიც" ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც ისე გემრიელად მღერის, არ შეიძლება, ტანში ჟრუანტელმა არ დაგიაროს.**

**20 დეკემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში ტრიო „სიმის" 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი გაიმართა. საღამოზე საზოგადოებისთვის ცნობილი სიმღერები ახალი არანჟირებით შესრულდა. კონცერტის დასრულების შემდეგ კი საკონცერტო დარბაზის წინ ტრიო „სიმის" ვარსკვლავი გაიხსნა.**

**ანსამბლი 1988 წლის დეკემბერში შეიქმნა. მისი წევრები არიან ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ინჟინრები: ზაზა ვეფხვაძე, რევაზ გელაშვილი და ზურაბ ცქიტიშვილი. 1991 წელს ტრიომ ჩაწერა პირველი აუდიოკასეტა (ალბომი), სახელწოდებით „რეტრო", სადაც შევიდა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები ქართული კინოფილმებიდან.**

# რატომ ჩაანაცვლეს ტრიო „სიმში" ზაზა ვეფხვაძე „ცისფერი ტრიოს" წევრით

**– პირველ ყოვლისა, გილოცავთ საიუბილეო კონცერტსა და ვარსკვლავის გახსნას. გაიხსენეთ ის დღე, როცა ერთმანეთს შეხვდით.**

**რეზო გელაშვილი**: მე და ზაზა ვეფხვაძემ ერთმანეთი „გეპეიში" გავიცანით დიდი ხნის წინ – ჩვენ ყველამ „გეპეი" დავამთავრეთ. ზურიკო ცქიტიშვილი გავიცანით სწავლის დამთავრების მერე, მაგრამ, თითქმის ერთნაირი ცხოვრების გზა გვაქვს გავლილი. ხელოვნებასთან ზიარება მოხდა თვითშემოქმედებაში და ეს უკვე 26 წელს ითვლის. თავიდან ზურას ნაცვლად სხვა გვყავდა – თამაზ ორჯონიკიძე. მერე კიდევ ერთი ვნახეთ, რაღაც მოხდა და იმანაც დაგვტოვა, ბოლოს კი ზურიკო ჩავსვით. ასე ჩამოვყალიბდით. ხშირად ზურიკოსთან სახლში ვრეპეტიციობდით. მაშინ „პირველ არხზე" ასეთი გადაცემა იყო – „თამადები" და სიუჟეტი ჩვენზე გააკეთეს. რამდენიმე ახალი სიმღერა გვქონდა, მათ შორის იყო ძალიან პოპულარული სიმღერა – „დავლევ."

**ზურა ცქიტიშვილი**: ჩვენ, რომ დავიწყეთ გამოსვლები, იმ დროს ისეთი პერიოდი იყო, საერთოდ არაფერი ხდებოდა თბილისში, შეიძლება ითქვას, თბილისი პარალიზებული იყო. აღარ მოვყვები, რადგან, ყველას კარგად ახსოვს ის პერიოდები – უშუქობა, უგაზობა... სწორედ ამ დროს შევკრიბეთ ახალი სიმღერები და ავიდგით ფეხი. კინოფილმებიდან ავიღეთ ბევრი სიმღერა და პოპური გავაკეთეთ, მერე ნატო გელაშვილთან დავმეგობრდით. ფაქტობრივად, რაც ახალი სიმღერები ჰქონდა, ჩვენ მოგვცა და ასე შევხმატკბილდით. ყველას „გეპეი" გვაქვს დამთავრებული, ოღონდ, სხვადასხვა ფაკულტეტზე ვიყავით.

**– როგორ შეეგუეთ სცენას?**

**ზაზა ვეფხვაძე**: ჩვენთვის სცენა არ იყო უცხო ხილი, რადგან, თავის დროზე ვმღეროდით კაპელა „შვიდკაცაში", მერე კი – „გეპეის" ორკესტრში და მაყურებელმა თავიდანვე თბილად მიგვიღო, მოთხოვნადები გავხდით, იმ დონემდე, რომ, თუკი ვინმე ჩამოდიოდა სამთავრობო სტუმარი, ყველას მასპინძლები ჩვენ ვიყავით, ყველგან აუცილებლად ჩვენ გვეძახდნენ – ვაცნობდით სტუმრებს ქართულ სუფრას, კულტურას.

**– საგასტროლოდ უცხოეთშიც დადიხართ. რამდენად გასაგები და გულისამაჩუყებელია ქართული სიმღერა უცხოელისთვის, ისე როგორც ჩვენთვის არის გულში ჩამწვდომი?**

– საფრანგეთში უფრო მეტი კონცერტი გვაქვს ჩატარებული, ვიდრე საქართველოში – ხუთასზე მეტი. ფრანგი იმპრესარიო გვყავს. ერთხელ გვნახა კონცერტზე და გამოთქვა სურვილი, რომ ჩვენთან ეთანამშრომლა. მოვაწერეთ კონტრაქტს ხელი და ყოველ წელს ორჯერ-სამჯერ მაინც ჩავდიოდით. ძირითადად – პერიფერიებში და, ყველგან საოცარი ხალხი გვხვდებოდა. ასეთი პირობებით, ჩვენ რომ დავდიოდით, საქართველოდან მაშინ არავინ დადიოდა. ყველა გაკვირვებული იყო: არანაირი დარღვევა, ყველაფერი იყო ისე, როგორც ეწერა კონტრაქტში და, შემთხვევა არ გვქონია უკმაყოფილოები წამოვსულიყავით იქიდან. რაც შეეხება რეპერტუარს, უფრო მრავალფეროვანი რეპერტუარი გვქონდა. ერთ ადამიანს ვიმატებდით – ჩვენი მეგობარია, თემურ სიყმაშვილი, სალამურზე უკრავს. ახლა მოსკოვში მოღვაწეობს.



**რეზო გელაშვილი: „თაობები იზრდებიან ინგლისურ სიმღერებზე და, ჩვენი, მამაპაპური სიმღერები მივიწყებულია, არ მღერიან ქართულს"**

**რეზო გელაშვილი**: რამდენიმე წლის მერე რომ ჩავსულვართ, მოსულან ჩვენთან და უთქვამთ: ორი წლის წინ მოგისმინეთ და, რომ გავიგეთ, ჩამოხვედით, ისევ მოვედით, ისე გვიყვარს თქვენი სიმღერაო. ქართული მელოდია ყველას უყვარს, რადგან, ყველასთვის გასაგებია. ძალიან რთული, პოლიფონიური სიმღერის გაგება რიგით მსმენელს უჭირს, მაგრამ, რასაც ჰქვია ტკბილხმოვანება, მაგალითად, გიტარის თანხლებით „სულიკოს," ყველა სიამოვნებით უსმენს.

**ზაზა ვეფხვაძე**: რამდენჯერმე იყო შემთხვევა, დარბაზს გადავხედე და ტიროდნენ. ერთ კონცერტზე მოხუცი ცოლ-ქმარი იჯდა პირველ რიგში. „წინწყარო" დავიწყეთ. შევხედე – ცრემლები მოსდით. გადავირიე. მეგონა, ქართველი ემიგრანტები იყვნენ. მერე, რომ მოვრჩით სიმღერას და მოვიდნენ ავტოგრაფისთვის, ფრანგები აღმოჩდნენ. ეტყობა, არის რაღაც ამ ქართულ სიმღერაში ისეთი, რაც ასე იზიდავს ყველას.

**– მახსოვს, 90-იან წლებში, თბილისის შემოქმედებითი კოლექტივები (მაშინ სახელმწიფო ფილარმონიის დაქვემდებარებაში იყო ყველა): „ორერა", „ცისფერი ტრიო", „ივერია"... აქტიურად ატარებდით გასვლით კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რაიონებსა და სოფლებში. ახლა როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

**რეზო გელაშვილი**: ახლაც დავდივართ, ბოლოს ახალციხეში ვიყავით. ყველგან არანორმალური სითბოთი გვხვდებიან. ისე, დღესაც მოშლილია რაიონებში გასვლა. დიდი-დიდი, ანსამბლი თუ წავიდა ქუთაისში, ბათუმში ან თელავში – ეს ის ადგილებია, სადაც, შეიძლება, იმღერო, არადა, სხვა რეგიონებმა რა დააშავეს?! თაობები იზრდებიან ინგლისურ სიმღერებზე და, ჩვენი, მამაპაპური სიმღერები მივიწყებულია, არ მღერიან ქართულს. ათი წელია, თბილისში კონცერტი არ ჩაგვიტარებია, თუ წლევანდელ საიუბილეო კონცერტს არ ჩავთვლით. ერთხელ გამოვედით ნატო გელაშვილის კონცერტზე და სულ ეს იყო.

**– იყო ისეთი პერიოდიც, როცა დაშლას აპირებდით. ველარ გამოდიოდით სცენაზე გარკვეული მიზეზების გამო?**

– არა, ასეთი მომენტი არ გვქონია. რაღაც პერიოდის განმავლობაში ზაზა არ იყო ჩვენთან, რადგან, ავარიაში მოყვა. რამდენიმე ხანს ზაზას გარეშე ვიყავით და, რომ არ შეგვეწყვიტა ჩვენი შემოქმედება, დათო აბესაძე ავიყვანეთ – „ცისფერი ტრიოს" წევრი, იმიტომ, რომ კონტრაქტის შეწყვეტა არ შეიძლებოდა, მერე ჯარიმა იქნებოდა გადასახდელი

**– ძირითადად გიტარის თანხლებით მღერით. გაქვთ სიმღერები, რომლებსაც „მინუს" ფონოგრამაზე ასრულებთ.**

– დიახ, არის ისეთი სიმღერები ჩვენს რეპერტუარში, რომლებსაც არ უხდება გიტარა. სულ ახლახან, მაგალითად, ორი კონცერტი ჩავატარეთ კამერულ ორკესტრთან ერთად, რამაც გარკვეულ წრეებში დიდი მოწონება დაიმსახურა.

**– ზაზა, ეს რომ არ გკითხოთ არ შემიძლია. მეც და, ვიცი, რომ ბევრ სხვასაც აინტერესებს: რეზო და ზურა რომ თვალგახელილები მღერიან, თქვენ რატომ გაქვთ ყოველთვის თვალები დახუჭული სიმღერის დროს? ეს კომპლექსია თუ ემოციებში ხართ ამ დროს?**

**ზაზა ვეფხვაძე**: როცა სიმღერას ვიწყებ, უკვე ჩემს სამყაროში ვარ, სცენაზე მთლიანად ვიხარჯები და თვალებს ამიტომ ვხუჭავ. რამდენჯერმე ვცადე გახელა და ეგრევე შემეფეთა ისეთი სახეები – გადალაპარაკება, გადმოლაპარაკება, ტელეფონზე მესიჯობდნენ... ამ დროს თავისთავად ვკარგავ ემოციასაც, სიმღერის სურვილსაც და, შეიძლება, უცებ გავჩერდე. ეს, თავისთავად, დისკომფორტია ჩემთვის, ანუ, მაკომპლექსებს. თუ სიმღერისთვის მოხვედი, მოუსმინე, რას ლაპარაკობ?! სუფრასთანაც ყოფილა ასეთი შემთხვევა: ვიღაცას დაუწყია ლაპარაკი და გავჩერებულვართ. რომ მორჩები, თუ ვიქნებით ხასიათზე, მერე გავაგრძელებთო, – გვითქვამს.

**– ინტერესისთვის, არ გიცდიათ, ცოტათი შეგეცვალათ შესრულების სტილი? მაგალითად, უცხოური სიმღერები თუ გიმღერიათ?**

**რეზო გელაშვილი**: როგორ არა, გვიმღერია ფრანგული, იაპონური, მექსიკური, რუსული სიმღერები. საფრანგეთში როცა ჩავდივართ, „სულიკოს" ვმღერით ხოლმე ფრანგულად ერთ სტროფს – ეს უკვე გაშინაურების მომენტია მაყურებელთან და ძალიან უხარიათ.

**– „ქუთაისო ჩემო..." თითქოს სპეციალურად პირადად თქვენთვის არის დაწერილი. მართლა ძალიან კარგად მღერით. ალბათ, ეს სხვებსაც უთქვამთ თქვენთვის. თვითონ რას ფიქრობთ ამ სიმღერაზე?**

– დიდი მადლობა თბილი სიტყვებისთვის. იცით, თავისთავად მოხდა ასე. თვითონ სიმღერა შემოვიდა ჩვენში და გულიანად ვიმღერეთ თავიდანვე. ეს არის ზურა მანაგაძის სიმღერა. ჩვენამდეც მღეროდნენ, მაგრამ, ყველა გვეუბნება, რომ ძალიან მოუხდა ჩვენს ხმებს. ეტყობა, ჩვენია მაინც.

**– ვისაც საქართველოში გასვლითი კონცერტები ჰქონია, ალბათ, დამეთანხმება, რომ კონცერტის შემდეგ იქაური მცხოვრებლები ცდილობენ, სტუმრებს ასიამოვნონ – ყველა თავისთან გეპატიჟება და, უნდათ რომ თავიანთი პატივისცემა და სიყვარული გადმოგცენ. საფრანგეთში როგორ ხდება?**

– საინტერესოა ყოველი წასვლა. ისეთ ოჯახებში ვხვდებით, ძირძველ ფრანგებთან – ბოცებში რომ აქვთ ღვინო შენახული, თავიანთი გაკეთებული ძეხვი, ყველი, პურსაც რომ თვითონ აცხობენ. ყველგან გცემენ პატივს, მაგრამ, ჩვენთან რომ იციან, ასე არსად არ არის. ჩვენი სიმღერა, ცეკვა, სუფრა მართლაც სასწაულია.

**ეკა პატარაია**

# ვინ და როგორ გაიტაცა თბილისის ცენტრში მდებარე საიუველირო მაღაზიიდან 890 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა

***პუბლიკაციის მთავარი გმირების ვინაობა შეცვლილია და მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.***

### გატაცება

1979 წლის 18 მაისს, ცნობილი კანონიერი ქურდის, ვარლამ კაიშაურის, იგივე „მთიელის“ ბინაში ტელეფონმა დარეკა. ყურმილი თავად 53 წლის ვარლამმა აიღო და უპასუხა:

– გისმენთ!

– კარგად მისმინე, მთიელო! იცოდე, აღარ გაგიმეორებ, – თქვა მამაკაცის ხმამ, – შენი შვილიშვილი, შორენა, ჩვენთანაა. შენი სახლის ფოსტის ყუთში კი წერილი დევს და დანარჩენს იქიდან შეიტყობ.

ცოცხალ-მკვდარი მთიელი კართან მიიჭრა, გამოაღო, იქვე დაკიდებული ფოსტის ყუთიდან კონვერტი ამოიღო და სახლში შებრუნდა. კაიშაურმა ხელის კანკალით გახსნა კონვერტი, შიგთავსი ამოიღო და მათემატიკის რვეულის ფურცელზე კუთხური ასოებით, შავი მელნით ნაწერი წერილი წაიკითხა, რომელშიც ეწერა: „მთიელო, შენი 8 წლის შვილიშვილი, შორენა, ჩვენთანაა. გირჩევ, პანიკა არ ატეხო და, რასაც გიბრძანებთ, შეასრულო. თუ არ დაგვემორჩილები, იცოდე, რომ შენს შორენას სამწვადე ხორცივით დაჭრილს იპოვი. ახლა კი საქმეზე გადავიდეთ: ორი კვირის ვადაში შენი ძველი კამანდა უნდა შეკრიბო და ერთი საქმე გააკეთოთ, რომელსაც ზუსტად თხუთმეტ დღეში გეტყვით. ახლა კი გამაგრდი, პანიკაში არ ჩავარდე და ჩვენი ბრძანება შეასრულე. იცოდე, გაკონტროლებთ და, ან „ძაღლებს” რომ მიმართო, ან სხვა სისულელე ჩაიდინო, შენს შვილიშვილს დაღუპავ“.

მთიელი ცნობილი „მედვეჟატნიკი”, სეიფების მძარცველი იყო და დიდი პატივისცემით სარგებლობდა შავ სამყაროში. წერილის მიღების შემდეგ მას მთელი სხეული აუცახცახდა და, რადგან სახლში მარტო იმყოფებოდა, შეეშინდა, წნევას არ დაერტყა. ამიტომ, რის ვაი-ვაგლახით მივიდა კომოდთან, წნევის წამალი ამოიღო, დალია და ოდნავ მოეშვა. ამ დროს ტელეფონმა ისევ დარეკა და იმავე ხმამ უთხრა:

– დროს ნუ დაკარგავ და იმოქმედე! თხუთმეტ დღეში დაგირეკავ და გეგმის მეორე ნაწილს შეგატყობინებ!

მთიელი მონუსხული უსმენდა უცნობს, ბოლოს ძალები მოიკრიბა და უთხრა:

– რასაც მეტყვი, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ შორენას ნურაფერს დაუშავებთ. ისე კი, ერთ რჩევას მოგცემ: ჯობია, მარსზე გადასახლდე და ღრმად დაიმალო, თუმცა, არც ეგ გიშველის – ყველგან გიპოვი...

– ძირში არ მოგვჭამო, შე ბებერო ჩათლახო! ახლა კი საქმეს შეუდექი, დრო არ ითმენს, – მიუგო უცნობმა და ტელეფონი გათიშა.

### გეგმის მეორე ნაწილი

მთიელი ერთადერთხელ იყო ნამყოფი „სროკზე“, მაგრამ, ოთხი საიუველირო მაღაზიის ძარცვისთვის თხუთმეტი წელი სრულად ჰქონდა მოხდილი და ქურდად ციხეში აკურთხეს. მას მძარცველთა ოთხკაციანი ბანდა ჰყავდა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა მთელი საბჭოთა მილიცია, მაგრამ, უშედეგოდ. მძარცველები, საბოლოოდ, „კაგებეს“ სპეციალურმა ოპერატიულმა ჯგუფმა გაშიფრა და აიყვანა. ჯგუფს მაიორი კოტე ლალიძე ხელმძღვანელობდა და მძარცვლებისგან მათ მილიონ 365 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა ამოიღეს. კოტე ლალიძე და ვარლამ კაიშაური ძველი ნაცნობები იყვნენ და ბავშვობაში ერთად დადიოდნენ ფეხბურთზე თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში. ვარლამი მარცხენა თავდამსხმელი იყო, კოტე კი – მარჯვენა თავდამსხმელი, თუმცა, პირველი ქურდი გახდა, მეორე კი – „კაგებეშნიკი“ და მოსკოვში, „კაგებეს“ ცენტრალურ აპარატში გადაიყვანეს სამუშაოდ. ვარლამისა და მისი ბანდის აყვანისთვის ლალიძემ პოდპოლკოვნიკობა მიიღო, კაიშაურმა კი – თხუთმეტწლიანი პატიმრობა. როდესაც ვარლამს საბოლოო განაჩენი გამოუტანეს მოსკოვის უმაღლეს სასამართლოში, ლალიძემ მთიელი საკანში მოინახულა, ორასი მანეთი, ერთი ბლოკი „მარლბორო“ „უგრევა“ და უთხრა:

– რას იზამ, ასეთია ცხოვრება. შენ მძარცველი ხარ, ხოლო მე – თქვენი მდევარი. ისე კი, გახსოვდეს, რომ, თუკი მართალ საქმეში ჩემი დახმარება დაგჭირდება, არ დაგზარდები და გვერდში დაგიდგები...

მთიელმა სახლში დაბრუნებული ცოლი, ვაჟი და რძალი დაამშვიდა, მილიციასთან ყოველგვარი კონტაქტი აუკრძალა და უთხრა, რომ შორენას ამბავი არავისთვის გაემხილათ. შემდეგ თვითმფრინავის ბილეთი აიღო და მოსკოვში გაფრინდა, რომ თავისი ძველი „პაძელნიკები” მოეძებნა...

## ვარლამ კაიშაურმა ნებაყოფლობით აიყარა ქურდის ტიტული, რადგან, „კაგებესთან“ ითანამშრომლა

ზუსტად თხუთმეტი დღის შემდეგ, უცნობმა კვლავ დაურეკა კაიშაურს და უთხრა:

– ვაკის პარკში, შადრევნის ხელმარცხნივ რომ მწვანე სკამია, იმის ქვეშ წერილი დაგიტოვე და გეგმის მეორე ნაწილსაც იქ იპოვი. აბა, ყოჩაღად! თუ ყველაფერს კარგად შეასრულებთ, შენს შვილიშვილს უვნებლად დაგიბრუნებთ, თუ არა და, დაკეპილი ხორცის მასას მიიღებ.

მთიელმა წერილი იპოვა, რომელიც კვლავ მათემატიკის რვეულის ფურცელზე, კუთხური ასოებით იყო დაწერილი. უცნობი წერდა, რომ 17 ივნისს, ანუ, ზუსტად თხუთმეტი დღის მერე, მთიელსა და მის „პაძელნიკებს“ თბილისის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი საიუველირო მაღაზია უნდა გაეძარცვათ. მისივე თქმით, მძარცველებს ნაცრისფერი სეიფი უნდა გაეხსნათ (სადაც სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ინახავდნენ ძვირფას საქონელს), ნაძარცვი ნივთები კი საიმედოოდ გადაემალათ. ბოლოს კი წერილი ასე მთავრდებოდა: „ძვირფასეულობის გადმოცემის გეგმას მოგვიანებით შეგატყობინებ, მაგრამ, ღმერთი არ გაგიწყრეს, „ძაღლებს” არ შეეკრა და შენი შვილიშვილი არ დაღუპო“.

### გრანდიოზული ძარცვა

მთიელმა და მისმა ძველმა სამმა „პაძელნიკმა” თორმეტი დღე მოანდომეს საიუველირო მაღაზიის ძარცვის დეტალური გეგმის შემუშავებას, 1979 წლის 17 ივნისს კი მაღაზიაში შეაღწიეს, სიგნალიზაცია გათიშეს და სეიფი გაალეს, იქიდან 890 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა გაიტაცეს და მიიმალნენ. მთიელის სამივე „პაძელნიკი” ჯერ ბათუმში გაემგზავრა, იქიდან კი – მოსკოვში. არც ერთ მათგანს კაპიკი არ მოუთხოვია, რადგან, იცოდნენ, რაშიც იყო საქმე და მეგობარს უანგაროდ დაეხმარნენ. ვარლამ კაიშაურმა ძვირფასეულობა ტყავის ჩანთაში ჩაალაგა და უცნობის ზარს დაელოდა. მეორე დღეს კი მთელი თბილისი ლაპარაკობდა თბილისის ცენტრში მომხდარ ძარცვაზე და იმ ზღაპრულ „კუშზე“, რომელიც ბოროტმოქმედებმა აიღეს. მთელი მილიცია ფეხზე დადგა და მძარცველების ძებნას შეუდგა. აიყვანეს ყველა ცნობილი ქურდი, მათ შორის მთიელიც, რომელიც ქალაქის მილიციის სამმართველოში მიიყვანეს. ის თავად სამძებროს უფროსის მოადგილემ, პოდპოლკოვნიკმა ჯვებე კოციანმა დაკითხა. მან ოთხი საათი უტრიალა მთიელს, ბოლოს კი ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვა და სახლში გაუშვა.

ვარლამი მოუთმენლად ელოდა უცნობის ზარს და ძალიან ნერვიულობდა. ერთი კვირის შემდეგ, 25 ივნისს, უცნობმა მთიელს დაურეკა და უთხრა:

– ყოჩაღ. ახლა კი მუშტაიდის ბაღში წადი, ტირთან რომ დიდი ქვა დევს, იმის ქვეშ იპოვი შემდგომ ინსტრუქციებს. რაც შენთანაა, თან წაიღე.

– ნურას უკაცრავად, – ხმას აუწია მთიელმა, – ჯერ ბავშვი დამალაპარაკეთ!

მცირე პაუზის მერე, ტელეფონში პატარა შორენას ხმა გაისმა, შემდეგ კი ისევ უცნობმა თქვა:

– ხომ დარწმუნდი, რომ შვილიშვილი ცოცხალი გყავს. თუ გინდა, ყველაფერი კარგად დასრულდეს, ჩემს ბრძანებას დაემორჩილე.

– ბავშვს როდის დამიბრუნებ?

– როგორც კი ტავარს მივიღებ, დაგირეკავ და გეტყვი, სად არის.

ვარლამმა ძვირფასეულობით სავსე ჩანთა მუშტაიდის ბაღში წაიღო და ქვის ქვეშ წერილი იპოვა, რომელშიც ეწერა:

„საბავშვო რკინიგზის პატარა ბუტკაში ზურგჩანთაა და ტავარი იქ ჩაცალე. იქვე წერილია და წაიკითხე“.

ვარლამმა ზურგჩანთა იპოვა და ყველაფერი ზუსტად შეასრულა, შემდეგ წერილი წაიკითხა, რომელშიც ეწერა: „ახლა კი სასწრაფოდ ნაბერეჟნზე დაეშვი. იქ „მოსკვიჩი 408“ დგას. „ბაგაჟნიკი“ ახადე, ზურგჩანთა შიგ ჩადე და უკან გაბრუნდი. ორ საათში დაგირეკავ და ბავშვის ადგილსამყოფელს შეგატყობინებ“.

მთიელმა ყველაფერი კვლავ ზუსტად შეასრულა. მან მხოლოდ ცალი თვალი შეავლო საჭესთან მჯდომ კეპიან მძღოლს, რომელსაც სათვალე ეკეთა. როგორც კი საბარგული დაკეტა, „მოსკვიჩი“ ადგილიდან დაიძრა და თვალს მიეფარა.

ზუსტად ორი საათის შემდეგ, მთიელს შავი ფერის „ვოლგამ“ მიაკითხა და შევჩენკოს ქუჩაზე, საქართველოს უშიშროების კომიტეტის შენობაში წაიყვანა. ვარლამი მესამე სართულზე აიყვანეს და ერთ-ერთ კაბინეტში შეიყვანეს, სადაც მას შვილიშვილი შორენა შეეგება, რომელიც კისერზე ჩამოეკიდა ბაბუას. იქვე პოლკოვნიკი კოტე ლალიძე იჯდა. მან გაუღიმა მთიელს და უთხრა:

– გილოცავ მშვიდობიან დასასრულს. მორჩა, ყველაფერი რიგზეა.

მთიელი პოლკოვნიკს გადაეხვია და ატირდა. ცრემლები ვერ შეიკავა ლალიძემაც. რომ დაწყნარდა, მთიელს უთხრა:

– ეს საქმე ჯვებე კოციანმა და მისმა ჩათლახმა დამ მოაწყვეს. ორივე ავიყვანეთ და უმკაცრესად დავსჯით. ნაკოლი ლიდა კოციანისგან იყო, რომელიც საიუველირო მაღაზიის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა და, ზუსტად იცოდა, რომ 17 ივნისს დიდ ტავარს მიიღებდნენ.

და-ძმა კოციანებზე გასვლა „კაგებემ“ ბრილიანტის ერთ-ერთ დიადემაში ჩამონტაჟებული რადიოგადამცემის საშუალებით მოახერხეს და ორივე წყნეთში აიყვანეს, სადაც ისინი თავიანთ აგარაკზე მალავდნენ ბავშვს. კოციანებს 15-15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა, ჯვებე სვერდლოვსკის კოლონიაში მოკლეს, ლიდა კი – მოსკოვის მახლობლად მდებარე ქალთა კოლონიაში გამოასალმეს სიცოცხლეს...

***P. S. მთიელმა ნებაყოფლობით აიყარა ქურდის ტიტული, რადგან „კაგებესთან“ ითანამშრომლა. მისი „პაძელნიკები” კი, სინამდვილეში, „კაგებეს“ ოპერები იყვნენ და ვარლამ კაიშაურს თავისი მეგობარი არ გაუწირავს...***

**ნიკა ლაშაური**



# რა არ აპატია სიმამრს ბიზნესპარტნიორმა სიძემ და როგორ დააყაჩაღა ის ახალი წლის ღამეს

27 წლის მამუკა ლ-შვილი წარსულში ნარკოტიკების მოხმარებისთვის იყო ნასამართლევი, თუმცა, ფულიანი სიმამრის წყალობით ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, ცხოვრების წესის შეცვლაც შეძლო და ბიზნესის წამოწყებაც. 50 წლის ნუგზარ ბ-ია მას ფერმერული საქმიანობის წამოწყებაში დაეხმარა, თუმცა როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, სიძემ სიმამრს ამაგი თავისებურად „დაუფასა" – საკუთარი წილის სანაცვლოდ, რომელიც მას საერთო ბიზნესიდან ეკუთვნოდა, ის შეიარაღებული დამნაშავეების თავდასხმის ობიექტად აქცია.

ყაჩაღური თავდახმა ნუგზარ ბ-იაზე ახალი წლის ღამეს განხორციელდა. მოგვიანებით დაზარალებულმა პოლიციას განუცხადა, რომ თავს ორი შეიარაღებული ახალგაზრდა დაესხა, რომლებმაც 1 200 დოლარი და ოქროს სამკაულები წაართვეს.

***ამონაწერი ნუგზარ ბ-იას ჩვენებიდან:***

„ახალი წლის ღამე ჩემი ქალიშვილის ოჯახში გავატარე. ღამის 3 საათი იქნებოდა, როდესაც მასპინძლებს დავემშვიდობე. ნასვამი ვიყავი, ამიტომ, ჩემმა ქალიშვილმა მთხოვა, რომ საჭესთან ჩემი სიძე მამუკა დაჯდებოდა და ის მიმაცილებდა სახლამდე. ჩემს სოფლამდე 8 კილომეტრი უნდა გაგვევლო. გზის გარკვეული მონაკვეთი დაუსახლებელ ადგილზე გადის. სწორედ იქ გავაჩერეთ მანქანა, რადგან, მამუკა მანქანიდან გადავიდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მე კი მანქანაში დავრჩი. უცებ ზურგიდან ნიღბიანი ადამიანი დამესხა თავს, ყელზე დანა მომადო და მითხრა, მანქანიდან გადმოდიო. ნასვამი კი ვიყავი, მაგრამ, წინააღმდეგობა მაინც გავუწიე. იმ დროს დავინახე მეორე თავდამსხმელი, რომელსაც მამუკა ჰყავდა ძირს დაწვენილი და ზურგზე დანა ჰქონდა მიბჯენილი. ჯიბეში 1 200 დოლარი მქონდა. ვიფიქრე, თავს ხომ არ შევაკლავდი ამ ფულის გამო-მეთქი. ფული ერთერთმა ყაჩაღმა ამომაცალა ჯიბიდან, დანის მუქარით მანვე შემხსნა ოქროს ძეწკვი და მედალიონი, რომელთა საერთო წონაც დაახლოებით 60 გრამი იყო. მაშინვე მივხვდი, რომ თავდამსხმელებისთვის უცხო არ ვიყავი – მათ იცოდნენ, რომ ჯიბეში ფული მქონდა. ამის შემდეგ მათ ზერელედ დაათვალიერეს მანქანა და ერთმა უთხრა მეორეს, მანქანა არ გვინდაო? რაზეც მეორემ უპასუხა, მანქანა შარია, თავი დაანებეო. ამის მერე ნიღბიანმა თავდამსხმელებმა მეც და ჩემი სიძეც თოკით გაგვკოჟეს და მანქანაში ისე დაგვტოვეს. ორი-სამი საათის შემდეგ მე და ჩემმა სიძემ მოვახერხეთ თავის გათავისუფლება, შემთხვევის ადგილიდან კი პირდაპირ პოლიციაში წავედი და მომხადრის შესახებ განვაცხადე."

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. წინასწარი მოკვლევით ცნობილი გახდა, რომ რაიონში ნუგზარ ბ-იას წარმატებული და შეძლებული ბიზნესმენის სახელი ჰქონდა, მას ხალხი პატივს სცემდა და მასზე თავდასხმა არა მტრობით, არამედ, ფულის გატაცების მიზნით უნდა ყოფილიყო დაგეგმილი. ყაჩაღური თავდასხმის დეტალები ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა: რატომ ელოდნენ ყაჩაღები ავტომანქანას და მის ორ მგზავრს მაინცდამაინც იმ დაუსახლებელ ადგილას, ან, საიდან უნდა ჰქონოდათ მათ ინფორმაცია, რომ ნუგზარ ბ-ია და მისი სიძე სწორედ იქ გაჩერდებოდნენ? დაზარალებულთა ვერსიით, ნიღბიანი თავდამსხმელები დანაშაულის ადგილას ფეხით იყვნენ მისულები, რაც მოგვიანებით დამნაშავეებმაც აღიარეს.

გამოძიება სწორ კვალს ოქროს სამკაულების რეალიზაციის დროს დაადგა. როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, ერთ-ერთ ქალბატონს, რომელიც მეზობელ რაიონში ოქროს სამკაულებით ვაჭრობდა, ყაჩაღობიდან რამდენიმე დღეში სარეალიზაციოდ ძვირად ღირებული ნივთები მიუტანეს. სამართალდამცველებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დაადგინეს იმ ახალგაზრდის ვინაობა, ვინც ქალბატონს ძვირფასი სამკაული მიუტანა – ის ნუგზარ ბ-იას სიძის მეგობარი, დავით ს-შვილი აღმოჩნდა. პირველი, ვინც გამოძიებამ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის წევრებიდან დააკავა, სწორედ დავით ს-შვილი იყო, რომელმაც აღიარა, რომ ოქროს ნივთები გადასცა მეგობარმა, მამუკა ლ-შვილმა. სამართალდამცველებმა მამუკა ლ-შვილიც დააკავეს. ის თავიდან უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს, თუმცა, მის წინააღმდეგ ჩვენება მისმა მეგობარმა დავით ს-შვილმა მისცა: „მამუკას სიმამრს მეც კარგად ვიცნობდი, როცა მამუკამ მისი დაყაჩაღება შემომთავაზა, თავიდან უარი ვუთხარი – ეგ ისეთი კაცია, ამ საქმეს ასე არ დატოვებს და ციხეში გაგვიშვებს-მეთქი, ვუთხარი. მამუკამ რამდენიმედღიანი საუბრის შემდეგ დამითანხმა. მითხრა, რომ სიმამრზე ძალიან გაბრაზებული იყო: სამი ათასი დოლარი ჩამიდო საქმეში, იმ საქმემ არ გაამართლა, გადამაყოლა იმ ფულს, კაპიკს არ მაძლევს და ჩემგან მეტის ღირსიაო. თავდასხმის დეტალები მამუკამ თვითონ დაგეგმა. ახალი წლის ღამეც სპეციალურად შეარჩია – იცოდა, რომ მისი სიმამრი ტრადიციას არ დაარღვევდა და ღამით მათთან მივიდოდა სტუმრად. ისიც მითხრა, ჯიბეში სამი-ოთხი ათასი დოლარი სულ უდევს და არც ის ღამე იქნება გამონაკლისიო. მე და ნიკა მზადყოფნაში ვიყავით: თოკებიც ვიშოვეთ, დანებიც გვქონდა, თუმცა, ერთი ინციდენტი მაინც მოგვივიდა. დათქმულ ადგილას ნიკას მამის კუთვნილი „ჟიგულით" უნდა მივსულიყავით, მაგრამ, იმ საღამოს მანქანა გაფუჭდა და ფეხით მოგვიწია წასვლა და შვიდი კილომეტრი ფეხით გავიარეთ. ჩვენ წინასწარ დაგეგმილ ადგილას ველოდებოდით მამუკას. ყაჩაღობის ყველა დეტალი სცენარის მიხედვით განვითამაშეთ – ნიკამ ორჯერ მუშტიც კი ჩაარტყა მამუკას, ვითომდა, შესაშინებლად. მამუკამ ყველაფერი სწორად გათვალა, ერთადერთი, რაც შეეშალა, სიმამრის ჯიბის ფული იყო – ეგონა, რომ უფრო მეტი ფული ექნებოდა თან."

დაზარალებული შოკში ჩავარდა, როცა გაიგო, რომ მასზე განხორციელებული ყაჩაღობის ორგანიზატორი მისივე სიძე იყო. გამოძიებით დადგინდა, რომ გატაცებული 1 200 დოლარი მეგობრებმა გაინაწილეს, ხოლო, რაც შეეხება ოქროს ძეწკვსა და მედალიონს, მისი გაყიდვა მამუკა ლ-შვილმა საკუთარ თავზე აიღო და სწორედ ამ ნივთების გაყიდვის მცდელობის დროს მოხდა მის კვალზე გასვლა. მეგობრების აღიარების შემდეგ, დაკავებული მამუკა ლ-შვილიც იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ მან დაგეგმა სიმამრზე ყაჩაღური თავდასხმა, რადგან, სიმამრთან ფინანსური საკითხები ვერ გაარკვია და, როგორც თავად განმარტა, ვერც საკუთარი წილი მიიღო.

სასამართლომ ნუგზარ ბ-იაზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზატორს, დაზარალებულის სიძეს, მამუკა ლ-შვილს, ჩადენილი დანაშაულისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; 7-7 წლით პატიმრობა შეეფარდათ მის ამფსონებსა და თანამზრახველებს: ნიკოლოზ წ-შვილსა და დავით ს-შვილს, რომლებიც გისოსებს მიღმა მეგობრის მიერ დაგეგმილი ყაჩაღური თავდასხმის შესრულებისთვის მოხვდნენ.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**13 იანვარი**

1906 – მალაზიებში გასაყიდად გამოიტანეს პირველი რადიომიმღებები.

1917 – პარიზში საფრანგეთის კონტრდაზვერვამ დააპატიმრა მოცეკვავე ჯაშუში – მატა ჰარი.

1964 – კარლ ვოიტილა (მომავალი პაპი იოანე-პავლე მეორე) გახდა კრაკოვის არქიეპისკოპოსი.

**14 იანვარი**

1119 – იერუსალიმში დაარსდა ტამპლიერთა რაინდული ორდენი.

1900 – რომში შედგა ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკას" პრემიერა.

1953 – მარშალი ტიტო გახდა იუგოსლავიის პირველი პრეზიდენტი.

1972 – დანიაში გამეფდა დედოფალი მარგარეტ მეორე.

**15 იანვარი**

1200 – დაარსდა პარიზის უნივერსიტეტი.

1759 – გაიხსნა ბრიტანეთის მუზეუმი.

1797 – ლონდონში ჯონ ეტერინგტონი ქუჩაში გამოვიდა სრულიად ახალი თავსაბურავით – ცილინდრით.

1880 – ლონდონის სატელეფონო კომპანიამ გამოუშვა პირველი სატელეფონო ცნობარი – 255 ნომრის შემცველობით.

**16 იანვარი**

1902 – ანტარქტიკული ექსპედიციის წევრებმა მიაღწიეს სამხრეთ მაგნიტურ პოლუსს.

1920 – ამოქმედდა ამერიკის კონსტიტუციის მე-18 შესწორება – ქვეყანაში ძალაში შევიდა „მშრალი კანონი".

1957 – ლივერპულში „Matthews Street-ზე", ყოფილ ღვინის სარდაფში გაიხსნა „The Cavern Club" („გამოქვაბული"), სადაც შედგა „ბითლზის" დებიუტი.

1963 – ხრუშჩოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს აქვს 100-მეგატონიანი წყალბადის ბომბი.

1979 – ირანში მოხდა „ისლამური რევოლუცია". ჩამოაგდეს შაჰი მუჰამედ რეზა ფეჰლევი.

1984 – მაიკლ ჯექსონმა მიიღო „გრემის" რვა პრემია.

**17 იანვარი**

1475 – რუმინეთის ქალაქ ვასლუისთან მოხდა ბრძოლა მოლდაველთის ჯარებსა და ოსმალეთის იმპერიის ჯარებს შორის. მოლდაველთის მეფის, სტეფანე მესამის 47 000-იანმა არმიამ გაანადგურა სულეიმან ფაშას 120 000-იანი თურქული არმია.

1718 – შვეიცარიის სოფელ ლეიკერშადში თოვლის ზვავმა გაანადგურა თითქმის ყველა შენობა. დაიღუპა მოსახლეობის ნახევარი.

**18 იანვარი**

1535 – ესპანელმა კონკისტადორმა ფრანსისკო პისარომ დააარსა პერუს დღევანდელი დედაქალაქი – ქალაქი ლიმა.

1835 – მოსკოვში გაიხსნა დიდი თეატრის ახალი შენობა.

1912 – რობერტ სკოტის ექსპედიციამ მიაღწია სამხრეთ პოლუსს, რომელიც ერთი თვით ადრე რუალ ამუნდსენმა აღმოაჩინა. უკანა გზაზე სკოტი და მისი თანამგზავრები დაიღუპნენ.

1995 – იაპონიაში მოხდა მიწისძვრა. დარტყმითმა ტალღამ გადაუარა ქალაქებს: კობეს, კიოტოს, ოსაკას, ნარას, ოკაიამას, კუნდულ ხონსიუს. დაღუპულთა რიცხვმა 3 160-ს მიაღწია, 800 უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

**19 იანვარი**

1853 – რომში გაიმართა ჯუზეპე ვერდის ოპერის – „ტრუბადურების" პრემიერა.

1903 – გამოაცხადეს დღეისთვის ყველაზე პოპულარული ველორბოლის „ტურ დე ფრანსის" ჩატარების შესახებ.

1915 – პარიზელმა ჟორჟ კლოდმა დააპატენტა ნეონის სარეკლამო აბრა.

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: ზამთრის არდადეგების გატარებას ქალაქგარეთ ვგეგმავთ. გვინდა ჩვენი 1 წლის სტაფიც თან წავიყვანოთ. რას გვირჩევთ მის წაყვანასთან დაკავშირებით? რას მოვარიდოთ და ასე შემდეგ.**

**პასუხი:** ამ დროს ძირითადი პრობლემა ძაღლის სხეულის გაციებაა, რაც ერთ-ერთი ძირითადი საშიშროებაა მისი ჯანმრთელობისთვის, რადგან, გაციება შეიძლება გართულდეს და სხვადასხვა პათოლოგიაში გადაიზარდოს. გართულების შემთხვევაში, ძაღლი კანკალებს და თათები დაჭიმული აქვს. სახლის ძაღლები იზრდებიან და ცხოვრობენ სითბოში, დაახლოებით პლუს 15-20 გრადუსზე და მათი სხეულის ფიზიოლოგიური თერმორეგულაციის მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ სხეულის ნორმალური ტემპერატურა მსგავს პირობებში შეინარჩუნოს. როცა ასეთი ძაღლი ზამთრის პერიოდში გაგვყავს ცივ ამინდში ქალაქგარეთ, სადაც დაბალი ტემპერატურაა, მისი ორგანიზმი განიცდის ეგრედწოდებულ ტემპერატურულ შოკს. განსაკუთრებით მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს ლეკვის გაციებას. ყველაზე მეტად ამ დროს მას უზიანდება სახსრები, რაც პროვოცირებას უკეთებს ართრიტების ჩამოყალიბებას და, შეიძლება, მას ქრონიკული პრობლემა შეექმნას. ძაღლის ორგანიზმს, ასევე, მნიშვნელოვნად აზიანებს სველ თოვლში დიდხანს სიარული. გაციებამ შეიძლება მოახდინოს მთელი რიგი დაავადებების პროვოცირება, მაგალითად, ყურების, კუნთების, სახსრების, შარდის ბუშტისა და თირკმელების ანთებითი პროცესები. გაციებისას სუსტდება ძაღლის ორგანიზმის იმუნიტეტი და ადვილად ხდება ინფექციური დაავადებებით დასნებოვნება. თუ მაინც გადაწვიტეთ ზამთრის კურორტზე თქვენს ოთხფეხა მეგობართან ერთად დასვენება, ამისთვის სპეციალური მომზადება ნამდვილად არ გაწყენთ, რათა არ დაუშვათ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების წარმოშობა. ძაღლს უნდა უყიდოთ სპეციალური დამცავი კომბინეზონი, რომელიც დაიცავს მას თოვლშიც და ქარიან ამინდშიც. ასევე, ყურადღება უნდა მიაქციოთ მისი ბეწვის საფარის მდგომარეობას. ის აუცილებლად უნდა იყოს დავარცხნილი და შეკრეჭილი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თათებზე ბეწვის მდგომარეობას – ის აუცილებლად კარგად უნდა იყოს ამოკრეჭილი, რადგან, ბეწვი სითხეს იწოვს, სველ ამინდში ადვილად ისვრება ტალახით, რაც იწვევს თითებშუა კანის გაღიძიანებასა და თათების მოყინვას.

**კითხვა: აუცილებელია ძაღლის აცრა ერთი თვის ასაკიდან დავიწყოთ?**

**პასუხი:** ძაღლების აცრა ერთი თვის ასაკიდან კი არა, 45 დღის ასაკიდან იწყება. ეს აუცილებელია მისი ჯანმრთელობისთვის, რადგან, მაღალი კლასიფიკაციის ვაქცინა რამდენიმე დაავადების საწინააღმდეგო შტამპს შეიცავს, როგორებიცაა: ენტერიტი, ჰეპატიტის, ძაღლის ჭირი, პარაგრიპი, ლეპტოსპიროზი და ძაღლსაშენების ხველების სინდრომი. თუ ძაღლი მაინც დაავადდა, ეს აცრები იმის საშუალებას იძლევა, რომ მისი გადარჩენა შესაძლებელი გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინფექციური ენტერიტი ცხოველის სიკვდილით მთავრდება. მაგალითად, კუჭნაწლავის საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა – ენტერიტი, რომელსაც ენტეროვირუსები იწვევს, გამოვლინდება შეუჩერებელი ფაღარათით. ეს იმდენად მძაფრ და შემაწუხებელ სუნს გამოყოფს, რომ ერთხელ მაინც თუ შეიყნოსეთ, ცხოვრებაში მეორედ აღარ შეგეშლებათ. ძაღლს ეწყება უმადობა, ფაღარათი, გულისცემა აჩქარებული აქვს და თანდათან აპათიური ხდება.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: რა რაოდენობის წყალს ითხოვს ტილანზია?**

**პასუხი:** ამ მცენარეს ბევრი წყალი არ უყვარს. უფრო მეტიც, რბილი წყლით დანამვა მას საჭირო ოდენობის წყალს აწვდის. ზამთარში იშვიათად მორწყეთ, თვეში ერთხელ კი მიაწოდეთ 1:4 გაზავებული თხევადი სასუქი და მისთვის ეს საკმარისი იქნება.

**კითხვა: რით მოვაშორო მტვერი მონსტერასა და კაქტუსს?**

**პასუხი:** მონსტერას მტვერი რბილი, სველი ნაჭრით ან გრილი შხაპით მოაშორეთ. კაქტუსის ეკლებს შორის კი – ფუნჯით ან ბამბიანი წკირით. თუ ამ სამუშაოებს ჩაატარებთ, თქვენი მცენარეები უკეთ იგრძნობენ თავს და მეტ სინათლესაც შთანთქავენ.

**კითხვა: როგორ გავზარდო სიმაღლეში სოლია?**

**პასუხი:** ეს მცენარე ხვიარა უფროა, ვიდრე მცოცავი. თუ გსურთ, რომ სიმაღლეში გაიზარდოს, ბადეს ან მავთულის კარკასს უნდაააყოლოთ. ის ზამთრის ბაღში შეგიძლიათ გამოიყენოთ მაღალი მცენარეების შიშველი ტანის დასაფარად.

**კითხვა: ჩემს აგლაონემას ფოთლები დაეწვა, რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** მცენარეს ფოთლები მცხუნვარე მზის გამო დაეწვებოდა. მიაქციეთ ყურადღება, სად გიდევთ და როგორ სინათლეშია. მოარიდეთ მცხუნვარე მზეს და ამყოფეთ ოთახის ნომრალურ ტემპერატურაზე, 18-24 გრადუსზე.

**კითხვა: როგორ მოვუარო ბილბერგიას?**

**პასუხი:** ეს მცენარე რთული მოსავლელი არ არის, უყვარს სინათლე და წყალი. მას მცირე ზომის ქოთანიც კარგად ჰყოფნის, მაგრამ, თუ გადარგვა დასჭირდება, მათთვის განკუთვნილ სპეციალურ მიწაში უნდა გადარგოთ.

**კითხვა: როგორი განათება და სითბო უყვარს სპარმანიას?**

**პასუხი:** ამ მცენარეს მოსწონს კაშკაშა სინათლე, მხოლოდ შუადღის მწველ მზეს უნდა მოარიდოთ. ზამთრობით იტანს 7 გრადუსამდე ტემპერატურას, ზაფხულობით კი ეცადეთ, სიცხეში არ დატოვოთ, რადგან, ეს ცუდად იმოქმედებს მასზე.

**კითხვა: ბინაში მაქვს დიდი ხნის ჭორიკანა, რომელსაც გრძელი, დაკიდებული ტოტები აქვს. ამ ბოლო დროს შევნიშნე, რომ ფოთლები სცვივა და ბოლოები უშიშვლდება. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ასეთ დროს, ტოტებს წვეროები უნდა მოაჭრათ და კვლავ ქოთანში ჩაარჭოთ, სადაც აუცილებლად დაფესვიანდება. არ დაგავიწყდეთ, რომ ზაფხულობით მისი ნიადაგი რეგულარულად უნდა გაანოყიეროთ.

**კითხვა: ბინაში მაქვს ოთახის პალმა – ქამედორეა. მაინტერესებს, პრეტენზიულია თუ არა ეს მცენარე და როგორ მოვუარო?**

**პასუხი:** ზაფხულში ხშირად უნდა მორწყათ, რათა მისი მიწა მუდამ ტენიანი იყოს. ზამთარში შედარებით შეამცირეთ და მორწყვიდან მორწყვამდე ნიადაგს შეშრობა აცადეთ. აქტიური ზრდის პერიოდში ოთახის პალმას რამდენიმე კვირაში ერთხელ ბალანსირებული თხევადი სასუქი სჭირდება. ტენის შესანარჩუნებლად მისი ქოთანი ხშირად დადგით ხოლმე სველკენჭებიან ლანგარზე და ფოთლებიც დაუნამეთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: იქნებ მოკლედ დამიხასიათოთ 2001 წლის „ჰონდა სიარვი" (CRV). რა პლუსები და მინუსები აქვს, გამძლეა თუ არა მისი მართვის ავტომატური კოლოფი და რამდენად უსაფრთხო და ეკონომიურია თავად მანქანა? მირჩევთ თუ არა მის შეძენას?**

**პასუხი:** „ჰონდას" ეს მოდელი ერთ-ერთი საუკეთესოა ქალაქის „ჯიპებს" შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ძველი ანუ 2001 წლამდე, მოდელები შედარებით გამძლე იყო და უგზოობის პირობებსაც იოლად იტანდა, ვიდრე ეს მოდელი. მას აქვს შედარებით სუსტი სიჩქარეთა ავტომატური კოლოფი. მაგრამ, ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ყველა კოლოფი ადრე თუ გვიან, მწყობრიდან გამოდის და მოფრთხილება სჭირდება. „სიარვიც" ასეთვეა – თუ ძალიან არ აწვალებთ, მოუფრთხილდებით, სიჩქარეთა კოლოფიც პრობლემებს არ შეგიქმნით. ეს არის ქალაქის „ჯიპი", რომელიც ასფალტირებული გზიდან გადასვლის შემთხვევაში, თავს არ შეირცხვენს. თუმცა, უგზოობაში სასიარულოდ არ არის შექმნილი. რაც შეეხება წვას, „ჰონდა სიარვი" ქალაქის პირობებში, „ჯიპების" ფონზე საკმაოდ ეკონომიურია და მის შეძენას გირჩევთ.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფორდ ფოკუსი" 2001 წლის. ეგრეთ წოდებული „სალნიკიდან" გასდის ზეთი, სისტემატურად ვამატებ, მაგრამ გამოცვლას ჯერჯერობით ვერ ვახერხებ. როგორ შეიძლება ამ პრობლემის აღმოფხვრა და ამდენი ხანი ზეთის მატება ხომ არ გამიფუჭებდა ძრავას?**

**პასუხი:** ძრავის უკანა „სალნიკი" არ არის რთულად საშოვნელი ან ძალიან ძვირად ღირებული დეტალი. ის სხვადასხვა ზომისაა და თუ მაინცდამაინც „ფორდ ფოკუსისას" ვერ იშოვით, მიიტანეთ და ზომის მიხედვით შეარჩიეთ. მაგრამ ამ პრობლემაში მთავარი სირთულე მისი მოხსნა და შეცვლაა, რომელიც დეტალზე გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ. იმისთვის, რომ ძრავას უკანა „სალნიკი" მოხსნან, მართვის კოლოფის მოხსნაა საჭირო, რაც დიდ დროს მოითხოვს, თან რთულიცაა. მაგრამ, ეს მაინც გასაკეთებელია, თავისით ეს „ავადმყოფობა" არ გაივლის. ამიტომ, ჯობია, რაც შეიძლება, მალე გააკეთოთ. რაც შეეხება ზეთის დამატებას. ძრავის სხვა დეტალები იმ შემთხვევაში არ დაზიანდებოდა, თუ მიუხედავად დამატებისა ზეთს დროულად ცვლიდით. ამატებთ, ამატებთ და ძრავაში სულ არის საჭირო რაოდენობის ზეთი. მაგრამ, როცა დრო უწევს, ყოველ გავლილ ხუთ-შვიდ ათასზე ზეთს მაინც ცვლით.

**კითხვა: მყავს ეკოტეკის ტიპის ძრავით აღჭურვილი ავტომობილი. იქნებ ამიხსნათ, როგორია ის, რა სუსტი და ძლიერი მხარეები აქვს? მაინტერესებს შუქნიშანზე დგომისას სიჩქარეების გადამრთველი ნეიტრალურ მდგომარეობაში უნდა გადავიყვანო თუ არა?**

**პასუხი:** ეკოტეკის ტიპის ძრავა კარგ საწვავს საჭიროებს, რათა დიდი ხნის განმავლობაში არ გამოვიდეს მწყობრიდან. ასევე, სჭირდება კარგი ხარისხის ზეთის დროულად ცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძრავის სექტორში შესაძლოა ბევრი წვრილმანი გამოვიდეს მწყობრიდან. ასევე, არასტაბილურად იმუშაოს, საწვავის წვას მოუმატოს ან პერიოდულად ავტომობილის ჩაქრობაც კი გამოიწვიოს. მიზეზის დადგენა კი, ხელოსნებსაც გაუჭირდებათ. შუქნიშანთან დგომისას, არ არის აუცილებელი, ნეიტრალური სიჩქარე. პირიქით, ბევრი გადართვა-გადმორთვა უფრო ვნებს კოლოფს. თუ ავტომობილი სიჩქარეშია ჩაგდებული და ძრავას ბრუნვათა რიცხვს არ უმატებთ, ანუ გაზის პედალს არ აწვებით, ის არ ცვდება, კოლოფი არ ფუჭდება.

**კითხვა: მინდა, შევიძინო ავტომობილი „სუბარუ ფორესტერი", ტურბინიანი. რას მირჩევთ? მექანიკური მართვის კოლოფით ჯობია თუ ავტომატური? რამდენად უსაფრთხო, რესურსიანი და კომფორტული ავტომობილია ოჯახისთვის?**

**პასუხი:** „სუბარუს" ძირითადი სისუსტე სიჩქარეების კოლოფია, მნიშვნელობა არ აქვს, ის მექანიკურია თუ ავტომატური. რაც შეეხება სავალ ნაწილს, ის საკმაოდ მტკიცეა. ყველაზე მეტად კი თქვენს შეკითხვაში ტურბირებულ ძრავას მინდა გავუსვა ხაზი, რომელიც საკმაოდ ფაქიზია იმისთვის, რომ დიდი ხნის მუშაობის რესურსი მოთხოვოთ და საკმაოდ გაუმაძღარი – ეკონომიისთვის. შესაბამისად, თუ ოჯახზე ზრუნავთ და არა საკუთარი სურვილების ავტომობილის სიმძლავრით დაკმაყოფილებაზე, მაშინ უმჯობესია არატურბირებული ძრავით აღჭურვილი „სუბარუ" შეიძინოთ, რომლის კოლოფიც ნაკლებად დაზიანდება. ან სულაც, რაიმე სხვა მოდელი შეარჩიოთ.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მიცუბიში ეკლიფსი", 1998 წლის, 2.0 ძრავით, მართვის ავტომატური კოლოფით. დაახლოებით 1 200 ბრუნის ფარგლებში ძრავა არასტაბილურად მუშაობს, გაზს თითქოს თვითონ აძლევს და აკლდება, ხოლო 1300 ბრუნის შემდეგ, ბრუნვები სტაბილურდება. მაღალი სიჩქარის დროს დაახლოებით 2800 ბრუნიდან გაზი თავისით იმატებს და გადადის 4000 ბრუნზე, რჩება ამ ბრუნებზე და რაც მთავარია, სიჩქარე დაბალზე აღარ გადმოაქვს. ამ დროს ძრავა ჩეკს ანთებს. როდესაც ძრავას გავთიშავ და ხელახლა დავქოქავ, იწყებს ჩვეულებრივ მუშაობას არასტაბილური 1200-იანი ბრუნით, მაგრამ სიჩქარეებს ცვლის 2800-მდე. ამ ბრუნვის შემდეგ, ისევ იგივე იწყება, თავისით ადის 4000-ზე. ასევე, ჩეკი ქრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკუმულატორის „კლემას" ჩავხსნი და ისევ ჩავრთავ. „სვეჩები" და ჰაერის ფილტრი გამოცვლილია. იქნებ ამიხსნათ რა არის ამ ყველაფრის მიზეზი?**

**პასუხი:** ამ გაუმართაობის მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს, თუმცა პრობლემის პოვნა გაცილებით რთული იქნებოდა და მთელი ავტომობილი დასაშლელი გახდებოდა, ძრავა „ჩეკს" რომ არ ანთებდეს. რადგან ჩეკი ინთება, ეს ნიშნავს, რომ კომპიუტერი ავტომობილის გაუმართავი მუშაობის მიზეზს ხვდება და მისი დიაგნოსტიკით პრობლემას იოლად აღმოფხვრით. კომპიუტერზე შეერთების შემდეგ, ის თავად დაგიწერთ რა ხდება: კონკრეტულად რომელი სენსორის მუშაობა არ მოსწონს. მთავარი სწორედ მიზეზის პოვნაა და მისი შეკეთება უკვე აღარ გაგიჭირდებათ.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



დადე-ბითი
გამო-ცდა ასეთიც არის
ქალაქი იაპო-ნიაში
მქვე-ხარა
საყვირი
პოეტი ნადირაძე
ნახაზი
პირა-მიდის ბინა-დარი
დიდი ნიჟი
აფრიკის ქვეყანა
მეგო-ბარი ესპა-ნურად
ავსტრა-ლიის მდი-ნარე
ბილი-არდის თამაში
ალ ბანოს ყოფილი ცოლი
ვერცხ-ლისწ-ყლიანი ნაერთი
ბალახის ჩრდილი
ციური მოვლენა
კოსტავაც, მამარდაშვილიც
შავი ქვა
რკინის „ქამარი“
(......) ჩარლზი
მსა-ხიობი ხაფავა
ქართ-ველი ბელადი
პუშკინის გრძნეული პერსონაჟი
ცეცხლის ენა
აღმოსა-ვლური „ვიო-ლინო“
ზოგჯერ ღამეს სჭირ-დება
იტალიის ქალაქი
არაბული ლექსთწყობის სისტემა
(......) მაკარტნი
ლოგინის ნაწილი
კიდო-ბანი ააგო
სპარ-ტაკის სამშ-ობლო
სარეცხს ალურ-ჯებს
იტა-ლიელი მწე-რალი
(......) პაუ-ერი
ლექსში არის
სკანდი-ნავიური ზღაპრული არსება
სუვე-ნირი
მარჯვე, სწრაფი
დაფა-რული, ამოუ-ცნობი
მთი-ელთა სოფ-ელი
ძველი ბერძენ. ბარდი
პატარა რუსი ანი
დიდი ვეივენი
ნესტი, სისველე
დეკორ-ატიული მცენარე
წყალ-ბადის ნაერთი
არტურ (......) დოილი
ჟონ-ქაძე
ევროპული ფული
თბილისის უბანი
მინან-ქარი
გემე-ბის შენა-ერთი
კლდე ასეთია
მოღა-ლატე
ფრინ-ველი
კომში
ჩუკოვ-სკის-ეული ექიმი
დას. ქართ-ული ღვინო
მღვ-დლის ცოლი
მწე-რალი მოსა-შვილი
აშშ-ს ქალაქი
პერუს დედა-ქალაქი
(.......) აბა-შიძე
მძიმე სენი
ფირის სათავსი
პეტრო-ვის კოლეგა
ტვირთ-მზიდი ხარი
პუგა-ჩოვა
(.....)-ან-ჯელესი
საბჭოთა კინოს მსახიობი ქალი
სასმისის სახეობა
მარტო სიმღერა
უცნობი მფრინავი ობი-ექტი
პუშკინის პოემის გმირი
ლარ-ნაკი
კინო-ფოტო ნედლეული
მაღალი ხე
ქართლის ქედი
აზავებს
ავსტრა-ლიური ფრინველ.
ლონდ-ონის მარ-ტინი
ფილმი ბოშა ქალზე
მდიდ-რული სახლი
სას-წორის თეფში
იბსენის დრამა
ღვინის საწყობი
ხის ნაწილი
ძვირფა-სი ქვა
ღირე-ბულება
სადაა ლხინი?
ქვაა ასეთი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | 2 | 2 | | | | | 1 | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 3 | 1 | 3 | 3 | | 1 | 2 | 4 | 2 | 2 | 2 | 2 | | | 2 | 3 | | | |
| | | | | | | | | | | | 3 | 6 | 3 | 8 | 4 | 3 | 3 | 10 | 3 | 4 | 4 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 | | | |
| | | | | | | | 3 | 3 | 7 | 9 | 1 | 2 | 2 | 3 | 7 | 6 | 12 | 2 | 10 | 8 | 6 | 4 | 6 | 1 | 2 | 1 | | | |
| 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 3 | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 1 | 1 | 8 | 9 | 1 | 1 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 3 | 5 | 12 | 5 | 3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 4 |
| | | | 3 | 4 |
| | | | 2 | 3 |
| | | | 6 | 2 |
| | | | 9 | 1 |
| | | 1 | 6 | 2 |
| | | 1 | 6 | 1 |
| | | 5 | 4 | 1 |
| | 2 | 5 | 3 | 2 |
| | 2 | 6 | 1 | 2 |
| 2 | 1 | 7 | 3 | 1 |
| | 11 | 1 | 10 | 2 |
| | 8 | 1 | 9 | 4 |
| | | 17 | 1 | 1 |
| | | 7 | 6 | 2 |
| | | 5 | 6 | 1 |
| | | | 7 | 1 |
| | | | 8 | 3 |
| | | | 9 | 5 |
| | | | 6 | 5 |
| | | | 2 | 5 |
| | | | 6 | 3 |
| | | 4 | 2 | 3 |
| | | 5 | 2 | 4 |
| | | | 7 | 6 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 4 | 3 | | | | 2 | 8 |
| 5 | | 7 | 6 | 2 | 4 | 9 | | 3 |
| | 9 | 2 | | 1 | | 6 | 5 | |
| 7 | 3 | | 4 | | 2 | | | 1 |
| | 4 | | 1 | 7 | | 8 | | 9 |
| 1 | | 9 | 8 | 3 | 5 | 2 | 4 | |
| | | 6 | | 4 | | | 8 | 2 |
| 8 | | 3 | 9 | | | 4 | | 5 |
| | 5 | | 2 | 8 | 7 | | 9 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | | | | |
| | | 5 | | 1 | 7 | | | 4 |
| 1 | 6 | | 4 | | | 3 | 7 | |
| | | | | | 5 | | | |
| 7 | 2 | | 3 | | | | | 1 |
| | | 1 | | 7 | | | 8 | |
| 9 | | | 8 | | 1 | | | |
| | 1 | 2 | | | | | 3 | 8 |
| 8 | | | 5 | 3 | | 7 | | 9 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ქუდით დაიწყეთ ჯაცის ხატვა

2. მიახატეთ თავი

3. გამოკვეთეთ სახის ნაკვთები

4. თავს მიახატეთ ტანი

5. შემდეგ – ხელები

6. მიახატეთ ხელის მტევნები და თითები

7. დაასრულეთ ნახატი

8. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## დათვალე დათუნიები



# მწყემსი და ავდარი

## (იგავ-არაკი)

მწყემსს მთაში ავდარმა მოუსწრო. მან თავისი თხებით ერთ გამოქვაბულს შეაფარა თავი. გამოქვაბულში ის გარეულ თხებს წააწყდა. გარეული თხები შინაურებზე ბევრიც იყვნენ და დიდებიც. მწყემსმა ეს რომ ნახა, შინაური თხები მიატოვა და გარეულებს დაეპატრონა. მათ ასმევდა და აჭმევდა. როცა გამოიდარა, გარეულმა თხებმა მთისკენ მოკურცხლეს, მწყემსს კი ხელში შერჩა შიმშილით ფერდებჩავარდნილი თხები. მწყემსს მწარედ გაეცინა, ახიაო ჩემზე, – თქვა და შინ დაბრუნდა.

ასეა: ბევრის ნდომით, რაც აქვს, ისიც წყალში არ უნდა ჩაყაროს კაცმა.

## რიცხვრებუსი

5,,, 10,, ,,0

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| პატარა ცხენი | | შინაური ცხოველი / ორი ავტომობილის შეჯახება | | |
| | | | | |
| პატარა ცხვარი | | დედამამიშვილი | | |

# ეჭვი თქვენი მეგობარია?!



*შეიძლება, დარწმუნებული ხართ, რომ ეჭვიანობა თქვენგან შორს არის. შეამოწმეთ საკუთარი თავი.*

**1. როგორ რეაგირებთ, როცა ის ტელეფონზე ხმადაბლა საუბრობს?**

ა) მაშინვე ვეკითხები, ვის ელაპარაკება – 3;

ბ) საუბარს რომ მორჩება, ვინტერესდები, ვის ესაუბრებოდა – 2;

გ) ყურადღებას არც ვაქცევ – 1.

**2. რას ფიქრობთ სიყვარულზე?**

ა) ის მარადიულია – 3;

ბ) სიყვარული ცხოვრებაში რამდენჯერმე მოდის – 1;

გ) სამწუხაროდ, სიყვარული დიდხანს არ ცოცხლობს – 2.

**3. რას ფიქრობთ, როცა საღამოს სახლში არ ხართ?**

ა) მეშინია, ჩემმა მეორე ნახევარმა მომენტით არ ისარგებლოს – 3;

ბ) ვფიქრობ, სახლში მალე დავბრუნდე – 2;

გ) არ ვფიქრობ არაფერზე – 1.

**4. ამოწმებთ თუ არა თქვენი მეორე ნახევრის ფოსტას, მესიჯებს?**

ა) არა – 1;

ბ) იშვიათად. როცა თავად მრთავს ნებას – 2;

გ) კი, მუდმივად – 3.

**5. რომ დაშორდეთ, რას იფიქრებთ მასზე?**

ა) საერთოდ აღარ გავიხსენებ – 3;

ბ) დავივიწყებ – 2;

გ) არ დავშორდები. ეს არ მოხდება – 1.

**6. საწოლს ყიდულობთ...**

ა) აუცილებლად ძალიან დიდს – 3;

ბ) ცალ-ცალკე საწოლებს ვამჯობინებ – 2;

გ) ის ყიდულობს და მე ვიწონებ – 1.

**7. თქვენი მეორე ნახევარი ფიქრებში „ჩაიძირა“:**

ა) ვკითხავ, ჩემზე ფიქრობს თუ არა – 2;

ბ) ვკითხავ, რაზე ფიქრობს – 3;

გ) არ შევაწუხებ, ფიქრი მისია – 1.

**8. თუ გაქვთ საკმარისი მტკიცებულება, რომ თქვენი მეორე ნახევარი გღალატობთ...**

ა) აუცილებლად დაველაპარაკები ამაზე – 2;

ბ) შურს ვიძიებ იგივე ხერხით – 1;

გ) გავაგდებ ჩემი ცხოვრებიდან – 3.

**9. შეამჩნიეთ, რომ ერთმანეთს ნელ-ნელა შორდებით:**

ა) იმედი მექნება, რომ ყველაფერი გაივლის – 1;

ბ) შევეცდები, ამის მიზეზი გავიგო – 2;

გ) დავაკვირდები – ჩემი მეუღლის ქცევებს – 3.

**10. თქვენი რეაქცია ეჭვიანობაზე:**

ა) სისულელეა და სასაცილოა – 1;

ბ) არ მაწუხებს ეს ამბავი – 2;

გ) თუ სიტუაცია მოიტანს, ვიეჭვიანებ – 3.

***რაც მეტ ქულას დააგროვებთ, მით უფრო ეჭვიანი ხართ. ზოგჯერ ეჭვები ისე შემოგიტევთ, რომ თავს ვეღარ აკონტროლებთ და ყველგან ღალატი გელანდებათ. საკუთარ თავსაც არ უტყდებით, რომ სერიოზული პრობლემა გაქვთ. იქნებ ფსიქოლოგისთვის მიგემართათ?!***

## ძვირფასი ახალი წელი

*იანვრის პირველ ნახევარში მთელი მსოფლიოს ჩვეული რიტმი ირღვევა და კალაპოტიდან ვარდება. საყოველთაო ქაოსი და არეულობა სუფევს ირგვლივ. მუშაობაც არავის უნდა. ამაში კი, მთავარი დამნაშავე ახალი წლის დღესასწაულია... სხვათა შორის, ციფრებში ასახული სადღესასწაულო ხარჯები საკმაოდ შთამბეჭდავია.*



* დავიწყოთ იმით, რომ მთელ პლანეტაზე, ახალი წლის დღეებში, ალკოჰოლზე ფასები 10-15 პროცენტით იზრდება.

* მთელი მსოფლიოს მოსახლეობა საახალწლო საჩუქრებზე 150 მილიარდ დოლარს ხარჯავს და აქედან 25 მილიარდი წყალშია გადაყრილი – უგემოვნო, გამოუსადეგარ სუვენირებში.

* ყველაზე მოთხოვნადი საკვები ახალ წელს წითელი ხიზილალაა. 5 000 ტონა იყიდება მხოლოდ ევროპაში.

* საახალწლოდ მარტო საჭმლისა და სასმლის კი არა, ავიაბილეთების ფასებიც 50 პროცენტით იზრდება.

* მარტო ჩინეთი ყოველწლიურად 1 ტრილიონი დოლარის ღირებულების ფოიერვერკებსა და მაშხალებს ყიდის.

## განსაკუთრებული გვირგვინი

მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ინდოეთს, ფაქტობრივად, ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია მართავდა. 1876 წელს კი ინდოეთი პირდაპირ დაექვემდებარა ინდოეთის დედოფალს. ამ მიზნით, საჭირო გახდა, დაემზადებინათ გვირგვინი სპეციალურად ინდოეთის იმპერატორისთვის. პრემიერ-მინისტრმა ბენჯამენ დიზრაილმა პარლამენტზე გაიტანა დედოფალი ვიქტორიასთვის ინდოეთის იმპერატორის ტიტულის მინიჭების საკითხი.

თუმცა, არც ვიქტორიას და არც მის ვაჟს, ედუარდ მეშვიდეს, რომელიც დედის შემდეგ ავიდა ტახტზე, ერთხელაც არ დაუდგამთ ფეხი ინდოეთის მიწაზე. მხოლოდ 1910 წელს, როცა სამეფო ტახტზე ახალი მონარქი გეორგ მეხუთე ავიდა (ნიკოლოზ მეორის ბიძაშვილი), ბრიტანეთის სამეფო კარმა, პოლიტიკური მოსაზრებებით, გადაწყვიტა, რომ იმპერატორი აუცილებლად უნდა გამგზავრებულიყო ინდოეთში. მაგრამ გაჩნდა პრობლემა – ბრიტანული კანონმდებლობა კრძალავს სამეფო რეგალიების: გვირგვინისა და სკიპტრის სახელმწიფოდან გატანას. ამიტომ, გეორგ მეხუთის ინდოეთში კორონაციისთვის ახალი, ძალიან ძვირფასი გვირგვინი შეუკვეთეს. ამ ფასდაუდებელი რელიკვიის შექმნის პატივი წილად ხვდა ფირმა, „რუნდელ, ბრიჯ და რუნდელს“.

გვირგვინზე გამოიყენეს 6 450 ბრილიანტი – სხვადასხვა ზომისა და ფორმის; 5 ცალი დიდი ზურმუხტი და 4 ლალი. გვირგვინს ძალიან უცნაური ფორმა აქვს და ოთხი მხრიდან ჰერალდიკური შროშანებით არის დამშვენებული, რომლებიც ბარხატზე ძვირფასი თვლებით არის გამოყვანილი. გვირგვინს შიგნიდან თითქოს გამოკრული აქვს ბარხატის ქუდი, ყარაყუმის ბეწვით დაბოლოვებული. გვირგვინი 900 გრამს იწონის. გეორგ მეხუთის სიკვდილის შემდეგ – 1939 წელს ეს გვირგვინი აღარ გამოუყენებიათ. ინახება ტაუერში, სამეფო საგანძურში და, ფაქტობრივად, შეუფასებელია.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# გულის კარნახით

## სტენლი ელინი

ხმით შეუყვარდა... კედელი მეტისმეტად თხელი იყო, რომ ვერ გაეგონა, რა ხდებოდა მეზობლების ბინაში. სანამ დაინახავდა, უკვე იცოდა, რომ შესანიშნავი გარეგნობის იქნებოდა. მას ენი ერქვა და ქმართან ერთად ცხოვრობდა ბინაში, რომლისგანაც რობერტს ერთი, თხელი კედელი აშორებდა. როცა ლიფტთან შეხვდა, უკვე უზომოდ იყო მასზე შეყვარებული. საღამოობით კედლის სიახლოვეს ჯდებოდა და უსმენდა, როგორ ეჩხუბებოდა ქმარი, როგორ უსასოოდ სლუკუნებდა ქალი და ხელებს იმტვრევდა... როგორ უნდოდა, შევარდნილიყო მასთან, ეთქვა, რომ ძალიან უყვარს და გამოეტაცა იმ ველურის კლანჭებიდან... ვინს ეინორი ნამდვილად ჰგავდა ველურს. ვეება კუნთებით და ბოროტი გამოხედვით ნებისმიერს მოჰგვრიდა შიშს, მით უფრო ისეთ სუსტ, სიფრიფანა და ჰაეროვან არსებას, როგორიც ენი იყო. რობერტი აღიარებდა საკუთარ სიმხდალეს, რომელიც ხელს უშლიდან ქალთან სიახლოვეში.

ერთ ღამეს რობერტმა გარკვევით გაიგონა ენის მუდარით აღსავსე ხმა.

– გამიშვი, გამიშვი, ძალიან გთხოვ... პირობას გაძლევ, არავის არაფერს ვეტყვი...

– არა. შეუძლებელია. შენ ჩემგან ვერასოდეს წახვალ... მერე ოთახიდან მძიმე საგნის დავარდნის ყრუ ხმა მოისმა, რასაც ქალის შეკივლება მოჰყვა. რობერტი მიხვდა, უფრო სწორად, მთელი სხეულით იგრძნო, რომ იქ რაღაც საშინელება მოხდა... ენმა ისევ იკივლა... – ვინს! არ გინდა... – ქალის ხმაში სასოწარკვეთა და ტკივილი იგრძნობოდა. რობერტს სუნთქვა შეეკრა... – ო, არა! – დაიკვნესა ქალმა და თითქმის მაშინვე სულისშემძვრელი ხროტინი გაისმა... სხეული მძიმედ დაეცა და გარშემო სამარისებური სიჩუმე გამეფდა... რობერტისთვის მაშინვე ნათელი გახდა – ენი მოკლეს. იმ ცხოველმა მოკლა. მან კი, თავისი სიმხდალით, ამას ხელი ვერ შეუშალა. ახლა ყველაფერი გვიან იყო. რობერტს საკუთარი თავი სძულდა ასეთი სილაჩრისთვის. სწორედ ამ წუთს ის მკვლელობის მოწმე გახდა. მართალია, არ დაუნახავს, როგორ მოხდა მკვლელობა, მაგრამ სმენითი ეფექტი იმდენად ძლიერი იყო, რომ სრული სურათი დაუდგა თვალწინ. პოლიციაში უნდა დაერეკა. ხელიც კი გაიწოდა ტელეფონისკენ, მაგრამ უცებ კედლის იქიდან ისევ მოესმა ხმაური. ვიღაც მძიმე საგანს იატაკზე მიათრევდა. კარიც გაჯახუნდა და ყრუ ხმაური დერეფანშიც გაგრძელდა... აშკარა იყო, მკვლელი გვამის – მთავარი სამხილის მოშორებას ცდილობდა. მანქანის ძრავას ხმამ რობერტი საკუთარ უსუსურობაში დაარწმუნა. ახლა ვეღარც პოლიციაში დარეკავდა. რას ეტყოდა მათ? როგორ დააჯერებდა იმაში, რომ მკვლელობა მოხდა? ვინსი იტყოდა, რომ ცოლთან იჩხუბა და ის სახლიდან წავიდა. ეს მეტიჩარა მეზობელი კი მის ცოლს ეტრფოდა და ჩხუბიც სწორედ ამის ნიადაგზე მოხდა. პოლიციელები აშკარად ქმარს უფრო დაუჯერებდნენ... მაგრამ გულხელდაკრეფილიც ვერ იჯდებოდა. მკვლელს პასუხი უნდა ეგო ჩადენილი სისასტიკისთვის. რობერტს რაღაც ისეთი უნდა მოეძებნა, რაც პოლიციას ვინსის დამნაშავეობაში დაარწმუნებდა. გაიხსენა, რაზე ლაპარაკობდა ცოლ-ქმარი მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე. „ყველა ადამიანს აქვს შავი ლაქები. ამ ვინსს კი ისინი სამჯერ უფრო მეტი აქვს. ის კრიმინალია და ამას დავამტკიცებ!“ – უთხრა რობერტმა საკუთარ თავს. ვილაც უნდა ეპოვა, ვინც ამ კაცის შესახებ, მის წარსულზე მოუყვებოდა... მეორე დღეს, დილით, შეუმჩნევლად მივიდა საფოსტო ყუთთან და იქიდან ენისთვის განკუთვნილი წერილი გამოიღო. ბარათი მისი დისგან იყო... ახლოს მდებარე, პატარა ქალაქიდან. ბევრი არ უფიქრია, მაშინვე გაემგზავრა... პატარა, მაგრამ კოხტა სახლთან მივიდა – კონვერტზე მითითებულ მისამართზე. კარი სუსტი აღნაგობის ახალგაზრდა ქალმა გაუღო, რომელიც ძალიან ჰგავდა ენს, მაგრამ მასავით ლამაზი არ იყო.

– თქვენ დასთან დაკავშირებით მინდა, რაღაც გკითხოთ.

ქალმა დამფრთხალი მზერა მიაპყრო.

– არა, არა, ღვთის გულისთვის. მამაჩემმა ენი სახლიდან გააგდო, როცა იმ კრიმინალს გაჰყვა ცოლად. არც იცის, რომ ერთმანეთს წერილებს ვწერთ. თანაც, წარმოდგენა არ მაქვს, თქვენ ვინ ხართ.

– კერძო დეტექტივი. შეიძლება, თქვენს დას სერიოზული პრობლემა აქვს და მე სასწრაფოდ უნდა ვიპოვო კაცი, რომელსაც ის ცოლად გაჰყვა. დაფიქრდით და თუ დის სიცოცხლე რამედ გიღირთ, დამეხმარეთ.

სილვიამ ტირილი დაიწყო.

– ასეც ვიცოდი... სულ მეშინოდა, რომ ის ველური რაღაც უბედურებას დამართებდა. ვეუბნებოდი, შენი შესაფერისი არ არის-მეთქი, მაგრამ ენი მზად იყო, ქვეყნის დასალიერში გაჰყოლოდა იმას, ვინც თუნდაც ელემენტარულ სითბოს გამოიჩენდა. მამაჩემი სადისტია და ენის სილამაზე მას აცოფებდა. განსაკუთრებით, როცა თაყვანისმცემლები გაუჩნდა. სწორედ, მაშინ გააგდო სახლიდან და ენისაც სხვა გზა აღარ დარჩენოდა – გათხოვდა ველურზე და ნამდვილ ბანდიტზე.

– გახსოვთ დღე, როცა ეს მოხდა?

– რა თქმა უნდა. სატონში ჩავიდნენ და ენმა იქიდან თავისი და ქმრის ფოტო გამომიგზავნა.

– შეგიძლიათ, ეგ ფოტო მომცეთ?

სილვიამ ფოტოსურათი გამოუტანა, რომელზეც მისი გადაღების თარიღი იყო მიწერილი. რობერტმა სიხარულით გამოართვა, ჯიბეში ჩაიდო და ქალიშვილს დაემშვიდობა. ორ საათში უკვე სატონში იყო. დრო ერთი წუთიც არ დაუკარგავს. იქაურ ფოსტაში მივიდა და ძველ გაზეთებში ქექვა დაიწყო. მალევე იპოვნა ის, რასაც ეძებდა. ფოტოსურათის გადაღების მეორე დღეს სატონში ბანკი გაძარცვეს. ქრონიკა იუწყებოდა, რომ თავზეხელაღებული ბანდიტი იარაღით შევარდა ბანკში, სცემა და დაჭრა დაცვა. ხუთი ათასი დოლარი გაიტაცა და გაუჩინარდა. პოლიციამ საქმე ყაჩაღობის მუხლით აღძრა, მაგრამ მძარცველი უკვალოდ გაუჩინარდა. რობერტი ბანკში გაქანდა და იქაურ მმართველს ენის დისგან წამოღებული ფოტოსურათი უჩვენა.

– დიახ. ეს არის. ამან დაგვაყაჩაღა, – დაუდასტურეს ბანკში.

– შეგიძლიათ, ჩვენება დაწეროთ და ხელიც მომიწეროთ, რომ დამნაშავე ამოიცანით.

– რა თქმა უნდა...

რობერტს ახლა სერიოზული სამხილი ჰქონდა მკვლელის წინააღმდეგ. პოლიციაში დეტექტივი აღფრთოვანებული უსმენდა მის მონათხრობს.

– შესანიშნავია. თქვენ თითქმის პროფესიონალურად იმუშავეთ. ჩვენ უკვე ვიპოვეთ მანქანა გვამით და ახლა ვიწყებდით საქმის წარმოებას. თქვენ ძალიან დაგვეხმარეთ. საქმე გახსენით.

– ანუ, დააკავებთ დამნაშავეს?

– აუცილებლად, მხოლოდ ერთი კითხვა: რა გამოძრავებდათ, ამას რომ აკეთებდით?

– სიყვარული. მხოლოდ სიყვარული. მე ძალიან მიყვარდა ის ქალი, თუმცა არანაირი რომანი არ გვქონია.

– გასაგებია. წავიდეთ, დროს ნუღარ დავკარგავთ.

წინ ორი პოლიციელი მიდიოდა, სულაფორიაქებული რობერტი კი უკან მიჰყვებოდა. ისინი უხმაუროდ ავიდნენ კიბეზე და კართან გაჩერდნენ. ბინიდან ყრუ ხმაური გაისმა. „ის“ ადგილზე იყო. დეტექტივმა მაგრად დააკაკუნა კარზე და ხმამაღლა დაიყვირა: „გააღეთ, პოლიციაა“ და თითქმის მაშინვე ფეხით შელეწა კარი... უცებ... მოხდა სრულიად წარმოუდგენელი რამ, რობერტმა ენი დაინახა... შიშისგან გაფართოებული თვალებით, ერთიანად გაფითრებული... ქალი ღია ფანჯარასთან იდგა. პოლიციელები ოთახში რომ შეცვივდნენ, ის რაფაზე ახტა და ძირს გადაეშვა. რობერტმა მთელი ხმით იბღავლა.

– არა, ო, ღმერთო, არა...

ფანჯარასთან მივარდა და ქვემოთ გადაიხედა. ასფალტზე გაშლილი თმით ენის უსულო სხეული ეგდო.

– თქვენ გეგონათ, რომ კაცმა მოკლა ქალი? – თანაგრძნობით ჰკითხა დეტექტივმა, ცარცივით გაფითრებულ რობერტს.

– და თქვენ იცოდით, რომ მკვლელი ენი იყო?

– დიახ. ჩვენ ხომ მანქანაში მისი ქმრის გვამი აღმოვაჩინეთ.

– რატომ, რატომ დამიმალეთ და არ მითხარით?

– თქვენ ხომ გიყვარდათ ის? აუცილებლად გააფრთხილებდით და გაქცევაშიც დაეხმარებოდით. ჩვენ კი ამას ვერ დავუშვებდით.

– რატომ? მან ხომ ყაჩაღი, მოძალადე და ნაძირალა მოკლა?

– პოლიციისთვის ის ჩვეულებრივი მკვლელი იყო. სამწუხაროდ, ფაქტს ვერსად გავექცევით.

რობერტმა დაიგმინა. იატაკზე ჩაიკეცა და ტირილი დაიწყო.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



გაია თაბაგარი

# ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №1 (680)

გიორგი უხერხულად შეიშმუშნა, თითქოს ერიდებოდა, ეთქვა, რასაც ფიქრობდა, თუმცა, მერე მაინც გადაწყვიტა, დამალვას აზრი აღარ აქვსო და ისევ გულახდილობა არჩია:

– ბატონო ირაკლი, აზრი არ აქვს შეტყობინებას. ჯერ ერთი, ისე დანასისხლად არიან ერთმანეთში, რომ, მაინც არავინ მოინახულებს – არც ყოფილი ცოლი და არც შვილები,



მოვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ქალიშვილი კიდევ შეიძლება, სანახავად მოვიდეს, თუმცა, ბოლომდე დარწმუნებული ამაშიც არ ვარ.

– მაგრამ, ის სულ ნანიტას ეძახის.

– ჰო, ეს მეც ძალიან მიკვირს, ვერაფრით ამიხსნია, იმიტომ რომ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ცოლის სახელის ხსენებასაც კი გაურბოდა – ცუდად დაშორდნენ ერთმანეთს. ისე, რაღა დაგიმალოთ და, ლომის წილი ამაში ჩემს ძმას მიუძღვის. მე სიმართლის თქმა მიყვარს – არ შეიძლება უკვე ზრდასრული, ოჯახს მოკიდებული მამაკაცი თექვსმეტი წლის ლაწირაკი ბიჭივით ცხოვრობდეს. ამას ყველა ქალი ვერ აიტანს. უცნაურად და მოულოდნელად მოხდა მათი დაქორწინება, მაგრამ, დროთა განმავლობაში ნანიტას ძალიან შეუყვარდა დიმიტრი, სულ თვალებში უყურებდა, თან ჰყვებოდა, მაგრამ, არაფერი გამოუვიდა. ხომ იცით – ადამიანის ხასიათს ვერაფრით შეცვლი. ჩემი ძმა კეთილი ადამიანია, ცოლიც თავისებურად უყვარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ოჯახი მისი სტიქია არ იყო. ბოლო ხანებში მაინც, სანამ ერთმანეთს დაცილდებოდნენ, მთლად აიწყვიტა: ძმაკაცები, ქეიფები, ქალები... აღარც ცოლის ერიდებოდა, აღარც შვილების. მერე, ხომ იცით, გალმა შეედავეო – სახლში მთვრალი მისული, ყველას ეჩხუბებოდა, ცოლს ბავშვების თვალწინ აყენებდა შეურაცხყოფას. მოკლედ, დიდხანს ითმინა ნანიტამ და, ბოლოს მაინც... ბევრჯერ ჩავერიე, მაგრამ, არაფერი გამომივიდა.

– მდაა!.. სამწუხარო ამბავია, მაგრამ, არცთუ გასაოცარი. დღეს ლამის ყოველ მესამე ოჯახში ანალოგიური სიტუაციაა.

– ბატონო ირაკლი, თქვენ არ იფიქროთ, რომ... მოკლედ, მგონი, მთლად კარგი შთაბეჭდილება ვერ დავტოვე – ალბათ, ფიქრობთ, ძმა უკვდება, ეს კი მასზე რაებს ლაპარაკობსო, მაგრამ, რატომღაც, თქვენთვის გულის გადაშლა მომინდა და... თანაც, ძალიან მწყდება გული, რომ ასე წარიმართა მისი ცხოვრება. არადა, მართლა კარგი ცოლშვილი ჰყავს... – გიორგიმ თვალზე მომდგარი ცრემლი უკან ჩაიბრუნა, – მე მაინც მიყვარს ჩემი ყოფილი რძალი. არ მინდა, მასზე ვინმემ ცუდი იფიქროს და, მით უმეტეს – თქვენ. ასეა თუ ისე, ეს მათი ურთიერთობა და მათი საქმეა.

– რას ვიზამთ, გიორგი ბატონო, ხშირად ისე ვინგრევთ ცხოვრებას, რომ, ვერ ვხვდებით, რას ვაკეთებთ, მერე კი ვცდილობთ, ყველაფერი სხვებს გადავაბრალოთ... – პროფესორი რამდენიმე წამით ჩაფიქრდა და მერე ისევ განაგრძო საუბარი: – ჩემო გიორგი, კიდევ ერთი შეკითხვა თუ შეიძლება, ოღონდ, სიმართლე უნდა მიპასუხოთ...

– რა თქმა უნდა, ბრძანეთ.

– რა ურთიერთობა ჰქონდა თქვენს ძმას ნარკოტიკებთან?

– როგორ გითხრათ... – შეიშმუშნა გიორგი, – ადრე, ახალგაზრდობაში, ხანდახან წაიმაიმუნებდა ხოლმე, მაგრამ, წამალზე „შემჯდარი“ არასდროს ყოფილა, ნამდვილად ვიცი. 15 წელზე მეტი იქნება, საერთოდ აღარ გაჰკარებია.

– სექსუალური ორიენტაცია?

– რას ამბობთ, ბატონო გიორგი, გამორიცხულია!

– გასაგებია, მაგრამ, აქაც ხომ არ უყვარდა ხანდახან „წამაიმუნება“?

– გამორიცხულია-მეთქი, ხომ გეუბნებით! მასეთ ტიპებს ახლოსაც არ იკარებდა. ნაცნობობასაც კი არ იკადრებდა ეგეთებთან! – გიორგის მღელვარებისგან ყელი გაუშრა და ერთი სირჩა კონიაკი კიდევ გადაკრა, მერე სავარძლიდან წამოდგა და ექიმს მიმართა:

– ბატონო ირაკლი, მითხარით, რა წამლებია საჭირო, ყველაფერს მოვიტან!

– ჯერჯერობით არაფერი, ჩემო კარგო, ყველაფერი გვაქვს. თუ რამე დაგვჭირდა...

– ირაკლი ექიმო, ირაკლი ექიმო! – ფეთიანივით შემოვარდა კაბინეტში ექთანი, – ავადმყოფმა თვალი გაახილა და კონტაქტშიც შემოდის!

ირაკლი და გიორგი სირბილით გავიდნენ კაბინეტიდან.

***

თვალი რომ გაახილა, ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა. კი არა, ისიც კი ვერ გაიხსენა, ვინ იყო. გონება დაძაბა. მაინც არაფერი გამოუვიდა.

ზემოთ რომ აიხედა, ახალგაზრდა ქალი დაინახა – ცისფერ ხალათსა და ჩაჩში გამოწყობილი, ღიმილით დაჰყურებდა და მკლავზე რაღაცის შემოხვევას ცდილობდა.

დიმიტრი გაუძალიანდა, მაგრამ, ქალი მოერია და თავისი გაიტანა. „მე ხომ ხელები აღარ მაქვს!“ – გაახსენდა ავადმყოფს და გაოცებულმა დაიხედა მკერდზე, სადაც მისი ორივე ხელის მტევანი მშვიდად იყო დაწყობილ-დალაგებული. „ეტყობა, ახალი ხელები ამომივიდა“, – გაიფიქრა კიდევ უფრო გაკვირვებულმა და შეეცადა, თითები აემოძრავებინა. გაუჭირდა, მაგრამ, მაინც შეძლო. რაღაც სუსტად და უღონოდ გაუხარდა. მერე ქალს დააკვირდა. მშვიდი სახე ჰქონდა, სათნო, მაგრამ, ყურებში რაღაც უცნაური შნურები ჰქონდა გარჭობილი.

„მგონი, წნევას მიზომავს“, – როგორც იქნა, მიხვდა დიმიტრი და კიდევ ერთხელ გაუკვირდა, რადგან, ვერ გაარკვია, სად იყო – სააქაოში თუ საიქიოში.

სხეულს საერთოდ ვერ გრძნობდა – რაღაცნაირ უწონადობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ასე ეგონა, დაფრინავდა, უფრო სწორად, დანარნარებდა ჰაერში. უცბად ფეხი მოეფხანა, სადღაც მუხლსა და კოჭს შორის, მაგრამ, განძრევა არ შეეძლო და სახე შეეჭმუხნა.



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.......................................

მარიკა 599 24 28 31

„აკი ფეხებიც აღარ მქონდა?!“ – გაიფიქრა გაკვირვებულმა, რადგან, ხმის ამოღება ვერ შეძლო.

– ას ათი სამოცზე, – ჩაესმა ქალის ხმა.

– კარგია, წნევა ნელ-ნელა უბრუნდება ნორმას, – გამოეპასუხა უჩინარი მამაკაცი. მერე ეს მამაკაცი, თითქოს ნისლიდან ამოყვინთაო, შენელებული მოძრაობით მიუახლოვდა და მის თავთან გაჩერდა.

– კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება, ბატონო დიმიტრი! – სასიამოვნო ბარიტონმა საბოლოოდ მოიყვანა გონზე.

„ვინ არის დიმიტრი? დიმიტრი... დიმიტრი... რა ნაცნობი სახელია, ღმერთო, გამახსენე! – გაიფიქრა დიმიტრიმ და, თავისი უმწეობით გაღიზიანებულმა, დაბნეულად გაიღიმა, – ჰო, – გაახსენდა უცებ, – დიმიტრი ხომ მე ვარ, მე ვარ დიმიტრი! რამ დამავიწყა საკუთარი სახელი? კეთილი იყოს თქვენი დაბრუნებაო! – სად ვიყავი, საიდან დავბრუნდი ან სად დავბრუნდი?“ – ავადმყოფი ისევ აფორიაქდა და სახე ოფლით დაეცვარა.

– ირაკლი ექიმო, რაღაც, ძალიან აწრიალდა, დამაწყნარებელი ნემსი ხომ არ გავუკეთო? – იკითხა ქალის ხმამ.

– რამდენი საათი გავიდა? თითქმის ხუთი? შეიძლება! – უპასუხა მამაკაცმა.

„ექიმი... ნემსი... ეტყობა, საავადმყოფოში ვარ. ნეტავი, რა დამემართა?“ – გაიფიქრა ისევ და ცისფერჩაჩიან ქალს ვედრებით შეხედა.

– ნუ გეშინიათ, ბატონო დიმიტრი, ახლა აღარაფერი გიჭირთ. დაწყნარდით, დამშვიდდით, დაგვიჯერეთ და ყველაფერი კარგად იქნება. თუ დაიძინებთ, რამდენიმე საათში უკეთ იქნებით! – ქალის მშვიდი ხმა მალამოსავით ედებოდა გულზე. მერე იგრძნო, როგორ ნელ-ნელა დაუმძიმდა ქუთუთოები და თეთრ ბურუსში ჩაიძირა.

რამდენ ხანს ეძინა, არ ახსოვდა. ცდილობდა, გამოფხიზლებულიყო და თვალი გაეხილა, მაგრამ თავს ვერ ერეოდა, თუმცა, რაც მის გარშემო ხდებოდა, ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს აღიქვამდა. თავს ძალიან მსუბუქად გრძნობდა. არაფერი სტკიოდა და თანდათან უბრუნდებოდა სიცოცხლეს. ისევ თვლემაში წავიდა, მაგრამ, მის სმენას მაინც მისწვდა კარზე დაკაკუნების ხმა.

– ვინ გნებავთ, ქალბატონო? აქ შემოსვლა არ შეიძლება, ეს რეანიმაციული განყოფილებაა! – ჩაესმა დიმიტრის.

– უკაცრავად, დიმიტრი ჩაჩავა აქ წევს? – იკითხა ქალის ხმამ, შემკრთალმა, დაძაბულმა და მორიდებულმა.

– აქ წევს, მაგრამ, მასთან შემოსვლა არ შეიძლება. ექიმმა რომ შემოგისწროთ, ორივეს შავი დღე დაგვადგება. ძალიან გთხოვთ, ახლავე დატოვეთ პალატა!

„რამდენი ლაპარაკი სცოდნია ამ ქალს, – აღშფოთდა ბურანში წასული დიმიტრი,– აბა, თუ გაჩუმდეს!“

– ქალბატონო, თუ შეიძლება, მხოლოდ დავხედავ და მაშინვე გავალ! – შეეხვეწა უცნობი.

– თქვენ ვინ ბრძანდებით?

– მე... მე ცოლი ვარ.

პალატაში დამხვდურის ხმა მოლბა და ცნობისმოყვარეობის ტონალობაშერეულმა ჰკითხა:

– ცოლი?! კი მაგრამ... – მერე, ეტყობა, გადაიფიქრა, რის თქმასაც აპირებდა და დიდსულოვნად დართო ნება: დახედეთ, ოღონდ, სწრაფად, ექიმმა არ მოგისწროთ.

„ცოლი?! მე ცოლი მყავს? ნეტავი რა ჰქვია? “ – ისევ გაიფიქრა დიმიტრიმ და თვალების გახელა სცადა, მაგრამ, ვერ შეძლო – ძილ-ბურანიდან ვერ გამოდიოდა.

მერე იგრძნო, როგორ მიუახლოვდა ვიღაცა. საოცრად ჰაეროვანი და სასიამოვნო სურნელი მისწვდა მის ყნოსვას, სასიამოვნო და ნაცნობი. მერე ის ვიღაცა დაიხარა და ძალიან ნაზად აკოცა შუბლზე. დიმიტრი კანკალმა აიტანა, მაგრამ მაინც ვერ გაახილა თვალი – ეს ამბორიც ნაცნობი იყო, ნაცნობი და ახლობელი. მერე კი ძალიან ახლოდან გაიგონა:

– ქალბატონო, აქ ასი დოლარია, ლარებში გადახურდავებული. უჯრაში ჩავუდებ. ეგებ რამეში გამოადგეს. წვრილი ხარჯებისთვის...

„ხმა... ღმერთო ჩემო, ხმა... საიდან მეცნო – გაიფიქრა დიმიტრიმ, – „...ასი დოლარი მოგიტანეო... ასი დოლარი“... და უცებ გონება სადღაც სქელ ნისლში ჩაიძირა... ჩაიძირა და პირველი დეჟავჲუ დაემართა.



***

ამჯერად ჩხუბმა ისეთი სერიოზული სახე მიიღო, თვითონაც არ მოელოდა. თავზე დაალეწა ცოლს ყველაფერი, ყველანაირი საზიზღრობა უწოდა. მთელი ხმით ღრიალებდა და, რაც ხელში ხვდებოდა, კედელს ახლიდა. ძალიან უნდოდა, ერთი სიტყვა მაინც წამოსცდენოდა ნანიტას, თუნდაც ერთი საპროტესტო სიტყვა, მაგრამ, ქალი დუმდა, მაგრად მოეკუმა ტუჩები და, გაფითრებული, რაღაც გამაღიზიანებლად უმწეოდ იდგა. გაფართოებული, შიშჩამდგარი თვალებით მიშტერებოდა ქმარს და ხმას არ იღებდა.

– ხმა მაინც ამოიღე, შენი... – და დიმიტრიმ ცხრასართულიანი გინება მიაყოლა.

ნანიტა ისევ დუმდა. უბრალოდ, არ იცოდა, რა ეთქვა ან როგორ მოქცეულიყო. არც იცოდა და არც სურვილი ჰქონდა, რამე მოემოქმედებინა. ამ წუთას გონებაში მხოლოდ ერთი კითხვა უტრიალებდა, უფრო სწორად, ორი კითხვა: „ნუთუ ეს კაცი მიყვარდა ოდესმე? ან, მიყვარდა კი?!“

– შენ გეკითხები, რატომ აიღე უკითხავად ჩემი უჯრიდან ასი დოლარი?

ნანიტამ იფიქრა, რომ, ჯობდა, შეეხსენებინა ქმრისთვის, შენ თვითონ მომეციო და გაუბედავად ჩაიჩურჩულა:

– გუშინ შენ არ მომეცი, გადაახურდავე და გადასახადები გადაიხადე, მე არ მცალიაო?!

დიმიტრის გაახსენდა, რომ მართლაც ასე იყო, მაგრამ, იხტიბარი არ გაიტეხა:

– როგორ, მე შენ ხელიდან ხელში მოგეცი ფული?!

– არა, შენ მითხარი, უჯრაში დევს, აიღე და დღესვე ყველა გადასახადი გადაიხადეო.

– ესე იგი, შენ თვითონ აიღე ფული ჩემი უჯრიდან...

– ჰო, მაგრამ, შენ არ მითხარი?

– გამოდის, რომ ისევ მე ვარ მტყუანი, შენი დედაც!.. – და დიმიტრიმ ისევ უშვერი გინების კორიანტელი დააყენა.

– ესე იგი, მოვიპარე? ქურდი ვარ?.. – ენა დაება ნანიტას.

– მარტო ქურდი კი არა, მაგარი ბანძი ქალი ხარ, გული მერევა, რომ გიყურებ! და, საერთოდ, ხმა აღარ ამოიღო, თორემ, ჩემი ხელით მოგახრჩობ! – დაიღრიალა დიმიტრიმ და ცოლისკენ გაიწია.

ნანიტასთვის უკვე სულერთი იყო, გაარტყამდა თუ არა ქმარი. კი არა, სადღაც, გულის სიღრმეში, კიდეც ინატრა, ნეტავი მართლა გამარტყასო. ეს, ალბათ, იმიტომ გაიფიქრა, რომ ამით წერტილი დაესმებოდა მათ ურთიერთობას, ერთად ყოფნას, სიყვარულს, ოჯახს; ამით საერთოდ ყველაფერი დამთავრდებოდა და, ამ ყველაფერთან ერთად, ბოლო მოეღებოდა მის ილუზიებსაც, რომ დიმიტრი შეიცვლებოდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ერთად ყოფნის ცამეტი წლის თავზე მაინც დაერქმეოდა ყველაფერს თავისი სახელი.

ნანიტამ უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა, როგორ დაიძრა მისკენ აჭარხლებული და მუშტმოღერებული ქმარი; იგრძნო და თვალები დახუჭა, მაგრამ, არ განძრეულა. დიმიტრიმ მთელი ძალით მოქნეული ხელი სახეში გაარტყა ცოლს. ლაწანი ისე გაისმა, რომ, ქმარმა კი არ გაიგონა, თითქოს დაინახა ეს საშინელი ხმა. ჭკუიდან გადასულმა მეორედაც დააპირა გარტყმა, მაგრამ, სანამ მუშტი ცოლის სახეს ხელმეორედ შეეხებოდა, ქალი კედელს ზურგით მიასკდა და ამჯერად უკვე დიმიტრიმ, უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა, როგორ შენელებული კადრივით ნელ-ნელა ჩასრიალდა კედელს მიხეთქებული ქაღალდივით გათეთრებული და გულწასული ნანიტა. კაცი უცებ მოვიდა გონზე. ონკანს ეცა, ჭიქა წყლით აავსო და ქალს სახეში შეასხა, მერე ნჯღრევა დაუწყო და ისტერიულად უყვიროდა, თვალი გაახილეო. მერე დაინახა, როგორ გაახილა თვალები ნანიტამ; მერე მის მზერას გააყოლა თვალი და დაინახა სამზარეულოს კარში ჩამდგარი შიშისგან გაფითრებული თოკო, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშური სხეული დაძაგროდა, სახეზე კი საშინელი სიძულვილი აღბეჭდვოდა. მერე უფრო დაინახა, ვიდრე გაიგონა, როგორ ამოიხრიალა თოკომ: ყელს გამოგჭრი, ახვარო! – და როგორ ჩაიკეცა იატაკზე გულწასული...

ამ დეჟავჲუმ გაახსენა დიმიტრის, საიდან ეცნო უცხო ქალის ხმა, სურნელი და, ჯერ



კიდევ გამოუფხიზლებელმა, მთელი ხმით იყვირა:

– ნანიტააა!!

***

დიმიტრის მდგომარეობა კუს ნაბიჯით, მაგრამ, მაინც უმჯობესდებოდა. ძმამ, გიორგიმ, არაფერი დაიშურა, საუკეთესო ექიმები დაახვია თავს და, კონსილიუმის გადაწყვეტილებით, ავადმყოფს კომპლექსური მკურნალობა დაენიშნა. მართალია, ჯერ ფეხზე ადგომის უფლებას არ აძლევდნენ, მაგრამ, ჯანმრთელობის საერთო სურათი აშკარად უკეთესი იყო. ძვირად ღირებულმა წამლებმა, სწორად დანიშნულმა მკურნალობამ, მედპერსონალის ყურადღებამ და, რაც მთავარია, გამოჯანმრთელების სურვილმა, შედეგი გამოიღო და ექიმების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საერთოდ, ცოდვა გამხელილი ჯობს და, ექიმებს უყვართ ფულიანი, პატრონიანი და მორჩილი პაციენტები. შესაბამისად, დიმიტრი განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა.

მზია ექთანი, რომელსაც პროფესორმა სთხოვა, ავადმყოფს შენ მეტს ვერავის ვანდობო, თან ჰყვებოდა და თავს ევლებოდა დიმიტრის, როგორც ჭირვეულ ბავშვს, ისე უვლიდა: ხან ეფერებოდა და უყვავებდა, ხან უტატანებდა. ზრუნვას მონატრებულ დიმიტრისაც სიამოვნებდა ჭირვეული ბავშვის როლში ყოფნა და, ცოტა ხანში ისე შეეჩვია და მიეკედლა ექთანს, უიმისოდ ხუთ წუთსაც ვერ ძლებდა. საკმარისი იყო, მზია რამე საქმეზე გასულიყო, რომ დიმიტრი პანიკაში ვარდებოდა და პალატაში დაბრუნებულს საყვედურებით ავსებდა. მზიას ძალიან უხაროდა ეს ამბავი და თანდათან ისე გაუშინაურდა თავის „ობოლ ბიჭს", რომ „შენობითაც" დაიწყო მასთან ლაპარაკი და სხვა დროს ტაბუდადებულ და აკრძალულ თემებზეც შეეძლო, ეხუმრა. ერთადერთი, რასაც მზია მტკიცედ იცავდა, მიმართვის ფორმა იყო – „ბატონოს" გარეშე დიმიტრის არ მიმართავდა. თავიდან, სანამ „ოფიციალურად" გადავიდოდა „შენობით" მიმართვაზე, ანუ, გაშინაურების გარდამავალ ეტაპზე (როცა „თქვენობით" ვეღარ მიმართავდა, „შენობით" კი ჯერ ვერ ბედავდა თუ ეხამუშებოდა), მზიამ თავისებური, რაღაც შუალედური ფორმა მოძებნა და პირველი პირის მრავლობით რიცხვში სვამდა ყველა ზმნას, რაც კი დიმიტრის პროცედურებთან და მოვლასთან იყო დაკავშირებული:

– აბა, ბატონო დიმიტრი, დავლიოთ წამალი!

– ბატონო დიმიტრი, ვარჯიშები გავაკეთოთ!

– ბატონო დიმიტრი, წნევა გავიზომოთ!

მერე კი ისე მიეჩვია ამ ფორმას, რომ, ერთხელ, როცა სანიტარი ოყნის ბალონითა და ჩაიდნით შემოვიდა ავადმყოფთან და დიმიტრი მის დანახვაზე დაიჭყანა, რადგან, საშინლად ეჯავრებოდა ეს პროცესი, მზია მიუახლოვდა საწოლს და დაყვავებით უთხრა:

– აბა, ბატონო დიმიტრი, ნუ დავიწყებთ ჭირვეულობას, ჩავიხადოთ და მარჯვენა გვერდზე გადავბრუნდეთ!

ხნიერ სანიტარს გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდა, დიმიტრის კი ისეთი ისტერიული სიცილი აუტყდა, კინაღამ დაიხრჩო.

კაცი დავბერდი და ასე ხმამაღლა და თამამად ეს საქმე არავის შემოუთავაზებია, თანაც, სხვისი თანდასწრებით, – სული ძლივს მოიბრუნა და მზიას ხუმრობით დაუქნია თითი, – ფრთხილად იყავი, გოგო, ცეცხლს ნუ ეთამაშები! მართალია, განძრევა ამიკრძალა ექიმმა, მაგრამ, ერთხელაც იქნება, წამოვდგები შენს ანკესზე და მიყარე მერე კაკალი!

მოხუცი სანიტარი მთლად ბოლომდე ვერ მიხვდა ხუმრობას, მაგრამ, თავისი ჭკუით, „შეეშველა" აწითლებულ და დაბნეულ მზიას:

– იი, ნეტაი რაი ბაქიბუქობ მანდა, რამი თავი მაინცა გქონდეი!

– შენ რა იცი, დეიდა მაყვალა, რისი თავი მაქვს. ხომ გაგიგია, ბებერი ხარისა რქებიც კი ხნავენო! ცოტა მოიცა, წამოვდგე ფეხზე! – შეეხუმრა დიმიტრი.

– წამოდგე, თორემა, შენცა, კრამიტები არ დალეწო! მაგაი რა ცოდნა უნდა, შვილო, ყოველდღე ტ...ში გიყურებ. რქები კიდენა, რისგანაც უჩნდებათ კაცებსა, ძაან კარგადაც ვიცი. ჰოდა, ეგეთ კაცებსა თავისი მამულის მოხვნა რომ შეძლებიყოთ, რქებიც აღარ ამოუვიდოდათ და ამ ანდაზასაც აღარ გამაიყენებდნენ თავის სასარგებლოთა.

– ჰაა, დეიდა მაყვალა, მოუკრეფავში ნუ გადახვედი! – დაუტატანა დიმიტრიმ.

– მოუკრეფავში რათ გადავედი, შვილო! ამ გასათხოვარ გოგოსა ეგრე რომ ეანგლები, ემანდ, მართლა გულში რომ ჩაუვარდე, მერმე?

– აბა, რას ამბობ, დეიდა მაყვალა! – გაბრაზდა მზია და პალატიდან გავარდა.

ეს ამბავი არ გახმაურდებოდა, მზიას იგივე შეცდომა მეორე დილით, ექიმების შემოვლის დროს რომ არ გაემეორებინა.

ორ სხვა პროფესორთან ერთად პალატაში შესულმა ირაკლი ქებაძემ დიმიტრი გასინჯა და მზიას ჰკითხა:

– როგორ არის ავადმყოფი, ყველაფერი რიგზეა? ხომ არ გაბრაზებს?

– არა, ირაკლი ექიმო, არ მაბრაზებს.

– ყველა პროცედურა ჩაუტარდა? ხომ არაფერი აწუხებს?

– დიახ, ირაკლი ექიმო: ნემსი გავიკეთეთ, წნევა გავიზომეთ, საუზმე მივირთვით, წამლები დავლიეთ, კუჭში გავედით... ყველაფერი რიგზეა, ოღონდ, ცოტა გაზები გვაწუხებს, – რიხით ჩააბარა ანგარიში ექთანმა.

პროფესორებმა მორიდებით ჩაიცინეს, ირაკლიმ კი თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა გადაიხარხარა. სული რომ მოითქვა, აღწილ და დაბნეულ მზიას ვითომ გაოცებულმა ჰკითხა:

– და, ამ ყველაფერს ერთად აკეთებთ ხოლმე? – მერე კი ღიმილით გახედა დიმიტრის.

– ოღონდ თქვენი დანიშნულება ზუსტად შემასრულებინოს და, არც მაგაზე იტყვის უარს, – გაეცინა დიმიტრისაც, – გუშინ ისეთი რამე მითხრა, სიცილისგან კინაღამ გული წამივიდა, მაყვალამ ძლივს მომაბრუნა.

მაყვალას ხსენებაზე ირაკლი დაახლოებით მიხვდა, რა შეიძლებოდა ეთქვა მზიას და გაეღიმა, მაგრამ, აღარაფერი უკითხავს.

რამდენიმე დღე დასჭირდა დიმიტრის განაწყენებული მზიას შემოსარიგებლად. ექთანი ისევ პირნათლად არსულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ, აღარ ესაუბრებოდა, აღარ ეხუმრებოდა და აღარანაირი ფორმით აღარ მიმართავდა – აღარც „შენობით", აღარც „თქვენობით". მხოლოდ „ბატონო დიმიტრი" დატოვა ძალაში:

– ბატონო დიმიტრი, წამლის დალევის დროა!

– ბატონო დიმიტრი, ნემსის დროა!

– ბატონო დიმიტრი, ვარჯიშის დროა!

მზიას გულის მოსაგებად დიმიტრი ყველაზე დამჯერ ავადმყოფად იქცა: წამლებს სვამდა, გადასხმებს უსიტყვოდ იტანდა, თან, გულის მოსაგებად ელაპარაკებოდა, ეხუმრებოდა, „ეპაიდხალიმებოდა", თავსაც კი აცოდებდა ხოლმე, მაგრამ, არაფერმა რომ არ გაჭრა, ერთ დღლას ტაქტიკა შეცვალა – გაებუტა და გაფიცვა გამოუცხადა: სანამ არ შემირიგდები, არც ნემსს გავიკეთებ, არც წამალს დავლევ და არც საჭმელს შევჭამო.

მზიას ჯერ ეგონა, ვერ გაბედავს, შეეშინდება, უარესად არ გახდესო, მაგრამ, საღამოს მიხვდა, რომ დიმიტრი არ ხუმრობდა და დაუთმო – შეურიგდა, თუმცა, კარგადაც წააყვედრა; თანაც, რა დასამალია და, თვითონაც ერთი სული ჰქონდა, როდის შერიგდებოდნენ. სწორედ ამ შერიგების დროს სთხოვა დიმიტრიმ, ჩვენ უკვე და-ძმასავით ვართ და „შენობით" მომმართე ხოლმეო. მზიას დიდად არ ესიამოვნა ეს „და-ძმასავით", მაგრამ, პირველი პირის მრავლობითი და „თქვენობითი" ფორმა მაინც ამოიღო ხმარებიდან.

– ოღონდ, იცოდე, „ბატონო დიმიტრის" მაინც დაგიძახებ, ასე მსიამოვნებს, – უთხრა თავის გულაჩუყებულ პაციენტს და გაშიშვლებულ უკანალზე ნემსი დაარჭო.

***

დღის განმავლობაში დიმიტრი ცდილობდა, მხნედ და, შეძლებისდაგვარად, მხიარულად ყოფილიყო, საღამოს კი სევდა შემოაწვებოდა ხოლმე. მართალია, თვითონ უთხრა მედპერსონალს, ჩემს ოჯახს არ დაურეკოთო, მაგრამ, სადღაც, გულის სიღრმეში, უნდოდა, რომ ვინმეს დაერეკა ნანიტასთვის ან ბავშვებისთვის და მისი მდგომარეობა შეეტყობინებინა. მაგრამ, როგორც ჩანდა, ექიმს მისი თხოვნა შეესრულებინა, და, ეტყობა, გიორგიც მოერიდა, დაერეკა, რადგან, არც ყოფილი ცოლისგან და არც შვილებისგან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მართალია, სამივე განაწყენებული იყო, მაგრამ დიმიტრის ვერ წარმოედგინა, ასეთ მდგომარეობაში მყოფ მამას ერთხელ მაინც

თუ არ ნახავდნენ თოკო და ნუცა. ნანიტა კი...

„ნეტავი ნანიტა როგორ არის? – გაიფიქრა დიმიტრიმ, – იმასაც რამე ხომ არ სჭირს? ეს ავარია რომ არ მომსვლოდა, აქამდე უკვე ყველაფერი გარკვეული მექნებოდა. ვაითუ გადავდე, ჰა?“ – ამ ფიქრებმა ისე ააფორიაქა, რომ წნევამ აუწია და მზია იძულებული გახდა, დამამშვიდებელი ნემსი გაეკეთებინა.

საღამომდე ეძინა, მაგრამ, სულ შფოთავდა. უკვე ბინდდებოდა, როცა გაეღვიძა. მზიას დაუძახა და სთხოვა, ნუცასთან დაერეკა და მხოლოდ ის ეთქვა, რომ ავარია მოუხდა.

– სხვა არაფერი წამოგცდეს, გესმის? ბავშვებმა არაფერი არ უნდა გაიგონ, – გააფრთხილა ექთანი, – ჯერჯერობით, არც ნანიტამ. ახლავე დაურეკე, სახლში იქნება.

– მე აქამდეც მინდოდა დარეკვა, მაგრამ შენი ნებართვის გარეშე ვერ გავბედე. ახლავე გავალ ექიმის კაბინეტში, ნომერი მითხარი.

– მზია, როგორ გგონია, მოვა? – დაეჭვებით ჰკითხა დიმიტრიმ და ქაღალდის ნახევზე ტელეფონის ნომერი დაუწერა.

– აბა, რას იზამს, გული როგორ მოუთმენს, რომ არ მოვიდეს? ყველანი მოვლენ, ბატონო დიმიტრი!

– არ მოვლენ, შენ არ იცი, შენ არაფერი არ იცი! ყველაზე კარგ ვარიანტში, შეიძლება, ნუცა მოვიდეს. თოკო არ მოვა, რომ მოვკვდე, პანაშვიდზეც არ მოვა. ავარიის წინ მაგრად ვიჩხუბეთ, სერიოზულად ვიჩხუბეთ... მანამდე კი უფრო უარესი მოხდა... – დიმიტრიმ აკანკალებული ხელი გადაისვა შუბლზე.

– რა ვუყოთ, ძმები და შვილები ხშირად ჩხუბობენ, მაგრამ, ბოლოს მაინც რიგდებიან, – მზია შეეცადა, დაეწყნარებინა დიმიტრი, თუმცა, გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ამ ოჯახში რაღაც სხვა ხდებოდა, უფრო სერიოზული, ვიდრე მამა-შვილის კინკლაობა იყო და ეს „რაღაც“ საკმაოდ დიდი ხნის წინ უნდა ყოფილიყო დაწყებული, – ახლა კი დაწყნარდი, თორემ, არ დავრეკავ!

– შევეცდები, – გაღიმება სცადა დიმიტრიმ, – აჰა, მობლური, ამით დარეკე, – და გიორგის მოტანილი ახალი მობილური გაუწოდა.

– არა, ექიმის კაბინეტიდან დავრეკავ, ასე მირჩევნია, – მზია კარისკენ გაემართა. არ უნდოდა დიმიტრის თანდასწრებით დაეწყო ლაპარაკი. „რა ვიცი, რისი თქმა მომიწევსო“, – გაიფიქრა.

– შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა... – დიმიტრის გული აუჩუყდა და ცრემლი ძლივს შეიკავა, – რომ იცოდე, რამდენი შეცდომა მაქვს ცხოვრებაში დაშვებული, ალბათ, ასე აღარ გადამყვებოდი თან...

– მე ავადმყოფების წარსული არ მაინტერესებს, ყველას ასე ვუვლი, ეს ჩემი მოვალეობაა, – დაიმორცხვა ექთანმა.

– თავმდაბლობა კარგია, მაგრამ, არა ყოველთვის. შენ მხოლოდ ჩემი მომვლელი და ექთანი კი არა, უკვე მეგობარი ხარ – ერთგული და საიმედო. უამრავი მეგობარი მყოლია ცხოვრებაში, მაგრამ, შენნაირი – არასდროს.

– დიდი მადლობა, ბატონო დიმიტრი, – გაწითლდა მზია.

– მადლობა მე უნდა გითხრა. წეღან ვთქვი, ძალიან ბევრი და ძალიან სერიოზული შეცდომა მაქვს-მეთქი დაშვებული. ვიცი, დიდხანს ველარ ვიცოცხლებ და, მინდა, როგორმე ნაწილობრივ მაინც გამოვისყიდო ჩემი ცოდვები.

– აბა, რას ამბობ, ბატონო დიმიტრი!

– სიმართლეს ვამბობ. ჰოდა, ამაში შენ უნდა დამეხმარო.

– მეე?! – გაუკვირდა მზიას, – მე რა შემიძლია?

– მე შენ ყველაფერს მოგიყვები, შენ კი უნდა მირჩიო, როგორ მოვიქცე.



– თუკი შემიძლია, რაზეა ლაპარაკი! ოღონდ, დღეს არა, დღეს ისედაც განერვიულებული ხარ. თანაც, ერთი პირობით: არავითარი წუწუნი და ყურების ჩამოყრა!

– კარგი, ხვალ იყოს, ზეგ იყოს. ახლა კი წადი და დარეკე, მანამდე კი ტელევიზორი ჩამირთე.

მზიამ ტელევიზორი ჩართო და გავიდა.

ეკრანზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა საწვრთნელი ბაზა გამოჩნდა. 8-10 წლის ბიჭები თავგამოდებით დასდევდნენ ბურთს და ათასნაირ ვარჯიშს ასრულებდნენ. ჟურნალისტმა ერთ-ერთი მათგანი გააჩერა და გამოელაპარაკა:

– რა გქვია?

– თორნიკე.

– რამდენი წლის ხარ?

– ცხრის.

– დიდი ხანია, ფეხბურთზე დადიხარ?

– მეორე წელია.

– საიდან დადიხარ?

– საბურთალოდან.

– მარტო დადიხარ თუ მამიკოს მოჰყავხარ?

– უფრო ხშირად – მამიკოს. დედიკოს ხანდახან დავყავარ, როცა მამიკოს არ სცალია, მაგრამ, მე მამიკოსთან ერთად უფრო მიყვარს სიარული. ის ფეხბურთში კარგად ერკვევა და, უკან რომ ვბრუნდებით, გზაში თამაშს ვარჩევთ. დედიკო კი მარტო იმას მეუბნება ხოლმე, ხომ არ დაიღალე, ხომ არ გაოფლიანდი, არ გაცივდეო... მე ძაან მაგარი მამიკო მყავს...

დიმიტრის აღარ გაუგონია, რით დასრულდა ეს ინტერვიუ, თვალები თავისით დაეხუჭა და სადღაც წარსულში ჩაიძირა...

***

– მამი, ერთხელ მაინც წამომყევი ფეხბურთზე, რა, გეხვეწები! – სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი და მხარზე ჩანთაგადაკიდებული თორნიკე თავზე წამოადგა ნაბახუსევ დიმიტრის და აღარ მოასვენა, – გთხოვ, რა, მამი, ადე, რა!

– ამხელა კაცი მარტო ვერ წახვალ? „მარშრუტკა“ კარიდან კარზე დადის, – დიმიტრის სიკვდილივით ეზარებოდა ადგომა.

– კარგი, რა, მამი, ხომ შემპირდი! – არ ეშვებოდა შვილი.

– შენხელა რომ ვიყავი, ყველგან მარტო დავდიოდი, – არ ნებდებოდა დიმიტრი.

– ერთხელ მაინც წაიყვანე ბავშვი, ასე რომ გეხვეწება! – ჩაერია მამა-შვილის დიალოგში ნანიტა.

– შენ რას მიკეთებ? ადექი და შენ წაიყვანე! – შეუღრინა დიმიტრიმ, – ვერ ხედავ, ცუდად რომ ვარ?

– სულ მე არ დამყავს? ყველას მამა დაჰყვება, იმდენ კაცებში მარტო მე ვდგავარ ხოლმე ქალი. მთვრალი რომ ათას რამეს ჰპირდები, ერთხელ მაინც არ უნდა ნახო, როგორ თამაშობს შენი შვილი? შენი ძმაკაცების შვილებს თან ჰყვები და საკუთარი ფეხებზე გკიდია! – თავი ველარ შეიკავა ნანიტამ და თან შეშინებულმა გამოიხედა, ბავშვმა ხომ არ გაიგონაო.

თორნიკე ოთახიდან გასულიყო. შვილი რომ გაიგულა, ნანიტა ისევ ქმარს მიუბრუნდა:

– რა მოგივა, რომ წაიყვანო? იცი, როგორ უნდა, რომ ნახო, როგორ თამაშობს?!

– თქვენი დედაც, ორივესი, გამიტრაკეთ ცხოვრება! – იყვირა დიმიტრიმ, თუმცა, მაინც ადგა და თოკო სულ ყვედრება-ყვედრებით წაიყვანა. მაგრამ, ბავშვს ისე უხაროდა, რომ მთელი გზა არ გაჩუმებულა და ვარჯიშებზე მომხდარ ამბებს უყვებოდა.

– მამი, დღეს ორი წლით უფროსებთან უნდა გვათამაშონ. დაცვაში ვარ, ხომ მიყურებ?

– ჰო, – ცალყბად უპასუხა დიმიტრიმ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


# მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-1(680)

## ხდება ის, რაც ხდება...

ლიზა მხიარული ღიღინით შევიდა ოთახში და პირდაპირ ნინის მაგიდას მიადგა.

– როგორ ხარ, საყვარელო?

– არა მიშავს. მეგონა, აღარ მოხვიდოდი. ექიმთან იყავი?

– არა, ლევანს გავყევი თავის ახალ კაფეში. მენიუს გადავხედე და დიზაინერსაც რაღაც მითითებები მივეცი. მინდა, კარგი საღამო გამოვიდეს. ცოცხალი ბენდიც გვეყოლება და კარგად გავერთობით. შენ ხომ მოდიხარ?

ნინიმ მხრები აიჩეჩა.

– არა, არა, უარს არ მივიღებ! თომა და შენ, ორივე უნდა მოხვიდეთ. კიდევ რამდენიმე დაქალს დავურეკე...

ნინიმ ერთბაშად მოიწყინა.

– რა იყო? შენ რაღაც გაწუხებს.

– არა, არ ვიცი...

მითხარი... რამე პრობლემაა?

– ქეთისაც ეპატიჟები?

– ჯერ არ დამირეკავს, მაგრამ, ვფიქრობ. რა, არ უნდა დავპატიჟო?

– შენი ნებაა. თუ გინდა, ალბათ, უნდა დაპატიჟო, მაგრამ, მაგ შემთხვევაში მე აღარ წამოვალ.

ლიზამ თვალები მოჭუტა:

– ჰო?! რატომ?

– იმიტომ, რომ არ მინდა, თომა ისევ გამოიყენო. არ მომწონს ეს ამბავი. აღარ მინდა, ამ ფარსში მონაწილეობა მივიღო.

– კარგი. არ დავურეკავ ქეთის... შენი და თომას ყოფნა ამ ივენთზე ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ, მგონი, დიდად არ გაამართლა ჩემმა იდეამ. ასე რომ, არანაირი საქმიანი დვიჟენიები. ვერთობით!..

ნინიმ გაიღიმა:

– მაშინ, წამოვალ. ისე, ქეთისგან არაფერი ისმის?

– არა. თვითონ არ შემხმიანებია და მეც თავს ვიკავებ. დროს მივცემ. შეიძლება, ჯერ მისი ქმრის ყურამდე არც მისულა თომას ამბავი. უჰ, ცოტა დავიღალე სხვის პრობლემებზე ფიქრით. ჩემს მდგომარეობაში, რაც მეტ პოზიტივს მივიღებ, მით უკეთესია.

ნინიმ თანამშრომელი დაკვირვებით შეათვალიერა:

– მოგიხდა, ხომ იცი, ორსულობა.

ლიზამ თეატრალურად ამოიოხრა:

– კარგი რა... ლოყები დამიმრგვალდა. სარკეში რომ ვიხედები, გული მისკდება. მაგრამ, ლევანს მოსწონს და ეს უკვე პოზიტივია, – გადაიკისკისა ლიზამ, – არ გინდა, დღეს ცოტა ადრე წავიდეთ და „ვიშოპინგოთ“? ივენთისთვის რამე ახალი მჭირდება.

ნინიმ თავი გააქნია:



– ვერა. ხელფასამდე ფული ცოტა დამრჩა და ვერაფერს ვიყიდი. გაუთვალისწინებელ ხარჯს ჩემი ბიუჯეტი ვერ გაუძლებს.

– ეგ რა პრობლემაა... ფულს მე მოგცემ. გასესხებ ანუ... როცა გექნება, მაშინ დამიბრუნე... უარი არ მითხრა, თორემ მეწყინება. ლევანმა უნდა ნახოს, როგორი „ვიპ-მეგობრები“ მყავს.

– ამისთვის აუცილებელია, ახალი კაბა და ფეხსაცმელი მეცვას? – გაეცინა ნინის, – საოცარი ვინმე ხარ.

– სასურველია. თუმცა, თუ დამპირდები, რომ განსაკუთრებულად გამოიპრანჭები, ძველი ტანსაცმელიც წავა.

– რატომ უნდა გამოვიპრანჭო განსაკუთრებულად, ვისთვის?

– შენთვის, გოგო, შენთვის! როცა ქალი მაგარ ფორმაშია, გაცილებით თავდაჯერებული ხდება და ყველა კაცის ყურადღებას ეგრევე იპყრობს.

– არ მჭირდება ყველა კაცის ყურადღება.

– ჰო, რა თქმა უნდა. არ გჭირდება. მარტო თომას ყურადღებაც გეყოფა. ვერ დაგაჭკვიანე, რა...

– რას მერჩი, ლიზა? არ მიყვარს ეს კეკლუცობა და ყველა შარვლიანთან ფლირტი და რა ვქნა?!

– გოგო, ყველა შარვლიანს უნდა ეფლირტავ-ეკეკლუცო, რომ ერთი შარვალ-კოსტიუმიანი გამოიჭირო. ამაშია საქმე, – დამოძღვრა ლიზამ.

ნინიმ ხელი აუქნია – გეყოფა, თავი დამანებეო, მაგრამ ლიზა არ მოეშვა.

– მოკლედ, ივენთზე უნდა ბრწყინავდე.

– ჰო, კარგი, ვიკაშკაშებ. როდის არის?

– ერთ კვირაში. უფრო ადრე არ ხერხდება. ინტერიერისთვის აქსესუარები იტალიაში შევუკვეთეთ და ჩამოსვლას ვერ ასწრებს.

– ეტყობა, მართლა რაღაც ძალიან სერიოზულს აპირებს შენი ქმარი.

– უსერიოზულესს... – წაუსტვინა ლიზამ, – უკვე ვფიქრობ, ხომ არ დავანებო ბანკში მუშაობას თავი და მენეჯერად ხომ არ გადავკვალიფიცირდე. კლიენტების მოზიდვა ნამდვილად არ შემეშლება, – აკისკისდა ლიზა, – ლევანსაც გაუხარდება, იქვე რომ ვეყოლები და მშვიდად იქნება. ანუ, გადავწყვიტე. ხომ წამოხვალ ჩემთან? ხელფასს იმაზე მეტს გადაგიხდი, ვიდრე აქ გაქვს. უცხოეთში საქმიან მივლინებებშიც ერთად ვივლით.

– არა. გმადლობ. ბანკშიც მშვენივრად ვგრძნობ თავს, – იუარა ნინიმ, – თუმცა, გეთანხმები, რომ შენთვის ზედგამოჭრილი იქნება.

– ჰო, აბა რა... მე ძალიან ნიჭიერი ვარ... – შეიფერა ლიზამ, – ყველა საქმე გამომივა, რასაც ხელს მოვკიდებ.

ნინიმ ღიმილით შეხედა და თავი მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია.

***

რამდენიმე საათის შემდეგ თომამ ნინი ლანჩზე დაპატიჟა იქვე ახლოს მდებარე კაფეში. სალათა შეუკვეთეს და, სანამ ოფიციანტი შეკვეთას მოუტანდა, თომამ მომენტით ისარგებლა და საუბარი გაუბა.

– მომისმინე, ნინი... იმ თქვენს დაქალს პრობლემა მოუგვარდა?

გოგომ მხრები აიჩეჩა:

– აბა, რა გითხრა, არაფერი ვიცი. დაივიწყე ეს ამბავი.

თომამ გაოცებით შეხედა. ნინიმ შენიშნა მისი მზერა და გაწითლდა:

– არა, შენ კარგად ვერ გამიგე. არ იფიქრო, რომ ქეთის პატივს არ ვცემ ან არ მინდა, ქმართან პრობლემა მოუგვარდეს. უბრალოდ, იმას ვგულისხმობდი, შენი როლი უკვე შეასრულე-მეთქი. ვწუხვარ, რომ, უნებლიეთ, საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენე.

– არა, რას ამბობ, ეგ არც მიფიქრია. ხომ იცი, შენი გულისთვის მე... ყველაფერს...

ნინიმ ფრთხილად მოჰკიდა ხელზე ხელი და სათქმელი აღარ დაასრულებინა:

– ვიცი. ყველაფერი ვიცი. შენ კარგი ბიჭი ხარ, ძალიან კარგი...

ბიჭს სახე გაუბრწყინდა.

– ნინი, შენ არ იცი, უბრალოდ, ვერ წარმოიდგენ, რას ნიშნავს ეგ სიტყვები ჩემთვის. ალბათ, ცოტა უფრო თამამი რომ ვიყო, აჯობებდა, მაგრამ, არ მინდა, რამე დაგაძალო.

– თომა, ხომ გითხარი, კარგი ბიჭი ხარ-მეთქი.

ბიჭმა სევდიანად შეხედა:

– ჰო, მაგრამ, ეს მაინც არ არის ის, რისი მოსმენაც შენგან მინდა.

– რა ვიცი, წეღან რომ გითხარი, კარგი ბიჭი ხარ-მეთქი, ძალიან გაგიხარდა, – ეშმაკურად გაეღიმა ნინის.

– გამიხარდა... თუმცა...

– კარგი, რა, სალათა უკვე მოიტანეს. ვჭამოთ და სამსახურში დავბრუნდეთ. შესვენება ერთ საათს გრძელდება. რომ დავიგვიანოთ, საყვედური არ აგვცდება.

– ლიზასთვის ხომ არ უნდა გვეთქვა, კაფეში რომ მოვდიოდით? იქნებ, შიოდა, ფეხმძიმეა მაინც. უხერხულად გამოვიდა, – უცებ შეწუხდა თომა.

– ლიზას თავისი ეკოლოგიურად სუფთა საკვები თან დააქვს, თანაც, მე შენ მაგივრადაც ვუთხარი, ხომ არ შემოგვიერთდები-მეთქი და უარი მივიღე, – დაამშვიდა ნინიმ, – არ გინდა, რომ აწყენინო?

– რატომ უნდა ვაწყენინო, შენი მეგობარია. თან, მართლა არ ჩანს ცუდი ადამიანი. შენ მართალი იყავი.

– ოჰო! აზრი შეგიცვლია ლიზაზე.

– არანაირად. რასაც ვფიქრობდი მასზე, ანუ იმას, რომ ასეთ ქალს არასოდეს შევიყვარებდი, ისევ ისე ვფიქრობ, მაგრამ, მეგობრობა შეიძლება.

– ჰოდა, მაგ მეგობარმა ივენთზე დაგვპატიჟა ორივე – მე და შენ.

– რაზე დაგვპატიჟა? – ვერ მიხვდა ბიჭი.

– მისი ქმარი ახალ კაფეს ხსნის და წვეულებას აწყობს. ლიზა ამბობს, რომ განსაკუთრებულად ემზადებიან. გავერთობით.

– შენ აპირებ წასვლას?

– ჰო, რატომაც არა?! ლიზას ქმარი სულ ორჯერ მყავს ნანახი, მაგრამ, შემიძლია ვთქვა, რომ დადებითი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა.

ბიჭმა გაუღიმა, თუმცა, მერე რაღაცამ ჩააფიქრა:

– დარწმუნებული ხარ, რომ იქაც ქეთის თაყვანისმცემლის როლი არ უნდა შევასრულო?

ნინიმ გადაიკისკისა:

– არა, რა თქმა უნდა! თუ გინდა, ჩემი თაყვანისმცემელიც ნუ იქნები. სრული თავისუფლება გაქვს. იქ, ალბათ, ბევრი ლამაზი ქალი იქნება და გაერთე, როგორც გაგიხარდება.

– ამას რატომ ამბობ? გაბრაზდი, ეს რომ გკითხე? უბრალოდ, მაინტერესებდა, რა უნდა გამეკეთებინა. სერიოზულად გეუბნები, ჩემთვის პრობლემა არ იყო თქვენი დახმარება.

– ვიცი, მაგრამ, შენი მისია ამოწურულია, ქეთი თვითონ მიხედავს საკუთარ ქმართან ურთიერთობას. დავბრუნდეთ ოფისში?

– კი. როდის ვერთობით?

– ერთ კვირაშია, ასე მითხრა ლიზამ.

– ნინი, რაღაც მინდა გკითხო და... – ბიჭი შეყოყმანდა.

– მკითხე.

– არა, იყოს, სხვა დროისთვის გადავდოთ.

– რამე სერიოზულია? – შეფიქრიანდა ნინი და თომას ინტერესით მიაჩერდა.

– არა, არაფერი განსაკუთრებული... საღამოს კინოში ხომ არ წავსულიყავით?

ნინიმ გაიღიმა და თითქოს გულზე მოეშვა:

– უცნაური ვინმე ხარ. ჯერ არავის შემოუთავაზებია ჩემთვის კინოში წასვლა ასეთი ფორმით.

– ანუ, წამოხვალ?

– რატომაც არა!

ნინიმ ჩანთა ამოიღო და უცებ მისმა მობილურმა დარეკა. გოგომ ეკრანს დახედა და ნირწამხდარმა ტელეფონი სწრაფად ჩაიტენა ჯიბეში, ბიჭის ცნობისმოყვარე მზერას კი ნაძალადევი ღიმილით უპასუხა:



– ერთი აბეზარი კლიენტია. შეიძლება, ბანკში მივიდა და, რომ ვერ მნახა, დამირეკა.

– პრობლემური კლიენტი გყავს? მერე, მოიშორე და გადაეცი „პრობლემურების“ განყოფილებას.

– ჰო, ალბათ, ასეც მოვიქცევი... – ჩაილაპარაკა ნინიმ და ამოიოხრა.

***

გოგომ მობილური დააგდო და მაგიდის ზედაპირს ხელისგული დასცხო გამეტებით...

– რა გჭირს? – ხმაურზე შემობრუნდა ლაშა, – ამ ბოლო დროს მოულოდნელი ამოვარდნები გაქვს.

– შენ ხომ გაქვს ერთი დიდი და სერიოზული ჩავარდნა.

ლაშამ მხრები აიჩეჩა:

– ვერ გავიგე, იქნებ დამიკონკრეტო, რას გულისხმობდი. ოღონდ, ცოლი და ოჯახი არ მიხსენო, თორემ, სერიოზულად ვიჩხუბებთ.

– საერთოდ არ გეტყვი არც ერთ სიტყვას. არ მაქვს ჩხუბის თავი, ისედაც უგუნებოდ ვარ.

– ოჰო, შენგან მიკვირს. ანუ, ყველაფერზე შეგიძლია „ღადაობა,“ საკუთარი პრობლემის გარდა?!

– ლაშა, ხომ შევთანხმდით, რომ აღარაფერს გეტყოდი, რატომ მიწევ? – გაღიზიანდა გიგი და კარისკენ გაიხედა. სწორედ იმ დროს ოთახში ზუკა შემოვიდა და გიგიმაც მაშინვე მასზე გადაიტანა ყურადღება.

– იკადრე მობრძანება? საინტერესოა, სად დახეტიალობ? აქ საქმე თავზე გვაყრია, ამას კი საერთოდ არ აინტერესებს! ვახო ისეა შენზე გაბრაზებული...

– სულაც არ არის გაბრაზებული. ახლა ვიყავი მასთან და ფანტასტიკურ გუნებაზეა, რას იგონებ? – ხელი უდარდელად აიქნია ზუკამ.

– არა, მაინც სად იყავი?

– რა შენი საქმეა! – ზუკამ ხმაურით გამოსწია სკამი და თავისი კომპიუტერი ჩართო.

– ნუ იღრინები. ადამიანურად მაინტერესებს.

– რომ მერე არაადამიანურად მომიშალო ნერვები? არა, გმადლობ. გიცნობ, რაც ხარ და, ჯობია, შენგან თავი შორს დავიჭირო.

– მართლა? კარგი, ოღონდ, მერე არ ინანო, – ირონიულად ჩაიცინა გიგიმ.

– რატომ უნდა ვინანო? – გაეღიმა ზუკას, – არ მაქვს უფლება, რაღაც ჩემთვის დავიტოვო და ყველაფერი შენთან არ ჩამოვფქვა?

– შენი ნებაა-მეთქი, ხომ გითხარი. მაგრამ, მეც აღარ ჩამოგიფქვავ რაღაც-რაღაცეებს და, ვნახოთ, ვინ უფრო დაზარალდება.

– არაფერი გამოგივა, – თავი კატეგორიულად გადააქნია ზუკამ, – სიტყვასაც ვერ დამაცდენინებ.

– მე ჩემი გითხარი. ოღონდ, მერე საყვედურები არ იყოს... – გააფრთხილა გიგიმ.

– სულ ტყუილად ცდილობ, შანტაჟზე წამომაგო... ასე გაცილებით დაცულები ვიქნებით ორივე, – ჯიუტად გაიმეორა ზუკამ, თვალები კი უცნაურად აუბრჭყვიალდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-1(680)

– ვატო, ძმაო, ბოდიშს გიხდი. არ მეგონა, თუ სულხანა ენას ვერ დაიტევდა პირში და პროსტო, როგორც ჩემს ძმას, ისე მოვუყევი ეს ამბავი.

– აბა, რის ბოდიში, – შეწუხდა ვატო, ზურას კი გაეცინა და გვითხრა:

– ერთი თქვენ მოგცლიათ. რას ებოდიშებით ერთმანეთს. „ჩორტაობა“ მოწამლული ხილია და ვინც მაგას შეჭამს, დიზინტერია დაემართება. მე არ ვჭამ. აი, სულხანას კი, უკვე კუჭი აეშალა და ახლა, ალბათ, შარვალში გასდის.

ზურას სიტყვებზე ყველას გულიანად გაგვეცინა, მან კი ვატოს უთხრა:

– ჩათვალე, რომ საქმის კურსში უკვე ვარ და სხვა ძმებსაც ვეტყვი შენს ამბავს. შენ კი, არ შეგვარცხვინო და კაცურად შეუბერე. ისე, არ გირჩევ ყომარს. მოდი, ყომარი ყომარბაზებს დარჩეთ, ქურდებმა კი ქურდული ვქნათ. ახლა მე წავედი და სულხანა რომ მოვა, ერთი „პაჩკა“ თქვენ დაიტოვეთ, ერთი კი სახლში ამომიტანოს.

ზურა წავიდა. ოც წუთში სულხანა მოვიდა, ზურას სიტყვები გადავეცით. მანაც ერთი კოლოფი სიგარეტი დაგვიტოვა და შემდეგ მწევარი ძალლივით მოკურცხლა ზურასთან.

სულხანა მთელი ცხოვრება შნირად დარჩა და ქურდობა არ ეღირსა. ჩვენ კი ის სიახლოვეს აღარ გაგვიკარებია და მეც ყოველთვის ენას კბილს ვაჭერდი. სხვისგან საიდუმლოდ ნათქვამს ყოველთვის საიდუმლოდ ვინახავ. უახლოესი ძმაკაცებისგანაც კი და არა იმიტომ, რომ მათ არ ვენდობი, არამედ იმიტომ, რომ ყოველგვარი შემთხვევითობა გამოირიცხოს და აღარასოდეს განვიცადო ისეთი წამები, როგორც მაშინ განვიცადე.



ჩემი ქურდული კარიერის განმავლობაში, სულხანასნაირ ჩორტავიკებსაც შევხვედრივარ და მასზე უარესებსაც. კარგად ვიცი, თუ რა საშინელი უბედურება შეიძლება, მოჰყვეს ასეთ რამეს. ზოგჯერ, ზოგიერთი უსინდისო ქურდი, ყველაზე ჭორიკანა ქალზე მეტად ენაჭარტალაა და ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვარ. მარტო „სემიონისა“ და „კლიშეს“ ისტორია რად ღირს და მათი ამბავი უნდა იყოს ყველა ქურდისთვის მაგალითი, რომ ენას კბილი დააჭირონ და ყველაფერი არ თქვან, რაც ენაზე მოადგებათ.

სემიონი ცნობილი ოდესელი ქურდი იყო და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ერთხელ ბუტირკის ციხეში ვიხდიდი სასჯელს. სემიონიც იქ იმყოფებოდა. სხვა ქურდებთან ერთად და ყველანი ერთ საკანში ვისხედით. ერთ დღეს ჩვენთან კლიშე მოიყვანეს. კლიშეც ავტორიტეტული, ახალგაზრდა ქურდი იყო ციმბირიდან. სემიონი და კლიშე ერთმანეთს არ იცნობდნენ და ერთმანეთი ბუტირკაში გაიცნეს. სემიონი თუ სიტყვაძუნწი, შუა ხნის მაკაცი იყო, კლიშე, პირიქით, ბევრს ლაპარაკობდა, ძალიან იმპულსური და მოძრავი ახალგაზრდა გახლდათ. ყბედალოსი არ იყოს, მასაც ბევრი ლაპარაკი უყვარდა. თუმცა, ჩვენი ძმაკაცისგან განსხვავებით, ინტიმური ამბების მოყოლა იცოდა და ამით იწონებდა ხოლმე თავს. ერთ დღეს კლიშემ მთელ კამერას მოგვიყვა, თუ როგორ გულაობდა ერთ ოდესელ ლამაზ ქალთან ორი თვე და ისეთი ინტიმური დეტალები გაამხილა, რომ ქალებს მოწყურებულ პატიმრებსაც კი გვეუხერხულა.

– მოკლედ, ძმებო, როგორც მისწორდებოდა, ისე ვხმაროდი და რას მეუბნებოდა, იცით? – იცინოდა კლიშე.

– მაინც, რას გეუბნებოდა? – ჰკითხა სემიონმა, რომელიც მანამდე ხმას არ იღებდა და ჩუმად უსმენდა კოლეგის ტრაბახს.

– რას და, მაგარი კაცი ხარ, ჩემი ქმარი კი პედარასტიაო და მაგისთანებს, – სიცილით თქვა კლიშემ – თურმე გეოლოგი ყოფილა და თვეობით ექსპედიციებში იკარგებოდა.

– მერე და არ გეშინოდა, მისი ქმარი რომ წამოგდგომოდა თავზე და დაეცხო? – ჰკითხა კლიშეს ერთ-ერთმა ჩვენმა კოლეგამ.

– ხუმრობ? – პედარასტმა რა ძირში უნდა მომჭამოს. დამდგომოდა და მასაც მის ცოლთან ერთად ვიხმარდი, მიუგო კლიშემ.

– ბოლო-ბოლო, რა მოხდა, რატომ წამოხვედი მისგან? – ჰკითხა კლიშეს ისევ იმ ჩვენმა კოლეგამ.

– იმიტომ, რომ ჩემგან დაფეხმძიმდა და მინდოდა, მე ბავშვი, შარი და სკანდალები?

– გააჩინა მერე?

– აბა, მე რა ვიცი, მაგისი ბოზი დედაც და მაგის პედერასტი ქმარისაც, – მიუგო კლიშემ კოლეგას და გაფითრდა. მას მგლური თვალებით უყურებდა სემიონი, რომელიც დონჯშემოყრილი შუა კამერაში იდგა და კაციჭამიას ჰგავდა. მან ორიოდე წუთი თვალით გაზომა კლიშე, შემდეგ ორი ნაბიჯით მიუახლოვდა და კბილებში გამოსცრა:

– ესე იგი, ქმარი პედერასტია, შენგან დაფეხმძიმდა, ყველანაირად ხმარობდი და მის ქმარსაც იხმარდი ხომ?

ქურდებით სავსე საკანი ადგილიდან არ იძროდა და ყველანი დაძაბულები ვადევნებდით თვალს ჩვენს კოლეგებს. კლიშეს სიფითრემ გაუარა, ზიზღნარევი მზერა ესროლა სემიონს და ძერზკად მიუგო:

– ჰო. მერე, შენ რა?

სემიონმა უცებ ბებუთი დააძრო სახელოდან, კლიშეს მზის წნულში ბოლომდე ჩაასო და სანამ დაჭრილი პირიდან სისხლს ამოალებინებდა, უთხრა:

– აი, რა. ის ბოზი ჩემი ცოლია!

ქურდული გაგებით სემიონი მართალი არ იყო, რადგან კლიშე მეძავთან ატარებდა დროს და ნამდვილად არ იცოდა, რომ ქურდის ცოლთან იწვა. ეს სემიონმაც კარგად იცოდა. ამიტომ, მან მკვდარ კლიშეს სისხლიანი ბებუთი ამოაძრო, ჰაერში შემართა და თქვა:

– ძმებო! მე ქურდი ვარ და ვიცი, რომ ქურდულად არასწორად მოვიქეცი. თუმცა, მე კაცი ვარ, ჩემი თავმოყვარეობა გამაჩნია და სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი. მშვიდობით!

სემიონმა ბებუთი მზის წნულში ჩაირტყა, სისხლი ამოაღებინა და მკვდარი დაეცა შუა საკანში.

ამ ტრაგიკული ისტორიის მორალი კი ისაა, რომ ალვირახსნილობა დამღუპველია. კიდევ ის, რომ ადამიანმა ენას კბილი უნდა დააჭიროს და ბევრი არ ილაპარაკოს, რათა შენი ცუდი საქციელი ცუდადვე არ დაგხვდეს წინ, შენ თუ სხვებს...

ბუტირკაში მომხდარმა ტრაგედიამ მთელი ქურდული სამყარო აალაპარაკა და სემიონის მომხრეები სემიონს ამართლებდნენ, კლიშეს მომხრეები კი – კლიშეს. ჩემი აზრით, კი ორივე დამნაშავეა. სემიონი იმიტომ, რომ ქურდული კანონების თანახმად, ქურდს ცოლი არ უნდა ჰყავდეს და ეს კანონი სემიონმა დაარღვია, კლიშე კი იმიტომ, რომ ამპარტავანი იყო, ბევრს ლაპარაკობდა და შედეგმაც არ დააყოვნა...

მავანი, ალბათ, ჩემზე იტყვის, – რა ალაპარაკებს, მასაც ხომ ჰყავს ცოლი და შვილიო. მე კი ვუპასუხებ, – თათია მე ცოლად არ მომიყვანია, ჩემი ვაჟი კი ღმერთის საჩუქარია, მასზე უარს არ ამბობენ და ყველაფერი ღვთიური, ყველაფერ ქურდულზე ბევრად მაღლა დგას. თუ ამაში ვინმე შემომედავება, მაშინ თქვას, რას ვამბობ არასწორს. თუმცა, ვერავინ დამისაბუთებს, რომ ღვთიურზე მაღლა დგას რამე და ყოველი ასეთი მცდელობა უნაყოფო იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ქურდი ვარ და ქურდულად ვცხოვრობ, ყველგან შემიძლია გავიმეორო, რომ ღვთისმსახურება ჩემს პროფესიაზე მაღლა დგას და არ არსებობს ნებისმიერი სხვა სფერო, რომელიც ახლო მაინც მივა მასთან. რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, როდესაც შუამავლის ფუნქცია გენიჭება ღმერთსა და ადამიანს შორის და ცოდვების მიტევების უფლება გეძლევა. მიტევება კი ყველა ადამიანის მოთხოვნილებაა. არ არსებობს ადამიანი, ვინც ცოდვებს არ სჩადის და

მიტევებას არ საჭიროებდეს. თვით წმინდანებიც კი თხოულობდნენ მიტევებას, საკუთარ თავს ცოდვილებად მიიჩნევდნენ და რაღა უნდა ვთქვათ ჩვეულებრივ, რიგით მოკვდავზე, ამ შემთხვევაში ქურდზე, რომელიც მუდმივად ცოდვებშია საკუთარი ცხოვრების სტილის გამო. არ ვიცი, რა დოზით ვარ მორწმუნე, ღმერთი რომ არსებობს და ის ყოვლის შემძლეა, ამას წყალი არ გაუვა. თვრამეტი წელი პატიმრობაში მაქვს გატარებული, უმეტესი მათგანი – უმძიმეს პირობებში. გარკვეული პერიოდი გაუსაძლის ყოფაშიც კი ვყოფილვარ და რომ არა უფლის ნება და შეწევნა, აქამდე დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი. თუმცა, ღმერთმა არ გამწირა, ღვთიური საჩუქარი მიბოძა და დიდი იმედით ველოდები ჩემს ცოლ-შვილთან შეხვედრას. არის განა იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე უფლის წყალობა და თუკი არ შეიგნე, არ შეისისხლხორცე ეს, წყალობა ისევე დაგტოვებს, როგორც გეწვევა.

ციხეებსა და კოლონიებში ბევრი ულმერთო და არამორწმუნე ადამიანი შემხვედრია, მათ შორის ქურდებიც. ყველანი ღმერთის არსებობას უარყოფდნენ და ამას ასე ასაბუთებდნენ:

– ღმერთი რომ არსებობდეს, ასე არ გაგვწირავდა და ასეთ გაუსაძლის პირობებში არ ჩაგვაგდებდაო, რაც, ისეთი სისულელე და უაზრობაა, რომ განხილვადაც კი არ ღირს. თუმცა, პატიმრებს უყვართ კამათი და ამ თემაზეც ძალიან ხშირად მიკამათია ადამიანებთან.

ერთხელ, მაგადანის სტროგაჩებში ვიხდიდი სროკს. ზამთარი იდგა, ისეთი ცივი და სუსხიანი, რომ იქაურობისთვისაც კი ანომალია იყო. ზონის ბარაკებში ოცდაოთხი საათი ღუმელები ენთო, მაგრამ მაინც გვციოდა და ბარაკშიც კი თბილი ბუშლატები გვეცვა. ჩვენს ბარაკში, ისევე, როგორც მთელ ზონაში, ერთადერთი ქურდი ვიყავი. ზონა შავი იყო. ამიტომ, პატივს მცემდნენ და ისე მეპყრობოდნენ, როგორც ეს შავი სამყაროს უმაღლეს წარმომადგენელს შეეფერება. მიუხედავად ამისა, პატიმრებს თანასწორივით ვექცეოდი და ვცდილობდი, ჩემი პრივილეგიებით არასდროს მესარგებლა, იმ შემთხვევების გარდა, როცა ამას გადაუდებელი აუცილებლობა მოითხოვდა. ამის გამო, პატიმრებთან ახლობლური ურთიერთობები ჩამომიყალიბდა და ისინიც საკმაოდ თამამად მეკამათებოდნენ. კამათი ზოგჯერ საკმაოდ ცხარე ხასიათსაც იღებდა, თუმცა, ზღვარს არასდროს სცდებოდა და ნაწყენიც არავინ რჩებოდა. ჩემთან ერთად იჯდა ვინმე „კამეჩი". მან შემნახველი სალარო გაძარცვა, სამი ადამიანი მძიმედ დაჭრა, თხუთმეტი წელი ჰქონდა მისჯილი და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გადაურჩა დახვრეტას, რომ დაჭრილები სიკვდილს გადაურჩნენ. თუმცა, სამუდამო ინვალიდებად დარჩნენ. ჩემთან ერთად აგრეთვე იჯდა ერთი ბერიც. მას თხუთმეტწლიანი სროკი მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო მისცეს, რომ ოცდაათ აპრილს საპირველმაისოდ გამზადებული ლენინის უზარმაზარი პორტრეტი დაწვა, რომელიც ერთ-ერთ სამთავრობო შენობაზე იყო მიმაგრებული. ბერს ბართლომე ერქვა და რომ ჰკითხეს, რაც ჩაიდინე, რატომ ჩაიდინეო. მან მიუგო: სატანას მოციქულის ხატი გავანადგურეო. ბართლომე ჯერ საგიჟე-საგიჟე ატარეს, ბოლოს კი მაგადანში გაამწესეს და იმედოვნებდნენ, უმძიმეს პირობებს ვერ გაუძლებს და მოკვდებაო. ბართლომეს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და თუკი არაფერს ჰკითხავდი, შეეძლო, დიდი ხნის განმავლობაშიც კი არ ამოეღო ხმა. კამეჩი კი, პირიქით, პერმანენტულად ცქმუტავდა, ვერ ისვენებდა, კამათობდა და ასე გაჰყავდა დრო. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ კამეჩი ურწმუნო იყო. მას მიაჩნდა, რომ ღმერთი არ არსებობდა და მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი წყვეტდა საკუთარ ბედს. ის ხშირად მეკამათებოდა ამ თემაზე და ეს ყველაფერი იმით მთავრდებოდა, რომ მთელი ბარაკი აუმხედრდებოდა, ის კი ჩუმდებოდა. ერთ ყინვიან დღეს, როდესაც პატიმრები უზარმაზარი ღუმელის ირგვლივ ვიყავით შეკრებილნი, ჩეფირს ვსვამდით და ვაბოლებდით, კამეჩმა თქვა:



– ესაა საქმე? ისე ყინავს, რომ არაფერი გვშველის და თუ დროზე არ მოიმატა ტემპერატურამ, ყინულის ლოლოებად ვიქცევით.

ჩვენთან ერთად თაღლითობისთვის ათწელიწადმისჯილი „კრაბი" იხდიდა სასჯელს, რომელსაც ნახევარი ასტრახანი დიდ მაყუთში ჰყავდა გადაგდებული. მან ეშმაკურად ჩაიცინა და კამეჩს უთხრა:

– სანამ შენ აქ ხარ, სულ ასე ვიქნებით. ზაფხულშიც კი.

– ეგ, ვითომ რატომ? – დაინტერესდა კამეჩი.

– იმიტომ, ჩემო კარგო, რომ შენ აქ ერთადერთი ურწმუნო ხარ. კაცი, რომელიც ამტკიცებს, ღმერთი არ არსებობსო.

კამეჩს მეტი არ უნდოდა, პონტი უკვე შეგდებული იყო და კრაბს შეუტია:

– რა ტყუილს ვამბობ?

– აბა, მართალი ხარ? – ერთხმად თქვეს, სხვა პატიმრებმა.

კამეჩი ზეზე წამოდგა, დოინჯი შემოიყარა და თქვა:

– ღმერთი რომ არსებობდეს, დავუშვათ, მე ღირსი ვარ, მაგრამ ბართლომემ რა დააშავა. ხომ იასნია, რომ თხუთმეტი წელი ტუფტაზე მისცეს. მე სამი ადამიანი დავაინვალიდე. მაგან კი მხოლოდ სურათი დაწვა და ორივეს ერთი სროკი აგვკიდეს. სადაა ღმერთის სამართალი ამ შემთხვევაში?

პატიმრები გაჩუმდნენ, სიტყვა კვლავ კრაბმა აიღო და მიუგო:

– ეს ღმერთის სამართალი კი არა, მთავრობის უსამართლობაა და ყველაფერი ერთმანეთში გერევა.

– არაფერიც არ მე-რე-ვა, – დამარცვლით მიუგო კამეჩმა კრაბს, – რატომ არ დაეხმარა ღმერთი ბართლომეს? აი, რას ვგულისხმობ მე.

კრაბი გაჩუმდა. სხვებიც დუმდნენ. უცებ, ბართლომემ თავი ასწია და კამეჩს უთხრა:

– ღმერთი რომ არ დამხმარებოდა, ახლა ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა და ამ ორმოცდაათგრადუსიან ყინვაში რა გამაძლებინებდა? სასჯელი კი სწორედაც რომ ღმერთმა გამომიტანა და უფრო მსუბუქი, ვიდრე მეკუთვნოდა.

– რისი თქმა გინდა, რომ დახვრეტას იმსახურებდი? – ირონიით ჰკითხა ბართლომეს კრაბმა.

– კი. სიკვდილს და მხოლოდ უფლის დიდი წყალობაა, რომ ცოცხალი დამტოვა.

– რისთვის, ლენინის სურათის დაწვისთვის? – უფრო დიდი ირონია ჩააქსოვა თავის სიტყვებში კამეჩმა.

– სურათის დაწვა არაფერია. მთელი უბედურება ისაა, რომ, როცა სურათს ცეცხლი წავუკიდე, უკანა მხარეს ვიდექი და არ ვიცოდი, რომ სურათის წინ უამრავი ადამიანი, მათ შორის ბავშვებიც, იყვნენ. ხომ შეიძლებოდა, რომ ცეცხლი ბავშვებს მოსდებოდა და დაღუპულიყვნენ? აი, ამის გამო ვიყავი სიკვდილის ღირსი და ღმერთმა დამინდო. მე, ჩემო კეთილო, შენზე მეტად ვარ დამნაშავე და უფალმა შემინდო. თხუთმეტი წელი კი ბევრი არაფერია. პირიქით, დრო მაქვს ფიქრისთვის და ვეცდები, რომ გამოვსწორდე.

კამეჩმა თავისი პოზიციის დაცვა სცადა და ბართლომეს უთხრა:

– შენ ახლა ჩემს გასამტყუნებლად იბრალებ რაღაც აბსურდს, თორემ კარგად იცი, რომ არც ისეთი დამნაშავე ხარ, როგორც დაგსაჯეს.

– არა, ჩემო კეთილო, ნამდვილად არა, – თავი გააქნია ბართლომემ – მე აქ ყველაზე ცოდვილი და დამნაშავე ვარ და ამას გულწრფელად ვაღიარებ უფლის და თქვენ წინაშე.

– კი მაგრამ, რატომ ხარ დამნაშავე, – ახლა უკვე მე ვკითხე ბართლომეს.

– იმიტომ, ჩემო გიორგი, რომ ღვთის მსახურს მეტი მოეთხოვება და ასეც მოხდა. ღვთის მსჯავრი ყველა დანარჩენზე სასტიკიცაა და მოწყალეც, გააჩნია, რას დაიმსახურებ. მე უფალმა შემიწყალა და მადლობელი ვარ მისი. თუმცა, შეეძლო, რომ უსასტიკესად დავესაჯე და არც ეს იქნებოდა დიდი დანაკლისი – ამ ქვეყანას ერთი ბოროტმოქმედით ნაკლები ეყოლებოდა.

ყველაზე საოცარი ისაა, რომ დღესდღეობით ყოფილი ულმერთო კამეჩი მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი დიდი იერარქია. რაც შეეხება ბართლომეს, ის დღეს წმინდანადაა შერაცხული და მის საფლავს ყოველდღე ათასობით ადამიანი აკითხავს მოსალოცად. ალბათ, ბევრს გაუკვირდა კამეჩის მართლმადიდებლად მოქცევის ამბავი. მით უმეტეს, მისი უმაღლესი საეკლესიო იერარქობა და ბართლომეს წმინდანობა, მაგრამ ეს უტყუარი ფაქტია. ციხეში როგორც ნაძირლები, ასევე წმინდანებიც სხედან და ესეც უფლის ნებაა. ციხე ჩვენი პლანეტის მიკროსამყაროა.



ზოგჯერ ბევრად უფრო სასტიკი და დაუნდობელი. თუ კი იქ თავის გატანა ვერ შეძელი, ან ძალიან დაეშვები, ან სულაც დაიღუპები. ბევრი მაგარი ბიჭი მინახავს სვაბოდაზე, რომლებიც ციხეში ჩამჯდარან და საქათმეში მოხვედრილან ან თვითმკვლელობით დაუსრულებიათ სიცოცხლე. რიგითი მაგარი ბიჭები იქით იყვნენ და ზოგჯერ საკმაოდ სახელიანი ქურდებიც კი გაუტეხავს პატიმრობას.

ეგრეთ წოდებული ანდროპოვის პერიოდი მძვინვარებდა. ძველ „კაგებეშნიკ“ ანდროპოვს ქვეყანაში რკინის დისციპლინის დამყარება ჰქონდა გადაწყვეტილი და ყველა სფეროს რკინის ღვედები მოუჭირა. მათ შორის, რა თქმა უნდა, შავ სამყაროსაც და უპირველესად, ჩვენ – ქურდებს. ანდროპოვმა ხრუშჩოვისეული გამოცდილებით ისარგებლა. მან ყველა ქურდი ერთად შეგვყარა, რომ ერთმანეთი დაგვეჭამა და ასე გავენადგურებინეთ. იმ დროს სროკზე ვიყავი და სასჯელს ვიხდიდი ტიუმენის №13 შრომა-გასწორების კოლონიაში, რომელიც უმძიმესი საპატიმრო რეჟიმით იყო ცნობილი. ზონაში ორი ქურდი ვიმყოფებოდით და რეჟიმის სადისტი უფროსის, მაიორ კორობკოს სისასტიკეებს ერთობლივი ძალებით ვუმკლავდებოდით. რა ზომებს არ მიმართავდა კორობკო, რომ გავენადგურებინეთ. ხანგრძლივი დროით გვსვამდა ხოლმე წყლიან კარცერში, თანაც, ზამთარში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა მინუს ოცდაათი გრადუსი იყო, მაგრამ მაინც ვერ გაგვტეხა. ახალი წლის დამდეგს, როდესაც მე და ჩემი კოლეგა ახალი გამოსული ვიყავით კარცერიდან ერთკვირიანი ტყვეობის შედეგად, კორობკომ თავის კაბინეტში აგვიყვანა, ბადრაგი გაუშვა, ფურცელი და პასტა დაგვიდო მაგიდაზე და გვითხრა:

– დაწერეთ, რომ ქურდობაზე უარს აცხადებით და რეჟიმს გაგიუქმებთ, შეგიმსუბუქებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქვე გამოემშვიდობეთ სიცოცხლეს.

– ამისთვის დაგვიბარეთ? – უთხრა ჩემმა კოლეგამ, ლატვიელმა „არტურმა,“ რიგიდან – სულ რაღაც სამ-სამი თვე დაგვრჩა გასვლამდე და როგორმე გავუძლებთ.

– ვერ გაუძლებთ, – თავი გაიქნია კორობკომ, – იქ, სადაც ხვალ ეტაპით მიემგზავრებით, სამი თვე კი არა, სამ საათსაც კი ვერ გაძლებთ. მაგრები ხართ, ვიცი, ვერ მოგტეხეთ და ყველა ჩემს პრესს გაუძელით, მაგრამ ახლა ნამდვილი ჯოჯოხეთი გელოდებათ და ადამიანურად ძალიან მეცოდებით. თავს ზემოთ ძალა არ მაქვს, თორემ არ გაგიშვებდით აქედან. ამის ერთადერთი საშუალებაა „ატკაზნიკობა“ და თუკი ქურდობაზე უარს წერილობით განაცხადებთ, მაშინ აქ დაგტოვებთ და მშვიდობიანად წახვალთ სახლებში.

– არა! – ერთხმად ვიუარეთ მე და არტურმა. კორობკომ კი მხრები აიჩეჩა და გვითხრა:

– რა გაეწყობა, არა და არა. მაშინ ეტაპისთვის მოემზადეთ, ხვალ დილით მაგადანის ციხეში მიემგზავრებით და გულწრფელად გეუბნებით, ძალიან მეცოდებით.

მაიორმა, რომელიც ჯოჯოხეთურად გვაწამებდა, ხუთ-ხუთი კოლოფი „პრიმა“ გვიგრევა, დილით კი პირადად აგვიყვანა საეტაპო მატარებელში და უკან გაბრუნდა.

მაგადანის ციხე, სოლიკამსკის „ბელი ლებედის“ ყაიდაზე იყო მოწყობილი და იქ ქურდები უნდა გავეტეხეთ და გავენადგურებინეთ.

ვლადიმირ ვისოცკის ერთი სიმღერა აქვს, სადაც პატიმარი ამბობს: „ციმბირიდან ციმბირში წამიყვანესო“ და ეს ფრაზა სწორედ ჩვენზე იყო ზედგამოჭრილი. მაგადანის ციხეში რომ შეგვიყვანეს, ზედამხედველმა თავის კოლეგებს დაუყვირა:

– კიდევ ორი მოიყვანეს, უკვე სამოცნი არიან.

სამოცი ქურდი ორ ოც-ოც ადგილიან საკანში ვიყავით მოთავსებული და სხვა რამეებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ამის გამო იყო იქ აუტანელი ფსიქოლოგიური ატმოსფერო. გარდა ამისა, ორივე საკანში მხოლოდ პარაშა იყო და გამავალი კანალიზაცია იქ არ არსებობდა. ერთადერთ ნახევარკვადრატულმეტრიან ფანჯარას ორმაგი დამრეცი გისოსები ჰქონდა და საკანში ოთხი პატარა ჰორიზონტალური სხივი აღწევდა. საკნის ელექტროგანათება ძალიან ბჟუტავდა და თვალებს ტკენდა. ისეთი ტემპერატურა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან თბილად გვეცვა, გვციოდა. პარაშა გარედან არავის გაჰქონდა და გამოგვიცხადეს, რომ მორიგეობით უნდა გაგვეტანა ფეკალური მასები. მაგრამ, ქურდები ვიყავით და ხელს ვინ მოჰკიდებდა მას. გარდა ამისა, საკანი ძალიან ნაგვიანდებოდა კედლისა და ჭერის მტვრით და ყელამდე სიბინძურეში ვისხედით. ცოცხს კი ვინ აიღებდა ხელში? აბანოში არ დავყავდით, რა თქმა უნდა, შეგნებულად და ისე ვყარდით, როგორც ნაგვის ნარჩენები. ჩვენთვის არც პრაგულკა იყო და ოცდაოთხი საათი გამოკეტილები ვიყავით. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ასეთი რეჟიმი პირადად ანდროპოვს შეუდგენია და უთქვამს: „ქურდების დრო უნდა დამთავრდეს. ან დაგვნებდებიან, ან ვირთხებივით დაჭამენ ერთმანეთს და გადაშენდებიან“. ორი თვის თავზე პარაშის კასრი ფეკალური მასებით გაივსო და შიგნით აღარ ეტეოდა. შიგ მოსაქმება აღარ შეიძლებოდა, რადგან ფეკალიები უკვე საკნის იატაკზე გადმოვიდოდა. სუნს ვინ დაეძებდა, ჩვენი საკანი ერთ დიდ ტუალეტად გადაიქცა და იქ საკვების მიღება შეუძლებელი გახდა.

– ერთი თვეც როგორმე უნდა გავუძლოთ, – მითხრა არტურმა, როდესაც საკნის იატაკზე ფეკალიებმა იწყეს გადმოსვლა.

– სხვა რა გზა გვაქვს, – მივუგე კოლეგას

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პ | რ | ო | ზ | ა | | ი | ც | ი | ნ | ი | ა | ნ | | ქ |
| ა | | ხ | | ტ | ე | ხ | ა | ს | ი | | ნ | ა | ნ | ა |
| ბ | ლ | ა | გ | ი | ძ | ე | | ი | ნ | ზ | ა | ღ | | თ |
| ი | | ს | | ტ | ი | რ | ა | ნ | ა | | კ | ა | მ | ა |
| | ს | ი | ა | | ბ | ა | ლ | ა | | ო | ა | რ | ა | მ |
| ჩ | ა | რ | ი | რ | ა | მ | ა | | ქ | | რ | ა | შ | ი |
| ა | მ | ა | გ | | კ | | ლ | ა | მ | პ | ა | | ი | |
| კ | ო | ბ | ა | ხ | ი | ძ | ე | | ა | | მ | ი | ნ | ა |
| | თ | | ლ | უ | კ | ე | | | რ |  | | | | |
| ი | ხ | რ | ე | ხ | | ლ | ე | ქ | ი | | | | | |
| მ | ე | | პ | ა | ტ | ა | რ | ა | | | | | | |
| ი | | ი | | შ | ა | კ | ი | რ | ა | | | | | |
| ს | ო | ლ | ო | ვ | ე | ი | | თ | უ | | | | | |
| ქ | | ი | კ | ი | პ | | ე | ვ | ს | ტ | ა | თ | ი | |
| ა | პ | რ | ი | ლ | ი | | კ | ე | ტ | ი | | ა | | ი |
| ტ | ი | ა | ლ | ი | | | ა | ლ | ე | | ი | რ | ა | ნ |
| | ც | | უ | | ძ | | ლ | ი | რ | ი | კ | ო | ს | ი |
| ს | ა | მ | ს | უ | ნ | გ | ი | | ლ | | ა | | ა | ტ |
| ა | | ე | | ტ | ა | ო | | ვ | ი | ვ | ი | ე | ნ | ი |
| მ | ა | გ | ი | ა | | გ | რ | ა | ც | ი | | რ | | კ |
| ბ | | რ | | რ | | ლ | | რ | ი | ს | მ | ა | გ | ი |
| ა | ლ | ე | ტ | ო | კ | ი | ჩ | | | ი | | მ | | ნ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 4 | 9 | 5 | 3 | 1 | 8 | 6 | 7 |
| 1 | 3 | 8 | 6 | 7 | 2 | 5 | 9 | 4 |
| 6 | 7 | 5 | 9 | 4 | 8 | 3 | 1 | 2 |
| 9 | 5 | 4 | 7 | 1 | 3 | 6 | 2 | 8 |
| 8 | 6 | 7 | 2 | 5 | 9 | 4 | 3 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 8 | 6 | 4 | 7 | 5 | 9 |
| 4 | 9 | 6 | 1 | 8 | 5 | 2 | 7 | 3 |
| 7 | 1 | 3 | 4 | 2 | 6 | 9 | 8 | 5 |
| 5 | 8 | 2 | 3 | 9 | 7 | 1 | 4 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | 2 | 8 | 9 | 6 | 3 | 5 | 7 |
| 9 | 3 | 7 | 5 | 2 | 4 | 1 | 6 | 8 |
| 8 | 6 | 5 | 7 | 3 | 1 | 2 | 9 | 4 |
| 5 | 7 | 6 | 3 | 4 | 2 | 8 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 3 | 6 | 8 | 7 | 4 | 2 | 5 |
| 2 | 4 | 8 | 9 | 1 | 5 | 7 | 3 | 6 |
| 7 | 8 | 9 | 2 | 6 | 3 | 5 | 4 | 1 |
| 3 | 5 | 4 | 1 | 7 | 9 | 6 | 8 | 2 |
| 6 | 2 | 1 | 4 | 5 | 8 | 9 | 7 | 3 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** **1. კუბს, აქედან – კუბიზმი. 2. იმ დროს კარტოგრაფია ძალიან დაბალ დონეზე იყო და რუკების შემდგენლები ანტიკური ნიმუშების ზუსტ ასლებს აკეთებდნენ. 3. ორი სახელის დარქმევა. 4. „დვორნიკ“ – მეეზოვე. 5. HAPPY BIRTHDAY TO YOUR. 6. ასე ყინულს ტეხდნენ მდინარეებზე. 7. ის დაწნეხილი ნაგვისგანაა წარმოშობილი. 8. ნაცნობ პორტრეტზე სულ მცირე ცვლილებაც კი ადვილი შესამჩნევია, ამიტომ, ძნელია გაყალბება. 9. ადგილობრივ მოსახლეობას უმტკიცებენ, რომ წარმოება უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის. 10. გამოსცემდნენ გაზეთებს.**

და გავირინდე. ამ დროს კარმუშკა გაიღო და ბალანდიორმა დაიძახა:

– სადილია. მოიტანეთ მისკები!

კარმუშკასთან ერთ-ერთმა ძალიან სახელოვანმა ჩემმა კოლეგამ მიირბინა, რომლის ვინაობასაც არ ვამხელ, და აყვირდა:

– ჩქარა, ჩქარა, გამიყვანეთ აქედან, აღარ ვარ ქურდი და წერილობით დავადასტურებ ამას, – ჩვენი კოლეგა ღრიალებდა და თან, ტიროდა.

მე ძალიან შემეცოდა ჩემი გატეხილი კოლეგა და ალბათ, სხვა ჩემს კოლეგასაც, მაგრამ ხმა არავის ამოუღია. მომდევნო ერთ კვირაში კიდევ ოთხი ქურდი გატყდა. მერვე დღეს, ჩვენთვის მოულოდნელად, ციხის საკნის კარი გაიღო და რვა ჩმორმა პატიმარმა ფეკალიებით სავსე უზარმაზარი კასრი გაიტანეს.

– ნაღდად რაღაც მოხდა ზემოთ ხელისუფლებაში – მითხრა არტურმა.

– ვნახოთ, – მოკლედ მივუგე კოლეგას.

ნახევარი საათის შემდეგ ახალი პარაშის კასრი შემოიტანეს. შემდეგ დერეფანში გაგვიყვანეს და დაგვამწკრივეს. ჩმორმა პატიმრებმა კი ჩვენი საკნის დაგვა-დასუფთავება დაიწყეს, დეზინფექცია ჩაუტარეს, ახალი თეთრეული მოგვიტანეს და პრაგულკაზეც გაგვიყვანეს. სწორედ პრაგულკაზე შევიტყვეთ, რომ ერთი კვირის წინ იური ანდროპოვი გარდაცვლილა და ქურდები მისმა სიკვდილმა გადაგვარჩინა.

ერთი კვირის შემდეგ მაგადანის ციხე დაშალეს და ქურდები სხვადასხვა ზონაში გადაანაწილეს. მე და არტური კი ციხეში დაგვტოვეს, რადგან სულ რაღაც სამ-სამი კვირა გვქონდა დარჩენილი გათავისუფლებამდე და სვაბოდაზეც იქიდან გაგვიშვეს. ანდროპოვისეულმა ანტიქურდულმა კამპანიამ ჩვენ ვერ მოგვსპო, მაგრამ საგრძნობი ზარალი მოგვაყენა – ექვსასი საბჭოთა ქურდიდან ორასმა ვერ გაუძლო რეპრესიებს. თბილისში რომ დავბრუნდი, ქალაქი საკმაოდ შეცვლილი დამხვდა. ხალხი შუბლგახსნილი და ღიმილიანი სახეებით დადიოდა. ყველას უხაროდა ანდროპოვის სიკვდილი და ცხოვრება ჩვეულ რიტმს უბრუნდებოდა. სამი დღის შემდეგ მშობლიურ უბანს ბერძენაც დაუბრუნდა. ის მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გასროკეს წელიწად-ნახევრით, რომ ქურდი იყო. მაშინ ანტიქურდული მუხლი არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსში და ნარკომანობისთვის დააპატიმრეს. არადა, ბერძენა პლანსაც კი არ ეკარებოდა. ერთი სიტყვით, ბერძენაც ანტიქურდული, ანტიანდროპოვისეული კამპანიის ბადეში მოჰყვა და ისეთივე პირობებში იმყოფებოდა მორდოვიის დედაქალაქ სიკტივკარის განსაკუთრებული რეჟიმის ციხეში, როგორშიც მე – მაგადანში. ის ძალიან გამხდარი და სიტყვაძუნწი მეჩვენა, თუმცა, რომ დამინახა, სახე გაუბრწყინდა, გადამეხვია და მითხრა:

– სიმართლე გითხრა, აღარ მეგონა, თუ ოდესმე იქიდან გამოვაღწევდი და მთაწმინდაზე დავდგამდი ფეხს. დიდება უფალს, რომ ანდროპოვი ჩააძაღლა და გადავრჩით, თორემ უკვე თავის მოკვლის ზღვარზე ვიმყოფებოდი.

– ბევრი ჩვენიანი გაფუჭდა?

– სიკტივკარის ციხეში ოთხმოცი ქურდი ვიჯექით და ოცმა ქურდობაზე უარი თქვა, ათმა კი თავი მოიკლა.

– ანდროპოვის დედაც... – ვთქვი მე, – მთავარია, ყველაფერი დასრულდა და ჯობია, დავივიწყოთ.

– იმ ჯოჯოხეთს რა დამავიწყებს, – თავი გააქნია ბერძენამ – მოდი, ჯერ მამადავითზე ავიდეთ და ვილოცოთ, მერე კი ფუნიკულიორის რესტორანში მოვყჯდეთ და ჩვენი გადარჩენა აღვნიშნოთ.

– მოსულა, – ვუთხარი ბერძენას. ამ დროს ტელეფონის გაბმული ზარი გაისმა, ბერძენა ყურმილს დასწვდა, მე კი მანიშნა, პარალელური ტელეფონის ყურმილი აიღეო და უპასუხა:

– გისმენთ.

– ბერძენ, ძმაო, ორი კვირაა, გადაბმული გირეკავ მთელი დღის განმავლობაში და ძლივს არ დაგელაპარაკე! – გაისმა ტელეფონში ყბედალოს ხმა.

– ყბედალო, შე ძველო, – ერთდროულად მივუგეთ ჩვენს ძმაკაცს.

– შენც მანდ ხარ, კობრა! – წამოიძახა ყბედალომ, – კაროჩე, ბევრს არ ვილაპარაკებ. თვითმფრინავის რეისზე რეგისტრაცია დაიწყო და აეროპორტიდან ვრეკავ. მოსკოვიდან თბილისში მოვფრინავ და მაქსიმუმ ოთხ საათში თბილისში ვიქნები. უფრო სწორად, ოთხ საათზე, ახლა თორმეტია და ბერძენ, შენთან მოვალ.

– ბევრი ბარგი გაქვს? – ჰკითხა ბერძენამ.

– საერთოდ არ მაქვს.

– მაშინ, ეგრევე ფუნიკულიორის რესტორანში ამოაჭერი. იქ ვიქნებით და მაგრად შევუზეროთ, – უთხრა ბერძენამ.

– მარტო არ ვარ, ერთი ჩვენი ძმა მახლავს თან.

– მერე რა, იმასთან ერთად ამოდი. ჩვენ ვიცნობთ?

– არა. მოკლედ, ოთხზე რესტორანში ვიქნებით. ნახვამდის, – თქვა ყბედალომ და ყურმილი დაკიდა.

მე და ბერძენა კარგა ხანს გავჩერდით მამადავითის ეკლესიაში და იმდენი ვილოცეთ, რაც მთელი ცხოვრება ერთად აღებული არ გვილოცია. ოთხის ნახევარზე კი ფუნიკულიორის რესტორანში ავედით, სადაც სულ ორი



სუფრა იყო გაშლილი. ბერძენას კლასელმა და ბავშვობის ძმაკაცმა დიტომ, რომელიც რესტორნის დირექტორი იყო, რომ დაგვინახა, სიხარულისგან კინაღამ გადაირია, თავისი უზარმაზარი ტორებით ორივე ჩაგვიხუტა და როხროხა ხმით მოგვიკითხა:

– როგორ ხართ, ტო, როდის გამოხვედით?

– მე – სამი დღის წინ, ბერძენა კი – რამდენიმე საათის წინ, – ვუთხარი დიტოს.

– კაროჩე, ბევრი რომ არ გავატრაკოთ, ჩემს კაბინეტში ზღაპრულ სუფრას გავაშლევინებ და შევუზეროთ. მარტო თქვენ ორნი ხართ?

– ყბედალო და ერთი ჩვენი ძმაც შემოგვიერთდებიან, – ვუთხარი დიტოს, რომელმაც თავის კაბინეტში წაგვიყვანა, გზად კი უფროს მიმტანს გასძახა:

– მირიან, უმაღლესი კატეგორიის სუფრა გაშალეთ ნახევარ საათში ხუთ კაცზე ჩემს კაბინეტში!

– გასაგებია, ბატონო დიმიტრი, – თქვა მირიანმა და დაფაცურდა.

– უმაღლესი კატეგორიის სუფრა რაღაა? – ჰკითხა ბერძენამ დიტოს, როდესაც მის კაბინეტში შევედით და სავარძლებში მოვკალათდით.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# თორნიკე უტიაშვილის მონატრება

ორი წელი გავიდა, რაც შენი თავი მოულოდნელად წაგვართვა სიკვდილმა. 7 იანვარს შენი დაბადების დღეა. ოცი წელი შეგისრულდებოდა. რეალობასთან შეგუება გვიჭირს – კი არ გვიჭირს, უბრალოდ, არ გვინდა. შენ ხომ დედის იმედი იყავი. შენს მოულოდნელად შეწყვეტილ სიცოცხლეს ვერავინ ვერ გააგრძელებს და ეს კიდევ უფრო გვტანჯავს. ველოდებით, როდის შემოაღებ კარს, გაგვიღიმებ, ჩაგვეხუტები და გვიმღერებ. მაგრამ, ეს ხომ აუხდენელი სასწაულია. თუმცა, შენ უკვე მოახდინე დიდი სასწაული. იმით, რომ არსებობდი და ჩვენში და შენს მეგობრებში იმდენი სიყვარული დატოვე, რომ არასდროს გამოგველევა და ამით არ გვაძლევ შენი დავიწყების საშუალებას. დრო ძალიან სწრაფად გადის და ჭრილობებს არ აშუშებს, მაგრამ შენ ისეთი კვალი დატოვე შენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, რომ ბევრად გადასწონის სხვის საუკუნოვან სიცოცხლეს. შენ ჩვენი დიდი ტკივილი ხარ. უზომოდ გვაკლიხარ.



დღეს უიმედოდ ვებრძვით ცხოვრებას დედა, ბებიები და ბაბუა. შენი წასვლა ცხოვრების შეცდომა და დანაშაულია, რომელიც აღარ გამოსწორდება. თუმცა, ყოველთვის, როცა შენს მზერას ვგრძნობთ, ცრემლები ადვილად პოულობენ გზას და ლოცვით შევთხოვთ უფალს – დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

**შენი საყვარელი დედა დიანა ალუღიშვილი, ბებიები ლიანა და სულიკო, ბაბუა თემურ ალუღიშვილი**

**მისი ოფიციალური სტატუსია – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმღვანელი, თუმცა, ამ და კიდევ, პოეტისა და ფოლკლორისტის „სტატუსებს" მიღმა, თუშეთის დიდ ხიბლთან დაკავშირებული საინტერესო ისტორიის მქონე ქალბატონი დგას, რომლის ლექსი თუ, უბრალოდ, მონათხრობი თუშეთზე, გულგრილს არ დაგტოვებთ, მით უფრო, თუ ამ ულამაზეს კუთხეში ერთხელ მაინც ხართ ნამყოფი და კავკასიონის მაღალი მთებისა და მათ შორის ჩახატული თუშური სოფლისთვის ერთხელ მაინც თუ შეგივლიათ თვალი. მე ეს ბედნიერება რამდენიმე წლის წინ, მხოლოდ ერთხელ მერგო, ეთერ თათარაიძეს კი მასთან მთელი ცხოვრება აკავშირებს, ცხოვრება, რომელიც მისთვის იმ ზღაპრული სამყაროსა და მშობლიური კუთხის ნოსტალგიით გრძელდება.**

# როგორ გადაჰყავდათ თუშ მეცხვარეებს 2 წლის ეთერ თათარაიძე კავკასიონზე და რამ გააოცა ის თბილისში

**ეთერ თათარაიძე**: თუშეთი ჩემთვის მთელი სამყაროა. ჩემს დროს ეს იყო ღვთაებრივი სამყარო და სულ ეგეთი დარჩა. 57 წლის ვარ, მაგრამ, გუშინდელივით მახსოვს ის პირველი ზამთარი, რომელიც ჩემი დიდედას სოფელში – შენაქოში გავატარე. პირველ კლასში იქ ვისწავლე. ზამთარი თუშეთში კიდევ სხვა სამყაროა, აბსოლუტურად სხვა იდუმალებაა, სხვა განცდები. ისეთი სიჩუმეა, ნიავის ხმაც რომ გესმის. უცნაურია, როგორც ისე, რამე რომ ინატრო, დაგეძინოს და თეთრ საბურველში იყო გახვეული. მერე მოვა გაზაფხული, პირველად დაილეწება დაწვენილი თოვლი, გატყდება ვაკე და დაიწყება ბზრიალით ზვავებიდან და თოვლიდან ცრემლის დენა; ქვეშიდან ამოძვრებიან ცრემლიანი ენძელები, ბალღები დაიწყებენ წყლის წისქვილების გამართვას შიგნით დანახეთქ თოვლებში; უცებ ჩააბრუნებს ამ თოვლს და უცებ ამოჟიჟინდება მწვანედ ყველაფერი. მაშინ დიდედა აღარ იყო ცოცხალი. როგორც კი გაზაფხულდა, ჩვენ ზამთრის საბოსლედან ავედით შენაქოს სოფელში. მე მოსწრებული ვარ იმას, თუ როგორ ითესებოდა იქ ყანები. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს უფალი ჩამოდიოდა და ხატავდა იმ ყველაფერს. ჩემი მეგობარი ჩუფჩიკა მეტყოდა ხოლმე: შენ ის თუშეთი არ გინახავს, რაც მე მაქვს ნანახიო. ჩუფჩიკა 22 წლით უფროსი იყო ჩემზე, 13 წლის ასაკიდან დადიოდა ქალაქელი ბიჭი პიონერთა სასახლიდან თუშეთში, გიჟდებოდა იქაურობაზე. წლებთან ერთად, იქ ბევრი რამ შეიცვალა: ორჯერ მოვხვდი იქ მანქანით და, არ მინდა იმ გზების დანახვა – მე სულ სხვა გზებით მივლია და ჩემი სული ვერ ეგუება იმ დაგლეჯილ მთებს.



**მე მეცხვარის შვილი ვარ, ნამდვილი თუში მეცხვარის შვილი, სირბილითაც კი გადამივლია კავკასიონი**

**– როგორ გადიოდით იმ გზებს, იმ ვიწრო ქარაფებს ბავშვები და ქალები მაშინ, როცა მეცხვარეები სოფლიდან მთაში ადიოდნენ ცხვრის ფარებთან ერთად?**

– მე მეცხვარის შვილი ვარ, ნამდვილი თუში მეცხვარის შვილი და, სირბილითაც კი გადამივლია კავკასიონი. ხომ გინახავთ ფილმი „თუში მეცხვარე", რომელიც არის თუშებისთვის იმ სინამდვილის შემნახველი ისტორია, რაც აღარასოდეს განმეორდება. ღმერთმა აცხონოს სოსო ჩხაიძე, მთელი თუშების სახელით მის სულს გამუდმებით ვეუბნები მადლობას ამ ფილმისთვის. თუშეთის გზაზე არის ძალიან სახიფათო ადგილი, სადაც არ დნებოდა თოვლი თუშეთამდე, სხვანაირად ვერ გაკვალავდი იმ გზას, ზვავზე ცხენებს ლაწალუწით აცურებდნენ ხოლმე. როცა მაგ ადგილს მივადგებოდით, ჩვენც ისე დაგვაცურებდნენ ხოლმე ზვავზე, როგორც ცხენებს აცურებენ „თუშ მეცხვარეში". ბალღებს ცალკე დაგვსვამდნენ მამის ლაბადაზე. ერთხელ, მახსოვს, ქვემოთ ბეწვზე დაგვიჭირეს. ძალიან პატარა, ალბათ, ორთვე-ნახევრის ვყოფილვარ, როცა პირველად წავუყვანივარ თუშეთში. ვირის ქოჭებში ვწოლილვარ – თუშები თბილ ნაბდის ჩასაწოლს მოუმზადებდნენ ხოლმე პაწაწებს, ჩაუფენდნენ მატყლის საბანს და ისე აჰყავდათ თუშეთში. ასეთი რთული გზის მიუხედავად, არც ერთი თუში არ ტოვებდა ბავშვებს ალვანებში, ჩვენი მოხუცები პირდაპირ კატეგორიულად ითხოვდნენ, ბალღებ თუშეთ გარეკეთო. მე ძალიან მიყვარს კახეთი, იქაური ულამაზესი ადგილები, მაგრამ, სოფელი ალვანები, ზემო თუ ქვემო, სადაც თუშები ცხოვრობენ, ნაჭაობარ ადგილებზეა, რომელიც ფილტვებისთვის სასურველი არ იყო. ერთადერთმა კუთხემ შეინარჩუნა მომთაბარეობა დღემდე და ეს არის თუშეთი – თუშები არც ახლა ტოვებენ ბალღებს ალვანში, თუშეთში მიჰყავთ. როგორც კი გაზაფხული დადგებოდა, ოჯახში იწყებოდა სამზადისი. თითო მეცხვარეს ხუთი-ექვსი ცხენი მაინც ჰყავდა, მამა მოჰყრიდა ცხენებს, საბარგე ცხენი სხვა იყო, ქალებისა და ბალღებისთვის – სხვა, უფრო ჭკვიანები და თვინიერები. ბევრი ბარგი გვქონდა ხოლმე, ძალიან ბევრი, მთელი ზაფხულის საკმარისი. თუშეთში ხომ არ იყო მაღაზია. ამიტომ, ყველაფერი თან უნდა წაგველო: სურსათი, ლოგინები, მატყლის საბნები. უძილოები, ღამენათევები იმ განცდით, რომ მივდივართ თუშეთში, შევუდგებოდით ხოლმე გზას. ყოფილა შემთხვევა, მეორე დღეს მივსულვართ სოფელში. მერე, როცა გავიზარდეთ და უკვე ფეხოსნობა შეგვეძლო, ერთ დღეში, დილიდან ღამემდე, ფეხითაც კი ჩამოვსულვარ დანოდან ალვანში. პატარა ბავშვებს ხურჯინებში გვსვამდნენ. მახსოვს, როგორ მტკივდებოდა მუხლები 2-3 წლის ბავშვს და როგორ ვეხვეწებოდი დედას, ხურჯინიდან ამომსვი-მეთქი. აი, იმ მთასაც გადავივლით და გამოჩნდება ჩვენი სახლიო, – მეუბნებოდა დედა, მაგრამ, სახლი მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდებოდა ხოლმე ***(იცინის).*** მახსოვს, ერთხელ, გადავდიოდით კავკასიონზე, ხურჯინის ორივე მხარეს ბალღები ვისხედით. დედას ისეთ ვიწროზე გაუტარებია ცხენი, თავზე ხელი მოუკიდებია და თავისკენ მივუწევივარ, რადგან, გასასვლელი ადგილიც არ ყოფილა კლდესა და ქარაფს შორის და დედას კლდისგან ხელი გახაზვია და სისხლით მოსვრია.

**– ასეთი მაგარი მხედარი იყო დედა?**

– მარტო დედა არ იყო ასეთი, ყველა თუში ქალი მაგარი იყო. იცით, რამდენს ითმენდა თუში ქალი? იცით, რა რთული ცხოვრება ჰქონდა? ოჯახი, ბალღები, საქმე. დედაჩემი 89 წლის არის, დედას ხომ ასაკი არ აქვს. სულ იმას ვდარდობ, რომ ყოველდღე იმასთან არ ვარ, მე სად ვარ და ის სადაა. ცოცხალი თავით არ მოდის აქეთ, ერთ წელიწადს გამოგვყვა და მთელი ზამთარი ფანჯარასთან გაატარა. ძალიან საინტერესო ქალია დედაჩემი, ძალიან ჭკვიანი. 87 წლის იყო, როცა ბოლოს ჩვენს სოფელში ავიდა. ბოლო წლებში ფეხები უსივდება, მაგრამ, როგორც კი კავკასიონს შეუდგება ხოლმე, ფეხები დაცხრომას უწყებს და, როგორც კი დანოში ხვდება, ფეხები აღარ სტკივა. ასე წამალივით არის მისთვის თუშეთი და, ალბათ, ყველა ადამიანისთვის არის წამალი ის კუთხე, სადაც გაჩნდა. ჩვენ, უბრალოდ, არ ვაცნობიერებთ ამას, რომ, სწორედ ის გარემოა ადამიანისთვის სრულიად სამკურნალწამლო, სადაც მოდის და იბადება. იქ ძალიან იშვიათად ხდება ავად და, ალბათ, არც ხდება, თუ ბევრი რამ იცის იმ სამყაროსი. მე, მაგალითად, ვერ ვსვამ ნაყიდ ჩაის, სრულიად უნიკალურიც რომ იყოს. ბავშვობიდან დღემდე, ჩემი ჩაი არის ქონდარი, პიტნა, კრაზანა, ასკილი, ცაცხვი – ყველაფერი, რაც შეიძლება, დალიო. ეს ყველაფერი იმ დალოცვილ კუთხეში ძალიან ბევრი გვქონდა.

როდესაც კავკასიონზე გადავდიოდით, გზად პირველ ღამეს ვათევდით ტყის თავზე – ეს არის ადგილი, როცა უკვე აივლი თორღვას ციხეებსა და აბანოს, რომელიც ისტორიული აბანოა. გაიშლებოდა ხოლმე ცის ქვეშ დიდი მეცხვარული ლოგინები, ჩაგვალაგებდნენ უთბილეს ლოგინებში ბალღებს, მანამდე კი დანივრულ დედლებს გვაჭმევდნენ, გუდის ყველსა და შოთს, თითო ყლუპ ჭაჭასაც დაგვალევინებდნენ ხოლმე ძილის წინ გასათბობად. ვაიმე, როგორ ვიძინებდით! როგორი უცნაური იყო ის ღამეები ვარსკვლავებით გაჭედილი ცის ქვეშ, რომელიც ძალიან ახლოს იყო ჩვენთან! იქითაქეთ გვდარაჯობდნენ მამაკაცები და მეცხვარე ძაღლები! მერე დილით გვაღვიძებდა შურთხის სტვენა – მაღლა კლდეებში დაუსტვენდა ხოლმე შურთხი, დედები ტუჩებზე ხელს გვაფარებდნენ – ეტყობა, თვითონაც სიამოვნებდათ იმ სტვენის მოსმენა კავკასიონზე. მერე ჩქარ-ჩქარა აგვყრიდნენ, ჩქარა უნდა გვეჭამა, ჩქარა გვაცმევდნენ უფრო თბილ სამოსს და ასე გრძელდებოდა გზა, მეორე დღეს ჩვენ ისევ ვიძინებდით ცის ქვეშ. მახსოვს, როგორ ავჩნდებოდით დანოს გორზე, უცებ შემომხედავდა ხოლმე ჩემი სახლი მაღლიდან და გვხვდებოდა ჩვენი სახლი, რომელსაც ორი მხრიდან აუდიოდა ქვის კიბეები. ორივე მხარეს, კედლებში, გვირილები და ყაყაჩოები იყო გამოფენილი. არაფერი ისე არ მიპყრობდა და არ მაბედნიერებდა, როგორც იმ სურათის შეხედვა. სახლი არასდროს არ იყო დაკეტილი. თუშები, როცა ალვანში მოდიოდნენ, სახლებს არ კეტავდნენ – გამოხურავდნენ კარს და გამოთლილ ჩხირს

გაუყრიდნენ კარში, რომ ზამთრის ქარაშოტს არ გაეხსნა და სახლი არ გაჭუჭყულიყო. იქ არ იცოდნენ რა იყო კლიტე, რატომ უნდა დაეკეტათ სახლი. მოხუცებით მდიდარ უბანში ვცხოვრობდი. ოჯახს ვერ ნახავდით, რომლის სახლის წინაც სკამზე მოხუცი ცოლ-ქმარი არ იჯდა. დღემდე მახსოვს მათ მიერ თუშეთის წარსულზე, ტრადიციებზე მოყოლილი ამბები. უკვე მოზრდილი ვიყავი, როცა დადგა პერიოდი, რომ მეცხვარეების გარდა ვერავინ ადიოდა თუშეთში. იმ წლების ტკივილი მახსოვს, იქაურობის მონატრების ტკივილი.

**– როგორ შეეჩვიეთ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ უცხო სამყაროს? ალბათ, აქ ყველაფერი უცნაური იყო თქვენთვის.**

– ახლა მეუბნებიან ხოლმე, შენ მაშინ არავის არ ჰგავდიო ***(იცინის).*** პირველად ასე ემოციურად უცხო გარემო ძალიან პატარა ასაკში განვიცადე. მეორეკლასელი ვიყავი, როცა დეიდამ ალვანის სკოლაში მიმიყვანა. ამდენი ბალღი რომ ვნახე ერთად, ვიტირე, ველურივით ვიყავი, მერე ნელ-ნელა შევეჩვიე იმ ორმოც ბავშვს. აბა, რა იქნებოდა – პირველი კლასი გატარებული მქონდა თუშეთში, სადაც ერთ კლასში ვიყავით ცხრა ბავშვი: პირველ, მეორე, მესამე და მეოთხეკლასელები. ოთხ მერხზე ვისხედით ერთ ოთახში და გვყავდა ერთადერთი მასწავლებელი. მეოთხე კლასამდე გაკვეთილი აღარ მისწავლია, იმ ერთ კლასში გავიარე ოთხივე კლასი. მეხუთე კლასიდან ალვანის ქალაქურ სკოლაში გადაგვიყვანეს და ეს კიდევ ცალკე შესაგუებელი იყო. სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა პირველად თბილისში ჩამომიყვანეს – პიონერთა სასახლეში. ბიოლოგიაზე ვგიჟდებოდი. ჩვენს მეზობლად ორთავიანი ბატკანი დაიბადა და იმაზე „კვლევა" გავაკეთე. ჩემი „კვლევა" დიდი სიგელ-გუჯრებით დააჯილდოეს. როცა ქალაქში ჩამომიყვანეს, ჩემს დასთან, ლელასთან მიმიყვანეს, რომელიც უკვე სტუდენტი იყო. ლელა ბარნოვის ქუჩაზე ცხოვრობდა ქირით. როცა ლელამ პიონერთა სასახლეში წამიყვანა და უკან მოვბრუნდი, მომეჩვენა, რომ სახლის კიბეებს მიმართულება შეეცვალა; ვფიქრობდი: ეტყობა, ქალაქი როა, ქუჩა იმიტომ შეტრიალდა-მეთქი ***(იცინის)*** ამ ქალაქში ბევრი რამ მაოცებდა. დიდი ვიყავი, როცა პირველად მოვხვდი თბილისში გასვენებაში და, ის იყო ჩემთვის ნამდვილი საოცრება, რომ გარდაცვლილს არ ტიროდნენ. მიკვირდა, ვფიქრობდი: ალბათ, ეს ქალაქელები უგულოები არიან-მეთქი. მე სხვა რამ მქონდა ნანახი მთაში. ხმით ნატირლები იყო საოცარი გამოთხოვება გარდაცვლილთან. გლოვით მგოსნები ერთმანეთს სიტყვას სტაცებდნენ. ეს იყო მთელდღიანი წარმოუდგენელი ტექსტების ნატირ-ნამღერი, ის რეფრენი, რომელიც ქვითინად მისდევდა გლოვას, იყო ნამდვილი გამოთხოვება ადამიანთან, რომელიც მთელი ცხოვრება შენ გვერდითაა, უცებ აღარ არის და აღარც იქნება. არც მომახვედროს უფალმა თუშეთში ტირილზე, მაგრამ, რამდენიმე წლის წინ მოვხვდი ისეთ ტირილზე, სადაც ისეთი დუმილი იდგა, რომ, მივხვდი, იქაც ქალაქური წესები იყო შეჭრილი. მე მახსოვს, მამიდაჩემის წლისთავზე, თუში ქალის ხმით ნატირალზე როგორ ტიროდა დოლისთვის მოყვანილი თეთრი ცხენი მამიდაჩემის სულის საკურთხებლად თეთრ ლოგინთან დადმულ მის ტალავართან. სულ ღვარებად ჩამოსდიოდა ცხენს ცრემლები. ბავშვი ვიყავი, მაგრამ, ეს ძალიან მძაფრად ჩამრჩა გულში.

**– ძალიან ცნობილი თემაა თქვენი უგამოცდოდ მოხვედრა ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელზეც იმ დროს მთელი საქართველო ლაპარაკობდა.**

– მე ხომ დაუსრულებელი აბიტურიენტი ვიყავი! ***(იცინის)*** მეშვიდე წელს ჩავაბარე უგამოცდოდ, მანამდე კი აბიტურიენტის მძიმე ცხოვრება გავიარე. პირველ წელს მისაღებ გამოცდებზე ნახევარი ქულა დამაკლდა კავკასიურ ენებზე. კანონი იყო ისეთი – ვერ ჩააბარებდი, თუ ექვსი თვის სამუშაო სტაჟი არ გექნებოდა. მე მერჩია ალვანში დაბრუნება, მაგრამ, იქ ბევრი ჩემნაირი აბიტურიენტი იყო და სად უნდა მეშოვა სამსახური? ოჯახის დიდი ბჭობის შემდეგ, დამტოვეს თბილისში – გრძნობდნენ, რომ მე მართლა მინდოდა სწავლა, ვერ მიმეტებდნენ იმისთვის, რომ განათლება არ მიმეღო. იფიქრეს, ქალაქში ბევრი ფაბრიკა-ქარხანაა და უფრო იოლია სამსახურის პოვნაო. სად არ მიმუშავია ჩემი ექვსწლიანი აბიტურიენტობის დროს, მათ შორის იყო ისეთი ადგილებიც, რომლებთანაც არანაირი კავშირი არ მქონდა. სად იყო საქმე შენი პროფილით სამსახურის ასარჩევად? ვმუშაობდი ისტორიულ პირველ სტამბაში, საამკინძაო საამქროში, სადაც წიგნები ისმებოდა ყდაში. მაშინ არ იყო თანამედროვე ტექნოლოგიები და ყველაფერი ხელით მზადდებოდა. ძალიან ცუდად მხდიდა ხის წებო, რომელსაც იქვე ადუღებდნენ. ეს იყო ჩემთვის ტანჯვა, მაგრამ, მე ამას ვუძლებდი, რომ ჩაბარების უფლება მომეპოვებინა. ხანდახან ჭერში ავდიოდით ხოლმე, რომ იმ სუნისგან ოდნავ შვება გვეგრძნო. მერე ვმუშაობდი პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიაში" – „ტრაინოი ადეკალონებს" პლასტმასებს ვუჭერდი. ეს კიდევ მეორე უბედურება იყო: ფლაკონი რომ ჩამოდიოდა ავტომატიდან, ბოთლები ჩახაჩუხით ცვიოდა ძირს და ჩემი ტანსაცმელი ისე იყო გაჟღენთილი ოდეკოლონის სუნით, რომ ავტობუსში ხალხი ჩემგან შორს დგებოდა ხოლმე ***(იცინის);*** ვმუშაობდი, ასევე, რადიოქარხანაში; პლასტმასის მწნეხავის სპეციალისტის დიპლომიც მაქვს სადღაც – გამოვიდნენ, გამისწორონ თვალი პლასტმასის მწნეხავებმა! ალბათ, ამიტომაც ვარ ხელმარჯვე და ხელიდან ბევრი საქმე გამომდის ***(იცინის).*** ბოლოს მოვხვდი ბავშვთა სტომატოლოგიურ კლინიკაში. სამსახურს ვეძებდი და წავიკითხე პუშკინის ქუჩაზე გამოკრული განცხადება, რომ კლინიკას ესაჭიროებოდა დამლაგებელი. შევაღე კლინიკის კარი, სადაც დამხვდა არაჩვეულებრივი ადამიანი, ვახტანგ ბოცვაძე. მამაჩემის ხნის კაცი იყო. როცა გაიგო, რომ სტაჟისთვის მინდოდა მუშაობა, დამლაგებლად არ მამუშავა. მალე რეგისტრატორი დამჭირდება ანკეტების შესავსებად და იმ ადგილას მიგიღებო. მე ვუთხარი, მაგ ანკეტებისა და ავადობების არაფერი ვიცი-მეთქი. ეგ შენ არ გეხებაო, – მითხრა და, ექვსი თვის ნაცვლად მანამდე ვიმუშავე იმ კლინიკაში, სანამ სტუდენტი გავხდი. იმ კლინიკიდან ჩავირიცხე უნივერსიტეტში, მაგრამ, იმ ადამიანების სითბო და სიკეთე მთელი ცხოვრება გამომყვა.

**– და, ისევ თუშეთში „დაგაბრუნებთ": იქ ხშირად ჩადიხართ?**

– დიდი ხანია, იქით ველარ მივდივარ. ორი კრიზი გადავიტანე და ფიზიკურად შეუძლებელი გახდა ჩემთვის იქ წასვლა. როცა იქაურობა ძალიან მომენატრება, მეტირება და ჩუმად ველაპარაკები იმ გზა-ბილიკებს, იმ ნიავს, შრიალით რომ გამივლიდა ხოლმე ყურთან; ხან გავლექსავ ხოლმე ჩემს განცდებს. ერთხელ, თუ ისე მაგრად მომენატრება იქაურობა, წავალ და სულ იქ დავრჩები, ოღონდ, ჯერ არ მცალია – საქმეები მაქვს, ცოტა გვიან დავბრუნდები იქ სამუდამოდ.

**თამუნა სამადაშვილი**

# რა ცდუნებას გაუძლო ეკა გიგაურმა ამსტერდამში და როგორ გახდა ის აღმასრულებელი დირექტორი დასაქმების პორტალის წყალობით

**(მე-12 გვერდიდან)**

ით ხევსურეთიდან ვარ და როგორც ჩანს, მთის ხასიათს ვერ ვღალატობ.

**– ხევსურეთიდან ხართ?**

– წარმოშობით კი. ხევსურეთში ტურისტად ჩავდივარ, მაგრამ იქაურობა ძალიან მიყვარს. შემოდგომაზე ბარისახოს ხეობას არაფერი ჯობია, მართალი გითხრათ, ამსტერდამში ხშირად მახსენდებოდა და მენატრებოდა ბარისახოს ხედები. ეს ყველას სჭირს თავიდან, როცა უცხოეთში ჩადის საცხოვრებლად. ამსტერდამი დღემდე რჩება ჩემს ძალიან საყვარელ ქალაქად. როცა მაქვს თავისუფალი რამდენიმე დღე და ამის საშუალება, აუცილებლად მივდივარ ქალაქებში, სადაც ჩემი ახლო მეგობრები ცხოვრობენ. ჩვენ ერთად ვართ გაზრდილები და ბევრი რამ გვაკავშირებს. მეგობრებთან ჩავდივარ საფრანგეთში, შვეიცარიაში და რა თქმა უნდა, ჰოლანდიაში. ამსტერდამი ის ქალაქია, სადაც ყველაზე მეტად ვისვენებ. მართალია, ამსტერდამი ტურისტული ქალაქია და ხმაურიანი, მაგრამ მე ვიცი, იქ ადგილები, სადაც ტურისტს ვერ წააწყდები და არის აბსოლუტურად სხვა გარემო. არის არხები, კაფეები, სადაც დილით ადრე რომ გახვალ და ყავას დალევ, ძალიან კარგად იგრძნობ თავს. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მაქვს ამისი საშუალება, რადგან ვიცი, ბევრ ჩვენს მოქალაქეს რთული სოციალური მდგომარეობა აქვს და ამაზე საუბარი, უხერხულიც კია ჩემგან. სულ ვამბობ, რაც არ უნდა პრობლემა მქონდეს, ხმა არ

**ამსტერდამში ცხოვრების დროს ხშირად მახსენდებოდა და მენატრებოდა ბარისახოს ხედები**

მაქვს ამოსაღები, იმიტომ რომ ბევრს იმისი საშუალებაც არ აქვს, რისაც – მე. რაც არ უნდა დატვირთული რეჟიმი მქონდეს, არის რაღაცეები, რაც ძალიან მიყვარს და იმას ბოლომდე ვერ ველევი. არ მიყვარს დოგმები, გამოჩენა ისეთ ადგილებში, რაც მოდურია. აბსოლუტურად თავისუფალი ვარ ყველანაირი ჩარჩოებისგან.

**– თქვენს აქტიურ საქმიან რეჟიმს პირადი ცხოვრება ხომ არ ეწირება.**

– ასე ვერ ვიტყოდი, მე მგონი, ეს არაა ხელის შემშლელი. ჩემი აზრით, რაც უნდა მოხდეს შენს ცხოვრებაში, ისედაც მოხდება. ჩემი დროის, ენერგიის დიდი ნაწილი ეთმობა სამსახურს. მინდა გითხრათ, რომ ეს არაა კარგი. ამის გამო, ბევრი რამ მაკლია ადამიანური ცხოვრებიდან. როცა გავა დრო, ალბათ, ვიტყვი, რომ უფრო მეტი დრო და ყურადღება უნდა დამეთმო საყვარელი ადამიანებისთვის თუმცა, ახლა ეს არ გამოდის. ისინი გაგებით ეკიდებიან ჩემს რეჟიმს. ყველაზე მეტად ეს ესმის დედას, რომელიც გამუდმებით ზრუნავს ჩემს კვებაზე. ჩემი მშობლები სულ ცდილობენ, რომ გამიმარტივონ ცხოვრება ***(იცინის).***

**თამუნა ნიჟარაძე**

**ლელა ნინუა ჩემთვის ყოველთვის, თავგადასავლების მაძიებელ, პროფესიონალ, უშიშარ ადამიანთან ასოცრიდებოდა, რომელიც პრაგმატულ პროფესიაშიც ახერხებდა რომანტიკული ვოიაჟების მოწყობას და რიგ შემთხვევებში, ახალი აღმოჩენების პირველწყაროც ხდებოდა. ამიტომ, არ გამკირვებია, როცა მოულოდნელად, ლექსების წერა დაიწყო და საკმაოდ სასიამოვნო რეცენზიებიც მოჰყვა ლიტერატურის მცოდნეებისგან. ლელა ახალი სეზონიდან ტელეეკრანსაც უბრუნდება. ის „კავკასიაზე“ შუადღის გადაცემას წაიყვანს და გვპირდება, რომ კონკურენტი არხების ამ ტიპის გადაცემებისგან სრულიად განსხვავებულს შემოგვთავაზებს.**

# რატომ დარჩა ფსიქიატრიულ კლინიკაში ლელა ნინუა რამდენიმე დღე

**ლელა ნინუა:** ისე არაფერი ხდება, რომ უფალს არ უნდოდეს და ალბათ, ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო ჩემს ცხოვრებაში, როგორც მოხდა. საკმაოდ დიდი პერიოდი გავიდა, რაც ეკრანზე არ ვჩანვარ და რას ვაკეთებდი ამ დროის განმავლობაში? ვწერდი. ადამიანს საკუთარი თავის გამოხატვა პროფესიაში უნდა, მაგრამ როცა ამის საშუალება არ მქონდა, თვითგამოხატვის სხვა ფორმას მივაგენი. ვწერდი და ვწერ ლექსებს. დღეს, პრინციპში, ეს არავის უკვირს. ლექსი, ალბათ, ყველას დაუწერია, მაგრამ გააჩნია ლექსს. გარდა რითმისა, ფორმისა და შინაარსისა, იქ უნდა იყოს ფრაზა, ჯერ ართქმული ფრაზა. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ჩემი ლექსები კრიტიკოსების სამსჯავროზე გამომეტანა და სწორედ მათ ეთქვათ, ამბობდა თუ არა ის რაიმე ახალს. ისეთი მკაცრი კრიტიკოსი, როგორიც ლექსო დორეულია, რომ გეტყვის გააგრძელე წერაო, რჩევებსა და მიმართულებას მოგცემს, ეს ნიშნავს, რომ ჩემს ლექსებს ღირებულება გააჩნია. ამით ძალიან დიდი სტიმული მომეცა. სხვათა შორის, დიპლომიანი პოეტი ვარ, რაც, მგონი, საქართველოში ახალი სიტყვაა *(იცინის)*. ეს იყო დიდი ბიძგი ჩემთვის და რადგან ეს ბიძგი ვიგრძენი, მეც მივყევი იმ მდინარის დინებას, რომელსაც პოეზია ჰქვია.



**სხვისი ტკივილით გაჭალარავებული – ეს არის ის ფრაზა, რომლითაც მინდა, ვიცოცხლო**

– **მიუხედავად ამისა, ჟურნალისტიკას მაინც არ ღალატობ.**

– პოეზიის საღამოებზე რომ მაცხადებდნენ როგორ პოეტს, ეს ჩემში გარკვეულ უხერხულობას იწვევდა, კონფლიქტს და კითხვის ნიშნებს ჩემს ცნობიერში. რატომ ვარ პოეტი, როცა ამდენი წელი ჟურნალისტი ვარ-მეთქი. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ როგორც პოეტი, ისე უფრო გამიცნო საზოგადოებამ, ვიდრე როგორც ჟურნალისტი. მაგრამ, ამას აქვს გარკვეული პატარ-პატარა მიზეზები. 15 იანვარს გამოდის ჩემი ლექსების პირველი კრებული, ბედობას. კრებულში შესულია სამ თვეში შექმნილი ლექსები. ეს არის, ძირითადად, ღამე დაწერილი ლექსები, როდესაც ფრაზა სრულიად მოულოდნელად ჩნდება და ხშირად თავად მიკვირს, ნუთუ ეს ჩემი დაწერილია-მეთქი. შემდეგ უკვე ვცდილობ, რაციონალურად ვუპასუხო ამ გაკვირვებას. ეს, ალბათ, ჩემი, გარემოსგან ჩახერგილი ვნება, ემოცია, სიყვარულია, რომლის გარჩევაც და გარეთ გამოტანაც, პოეზიის დახმარებით შევძელი. როდესაც ლექსებმა მოწონება დაიმსახურა, გადავწყვიტე, მისი გამოცემა. როგორც ამბობენ, ჩემს ლექსებში ახალი ფრაზებია: „შიშველ ტანზე გრძნობა მინდა შემოგაცვა“... ამაზე უკვე ამბობენ, რომ ლექსია. ძალიან დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის, როდესაც ბატონმა ჯანსულმა სახლში დამიბარა და თავის არაჩვეულებრივ ლიტერატურულ გაზეთში ჩემი ლექსები დაბეჭდა – სახელად ნათლობა დაარქვა. ერთი ლექსი მაქვს „ჭინკებს გაუმართავთ ნადიმი“. წაიკითხა ბატონმა ჯანსულმა და თქვა - ეს ლექსია, აბა რა არის?! *(იცინის)* მან მითხრა, რომ შენ გაქვს ისეთი ჩავლებები, რომელიც სრულიად ახალია ქართულ პოეზიაშიო.

– **პირველად როდის გაჩნდა ლექსი შენთან?**

– ძალიან ადრეულ ბავშვობაში. მერე წერა შევწყვიტე. უნივერსიტეტში ისევ რამდენიმე ლექსი დავწერე და მაშინაც დავანებე ამ საქმეს თავი. ორი წლის წინ, ჩემგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად, წამოვიდა პოეზიის ახალი ტალღა და ზუსტად პირველი სამი თვის ამოფრქვევა შევიდა კრებულში, რომლის სახელწოდებაა „დღე ღა-მე“ – „მე” დიდი ასოებით. ძალიან საინტერესო ყდა აქვს წიგნს, რისთვისაც დიდი მადლობა მამუკა კიკალიშვილს, რომელმაც პირადად გადაიღო ფოტოები. ყდას რომ დახედავ, გგონია, რომ ჰქვია „მე“, გადაშლი და წერია „დღე ღამე“. ცოტა ინტრიგული და ამბიციური გამოვიდა.

– **ვიცი, რომ ერთი ლექსია შესული, რომლის ინსპირაციაც ფსიქიატრიული საავადმყოფოდან მოდის.**

– ამ ლექსს ჰქვია „ბაქანი - ფსიქიატრიული კლინიკა“. ეს არის რვათავიანი ლექსი, რომელიც რეალურ ისტორიაზეა დაფუძნებული. ეს ლექსი კრებულშია შესული, თუმცა მითხრეს, რომ ის გაგრძელებას ითხოვს. ისტორია შემდეგია: ერთმა ახლობელმა მთხოვა, მისი ნაცნობის მოსანახულებლად ფსიქიატრიულ კლინიკაში გვაყოლოდი. ეს ქალბატონი ასაკოვანია და პატრონი არ ჰყავდა. არსებობდა რაღაც ეჭვები: რატომ იყო კლინიკაში მოთავსებული, რა ტიპის აშლილობები ჰქონდა. რამდენჯერმე მივედით და არ შეგვიშვეს, რადგან ამ ქალბატონს სულ ეძინა. ვერაფრით წამოვედი იქიდან და ეს არწამოსვლა სამი დღე გაგრძელდა, რადგან იქ ულამაზესი გოგონა გავიცანი. ეს გოგონა, პროფესიით მსახიობი, შეყვარებულთან ერთად ავარიაში მოჰყვა. ძალიან გამიკვირდა მისი იქ ყოფნა, ჩვეულებრივი გოგო იყო. დავმეგობრდით და მან თავისი ისტორია მიამბო: როგორ მოჰყვა თავის რჩეულთან ერთად ავარიაში და როგორ მიატოვა შემდეგ ამ ბიჭმა. მისთვის სრულიად გაუგებარი

**„შიშველ ტანზე გრძნობა მინდა შემოგაცვა“... ამაზე უკვე ამბობენ, რომ ლექსია**

იყო როგორ აღმოჩნდა კლინიკაში. მისი ბედი ჩემთვის უცნობი არ გახლავთ და ლექსიც ასე მთავრდება. ახალი წელი მოდის და მეც დავლევ აბებს, რადგან შვებას მეც აქ ვპოულობ... „მიკარნახეთ ამ ნაძვის ხეს სათამაშო სად დავკიდო, ასე ვპოვებ სულის შვებას საგიჟეთში ჩარაზული... სევდას ვახრჩობ“. ამ ლექსს არსად ვკითხულობ, იმიტომ კი არა რომ დიდია, უბრალოდ, ყოველთვის ატაცებულია მარტივი, იოლად გასაგები და დასამახსოვრებელი ლექსი. ეს კი ცოტა რთული ლექსია.

– **რა მოხდა ამ გოგონას ცხოვრებაში, უფრო დეტალურად იცი?**

– ავარიის შედეგად მან თავის ქალის ტრავმა მიიღო, რაც როგორ გადაიზარდა ფსიქიატრიულ დაავადებაში, არავინ იცის. ტრავმის მიღების შემდეგ ის მიატოვეს. ისევე, როგორც ეს ცხოვრებაში ხდება ხშირად. ის ახლა იღებს დასაძინებელ აბებს და საერთოდ, ამ კლინიკაში ყველას ყოველთვის სძინავს. აქ არაფერია პირადი, ეს არის სხვისი ტკივილის, პრობლემის, სიყვარულის, ვნების ჩემეული ხედვა.

– **შენს სიყვარულში რა ხდება?**

– არაფერი. სულ შეყვარებული ვარ სიცოცხლეზე, ცხოვრებაზე, იმ ადამიანებზე, რომლებსაც ადამიანობის დამატება ნაკლებად სჭირდებათ. ყველაზე მეტად შეყვარებული ვარ დროზე და სიმართლეზე, ისეთ თვალებზე, რომელიც გულწრფელად შეყვარებულია. სულ ვფიქრობ, რომ ჩემი არაფერი გამაჩნია. არასდროს გავურბივარ პრობლემას, სიყვარულს, ტკივილს, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩემ ირგვლივ ხდება. სულ მგონია, რომ ჩემი გვერდით უნდა გადავწიო და ამას გულწრფელად ვამბობ. სხვისი ტკივილით გაჭალარავებული – ეს არის ის ფრაზა, რომლითაც მინდა, ვიცოცხლო.

– **ახალ გადაცემაზე მომიყევი...**

– ვერ მოვისვენე მაინც... *(იცინის)*. მართალია, ვთხარე, ვთხარე და სამმეტრიანი ადამიანიც ამოვთხარე, რომელიც მინდა, გითხრათ, დღემდე აქტუალურია და ამ თემით ბევრი სხვა ქვეყნიდანაც დაინტერესდნენ. იგეგმება, რომ ეს ექსპედიცია იგივე შემადგენლობით აღდგეს და შედგეს, „ჯიდიესის“ ინიციატივით, სადაც ისევ ჟურნალისტის ამპლუაში ვიქნები და გათხრების მეორე ეტაპი შედგება. რაც შეეხება ტელეპროექტს, სრულიად მოულოდნელად, შევხვდი ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორს, ნინო ჯანგირაშვილს, ყავაზე, მეგობრებთან ერთად. სულ სხვა საქმეზე შევხვდით ერთმანეთს. მან შემომთავაზა: ჩვენთან ხომ არ გააკეთებ წიგნის პრეზენტაციასო. ჩამოვუყალიბე, როგორ შეიძლება, გაკეთდეს სატელევიზიო პოეზიის საღამოები. რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ, მეუბნება: გადაცემა არ გინდა?! *(იცინის)* ტელესივრცეში სრული ქაოსი იყო და არის. ყოველთვის მეუბნებოდნენ, თუ რამე გინდა, დაარეკინე ზემოდანო. ამაზე სულ ვამბობდი, პირველ სართულზე ვცხოვრობ და „ზემოთ“ ნაცნობები არ მყავს-მეთქი *(იცინის)*. ვერ ვიტან ჩაწყობას. რაღაც ან ვიცი ან – არა, ან გამოგადგები, ან – არა. ესაა ჩემი სიმართლე. ჩემით მოვდივარ ამდენი წელია და მაქვს ამბიცია, რომ ამა თუ იმ თემაზე, ვიყო კრეატიული, ამავე დროს – ეკლექტიკური. ნინოს შემოთავაზება ძალიან გამიხარდა. ტელევიზია ახლა ახალ ბადეს ამზადებს, სრულიად ახალი სტილით ბრუნდებიან ეთერში – დიდი სივრცით, ბევრი ახალი გადაცემითა და თანამშრომლით. ამ ეტაპზე საუბარია დღის გადაცემის წაყვანაზე, რომელიც მხოლოდ გართობაზე არ იქნება აწყობილი. სხვა სტილის გადაცემას ვგეგმავთ, რომელიც თითოეული მაყურებლისთვის, ხალხისთვის ძალიან სასარგებლო იქნება. ამ გადაცემის თანაწამყვანი ზურა გორგოძეა და გპირდებით, სრულიად განსხვავებული და საინტერესო იქნება.

15 იანვარს არტ-კაფე „ბეთ ჰაიმში” წიგნს პირველად აქ მოსული საზოგადოება გაეცნობა. ყველა ის ადამიანი შეიკრიბება, რომლებმაც ჩემს ცხოვრებაში თითო აგური დადეს. მინდა მადლობა ვუთხრა უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცენატს გია სამხარაძეს, გიზო და მაია ღლონტებს და დალი დავითურს საღამოს მხარდაჭერისთვის. თვის ბოლოს კი კულტურის მინისტრის ბატონ გურამ ოდიშარიას მხარდაჭერით, რუსთაველის თეატრში ლელა ნინუა ეპატიჟება წიგნის პრეზენტაციაზე ყველას, ვისაც მისი პოეზია აინტერესებს.

**სალომე გველესიანი**

# „ჩემი ცოლის დაქალი კინოში" – ჩვენება მედიისა და ბლოგერებისთვის

კინოთეატრ „ამირანში" პრესისა და ბლოგერებისთვის გაიმართა ჩვენება ახალი ქართული მხატვრული ფილმისა – „ჩემი ცოლის დაქალი კინოში," ჩვენების შემდეგ კი შემოქმედებითმა ჯგუფმა ჩვენებაზე მოსული ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს. ფილმში ძირითადი აქცენტი კატოს პერსონაჟზეა გადატანილი, მისი დაქალები კი მხოლოდ ეპიზოდურ როლებში არიან. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი დამოუკიდებელი პროექტია, ვინც სერიალს უყურებს, მათთვის მაინც სერიალიდან გამომდინარეობს და ისევ სერიალში დაელოდებიან გაგრძელებას. ამ თემაზე ჟურნალისტებთან დისკუსიაც შედგა, რადგან, ზოგს ფილმი დაუსრულებელი ეჩვენა, ფინალი არ მოეწონა და, გადაწყვიტა, მის გაგრძელებას უკვე სერიალში დაელოდოს. სიმართლე გითხრათ, მე ფინალი ძალიან მომეწონა. მართალია, „ჩემი ცოლის დაქალების" არც ერთ სერიას არ ვტოვებ, მაგრამ, მის გაგრძელებას სერიალში ნამდვილად არ დაველოდები.

ფილმში გამოჩნდა ახალი გმირი – „სოკო," რომელიც მირიან ბარათეონის მიერ დაწერილი პიესის მიხედვით ილებს ფილმს. პერსონაჟმა, რომელსაც თავად რეჟისორი, გიორგი პოპიაშვილი, იგივე პოპიკა ასრულებს, განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. თუმცა, ფილმის პროდიუსერის, ირაკლი საღინაძის განცხადებით, პოპიაშვილი სერიალში მოღვაწეობას აღარ გააგრძელებს, რადგან სარეჟისოროზე სწავლობს და თავის სფეროში ბევრი მიღწევაც აქვს.

„გიორგი პოპიაშვილი იგივე „პოპიკა", რომელიც „სოკოს" როლს ასრულებს



თავადაც რეჟისორია. ის ძალიან ნიჭიერი და საქმის მცოდნე ადამიანია. მის მიერ გადაღებულ რეკლამას „ოქროს ლომი" აქვს მოგებული. უბრალოდ, იმის გამო, რომ ძალიან დაკავებულია, სერიალში მოღვაწეობას ველარ გააგრძლებეს. ჩვენი თანამშრომლობა ამჯერად მხოლოდ ამ ფილმით შემოიფარგლა," – განაცხადა ირაკლი საღინაძემ.

ფილმის კიდევ ერთი პროდიუსერის, ზუკა გუმბარიძის განცხადებით, ფილმმა საზოგადოებაში მოწონება დაიმსახურა, თუმცა, არსებობს განსხვავებული აზრიც.

„კომერციულ ნაწილში ეს ფილმი ნაკლებად წარმატებულია, ვიდრე „ფორმულა კრეატივის" მიერ გადაღებული პირველი სეზონის ფილმი –„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი." საზოგადოების მხრიდან ეს კონტრავერსიული პუნქტია: ბევრს მოსწონს, თუმცა, არიან ისეთებიც, ვისაც არ მოსწონს, ანუ, განსხვავებული აზრი ყოველთვის არსებობს. ჩვენ მზად ვართ კრიტიკისთვისაც და კომპლიმენტების მისაღებადაც.

საბოლოო ჯამში, ჩვენს ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს ძალიან წარმატებული პროექტი იყო," – აცხადებს გუმბარიძე.

როგორც პროდიუსერებმა თქვეს, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" გადაღება გრძელდება, მესამე სეზონის რეიტინგის მიხედვით კი გადაწყდება, შედგება თუ არა მესამე ფილმის გადაღება.

„ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ მესამე ფილმიც გადავიღოთ და ამ ყველაფერს ტრილოგიის სახე მივცეთ," – აღნიშნა ზუკა გუმბარიძემ.

ფილმის ბიუჯეტმა 200 ათასი ლარი შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალ ბიუჯეტად ითვლება თანამედროვე ქართულ კინემატოგრაფში.

# კახა კალაძე მესამე შვილის მამა გახდა

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე და მისი მშვენიერი მეუღლე, ანუკი არეშიძე, მესამე



ვაჟის მშობლები გახდნენ. ახალშობილი ქვეყანას 9 იანვარს, მილანში მოევლინა. პატარას ვაჩე დაარქვეს. როგორც ინფორმაცია გავრცელდა, სახელი დედის შერჩეულია, რომელმაც აქცენტი სახელის ძველქართულობაზე გააკეთა. პატარა ვაჩე 2 კილოგრამი, 900 გრამი და 52 სანტიმეტრი დაიბადა. ახალშობილიც და მისი დედიკოც თავს ძალიან კარგად გრძნობენ. ჩვენ ვულოცავთ წყვილს ამ ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და სიმშვიდეს ვუსურვებთ პატარა ვაჩეს ძმებთან და მშობლებთან ერთად!

# „მისტერ ვალენტინი" საიუბილეო 5 წლის იუბილეს მასშტაბური კონკურსით აღნიშნავს

უკვე მეხუთე წელია, რაც „მისტერ ვალენტინი" წლის საუკეთესო მამაკაცს ირჩევს. საიუბილეო კონკურსისთვის შესარჩევი ქასთინგის პირველი ტური 26 იანვარს კოსტავას ქუჩა №6-ში გაიმართება და, ყველას, ვისაც სიმპათიურობაზე პრეტენზია აქვს, შეუძლია, ძალები მოსინჯოს. კონკურსის ფინალური შოუ, ტრადიციულად, ვალენტინობის დღეს ჩატარდება. კონკურსის გამარჯვებული „ვალენტინი" მიიღებს მთავარ პრიზს – ავტომობილს და, ასევე, ორკვირიან საგზურს ლატვიაში კომპანია „IM გლობალ გეორგიასგან".





კონკურსის იდეის ავტორი გია ჯაჯანიძეა, დირექტორი – კახი ხაბეიშვილი, ჟიურის თავმჯდომარე – კრისტი ყიფშიძე, ორგანიზატორი – თათა ლემონჯავა. რაც შეეხება ჟიურის წევრებს, ის ყოველწლიურად იცვლება და, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჟიურის სავარაუდო წევრები წელს არიან: ნანუკა ჟორჟოლიანი, ირინა ონაშვილი, შორენა ბეგაშვილი, დათუნა სულიკაშვილი და სხვები. ღონისძიების წამყვანები კი იქნებიან თამუნა მუსერიძე და გიორგი ნაზღაიძე.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

– გიორგი მეორე იყო ერთიანი საქართველოს მეფის, ბაგრატ მეოთხის მემკვიდრე. მისი დედა, ოვსთა მეფის ასული ბორენა გახლდათ. გიორგი საკმაოდ საინტერესო პიროვნება იყო. ამ მონარქის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დიდი გავლენა იქონია ქვეყნის იმდროინდელმა საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ. გიორგი მეორის პიროვნების საკითხი მამამისის მეფობის ხანაშივე გახდა აქტუალური, მაშინ, როდესაც გიორგი მცირეწლოვანი იყო.

**– რატომ?**

– ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს გამუდმებით უწევდა ბიზანტიური აგრესიის მოგერიება. მეორე მხრივ, იმ დროის ძალიან აქტიურობდნენ ადგილობრივი დიდებულები, რომელნიც მეფისგან მეტი დამოუკიდებლობის, მეტი უფლებების მოპოვებას ცდილობდნენ და სარგებლობდნენ სწორედ საგარეო პოლიტიკური ვითარებით. ერთ-ერთი გამორჩეული ამ დიდებულთა შორის გახლდათ კლდეკარის ერისთავი, ლიპარიტ ბაღვაში. ეს იმ ლიპარიტ ბაღვაშის ბაბუაა, რომელსაც საბოლოოდ დავით აღმაშენებელი გაუსწორდა. საქმე ისაა, რომ რამდენიმე თაობა მიმდინარეობდა ბაღვაშებსა და ბაგრატიონებს შორის ბრძოლა, რომელმაც საბოლოოდ, საგვარეულოები დააპირისპირა.

**– ეს როგორ მოხდა?**

– გიორგის მამა, ბაგრატ მეოთხე ბიზანტიასთან ურთიერთობის მოსაგვარებლად იძულებული შეიქმნა, იმპარატორ კონსტანტინე მონომახთან ჩასულიყო. ამ უკანასკნელმა სამი წლით დააყოვნა ქართველი მეფე კონსტანტინოპოლში. გამგზავრებამდე ბაგრატ მეოთხემ დასავლეთ საქართველოს გამგებლად დატოვა მისი არასრულწლოვანი ძე – გიორგი. უცნაურია, რომ ლიპარიტ ბაღვაშმა მოითხოვა, უფლისწული გიორგი მეფედ გამოეცხადებინათ.

**– რა ამოძრავებდა ლიპარიტ ბაღვაშს, როდესაც ეს წინადადება წამოაყენა?**

– რადგან გიორგი მცირეწლოვანი იყო, ლიპარიტს მისი მეურვეობის ხელში ჩაგდების იმედი ჰქონდა და ჩაიგდო კიდეც. ის გიორგი მეორის მეურვე გახდა – „პატრონად" კი მამიდა, გურანდუხტ დედაფალი დაუნიშნეს ბაგრატ მეოთხის ძეს. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი გახლდათ, როცა ქართველ უფლისწულს კურაპალატის ტიტული უბოძა ბიზანტიის იმპერატორმა. ამჟამად კი გიორგი მეორე რუისის ტაძარში აკურთხეს მეფედ. ამგვარად, ქვეყნის მართვის სადავეები ლიპარიტ ბაღვაშის ხელში მოექცა.

**– დიდხანს გაგრძელდა ბაღვაშის ტკბობა ამ მდგომარეობით?**

– ეს მდგომარეობა ნაწილობრივ შეიზღუდა, ბაგრატ მეოთხის ბიზანტიიდან დაბრუნებისთანავე, როცა მეფემ თავისი, როგორც მეფის ხელისუფლება აღიდგინა. თუმცა, მისი ძალაუფლება ლიხის აღმოსავლეთით ვეღარ გავრცელდა ლიპარიტის წინააღმდეგობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ოფიციალურად ერთიანი იყო, დასავლეთ საქართველოს განაგებდა ბაგრატი, აღმოსავლეთს და სამხრეთს კი – ლიპარიტი. უნდა აღინიშნოს, რომ ლიპარიტის აღზევებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის დამოყვრებული გახლდათ სელჩუკიანთა სულთანთანაც და ბიზანტიის იმპერატორთანაც. რამდენიმე ხნის შემდეგ, ლიპარიტის თვითნებობა მოსწყინდათ ადგილობრივ დიდებულებს. მათ შეიპყრეს კლდეკარის ერისთავი და ბაგრატ მეოთხეს მიჰგვარეს.

**დავით აღმაშენებლის მამის, გიორგი მეორის პიროვნება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მას სუსტ მონარქად ახასიათებენ. ჩვენი რესპონდენტი ისტორიის დოქტორი, პროფესორი დავით მერკვილაძე ამ შეფასებას თავის ახსნას უძებნის და დღევანდელ ინტერვიუში გიორგის დაუძინებელი მტრის, ლიპარიტ ბაღვაშის მეურვეობის ქვეშ გარატებულ წლებზე, დიდ თურქობასა და გიორგი მეორის, როგორც საქართველოს მონარქის მიერ გადადგმულ უკანასკნელ ნაბიჯზე გვესაუბრება:**

# რა იყო ბაღვაშებისა და ბაგრატიონების დაპირისპირების საბაბი და რამდენი თაობის განმავლობაში გაგრძელდაეს



მოვიდა თოვლი და მეფე გიორგიმ გაიხსენა, რომ აჯამეთის ტყეებში ნადირობის სეზონი დგებოდა. ციხეს ალყა მოხსნა და ლიხს იქით გადავიდა

**– რა ბედი ეწია ამ ვითარებაში გიორგი მეორეს?**

– გიორგი და მამიდამისი ახალქალაქში დახვდნენ ჯავახეთში მობრძანებულ ბაგრატ მეოთხეს. მეფემ უწყოდა, რომ ყრმა გიორგის აზრად არ ჰქონია მამისთვის ტახტის წართმევის მცდელობა და ამიტომ, მომხდარის გამო პასუხი არ მოუთხოვია არც გიორგისთვის და არც გურანდუხტისთვის.

**– ამის შემდეგ რა მოხდა?**

– როდესაც ბაგრატმა გადაწყვიტა ელაშქრა, მის მიმართ დაპირისპირებულ, განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ, ჩრდილოეთიდან გადმოიყვანა ოვსთა ჯარი თავის ცოლისძმის, დორღოლელის მეთაურობით, სათავეში კი უფლისწული გიორგი დაუყენა. მათ დაარბიეს განძა. ეს იყო ჩვენთვის ცნობილი პირველი და წარმატებული საბრძოლო ნათლობა გიორგის მეთაურობით.

**– როგორ მოვიდა ხელისუფლებაში გიორგი, როგორც ერთპიროვნული მმართველი?**

– ბაგრატმა სიკვდილის წინ თავისთან მოიხმო დედა, მეუღლე, მემკვიდრე გიორგი, ასული მარიამი და თავისი ქვეყანა გიორგის უანდერძა. ეს მოხდა 1072 წელს.

**– საკმაოდ სუსტ ხელისუფლად ახასიათებენ მეფე გიორგი მეორეს, თქვენც ასე მიგაჩნიათ?**

– სუსტი გიორგი მეორე მხოლოდ თავისი მემკვიდრის, დავით აღმაშენებლის ფონზე ჩანს. დავით მეოთხე საუკეთესო მონარქადაა აღიარებული და ბუნებრივია, მან დაჩრდილა მამა.

გიორგი მეორის, როგორც მეფის და როგორც პიროვნების შეფასებისას, უნდა გავითვალისწინოთ იმდროინდელი საქართველოს უკიდურესად რთული საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება. ხელისუფლებაში მოსვლიდანვე ნახევარ წელიწადში, მას აუმხედრდნენ დიდგვაროვნები: ივანე ბაღვაში, მისი ყოფილი მეურვის ძე, რომელმაც მოიხმო კახელები და გამაგრდა ქსნის პირას, მეორე მხრივ – ნიანია ქუაბულისძე, რომელმაც დაიკავა მაშინდელი საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი და მოიტაცა სამეფო საჭურჭლე, ანუ განძი; ასევე, ვარდან სვანთა ერისთავი, რომელმაც მეფის მორჩილებიდან გამოიყვანა სვანეთი და დასავლეთ საქართველოს ბარის გარკვეული ტერიტორიები დაარბია. ანუ, შეიქმნა უკიდურესად მძიმე შიდაპოლიტიკური მდგომარეობა. ამიტომ, მეფემ გადაწყვიტა, რომ საჩუქრებითა და დაყვავებით, ანუ მშვიდობიანი გზით განემუხტა ვითარება, რაც შეძლო კიდეც. სხვათა შორის, სწორედ ამას საყვედურობენ ხშირად გიორგი მეორეს.

**– რატომ საყვედურობენ?**

– იმიტომ, რომ ეს განმუხტვა იყო დროებითი, რადგან ამბოხებულნი დაუსჯელნი დარჩნენ. მეტიც, დაჯილდოებულნიც კი. ამიტომ, ეს ცუდი მაგალითი იყო დანარჩენთათვის. თუნდაც, ივანე ლიპარიტის ძე, ამ ინციდენტის შემდეგ, კიდევ რამდენიმეჯერ განუდგა მეფეს.

**– რაში გამოიხატება მაშინდელი მძიმე საგარეო პოლიტიკური ვითარება?**

– გიორგის მეფობის პერიოდი დაემთხვა ახლო აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკთა აქტიურობის ხანას. ჯერ კიდევ გიორგის მამაც დიდი გაჭირვებით იგერიებდა მათ და ხარკის გადახდაც არ იკისრა. სხვათა შორის, გიორგიმ ორჯერ დაამარცხა თურქ-სელჩუკები ფარცხისთან და შეძლო სამხრეთის მნიშვნელოვანი რეგიონების: კარის ციხექალაქის, ანუ დღევანდელი ყარსის, ვანანდისა და კარნიფორის (ისტორიული სომხეთი) გათავისუფლება. თვით სულთან მალიქ შაჰიც კი დაამარცხა გიორგი მეორემ. ამის შემდეგ, ბანაში შედგა ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდლის, ეროვნებით ქართველი – გიორგი ბაკურიანისძის შეხვედრა ქართველ მეფესთან. ამ შეხვედრაზე ბაკურიანისძემ იმპერიის სახელით, გიორგი მეფეს დაუმტკიცა კარი, და „მისი მიმდგომი ქვეყანა", რაც ნიშნავდა, რომ ბიზანტია ოფიციალურად აღიარებდა სელჩუკთა მიერ წართმეულ თავის ყოფილ ტერიტორიას საქართველოს შემადგენლობაში. ეს, დამეთანხმებით, გიორგი მეორის საგარეო პოლიტიკის დიდი წარმატება იყო. ამის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება განსაკუთრებით რთულდება.

**– რა ხდება ამ დროს?**

– საქმე ისაა, რომ ბიზანტიის იმპერიის არმიის თურქ-სელჩუკებთან სასტიკი მარცხის მომდევნო ხანაში, საქართველო სრულიად მა-

# რა ვერ გააგებინა ქართველ მამაკაცებს ელენე ჩიხლაძემ და რომელ ცეკვას ვეღარ იცეკვებს ის

(მე-18 გვერდიდან)

მთხოვეს ეს ცეკვა იცეკვეო, ბოდიში მოვუხადე – ვერ ვიცეკვებ-მეთქი. ისე ვიხარჯები და ისე მოქმედებს ჩემზე, მერე რამდენიმე დღე მჭირდება ამ ხასიათიდან გამოსასვლელად.

**– მე ვიცი, რომ ძალიან ცუდად მოქმედებს თქვენზე სიცივე.**

– საერთოდ, ცეკვის დროს ბევრ რამეს ვერ გრძნობ, მით უმეტეს – სიცივეს. არის შემთხვევები, ხან ფეხი აგტკივდება, ხან კბილი, ხან თავი, მაგრამ, რომ გამოდიხარ, აღარ გტკივა – ეტყობა, სცენის ადრენალინია. საერთოდ, სცენა არის ცოცხალი ძალა, ჰაერის მეხუთე სტიქია, ნარკოტიკივით მოქმედებს. მართლა, სერიოზული მცივანა ვარ, ტაილანდში რომ მივდივარ, ეგვიპტეში 40-45 გრადუსი სიცხეა და მარტო მაშინ ვარ ბედნიერი, რადგან, შემიძლია, სარაფანი ჩავიცვა და უკვე კარგად ვგრძნობ თავს.

**– შანდლებითაც ცეკვავთ. რთული და სარისკოა ასე ცეკვა?**

– შანდლებით ცეკვა არის არაბული ფოლკლორული ცეკვა, საქორწილო ელემენტი. ეს შანდალი ჩემმა მეუღლემ დამიმზადა. არაბეთში ჩვეულებრივად იყიდება მსგავსი შანდლები. იცით, იმ მომენტში ვერ გრძნობ, როგორ გეღვენთება სახეზე, სხეულზე; მხოლოდ მერე, ოთახში რომ შედიხარ, ხედავ, რა დღეში გაქვს ხელები, ტანსაცმელი... წელს ვიყავი უკრაინაში, თვითონ დამპატიჟეს, ძალიან სერიზოული პროექტია – „ცეკვავს ყველა", ამერიკული პროექტის უკრაინული ვერსია, უკვე მეექვსე სეზონია, მიდის, უაღრესად რეიტინგულია. ორგანიზატორებმა მთხოვეს, თუ შეიძლება ეს ცეკვა შუშებზე შეასრულოთო. დავთანხმდი, რადგან, როცა დღევანდელი ქორეოგრაფიის გენიოსების წინაშე გამოდიხარ, უარის თქმა არ შეიძლება, მაგრამ, სამაგიეროდ, მერე დამეწყო სერიოზული შიშები. ერთი თვე მესიზმრებოდა, თითქოს ფუჟერებიდან ვვარდები, იფშვნება, ხმალი თავიდან მივარდება, ტრიალის დროს კი ვიღაც მოვკალი ამ ხმლით. ძალიან ვნერვიულობდი. მერე, აეროპორტში რენდგენზე რომ დაათვალიერეს ჩემოდნები, დაინახეს მეტრა ოცდახუთი სანტიმეტრი სიგრძის ხმალი, გაგიჟდნენ. თან, ხე-

**მოცეკვავეს ჰაერივით სჭირდება გვერდით ისეთი ადამიანი, რომელიც მას მორალურად დაუდგება გვერდში, გაიზიარებს მის იდეებს**

დავენ, რომ ეს არ არის ბუტაფორია და ნამდვილი, მძიმეწონიანი ხმალია. თუმცა, მე მქონდა ნებართვა, სპეციალური წერილი უკრაინული ავიაკომპანიისთვის, რომელშიც ეწერა, რომ ელენე ჩიხლაძე ამა და ამ შოუზე ჩაწერისთვის მიდის, რეკვიზიტად მიაქვს ცივი იარაღი და არ შეექმნას პრობლემაო. უამრავი ადამიანი მიყურებდა. იმდენად სტრესული იყო ეს ყველაფერი, რომ, ის, რაც სიზმარში ვნახე, მეგონა მართლა, ხდებოდა, და შეშინებული ვკითხულობდი: „ხომ არავინ მოვკალი? ვინმე ხომ არ დავჭერი?.." საბერძნეთში ვიყავი. დიდი უზარმაზარი მოსასხამი ფრთები მაქვს თავისი პატარა განათებებით დამონტაჟებული და ბარგში არ ჩავაბარე, ხელზე მქონდა. გახსენიო – მეუბნებიან. გავხსენი ჩანთა. აქ რა ელემენტებიაო? გავშალე, მოვისხი და, რომ დავაჭირე ხელი ბატარეას და განათდა, გაოცებულები მიყურებდნენ დიდხანს.

**– ბოლოს თქვენ მეუღლეზეც გკითხავთ. ზოგადად, ქართველი კაცები ერიდებიან ოჯახის შექმნას მსახიობებთან, მოცეკვავეებთან, მოსალოდნელი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით. თქვენ როგორ უგებთ ერთმანეთს და თუ ეჭვიანობს?**

– რომ არა ჩემი მეუღლე, ალბათ დღეს მე არავინ ვიქნებოდი. ძალიან მეხმარება და მიგებს ყველაფერში. ხელოვან ადამიანს, მოცეკვავეს, ჰაერივით სჭირდება გვერდით ისეთი ადამიანი, რომელიც მას მორალურად ამოუდგება მხარში, გაიზიარებს მის იდეებს. ახალ კოსტიუმს რომ ვკერავ, მეუღლეს ვაჩვენებ – ის ჩემი ყველაზე სწორი და სამართლიანი შემფასებელია. თუ ვხვდები, რომ რამეა შესაცვლელი, ვცვლი. ასევეა ცეკვაშიც – აუცილებლად ვაჩვენებ მას, რა ახალი ელემენტი დავამატე.

**ეკა პატარაია**

---

რტო რჩება თურქ-სელჩუკთა უზარმაზარი სამხედრო პოტენციალის პირისპირ. ერთხელაც, მოხდა ისე, რომ სრულიად მოულოდნელად, ყველისციხეში მდგარ გიორგის თავს დაესხნენ სელჩუკები. ქართველები დამარცხდნენ. მართალია, მეფე გიორგიმ შეძლო, უვნებლად თავის დაღწევა თუმცა, მტერმა ხელთ იგდო სამეფო განძი. ეს მოხდა 1080 წელს. აქედან მოყოლებული საქართველოში იწყება „დიდი თურქობა".

თურქ-სელჩუკები კალიასავით მოედვნენ საქართველოს დიდ ნაწილს. ააოხრეს ყველაფერი. გადარჩენილი მოსახლეობა მთაში გაიხიზნა, სოფლები ნასოფლარად იქცა. აღარ იყო ხვნა და თესვა. მოიშალა ქართული ტრადიციული სოფლის მეურნეობა, რადგან ბაღვენახები და სახნავ-სათესი ადგილები მომთაბარე სელჩუკთა უთვალავი საქონლის ჯოგებისა და ცხენების საძოვრად იქცა. როგორც მემატიანე ამბობს: „თურქთა მოჭამეს ქვეყანა." ამიერიდან თურქ-სელჩუკები ადრე გაზაფხულზე შემოდიოდნენ საქართველოში და ზამთრის პირას ბრუნდებოდნენ უკან.

**– როდემდე „ჭამდნენ ქვეყანას" თურქ-სელჩუკები?**

– ასეთი ვითარების შექმნიდან მესამე წელს, გიორგი მეორე იძულებული გახდა, ხლებოდა სულთან მალიქ შაჰს, ზავი ეთხოვა და ხარკი ეკისრა სელჩუკთა თარეშის აღკვეთის სანაცვლოდ. მიუხედავად ამისა, „დიდი თურქობა" ამ ზავის შემდეგაც გაგრძელდა. სულთანი კი თავს იმართლებდა, რომ ზოგიერთი მომთაბარე ტომი მის დაუკითხავად შემოდიოდა საქართველოში.

**– კიდევ რას საყვედურობენ გიორგი მეორეს?**

– ზავის დადების შემდეგ სულთანმა გიორგი მეორეს გამოატანა თავისი ჯარის ნაწილი და კახეთის დაპყრობა შესთავაზა. კახეთის სამეფო ამ დროს საქართველოს შემადგენლობაში არ შედიოდა. გიორგიმ ალყა შემოარტყა ვეჯინის ციხეს, რომელიც კახეთის ერთ-

**მეფესთან დაპირისპირებულმა ნიანია ქუაბულისძემ დაიკავა მაშინდელი საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი და მოიტაცა სამეფო საჭურჭლე, ანუ განძი**

ერთ სტრატეგიულ, გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა იმხანად. ალყა გაგრძელდა. ამასობაში მოვიდა თოვლი და მეფე გიორგიმ გაიხსენა, რომ აჯამეთის ტყეებში ნადირობის სეზონი დგებოდა. ციხეს ალყა მოხსნა და ლიხს იქით გადავიდა. მის ამ საქციელში უაზრო ახირების ნაცვლად, შეიძლება, დავინახოთ სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილება. იქნებ მეფე ხვდებოდა, რომ კახეთის დამორჩილება გამოიწვევდა თურქ-სელჩუკთა პოზიციების მეტად განმტკიცებას ამიერკავკასიაში, რაც ბუნებრივია, გიორგი მეორის ინტერესებში არ შედიოდა. აჯამეთში ნადირობის სურვილი კი მხოლოდ საბაბი იყო, რითაც მან თავისი ალყის მოხსნის მიზეზი ახსნა.

**– რა ვითარებაში, ანდა, რატომ დათმო გიორგი მეორემ ტახტი დავით აღმაშენებლის ხელისუფლებაში მოსვლით?**

– გიორგი მეორეს საქციელი არის ერთერთი სასიამოვნო გამონაკლისი, რომლის შედეგადაც მან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, დაადგა გვირგვინი თავის მემკვიდრეს და აკურთხა მეფედ. აღსანიშნავია, რომ იმ წელს საქართველოში ზედიზედ რამდენიმე ძლიერი მიწისძვრა მომხდარა, რომელმაც დიდი ნგრევა გამოიწვია ქვეყნის მასშტაბით, იყო მსხვერპლიც. შესაძლებელია, ეს სტიქიური უბედურება განგების რისხვად იქნა აღქმული, როგორც ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილება უნდა მომხდარიყო სახელმწიფოში. არსებულ ვითარებაში გიორგი უძლური იყო გამოესწორებინა მდგომარეობა და საშუალება მისცა დავითს, მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგია ქვეყნის გადასარჩენად წარემართა. ფაქტია, რომ ამ გადაწყვეტილებამ მოსალოდნელზე მეტადაც კი გაამართლა. ისტორიკოსთა ნაწილი გიორგი მეორის ამ გადაწყვეტილებას, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად გადადგმულ იძულებით ნაბიჯს უწოდებს. თუმცა, ამის დაბეჯითებით მტკიცება სათანადო წყაროების უქონლობის გამო, არ ხერხდება და ფაქტი ფაქტად რჩება – გიორგი მეორემ მშვიდობიანად დაუთმო ასპარეზი თავის ერთადერთ ვაჟს, 16 წლის დავითს.

**ეკა სალაღაია**

**მსახიობი ბესო ზანგური 2014 წელს გამორჩეულად შეხვდა, რის მიზეზსაც ოჯახური გარემო ნამდვილად აძლევს. ჩვენი რესპონდენტი მესამე ბიჭის მამა გახდა, რის შემდეგაც, ოჯახში უკვე ორი ბესო ზანგური იცხოვრებს. შვილს სახელი დედამ, გვანცა წულეისკირმა შეურჩია და მისივე დაჟინებული თხოვნით, ახალშობილი, ბესო ზანგური – უმცროსი გახდა. შვილის დაბადებას ბესო თავადვე დაესწრო და აღიარა, რომ მამაკაცებმა ქალები კიდევ უფრო მეტად უნდა დააფასონ.**

# როგორია ორი ბესო ზანგურის ცხოვრება ერთ ოჯახში და ვინ ზრუნავს მათ კომფორტსა და საუკეთესო განწყობაზე



**ჩემს სიცოცხლეში უფალმა შვილის სახით სამი საოცრება გამომიგზავნა. მეოთხე საოცრებასაც აუცილებლად დაველოდები, ოღონდ გოგოს**

**– როგორი შეგრძნებაა, როცა სამი შვილის მამა ხდები?**

– საოცარი შეგრძნებაა, როცა შვილს ელოდები. ამაზე დიდი ბედნიერება, ღვთის საჩუქარი და წყალობა, არ არსებობს. ჩემს სიცოცხლეში უფალმა შვილის სახით სამი საოცრება გამომიგზავნა. მინდა, ისიც გითხრათ, რომ მეოთხე საოცრებასაც აუცილებლად დაველოდები, ოღონდ გოგოს. ხომ ხედავთ, გოგოს ძებნაში სამი ბიჭი გავაგორე.

**– პატარას შენი სახელი დაარქვით. ეს ვისი იდეა იყო?**

– მართალია, წინააღმდეგი ვიყავი, ოჯახში კიდევ ერთი ბესო ზანგური გვყოლოდა, მაგრამ გვანცას დაჟინებული თხოვნით, მესამე შვილს ჩემი სახელი დავარქვით. სახელის შერჩევა ჯერ კიდევ მაშინ დავიწყეთ, სანამ ბავშვის სქესს გავიგებდით. შევთანხმდით, რომ თუ გოგო დაიბადებოდა, სახელს მე დავარქმევდი. ეს კი, მგონი, ყველამ იცის, რომ გოგოს შემთხვევაში, მარიამი გაჩნდებოდა. თუ ბიჭი გვეყოლებოდა, გვანცას არჩევანს გავიზიარებდი. მან კი ბესო ამოირჩია. რომ მითხრა თავისი არჩევნის შესახებ, ცოტა მეუხერხულა შვილისთვის ჩემი სახელის დარქმევა, რადგან ჩემი სახელით ისე ვერ მოვეფერებოდი. გვანცამ გაიმარჯვა, მაგრამ იმაზე მაინც შევთანხმდით, რომ მისი ნათლობის სახელი ნიკოლოზი იქნება.

**– მოკლედ, ოჯახში ბესო ზანგური – ჯუნიორი გყავთ, რომელიც შენი და გვანცას პირველი საერთო შვილია. როგორი იყო მისი მოლოდინი?**

– ჯუნიორს არაფრით შევუწუხებივართ. ძალიან უპრობლემო ფეხმძიმობა ჰქონდა გვანცას, თუ არ ჩავთვლით, მცირე ტოქსიკოზს. თუმცა, როცა ზანგური გყავს მუცელში, ცხოვრებაში ტოქსიკოზიც უნდა აიტანო. ძალიან დიდი სტრესი გადაიტანა ამ 9 თვეში გვანცამ, მაგრამ დაუფასდება.

სანამ პატარა ჩაისახებოდა, მე და გვანცამ ძალიან ბევრი ვიმოგზაურეთ, რადგან ორივეს ძალიან გვიყვარს ხეტიალი. ახლა კი პატარამ თავისი კანონები დაგვიწესა და მისი წყალობით, ახალ წელს საქართველოში შევხვდი. მინდა გითხრათ, ბოლო 7-8 წელია, ასეთი რამ არ მომხდარა. ის უკვე ჩვენი გენერალია და მასზე ვართ ყველანაირად დამოკიდებული, რაც ძალიან სასიამოვნოა.

**– სულ რამდენიმე დღით გვიან რომ ემშობიარა გვანცას, პირველი და მესამე შვილის დაბადების თარიღები ერთმანეთს დაემთხვეოდა.**

– ჰო, ჩემი პირველი შვილი – ლუკა, 1 იანვარსაა დაბადებული და ცოტა ავცდით მის დაბადების დღეს.

**– ყველა აღიარებს, რომ ცოლმა ძალიან შეგცვალა, გვანცამ მოახერხა ის, რომ ბესო ზანგური დამშვიდებული და გაცილებით დასერიოზულებულია დღეს.**

– კი, გეთანხმები, ასეა. საერთოდ, ქება არ მიყვარს, მაგრამ ჩემში ასეთ ცვლილებას, პირდაპირ მეუღლეს მივაწერ. მან ყველანაირი პირობა შემიქმნა, რომ დავმშვიდებულიყავი. თავის თავზე აიღო ბევრი რამ. როგორც ხედავთ, ჯერჯერობით გამოსდის, ანუ სამეგრელომ მაინც თავისი ქნა.

**– ანუ, ბესო ზანგურმა თავისი სასურველი ქალი იპოვა და ის გვანცა წულეისკირია.**

– საერთოდ, წინასწარ არაფრის თქმა არ მიყვარს, მაგრამ ასეა. მშვიდად ვარ და ვაღიარებ, რომ ასე კომფორტულად თავი არასდროს მიგრძნია. სიყვარული, რომელსაც გვანცას მიმართ განვიცდი, არ გამნელებია. პირიქით, გაძლიერდა კიდეც ჩვენი გრძნობა. ძალიან მინდა, რომ ასე გაგრძელდეს. ჩემი ცხოვრება ისე კარგად წავიდა, რომ არ მინდა, ამაზე ბევრი ვილაპარაკო – თვალი არ მეცეს. მართლა ძალიან კარგად ვგრძნობ თავს რაც მთავარია. გრძნობაში, რაც ყველაზე მეტად, მე, ემოციურ ადამიანს, მინდოდა და მაბედნიერებს, ეს ჩემი შინაგანი მდგომარეობაა. როცა აქ კარგად ვგრძნობ თავს, მერე უკვე გარე სამყარო კარგავს ჩემთვის აზრს.

> **მე ყოველთვის ვამშვიდებდი იმ ადამიანებს, ვისაც ჩემი მეოჯახეობის არ სჯეროდა, რომ აუცილებლად მოვა გაზაფხული-მეთქი და ასეც არის. ჩემი რჩევაა, ყველა დამშვიდდეს და თავის პირად ცხოვრებას მიხედოს**

**– მართალია, მეუღლე ყველანაირად გიწყობს ხელს თავი კომფორტულად იგრძნო, მაგრამ შენ თავად თუ ზრუნავ მასზე ანალოგიურად?**

– რა თქმა უნდა, აბსოლუტურად იგივენაირად არის ყველაფერი.

**– ანუ, ბუმერანგის სისტემით მუშაობთ?**

– არა, ჩვენ უბრალოდ ოჯახური სისტემით ვმუშაობთ, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

**– იმ ადამიანებს, ვისაც შენში ეჭვი ეპარებოდა და ფიქრობდა, რომ ოჯახური ურთიერთობებისთვის მზად არ იყავი, გაუქარწყლე მოლოდინი?**

– მე ყოველთვის ვამშვიდებდი მათ, ვისაც ჩემი მეოჯახეობის არ სჯეროდა, რომ აუცილებლად მოვა გაზაფხული-მეთქი და ასეც არის. ჩემი რჩევაა, ყველა დამშვიდდეს და თავის პირად ცხოვრებას მიხედოს. მერწმუნეთ, ეს საუკეთესო გამოსავალია მათთვის. პრობლემა არ არის, თუ სურვილი ექნებათ, ჩავახედებ ჩემს პირად ცხოვრებაში. მაგრამ, ზოგს შეიძლება, „გაუტყდეს" ისეთ რაღაცეებში ჩავახედო. ამიტომ, ჯობია, თავის ოჯახებს მიხედონ.

**– საუბრის ბოლოს, ისიც მითხარი, თეატრში რა ხდება, სიახლეები თუ გაქვს?**

– ბატონი რობერტი ჩამოვიდა და ახალ სპექტაკლზე მუშაობას იწყებს. ის მითქმა-მოთქმა, რომ რუსთაველის თეატრში სპექტაკლები არ იდგმება, სიმართლე არ არის. ვიცი თეატრები, სადაც თვეში 8 სპექტაკლი იდგმება, მაგრამ საქმე რაოდენობაში კი არა, ხარისხშია. სპექტაკლი, რომელზეც ბატონი რობერტ სტურუა იწყებს მუშაობას, დარწმუნებული ვართ, ის ხარისხი იქნება, რომელსაც რობერტ სტურუას ხარისხი ჰქვია. პარალელურად, სხვა რეჟისორებიც მუშაობენ სხვადასხვა სპექტაკლზე.

**– კინოდან ხომ არ გაქვს შემოთავაზება?**

– არასდროს მქონია სურვილი და სხვათა შორის, ახლა გამიჩნდა, რომ ფილმში ვითამაშო. ძალიან მინდა და ვეძებ აგენტს, რომელიც ამ საკითხს მიხედავს.

**– არც სერიალებში ჩანხარ და რატომ?**

– ეს უკვე შეგნებულად, რადგან ეს ჩემი პრინციპია – არა სერიალს!

**– გასული წელი როგორი იყო შენთვის როგორც მსახიობისთვის?**

– ძალიან კარგი წელი იყო იმ მხრივ, რომ უპირველესად, სტურუა დაბრუნდა რუსთაველის თეატრში, აღდგა ის სპექტაკლები, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს იქნა განადგურებული, მათ შორის, „ჯარისკაცი, დაცვის ბიჭი, სიყვარული და პრეზიდენტი." დღეს თეატრში ბევრი საინტერესო რამ ხდება. ასე რომ, 2013 ძალიან მსუყე და კარგი წელი იყო და მინდა, 2014 უკეთესი თუ არა, ისეთივე მაინც იყოს.

**მარიკა ხიდურელი**

**რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი დიანა ღურწკაია უკვე წლებია, რუსული შოუ-ბიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენელია და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი სიამოვნებით დაგვთანხმ-და ინტერვიუზე „თბილისელების“ მკითხველებისთვის. თუ როგორია მომღერლის გეგმები და როგორ გაატარა მან საახალწლო დღეები, ქალბატონმა დიანამ სიამოვნებით გვიამბო.**

# იქნება თუ არა სოჭის ოლიმპიადისა და პარაოლიმპიადის ელჩი დიანა ღურწკაია მეჩირადღნე და სად გაჟღერდა მისი შესრულებით ოლიმპიადის სიმღერა

**– როგორც ყოველთვის, საახალწლო კონცერტებში აქტიურად იყავით ჩართული.**

– ძალიან კარგი კონცერტები ჩატარდა ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე, რომლებშიც მეც მივიღე მონაწილეობა. საახალწლო „ორ ვარსკვლავშიც“ მიმიწვიეს. ფორმატის მიხედვით, ძველი სიმღერა ახალი არანჟირებით ჩაიწერა და ერთ-ერთ ახალგაზრდა შემსრულებელთან ერთად დუეტში ვიმღერე. სიმღერა შევასრულეთ მულტფილმიდან „ანასტასია,“ რომელიც ძალიან კარგი გამოვიდა. ეს პროექტის მუსიკალური რედაქტორის იდეა იყო, რომელშიც პირველად მივიღე მონაწილეობა. რაც შეეხება ახალი წლის ღამეს, ზუსტად 12 საათზე, მილოცვის შემდეგ, უკვე სცენაზე ვიდექი. ეს კონცერტი ღია ცის ქვეშ ჩატარდა, რომელიც მომავალ ოლიმპიადას ეძღვნებოდა და მასში ბევრი ვარსკვლავი მონაწილეობდა, მათ შორის ერთ-ერთი მეც ვიყავი. ამ კონცერტზე ჩემი შესრულებით ოლიმპიადის სიმღერა გაჟღერდა. გამოსვლის შემდეგ წავედით და მთელი ჩვენი დიდი ოჯახი ერთად ვიყავით ახალი წლის ღამეს ჩემი ძმის ოჯახში. მანამდე, რა თქმა უნდა, ბავშვებთან თოვლის ბაბუაც მივიდა, რომელსაც ყოველ წელს ვიწვევთ. მოკლედ, რომ მივედით, ბავშვებს დიდი ჟრიამული ჰქონდათ. ჩვენი დიდი ოჯახი ტრადიციებს არასდროს ივიწყებს და ახალი წლის ღამეს ყველანი ვულოცავთ და საჩუქრებსაც ვჩუქნით ერთმანეთს. სადაც არ უნდა იყო, შენი ტრადიცია არ უნდა დაივიწყო, პირიქით, უნდა გაიხარო ამით. ერთად ვიყავით მთელი ოჯახი შობის დღესაც. რა თქმა უნდა, სადაც სუფრაა, იქ აუცილებლად ჟღერს ქართული სიმღერები, ხოლო, სადაც ქართული სიმღერა აჟღერდება, იქ მე ვარ ყოველთვის, როგორც წესი.

> **მე საქართველოდან არ წავსულვარ, რადგან, სულით და გულით იქ ვარ. ამიტომ, შვილსაც იმავე ტრადიციებით ვზრდი**

**– სოჭის ოლიმპიადა ახსენეთ საუბრისას და მართალია, რომ ერთ-ერთი მეჩირადღნე თქვენ უნდა იყოთ?**

– დიახ, ეს სიმართლეა, მეჩირადღნე ვიქნები. მე ვარ სოჭის ოლიმპიადისა და პარაოლიმპიადის ელჩი უკვე რამდენიმე წელია და, ამიტომ, ყოველთვის ვიღებ მონაწილეობას, როცა მეძახიან, მხარდაჭერაა საჭირო თუ ასე შემდეგ. როცა ერთ-ერთ მეჩირადღნედ მიმიწვიეს, მოსკოვში არ ვიყავი, ვისვენებდი. როგორც ელჩი, აუცილებლად უნდა შევხმიანებოდი მიწვევას და, ცხადია, თანხმობა უნდა მეთქვა. ეს ძალიან დიდი ოლიმპიადაა.

**– როგორც ვიცი მეჩირადღნეთა შორის სოფო შევარდნაძე და თიკა კანდელაკიც არიან.**

– ნამდვილად არ ვიცი, სხვა არ გავეცნობივარ.

**– ამერიკის თემას მინდა შევეხო. როგორც გავიგე, ცოტა ხნის წინ კონსულმა უარი გითხრათ ამერიკაში გამგზავრებაზე, მიზეზი კი, ცოტა არ იყოს, უცნაურია.**

– ამერიკაში არაერთხელ ვყოფილვარ გასვლით კონცერტებზე და, ასევე, დასასვენებლად. წელს რატომ მოხდა ასეთი რამ, არ ვიცი. არავის არაფერი უთქვამს, ჩვეულებრივად გადავიღე სურათი და საბუთები ჩავაბარეთ. ამის შემდეგ, ერთ დილას, 10 საათი იქნებოდა, სახლში დამირეკეს და მითხრეს, რომ მათ სჭირდებოდათ ფოტო, რომელსაც უსათვალოდ გადავიღებდი. არანაირი რეაქცია არ მქონია და ემოცია არ გამომიხატავს, მათ თავისი სამსახური აქვთ, მე – ჩემი და ყველა თავის საქმეს აკეთებს. მადლობა გადავუხადე ინფორმაციისთვის და ისიც ვუთხარი, რომ, რადგან მე გახლავართ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი, რადგან მე ვარ უსინათლო, ჩემთვის სათვალე მხოლოდ აქსესუარი არ არის, ის ჩემი ცხოვრების ნაწილია-მეთქი. მთელი ჩემი ცხოვრება სათვალით დავდივარ და მას მხოლოდ მაშინ ვიხსნი, როცა ძალიან ახლობელი ადამიანები მყავს გარშემო. შემდეგ ამ ინფორმაციამ პრესაშიც გაჟონა და ფართო მასებისთვის გახდა ცნობილი ამ ფაქტის შესახებ, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. საბოლოოდ, საბუთები დამიბრუნეს, პასუხად კი მითხრეს, რომ დამატებით განიხილავდნენ ამ საკითხს. ჯერ არავის არაფერი განუხილავს და სიმართლე გითხრათ ვერც ვხვდები რეალურად რაშია საქმე. ერთადერთხელ მქონდა იგივე პრობლემა ბრიტანეთის საელჩოსთან, მაგრამ როგორც კი გაირკვა ყველაფერი, ბრიტანეთის ელჩმა ბოდიშის წერილი გამოგვიგზავნა და ჩემი ფოტო ისეთი მიიღერს როგორიც გადაღებული მქონდა. კი მინდოდა ამერიკაში წასვლა ოჯახთან ერთად კიდევ ერთხელ, მაგრამ რა ვქნა, ღმერთმა ჯანმრთელობა მოგვცეს და ყველაფერს მოვეევლება.

**– ხმა გავრცელდა დიანა ღურწკაია ფეხმძიმედ არისო და მართალია?**

– არა, არა, ეს არ არის მართალი, თორემ, აუცილებლად გეტყოდით. რას ამბობთ, 48 კილოგრამს ზემოთ არ ვარ აწეული.

**– სურვილი თუ გაქვთ, ექვსი წლის შემდეგ მეორე შვილის გაჩენის?**

– ყველაფერი უფლის ნებაა. ძალიან მიყვარს ბავშვები და მათზე უარს არასდროს ვიტყვი. იმ დონეზე ვარ ჩემი შვილით ბედნიერი, რომ, საერთოდ, არ ვიცი, მის გარეშე როგორ ვცხოვრობდი. შვილის დაბადების შემდეგ აბსოლუტურად ყველაფერი იცვლება და სულ სხვა ფერებში ხედავ ყველაფერს. რა თქმა უნდა, გასაკვირია, მე რა ფერებზე უნდა ვილაპარაკო, მაგრამ, რაღაც შინაგანად ხდება ისე, რომ მართლა სულ სხვა ფერებში ვხედავ ყველაფერს. სხვანაირად ჟღერს ირგვლივ ყველაფერი და სულ სხვანაირად ვცხოვრობ. ჩემი ბიჭი უკვე 6 წლის არის და მომავალ წელს სკოლაშიც შევდივართ. სკოლამდელშიც დავდივართ, მუსიკალურშიც, მაგრამ, ჩვენი მთავარი ეპიცენტრი ქართული ცეკვებია – ეს დედამისის, ანუ, ჩემი ოცნებაა. ამიტომ, ჩემი ბიჭი აქტიურად დადის ქართული ცეკვების გაკვეთილებზე. ეს არის ქართულ ხელოვნებასთან და კულტურასთან შეხება და ბავშვმა ეს უნდა იცოდეს. მე საქართველოდან არ წავსულვარ, რადგან, სულით და გულით იქ ვარ. ამიტომ, შვილსაც იმავე ტრადიციებით ვზრდი.



შვილის დაბადების შემდეგ სულ სხვა ფერებში ვხედავ ყველაფერს. რა თქმა უნდა, გასაკვირია, მე რა ფერებზე უნდა ვილაპარაკო, მაგრამ, რაღაც შინაგანად ხდება ისე, რომ მართლა სულ სხვა ფერებში ვხედავ ყველაფერს

**– ინტერვიუს ჩაწერას სანამ დავიწყებდით, მითხარით, რომ „ფეისბუქში“ იყავით შესული. არ ვიცოდი, სოციალური ქსელით თუ სარგებლობდით.**

– თუ ყველა სარგებლობს სოციალური ქსელით, რატომ არ უნდა გავაკეთო მე საკუთარი გვერდი „ფეისბუქზე“? აიფონური სისტემა მაძლევს იმის საშუალებას, რომ სოციალური ქსელით უპრობლემოდ ვისარგებლო.

**– როცა ამ ინტერვიუს მკითხველი გაეცნობა, დარწმუნებული ვარ, ბევრი მოისურვებს თქვენთან დამეგობრებას „ფეისბუქში“.**

– ერთადერთი პრობლემა ის მაქვს, რომ, როცა ლათინური ასოებით წერენ, აიფონის სისტემა ცუდად კითხულობს, მაგრამ, რაღაცნაირად მაინც ვახერხებ, ნელ-ნელა ამასაც ვეჩვევი. რაც შეეხება მეგობრებს, ჩემები სახლში დამცინიან, როგორ შეიძლება, ყველა დაიმეგობრო. მერიდება, უარი როგორ ვუთხრა, მერე სხვანაირად მიიღებენ – ღურწკაიამ უარი გვითხრა დამეგობრებაზეო. უკვე იმდენი მეგობარი მყავს, ახლებს ვეღარ ვიმატებ. სხვათა შორის, გუშინ ვამბობდი, რაღაცნაირად ისე უნდა გავაკეთო, რომ ყველა დავიმატო-მეთქი.

**– საქართველოში როდის გეგმავთ ჩამოსვლას?**

– ძალიან მინდა ჩამოსვლა, აქამდეც უნდა ჩამოსულიყავი, მაგრამ, არ მოხერხდა. აუცილებლად ჩამოვალ და დავასრულებ იმ ალბომს, რომელიც ჩაფიქრებული მაქვს. ალბომს, შეიძლება, მოჰყვეს პრეზენტაცია, პრეზენტაციას – კონცერტი. საქართველოში ძალიან დიდი კონცერტის ჩატარება დღეს ჩემი დიდი ოცნებაა და, იმედი მაქვს, ეს ოცნება ამისრულდება.

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**მანდელა**: ბოღმის გულში ჩადება ჰგავს შხამის დალევას იმ იმედით, რომ შენი მტრები მოიწამლებიან.

**ლანდაუ**: საჩუქარს არჩევენ სამი ნიშნის მიხედვით: დიდი, ძვირფასი და არასაჭირო.

**ბაირონი**: ქორწინება წარმოიქმნება სიყვარულის შედეგად, როგორც ძმარი ღვინისგან.

**ბისმარკი**: ერიდეთ ადამიანს, ვინც მხოლოდ იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს.

**ბოდლერი**: შრომა ისეთი მოსაწყენი არ არის, როგორც გართობა.

**პიკასო**: ადამიანების შორისაც კოპიო უფრო მეტია, ვიდრე ორიგინალი.

**იონესკო**: მხოლოდ სიტყვებს აქვს მნიშვნელობა, ყველა დანარჩენი ლაყბობაა.

**კაზანოვა**: თუ გინდა, სხვას ცრემლი ადინო, თვითონ ატირდი, მაგრამ თუ გინდა სხვა გააცინო, შენ არ უნდა იცინო.

**კალიგულა**: თუნდ ვეზიზღებოდეთ, ოღონდ ეშინოდეთ.

**კანტი**: აზროვნებდე ნიშნავს შეგეძლოს საუბარი საკუთარ თავთან.

**მარციალი**: ბედმა ბევრს მისცა ბევრი, საკმარისი – არავის.

**ლევანტი**: მან იცოდა ყველა პასუხი და არც ერთი ამოხსნა.

**დოდე**: როცა არ ვლაპარაკობ, მაშინ არც ვფიქრობ.

**დიზრაელი**: ორი უდიდესი სტიმული მსოფლიოში არის ახალგაზრდობა და ვალები.

**დეკარტი**: განმარტოება უნდა სცადოთ დიდ ქალაქებში.

**ციცერონი**: ყველაზე რთული მეგობრობაში შენზე დაბლა მდგომისთვის თავის გატოლებაა.

**ფრანკლინი**: ბავშვებს გაჩუმება ასწავლეთ, ლაპარაკს თვითონ ისწავლიან.

**გოეთე**: არაფერია იმაზე საშინელი, ვიდრე ამოქმედებული უმეცრება.

**ფონტანე**: უბრალოება მარტოოდენ ყველაზე უკეთესი როდია, არამედ ყველაზე კეთილშობილიც.

**ლობგერგერი**: უბედურება ეწოდება ადამიანთა შემეცნების სკოლას.

**ბიორნე**: ტკივილი არის ნეტართა ბედნიერება. ყველაზე მეტად ის ცოცხლობს, ვინც ყველაზე მეტად იტანჯება.

**ჰიუგო**: ყველაზე დიდი ბედნიერება ცხოვრებაში იმის ცოდნაა, რომ ვიღაცას უყვარხარ.

**კამიუ**: სიყვარული ავადმყოფობის სახეობაა, რომელიც არც ჭკვიანებს ინდობს და არც ბრიყვებს.

**შოუ**: სისულელე არის პირდაპირი ნადირობა ბედნიერებასა და მშვენიერებაზე.

**როლფსი**: სატირიკოსი არის კაცი, რომელიც ცდილობს თავის ხაფანგში შეიტყუოს სპილო.

**გოეთე**: სასწაული ქმნილებაა წამისა.

**ავგუსტინე**: სასწაული ეწინააღმდეგება არა ბუნების კანონებს, არამედ იმას, რაც ჩვენ ვიცით ამ კანონების შესახებ.

**მაკმილიანი**: კარგ დიპლომატს ყოველთვის ახსოვს, რა უნდა დაივიწყოს.

**ამინადო**: განათლებული ადამიანები განცხადების მეშვეობით ქორწინდებიან, ხოლო გაუნათლებელი ადამიანები – სიყვარულით.

**გოლდვინი**: ქალმა იცის სიყვარულის აზრი, ხოლო კაცმა მისი ფასი.

# თუ გამოიცნობთ

1. **რომელ გეომეტრიულ ფიგურას შეადარა** ცნობილმა ფრანგმა მხატვარმა მატისმა 1909 წელს „ავინიონელი გოგონა", რაც მხატვრობის ერთ-ერთი მიმდინარეობის სახელს დაედო საფუძვლად?

2. შუა საუკუნეების იტალიურ რუკებზე ზუსტად იყო აღნიშნული ქალაქები – პომპეი და ჰერკულანიუმი, რომლებიც ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 79 წელს განადგურდა ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად. საინტერესო ის არის, რომ ამ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი მათი არსებობის შესახებ – ვულკანის მაგმისგან დაფარული ქალაქები მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გათავისუფლდა. **როგორ აღმოჩნდა შუა საუკუნეების რუკაზე ეს ქალაქები?**

3. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, მისმა მოსახლეობამ აქტიურად დაიწყო შერევა გერმანელებთან, რასაც მათი გაქრისტიანება მოჰყვა. 761 წელს კი რომის ეკლესიამ გამოსცა განკარგულება, რომ მონათვლისას ყველა ბავშვს ქრისტიანული სახელი დარქმეოდა. გერმანელები სასტიკად შეეწინააღმდეგნენ ამ ბრძანებას, თუმცა საბოლოოდ მაინც მივიდნენ კომპრომისამდე, რომელიც, ცოტაოდენი ცვლილებით, მაგრამ, დღესაც მოქმედებს. **რა ცვლილებაა ეს?**

4. მასშტაბისა და საქმიანობის მიხედვით, რუსეთში დაბალი პოლიციური ჩინი სამ ჯგუფად იყოფოდა: „გოროდოვოი", „სმოტრიტელი" და... **რომელი იყო ყველაზე დაბალი ჩინი?**

5. 1893 წელს საკვირაო სკოლის მასწავლებლებმა ერთ-ერთი ინგლისური ხალხური სიმღერა – „დილა მშვიდობისა ყველას", გადააკეთეს და მიიღეს მისალმება ერთისთვის, რომელსაც დღეს თითქმის მთელი მსოფლიო მღერის. **რას?**

6. დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნემდე რუსეთში, ზამთარში, შესაძლებელი იყო ასეთი სურათის ნახვა: 10-15 ცხენი ეწეოდა მძიმე ქვებით დატვირთულ უზარმაზარ ციგას. **რას აკეთებდნენ ისინი?**

7. ყველასთვის ცნობილია, რომ რომი 7 ბორცვზეა გაშენებული. ერთ-ერთი ბორცვი კი, კოლინა-დი-ტესტა, სხვებისგან სრულიად განსხვავებული აგებულებისაა. **რით არის ის უჩვეულო?**

8. თითქმის ყველა ქვეყნის კუპიურებზე გამოსახულია გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები. **რატომ?**

9. იაპონიის ცნობილი ფირმა „ტოშიბა" ცნობილია იმით, რომ მის ტერიტორიაზე უამრავი წყალსატევია, რომლებშიც ქარხანაში გამოყენებული და შემდეგ გასუფთავებული წყალი ჩაედინება და შიგ ძვირად ღირებული დეკორატიული თევზები დაცურავენ. თუმცა, ეს თევზები აქ მხოლოდ სილამაზისთვის არ მოუშენებიათ. **რას ემსახურებიან ისინი?**

10. ამ ადამიანთა ემბლემა კაჭკაჭი იყო, როგორც ყველაზე „მოლაქლაქე" ფრინველი. **რას აკეთებდნენ ეს ადამიანები?**

***პასუხები იხილეთ მე-66 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ფინელ მხატვარს, კაი-რიიტი იივონენს, აქვს ნაძვის ხის უცნაური სათამაშოების დიდი კოლექცია, სადაც ნახავთ საბჭოთა კოსმონავტებს, ჩინურ ძროხებს, გერმანულ შხამა სოკოებს და ბერძენ მღვდელმსახურებსაც კი...

* ეგვიპტელები, როდესაც მშვენიერების გამოსახვა სურდათ, არფას ხატავდნენ.

* ინდონეზია – პოლონეთი, სპილოს ძვლის სანაპირო – ირლანდია, გვინეა – მალი, ბოლივია – ეთიოპია... ამ ქვეყნების სახელმწიფო დროშები იდენტურია, ოღონდ, ამობრუნებული.

* ეს ხე სოჭში იზრდება: ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, გრეიპფრუტის – სულ 30 ჯიშისა და 6 სახეობის ციტრუსის ვეგეტატიური ჰიბრიდი. მას „მეგობრობის ხეს" უწოდებენ.

* გერმანიის ქალაქ ფრიდრიხსაფენში საზღვაო ვაგზლის გადაკეთებულ შენობაში გაიხსნა დირიჟაბლების მუზეუმი. ყველაზე დიდი ექსპონატის სიგრძე 248 მეტრია. სწორედ ამ ვაგზლიდან გავიდა 60 წლის წინათ პირველი სარეისო „ცეპელინი".

* ანა ბურგუნდიელი პირველი ქალი იყო, რომელმაც ნიშნობის ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მიიღო, რომელიც მას 1477 წელს გერმანიის მეფემ, მაქსიმილიან პირველმა უძღვნა.

* ინგლისში ქალ მერსაც ისევე მიმართავენ, როგორც კაცს – „მისტერ მერ".

* 1900 წელს პარიზში მსოფლიო გამოფენისთვის მოამზადეს ატრაქციონი მოგზაურობის მოყვარულთათვის, სადაც ადამიანს „მგზავრობისას" გზის ორივე მხარეს შეეძლო თითქმის რეალური სურათების დანახვა. მაგალითად, გემით მოგზაურობის დროს გარემო იმდენად ახლოს იყო სინამდვილესთან, რომ, შეიძლებოდა, „მოგზაური" ზღვის ავადმყოფობითაც კი დაავადებულიყო.

* 1645 წელს ბელგიელმა ვან ლანგრენმა 300-ზე მეტი ახალი გეოგრაფიული ობიექტის სახელი შეიტანა ასტრონომიაში. ლანგრენი მთვარეს შეისწავლიდა და ეს სახელებიც სწორედ დედამიწის ამ ბუნებრივ თანამგზავრზე არსებულ ობიექტებს დაარქვა.

* ქალაქებს: ჰამბურგს, ანტვერპენსა და დუდინკს საზღვაო პორტები აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ზღვის სანაპიროზე არ არიან გაშენებული.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლF3-d1!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




გურიაში უდენობაა. ოჯახი ადრე დაწვა დასაძინებლად... არ ეძინებათ. ცოლ-ქმარი სა-




ქმეს შეუდგა... კედლიდან ბათქაში ჩამოვარ-და...

– ე, ცოტა ფრთხილად, სანამ ერთს გააკ-ეთებთ, სამი გაზრდილი არ დაგვხოცოთ, – გადმოსძახა პატარა გურულმა.

***

გინდათ ახალი წლის შემდეგ საუკეთესო გასახდომი დიეტა? – შეაბრუნეთ მაცივარი ისე, რომ კარი კედლისკენ მოექცეს...

***

სატელეფონო გამოკითხვა 1 იანვრის 12-დან 1 საათამდე:

გამოკითხულთა 2-მა პროცენტმა უპასუხა: „ალო“, 3-მა პროცენტმა: „დიახ“, დანარჩენ 95 პროცენტს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

***

– მობრძანდით, ნამდვილად სწორად შეა-რჩიეთ ჩვენი მაღაზია, საახალწლოდ თქვენი საყვარელი გოგონასთვის შესანიშნავი საჩუქ-არი შეგიძლიათ, შეიძინოთ.

– არ მყავს საყვარელი გოგონა...

– დაუჯერებელია... ასეთ სიმპათიურ, წარ-მოსადეგ ახალგაზრდას?

– ცოლი არ მაძლევს ამის უფლებას.

***

გასაუბრებაზე სამსახურში მისაღებად:

– ჩვენთან მოსვლამდე რა რაოდენობის ხე-ლფასის შემოთავაზებას ვარაუდობდით?

– იმდენის, რამდენზედაც ვიტყვი: „აუ, ეს სულ მე?!“

***

ზესტაფონის სადგურში მატარებელს ბალ-ეტის მოცეკვავე გოგონა ელოდება. დრო რომ არ დაკარგოს, თავისი პარტიის ილეთებს იმ-ეორებს...

– დაია, ნუ წვალობ, მოასწრებ, ტუალეტი აქვეა... ორი ფეხის ნაბიჯზე... მიგაცილებ თუ გინდა, – შეეცოდა ზესტაფონელს.

***

ადვოკატთან მიდის ძალიან მდიდარი ტი-პი, დიპლომატი წინ დაუდო და ეუბნება:

– აი შენ ასი ათასი, დოლარებში... ოღ-ონდ, ისე გააკეთე, რომ ერთი წელი მომცე-ნ...

– მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ...

– არ მაინტერესებს, შენ რას ფიქრობ! მო-იქეცი ისე, როგორც მე გითხარი...

სასამართლოს შემდეგ.

– ყოჩაღ, როგორ მოახერხე, რომ მოსამა-რთლეს ერთი წელი გამოსტყუე, ნამდვილად იმსახურებ იმ საჩუქარს... ალბათ, ძალიან გა-წვალდი.

– მართალია, ძალიან გამიჭირდა, იმას ხომ სასამართლოს დარბაზიდან გაშვება უნდოდა...

***

– შეყვარებულს მართლა დაშორდი? კი მა-გრამ, ერთი წელი ხვდებოდით ერთმანეთს?

– ჰო და მთელი ეს ერთი წელი ტვინი შემიჭამა: არ გიყვარვარ, არ გიყვარვარო, ჰოდა, დამაჯერა...

***

– იცი, ისრაელში, თურმე, საერთოდ არ ყოფილან მათხოვრები...

– ჰო, რა თქმა უნდა, იქ სხვას ვინ რას მისცემს.

***

ორი დაქალი ბარში – კოქტეილით გაბრუ-ებულები.

– შეხედე, ჩვენგან მარცხნივ, ხედავ ორ ბებერ კახპას? ჩვენც ასეთები ვიქნებით 10 წლის შემდეგ...

– შტერო, ეს ხომ სარკეა!

***

– გელა, ადექი! ადექი-მეთქი, სამსახურში დაგაგვიანდება... გელა, ეგრე არა, მთლიანად ადექი!

***




ნაბახუსევზე გაიღვიძა ტიპმა, ჩაიცვა... და სიხარულისგან გადაირია, როცა ჯიბეში 100-ლარიანი აღმოაჩინა. თუმცა, ღიმილი მაშინვე გაუქრა სახიდან, როცა მეორე ჯიბეში ბანკომატიდან 500 ლარის მოხსნის ქვითარი ნახა.

***

მიფრინავს კრიზისი ამერიკის თავზე: „ო, აქ კარგად მიმუშავია!“

მიფრინავს კრიზისი ევროპის თავზე: „აქ-აც მშვენივრად მომინდომებია!“

მიფრინავს კრიზისი საქართველოს თავზე: „კი მაგრამ, ეს ამბავი ვინ ქნა, ჩემ გარეშე?!“

***

ამქვეყნად სამი არსებაა, რომელიც – 10 გრადუს სიცივეზეც არ იყინება: პინგვინები, პოლარული თეთრი დათვები და მოკლეკაბია-ნი გოგონები...

***

გინდა, იცოდე, როგორია მამაკაცი? – და-ათვრე.

გინდა, იცოდე, როგორია ქალი? – გააბრ-აზე.

## ცნობილი ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

მსახიობმა მიხეილ გელოვანმა, რომელიც სტალინის როლს ასრულებდა, მოითხოვა, რი-წის ტბაზე, სტალინის აგარაკზე ჩაესახლები-ნათ. როდესაც ამის შესახებ სტალინს მოახს-ენეს, მან იკითხა:

– მაინც, რატომ უნდა გელოვანს რიწაზე ცხოვრება?

– უნდა, რომ თქვენს ხასიათს ჩასწვდეს.

– მაშინ, ტურუხანსკის გადასახლებიდან და-იწყოს, – ჩაილაპარაკა სტალინმა.

***

საზეიმოდ ხსნიან სერგო ორჯონიკიძის ძეგლს. ერთმა პარტმუშაკმა ნოდარ დუმბაძეს გადაუჩურჩულა – ძეგლისთვის ეს შეუფერებ-ელი ადგილი რატომ შეურჩევიათო.

– რაც კარგი ადგილი იყო საქართველოში, გაჩუქა მაგ შეჩვენებულმა და, რაც დარჩა,




აგიაო, – მწარედ ჩაიღიმა ნოდარმა.

***

აკაკი მასკარადზე იყო, მაგრამ, მოწყენი-ლი და მოლვრემილი დადიოდა.

ერთი ბებერ დედაკაცად ჩაცმული „მასკა“ აეკვიატა და საშველს არ აძლევდა:

– რას მოგიწყენია? წამალი მე ვიციო.

– არა, ჩემო კარგო, ძველი აფთიაქიდან მე წამალს არა ვხარჯამო, – უთხრა აკაკიმ.

***

ბერი მაჭუტაძე სადილად ერთ ოჯახს ეწვია. ოთხშაბათი იყო. სხვებს ხორცი მოართვეს, ბერმა კი ლობიო მოატანინა. ერთმა ღარიბმა თავადმა ლობიოს დანახვაზე შესძახა:

– ბერო, ეგ რა არისო?

– ეგ ის არის, რასაც სხვის სახლში მარხ-ვაშიაც არ კადრულობ და შენსაში – ხსნილშ-იაც კი ნატრულობო, – მიუგო ბერმა.

***

„სმა-ჭამა დიდად შესარგიო“, – ტყუილად არ უთქვამს რუსთაველს. ბაგრატ ბატონიშვი-ლმა, როგორც ქართველმა, კარგად იცოდა ეს მეთერთმეტე მცნება. იმასთან კაცი რომ შევ-იდოდა, აგრე მოიკითხავდა ხოლმე:

– როგორ გიკითხო, რასა იქმ, რა გიჭამია დღესაო?

# ავტომანქანა „ჟიგულისა“ და ლუდ „ჟიგულოვსკაიას“ ამბავი

ახლა ნაირ-ნაირი დასახელების ლუდი გამოდის – „ყაზბეგი“, „ნატახტარი“ და ასე შემდეგ. კომუნისტების დროს ყველაზე კარგი ლუდი (ბოთლის) „ჟიგულოვსკაია“ იყო და ვინც ამ ლუდს მიირთმევდა, კაციც ის იყო და ქუდიც მას ეხურა. სახელიც ჰქონდა და გვარიანი ლიპიც უთამთამებდა სასირცხვო ადგილის ცოტა ზემოთ, შილიფად მოჭერილ ხვანჯართან. ნუ დაიბნევით, ახლა სულ თავიდან დავიწყებ.

კომპოზიტორს, ჩვენს სიამაყეს, გიორგი ცაბაძეს, თავის აპარატში ერთი მოდასაყოლილი ერთგული თანამშრომელი ჰყავდა – რეზო ჯინჯოლია. გიორგი, როგორც ჩვენი ყველა ჯიგრიანი ხელოვანი, ყველას ეხმარებოდა თავისი ავტორიტეტით. რა დასამალია და კაცი წმინდა მართლმადიდებლურ საქმეს აკეთებდა, თუმცა ახლა ასეთ რამეს კორუფციად ნათლავენ.

კორუფცია რაცაა, მე პირადად ვერავინ მასწავლის. უბრალოდ, კაცი მოყვასს ეხმარებოდა, ისეთ რამეებში, რასაც ქრისტიანულად „ხელის შეშველება“ ჰქვია.

მოკლედ:

ერთხელ ეს რეზო გიორგის კაბინეტში შეიძურწა თხოვნით:

– „მოსკვიჩი“ მყავს, ბატონო გიორგი. აბა, დღეს „მოსკვიჩით“ ვინღა დადის?

– რა გინდა, კენზო?

– კენზო არა, ბატონო გიორგი, რეზო მქვია მე, რეზო...

გიორგი ცაბაძეს ერთი უცნაური თვისება ჰქონდა. ადამიანების სახელებს ვერაფრით ვერ იმახსოვრებდა. აიდარს ავლაბარს ეძახდა, ოლიას – თოლიას... ეგ კი არა ნუგზარ კვაშალს – ნუგზარ „კაშხალს“ ეძახდა.

– ჰო... რა გინდა, რეზო?

– ბატონო გიორგი, „ჟიგული“ მინდა – „03“ და თქვენ ხელი მიგიწვდებათ, თან თავის ფასში.

– თავის ფასში – ხილ-ბოსტანში! – გადაბჟირდა კომპოზიტორი... სადაა, კაცო, ეგრე?!




– მინდა, ბატონო გიორგი და რა ვქნა? დამეხმარეთ! – „ჟუვაჩკასავით“ გამოიწელა კისრის ქვეშ კანი ამან – რეზო-კენზომ.

– „ხარაშო, სლუშ... პადუმაემ!” – დაჰპირდა ცაბაძე.

გულმოწყალე კომპოზიტორმა კაბინეტიდან რეზოს გასვლისთანავე აკრიფა ტელეფონის ნომერი.

– „ზავტრა (რუსული ლაპარაკი უყვარდა) კვამ პრიდიოტ მოი ზნაკომი ჯონჯოლია... „ჟიგული” ხოჩეტ...

კარებიდანვე მობრუნდა მიყურადებული მთხოვნელი:

– „ნე ჯონჯოლია, ბატონო გიორგი ა– ჯინჯოლია“...

– „ნუ, ნე ადინ ხ...ი?!” – გადაბჟირდა კომპოზიტორი.

რეზოს სხვა გზა არ ჰქონდა და „წაუპადხალიმა“.

– „კანეშნა, ადინ ხ...ი,” ბატონო გიორგი, „ტოლკო, როსტ რაზნიე”!

ცაბაძემ იმდენი იცინა, ძლივს მოაბრუნეს.

– „ხარაშო, ხარაშო”... ჩემო კვებზო, „სდელაემ.. სდელაემ”?!

– დაბადების დღე მაქვს ორ თვეში და... მაშინ გამახარეთ... იუბილეზე.

– „ხარაშო... ხარაშო”... ჩემო რემზო...

ორმა თვემ მალე გაიარა...

გულაფანცქალებული იუბილარი სტუმრად მოსულ, საგანგებოდ დაპატიჟებულ ცაბაძეს მიეგება ორსართულიანი სახლის გაბრწყინებულ, გაბარბალებულ ეზოში.

გიორგი მანქანიდან გადმოვიდა.

– „პალუჩაი, ზაკაზ”! – მიათითა თავისი მანქანის საბარგულისკენ.

ძნელი მისახვედრი არაა...

მანქანიდან ერთი ყუთი ლუდი „ჟიგული“ გადმოიღეს.

– ეს რაა, ბატონო გიორგი? – პირი გააღო რეზო-კენზომ.

– „ტი ჟე გავარილ – „ჟიგული“? – ვოტ... პრინიოს”...

– ია... ია... ალუღლუღდა მასპინძელი იუბილარი, – „მაშინუ პრასილ, მაშინა „ჟიგული”.

– „ვოტ... ვ მაშინე პივა „ჟიგული“... ა ჩტო ტი ხაწელ?”

– „ია მაშინა „ჟიგული“ პაპრასილ, ბატონო გიორგი“...

– „აა... მაშინა „ჟიგული“? ეტო ჟე ოჩენ დოროგა სტოიტ, პარენ”... მომინდომე რა შენც, ჩენზოო!

ჯინჯოლიას პირი გაუშრა.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

**2013 წელი ქრისტინე ძიძიგურისთვის საკმაოდ წარმატებული იყო. მთელი წლის განმავლობაში მან არაერთხელ იმუშავა „დიორთან“ და ამით ბავშვობის ოცნება აისრულა. თუმცა, 2014 წელს ის კიდევ უფრო მეტ წარმატებას ელოდება და, ამ მხრივ, გარკვეული გეგმებიც აქვს. წელს ქრისტინე ახალ წელს პარიზში შეხვდა და მეგობრებთან ერთად, ძალიან კარგად გაერთო.**

# რას ტესტავენ „დიორის“ სამოდელო სახლში ქრისტინე ძიძიგურის სახეზე და როგორ გადაიღეს ის ფრანგული ჟურნალის ყდისთვის „ვერსაჩეს“ კაბაში

**ქრისტინე ძიძიგური**: წლის ბოლოს ყოველთვის ვფიქრობ და ვაჯამებ იმას, თუ როგორი წელი მქონდა. ყველაზე მეტად მაინტერესებს ჩემი ყოველდღიური განვითარება – სწავლა, მუშაობა, კარიერა. შესაბამისად, წლის ბოლოს შედეგებს ყოველთვის ვადარებ წინა წლებისას და ამის საფუძველზე ვგეგმავ მომავალი წლის გეგმებს. ვითვალისწინებ: რა შეიძლებოდა, უკეთ გამეკეთებინა, რა უნდა შემეცვალა და ასე შემდეგ. ყველაზე მეტად რისი დახვეწაც მინდა, ეს არის დროის მაქსიმალურად სწორად გამოყენება და მისი რაციონალურად ხარჯვა. ანუ, ეს არის ის, რის დახვეწაზეც ვმუშაობ ყოველ წელს.

**– და როგორია შედეგები?**

– უკეთესი შედეგები მაქვს, თან, წლიდან წლამდე უფრო ვსერიოზულდები, ასაკი მემატება, უფრო მოტივირებული ვხდები და მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდები ჩემს საქმეს.

**იტალიიდან მაქვს მიწვევა „ბალმანთან“ თანამშრომლობაზე. თებერვლის დასაწყისში გავემგზავრები. „ბალმან ჰეართან“ უნდა ვიმუშაო, ანუ თმის ხაზზე. პრინციპში, ჩემი ხაზია „ბიუთი“, რაც ძალიან მომწონს**



**– იყო 2013 წელს ისეთი რამ, რასაც მომავალში არ გააკეთებ და შეეცდები, აღარ გაიმეორო?**

– კარიერის მხრივ, ასეთი არაფერი ყოფილა, რადგან ამ მხრივ მე არაფერს ვგეგმავ. ყველაფერს სააგენტო, ჩემი ბუქერები მიგეგმავენ. უბრალოდ, საკუთარ თავს რასაც მოვთხოვდი, ეს არის კიდევ მეტი ვარჯიში და უფრო კარგ ფორმაში ყოფნა. რაც შეეხება სწავლას, ძალიან ვჩქარობ, რომ შევიდე სორბონაში მაგისტრატურაზე. ფრანგულს ვისწავლიდი კიდევ უფრო კარგად და შეიძლება გაგეცინოს, მაგრამ იცი, რას არ გავაკეთებდი წინა წელთან შედარებით? უფრო სერიოზულ ბიჭებს მივანიჭებდი უპირატესობას – ზრდასრულებს, ჩამოყალიბებულებს. თუმცა, სერიოზული ურთიერთობა არ მქონია და საერთოდ, ამ მხრივ, საკმაოდ სერიოზული ვარ. უბრალოდ, ამას უფრო მეტად გავითვალისწინებდი. ყველა ადამიანს უყვარს ფლირტი – სადმე, რომ მიდიხარ, ახალი ურთიერთობები რომ იწყება, ამას ხშირად მოჰყვება ფლირტი. ამიტომ, მეტ დროს დავუთმობდი ისეთ ადამიანს, ვისაც შეიძლება, უფრო სერიოზულად შევხედო. თუმცა, ყველაფერი დროს მოაქვს და მერე შენც სხვანაირად უყურებ.

**– ჯერ არ დამდგარა ეს დროს?**

– არა, ჯერ არ დამდგარა.

**– 2013 წელს, ალბათ, შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი „დიორის“ სახლში მუშაობა იყო, თან, არაერთხელ.**

– ჩემი ოცნება იყო და ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ვიქნებოდი „კრისტიან დიორის სახლში“ მოდელი – ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი, არ ვიცი, რა უნდა მომხდარიყო?! თავიდანვე, როცა პარიზში ჩამოვედი, მაშინვე მომცეს მაღალი მოდის ბრენდების ხაზი: „შანელი“, „დიორი“, „ივ სენ ლორანი“, მაგრამ მაშინ პატარა ვიყავი და საკუთარი თავის, შესაძლებლობების მაინცდამაინც არ მჯეროდა. მერე, იზრდები, პროფესიონალი ხდები და შენი სახელი გაქვს, მოდის სამყაროში გიცნობენ – რა თქმა უნდა, თუ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებ. მაგრამ, აქ იმდენი ლამაზი და კარგი გოგოა, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ „დიორის” პარფიუმის სახლში ვიმუშავებდი და ჩემი სახე მათ სტანდარტებს მოერგებოდა. ახლა უკვე მათთან პერმანენტულად ვმუშაობ, ქასთინგზე უკვე აღარ მივდივარ, თვითონვე მირეკავენ. თუ გამოდის „დიორის“ ახალი კოსმეტიკური პროდუქცია, ყველაფერს ტესტავენ ჩემზე. ანუ, თუ ცოცხალი მოდელი სჭირდებათ სამუშაოდ, პრეზენტაციები აქვთ, ან შიდა შოუები, მირეკავენ. მაგალითად, მაკიაჟის სხვადასხვა სტილს მიკეთებენ. ეს უნდა წარვადგინო შოუზე და მერე იწყება შეფასებები. ძალიან საინტერესო სამუშაო მაქვს და, რაც მთავარია, ისეთი თავაზიანები არიან, საოცარი პროფესიონალები, სულ სხვა სამყაროა. მათთან ურთიერთობაშიც ბევრ რამეს ვსწავლობ.

**ჩემი ოცნება იყო და ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ვიქნებოდი „კრისტიან დიორის“ სახლში მოდელი – ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი, არ ვიცი, რა უნდა მომხდარიყო?!**

**– 2013 წელს შენი მეორე ოცნებაც აისრულე – ლეონარდო დიკაპრიო გაიცანი. ამაზე ადრე ვრცლად მესაუბრე კიდეც.**

– მართალი ხარ, ეს როგორ დამავიწყდა. კი, ჩემი ორი დიდი ოცნება ასრულდა 2013 წელს – „დიორის სახლში“ მოდელად მუშაობა დავიწყე და ლეონარდო გავიცანი, რომელიც ძალიან მიყვარს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს წელი სხვა წლებთან შედარებით, ძალიან კარგი იყო.

**– კიდევ რას გამოყოფდი გასული წლის ამბებიდან?**

– პირველად გადამიღეს ჟურნალის ყდისთვის, მაგრამ ჯერ ვერ გამომიგზავნეს ფოტოები. ფრანგული ჟურნალია. „ვერსაჩეს“ კოლექცია მეცვა, საკმაოდ საინტერესო გადაღება მქონდა, ლონდონის მოედანზე. ისეთი შთაბეჭდილებების ქვეშ ვიყავი, რომ ჩანახატის დაწერაც კი მომინდა. თან, წინა საღამოდან ცოტას ვღელავდი. იმის მაგივრად, რომ კარგად გამომეძინა, პირიქით, ვერ დავიძინე. ინტერვიუც აიღეს ჩემგან, რომელიც იმავე ჟურნალში დაიბეჭდა, ანუ, ყდაზეც არის ჩემი ფოტო და შიგნითაც. გარდა ამისა, იტალიიდან მაქვს მიწვევა „ბალმანთან“ თანამშრომლობაზე. თებერვლის დასაწყისში გავემგზავრები – „ბალმან ჰეართან“ უნდა ვიმუშაო, ანუ თმის ხაზზე. პრინციპში, ჩემი ხაზი არის „ბიუთი“, რაც ძალიან მომწონს. თან, უფრო მეტია ანაზღაურება და საინტერესოცაა. კმაყოფილი ვარ, რომ ამ ხაზით ვმუშაობ. გარდა ამისა, გავხდი იტალიური ბრენდის „კომფორტზონ“ „სხეული“, რომელიც მოიცავს თავის მოვლის საშუალებებს. მათთან 6-წლიანი კონტრაქტი მაქვს. იმდენად გრძელვადიანი კონტრაქტი იყო, რომ იურისტთან და ჩემს ბუქერთან ერთად განვიხილე. მათ თუ რამე დასჭირდებათ: სატელევიზიო რეკლამები, ბროშურები, გარე რეკლამები, კოლექციის განახლება – მოკლედ, ყველაფერში, მე გამომიყენებენ. ისეთი პირობები შემომთავაზეს, სიამოვნებით დავთანხმდი. თავიდან 10 წელი იყო, მაგრამ 6 წლამდე დავწიეთ.



**– როგორია საშობაოდ, საახალწლოდ მორთული პარიზი?**

– აქ ყველა საშობაოდ უფრო ემზადება, ვიდრე საახალწლოდ. თავიდანვე მქონდა დაგეგმილი, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად გავატარებდი ახალ წელს. სამოსიც წინასწარ შევარჩიე.

**– რა გაითვალისწინე საახალწლო სამოსის შერჩევისას?**

– სიმართლე რომ გითხრა, ზოდიაქოს ნიშნებს არ ვაქცევ ყურადღებას, არც იმას – რისი წელია. რადგან მოდელი ვარ, სადაც უნდა წავიდე, ჩემი სტილიდან, ხაზიდან არასდროს ამოვვარდები. ამიტომ, არ აქვს მნიშვნელობა, რისი წელია. „აზაროს“ კაბა მაქვს ოქროსფერ ფერებში და ის შევარჩიე საახალწლოდ.

**– რამე გაქვს უკვე 2014 წელს დაგეგმილი?**

– უკვე ვიცი ორი შოუს პასუხი, რომლებიც იანვრის ბოლოს იქნება. 2 იანვარს დამეწყო ქასთინგები, თებერვალში „ბალმანი“ მაქვს და არის კიდევ სხვა რაღაცეები.

**– თოვლის ბაბუას, ალბათ, შენთანაც მოაქვს საჩუქრები.**

– კი, მოაქვს ხოლმე. მეც მიყვარს ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის საჩუქრების გაკეთება. კათოლიკურ შობას აქ ძირითადად ოჯახებში ხვდებიან. ამიტომ, 21 დეკემბერს მეგობრები ერთად შევიკრიბეთ და აღვნიშნეთ. თან, ერთმანეთს საჩუქრები ვაჩუქეთ – ეს ჩვენთვის ერთგვარი ტრადიციაა.

**ნათია უტიაშვილი**



გვ. 79

რას ტესტავენ „დიორის" სამოდელო სახლში ქრისტინე ძიძიგურის სახეზე და როგორ გადაიღეს ის ფრანგული ჟურნალის ყდისთვის „ვერსაჩეს" კაბაში



გვ. 19

რაში „გადაასხა" გენეტიკა ეკა ჩხეიძეს და როგორ გადარია ახალ წელს თავისი საფირმო საცივით მექსიკელები მედეა ჩახავამ



რა ვერ გააგებინა ქართველ მამაკაცებს ელენე ჩიხლაძემ და რომელ ცეკვას ველარ იცეკვებს ის

გვ. 18

ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი • გამოდის ორშაბათობით • №2(681) • 13-19 იანვარი • ფასი 1,50 ლარი